წმიდა მღვდელმოწამე კირიონი
გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე
(1887-1905)

წმიდა კირიონ მეორე კათოლიკოს-პატრიარქი გაზეთ ივერიის ფურცლებზე

(1887-1905)

დეკანოზ მიქაელ ბუკიას ლოცვა-კურთხევით

კრებული შეადგინა და გამოსცა

საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის

ბიბლიოგრაფმა კონსტანტინე ალიბეგაშვილმა

თბილისი

„წიგნის სავანე“

2013

წინასიტყვაობა

კირიონ II (ერისკაცობაში - გიორგი იერონიმეს ძე სამაგლიშვილი, დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს, ქვემო ნიქოზში, გორის მაზრაში - გარდაიცვალა 1918 წლის 27 ივნისს, მარტყოფში) - სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917-1918 წლებში, ქართველი ისტორიკოსი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ 2002 წელს.

გაზეთ „ივერიაში“ 1887-1905 წლებში იბეჭდებოდა სტატიები (წერილები, ფელეტონები, ისტორიული პიესა), მისი ავტორობით [ფსევდონიმებით: ბერი; სასოებაძე; გ.საძაგელოვ-ივერიელი; ე. კ.] და მის შესახებ ისტორიული და ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები.

კრებულში მონაცემები დალაგებულია გაზეთ „ივერიის“ გამოცემის თარიღების მიხედვით, სადაც-კი ერთი სიტყვით მაინც ნახსენებია წმიდა მღვდელთ-მთავრის სახელი. ჩვენ შევეცადეთ სიტყვა-სიტყვით გადმოგვეღო და შეუცვლელად მოგვეწოდებინა თანამედროვე მკითხველისათვის იმჟამინდელი ქართული ენა; შევასწორეთ მხოლოდ უხეში ბეჭდური შეცდომები.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ წინამდებარე კრებული, როგორც ისტორიული წყარო, გამოსადეგი იქნება წმიდა კირიონ მღვდელ-მოწამის, კათოლიკოს-პატრიარქის ბიოგრაფიით დაინტერესებულ პირთათვის, ისტორიკოსებისათვის, ასევე სასულიერო სასწავლებლების სტუდენტებ-სათვის და ქრისტეს ეკლესიის ერთგული მრევლისათვის.

შემდგენელი.

წმიდა კირიონ მეორე
კათოლიკოს-პატრიარქი
გაზეთ ივერიის ფურცლებზე

ივერია - 1887. – N174. – 22 აგვისტო - გვ.1.

ახალი ამბავი: – „წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 21–ს აგვისტოს ბატონმა გიორგი სამაგლიშვილმა გარდასცა „საზოგადოებას“ ცამეტი მანათი, რომელიც მას მოეკრიბნა თავის ნაცნობებში სასარგებლოდ ამა საზოგადოებისა, ბატონი მდივანი დიდს მადლობას უძღვნის ბატონს სამაგლიშვილსა და მის ნაცნობებს ამ შეწირულობისათვის.

ივერია - 1888. – N45. – 28 თებერვალი - გვ.1.

ახალი ამბავი: – წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუზეუმს შემოსწირა ბატონმა გიორგი სამაგლიშვილმა ძველი ფულები: ექვსი ვერცხლისა და ოთხი სპილენძისა. ერთი ამათგანი ბიზანტიის ფულია, მეოთხე საუკუნისა ქრისტეს შემდეგ. საზოგადოების გამგეობა მადლობას უცხადებს შემომწირველს.

ივერია - 1888. – N112. – 29 მაისი - გვ.2.

ახალი ამბავი: – ბატონმა გიორგი სამაგლიშვილმა შემოსწირა „წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ–საცავს შემდეგი ხელნაწერები:

1). ლეილ მიჯნურის ამბავი, სპარსულიდგან ქართულად გადმოთარგმნილი მეფის თეიმურაზისაგან, სასმენელად მშვენიერი.

2). გოჩაიანი.

3). იბულ ლიფარ ალმაზორი, ანუ ვითარ სათანადო არს სჯაი ერთა ზედა. (მოთხრობა).

4). მეფე არჩილის დაწერილი ლექსები.

5). ბესიკის ლექსები.

6). ლექსთა წყობილებაზედ.

7). აპოკრიფული მოთხრობა ღვთისმშობელზედ.

8). ბაქარ ბატონიშვილის ლექსები.

9). მეფის ასულის მარიამის წამება. (ლექსი).

„წერა–კითხვის საზოგადოება“ მადლობას უცხადებს შემომწირველს.

ივერია - 1888. – N197. – 21 სექტემბერი - გვ.1-2.

ფელეტონი

მაჰმადი

როგორც რეფორმატორი

არაბეთის ერთს პატარა ქალაქში, სახელდობრ მექაში, 569 წელსა ქრისტეს შემდეგ [*ზოგირეთის მეცნიერის აზრით, მაჰმადი დაიბადა 20 აპრილს 571 წელსა, იხილე Очерки из всем. ист. Петрова: „Мохаммедъ. Происхождение Ислама,“ изд. 2, ст.111.*] დაიბადა კაცი, რომელმაც ფრიად დიდი ზედ–გავლენა იქონია მთელს კაცობრიობაზე. ეს კაცი გახლდათ მაჰმადი. მაჰმადი შთამომავლობდა კორეიშიტების ტომისაგან და გვარად იყო გაშემი. ამ გამოჩენილის რეფორმატორის ცხოვრება უფრო დაწვრილებით არის ცნობილი, ვიდრე რომლისამე სარწმუნოების დამაარსებლისა. მაჰმადიანნი ძალიან სცდილობდნენ შეეკრიბათ და გადაერჩინათ დროთა ბრუნვისაგან ყველა, რაც–კი იმათის წინასწარმეტყველის ცხოვრებას შეეხებოდა; ამიტომ იმათ მაჰმადის ცხოვრების შესახებ მთელი მწერლობა არსებობს, თუმცა თვით ყორანში არა არის–რა ამ საგანზე.

თანამედროვე მოწმობით, მაჰმადი იყო შუათანა ტანისა, ჩასხმული, ჯმუხის აგებულობისა. დიდი, ლამაზად მოყვანილი თავი მშვენივრად ეჭირა იმისს სრულს კისერს. პირისახე ჰქონდა მრგვალი, წვერით შემოსილი, თვალები დიდრონი და გამჭრიახე და არწივის ნისკარტივით მოხრილი ცხვირი; მშვენიერი თმა მხრებზე ეყარა. ქცევა ჰქონდა წყნარი, დარბაისლური; იშვიათად იხუმრებდა და საზოგადოდ–კი ღირსეულად ეჭირა თავი. იმისს ჩვეულებრივს ლაპარაკს ჰქონდა კილო მოძღვრებისა, ლაპარაკის დროს ხშირად ხმარობდა მოსწრებულს ანდაზებსა და იგავებს; როცა–კი ეშხზე მოვიდოდა, ნამდვილი მჭერმეტყველი თურმე იყო. ხმა ისე უზრიალებდა, თითქო ზარიაო. მაჰმადი იყო მეომარი და მქადაგებელი, წინ–დახედული და შორს მჭვრეტელი, თავაზიანი და მტერთა ადვილად მომრიგებელი; ერთის სიტყვით, მაჰმადს ჰქონდა ყველა ის თვისებანი, რაც საჭიროა იმათთვის, ვისაც, როგორც მოგვითხრობს ისტორია, ხშირად ხან ასე უტრიალებიათ და ხან ისე სახელმწიფოთა ბედ–იღბალი.

მაჰმადის ცხოვრების აღმწერელნი განიყოფებიან ორს დასად: მწერალნი–ბიოგრაფნი შიიტის მოძღვრებისანი ჰხატავენ მაჰმადის ცხოვრებას სასწაულებით აღსავსეს; მწერალნი სუნიტის მოძღვრებისანი–კი უფრო სინამდვილით მოგვითხრობენ თავიანთის წინასწარმეტყველის თავ–გარდასავალს. ორივე დასნი ერთ ნაირად ესვიან მაჰმადს, როგორც ღვთაებრივს კაცსა, ჰყავსთ წარმოდგენილი ვითარცა კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა, ვითარცა ჭურჭელი სავსე ღვთაებრივის ნიჭითა. ქრისტიანე მწერალთა შორის ზოგნი მოგვითხრობენ იმისს ცხოვრებას თანახმად მაჰმადიანთა ღვთის–მეტყველთა, ზოგნი–კი ქრისტიანობის თვალით უცქერიან და ისე განიკითხავენ. უკანასკნელთა შორის ირიცხებიან მართლ–მადიდებელნი და კათოლიკენი. პირველნი–კი მაჰმადიან მწერლებთან ერთად ქებით იხსენიებენ მაჰმადის საზნეობო მოძღვრებას. ერთი იმათგანი, ისტორიკოსი

მილლერი, ამბობს, რომ: – „მაჰმადში ღმერთი სუფევდაო.“ მეორე, სახელდობრ ვეილი, ამბობს, რომ: – „მაჰმადი ნამდვილი წინასწარმეტყველიაო.“ მაჰმადი არ მოსწონს ვოლტერს, კანტს, რუსსოს, მოირის, ბარონიის და სხვ. იმათი საზოგადო აზრი მაჰმადზე ის არის, რომ მაჰმადი იყო ცრუ–წინასწარმეტყველი, განზრახ მატყუარა, კომპილიატორი, რომელიც სხისგან შესმენილს ისე უმოძღვრიდა ხალხს, როგორც ღვთაებრივს განცხადებას. ამ მწერლებს სხვათა შორის აზრად ჰქონდათ დაეყვედრებინათ სხიზმატიკებისთვის (ბერძნებისთვის), რომ ვითომ ღმერთი სჯის ერესს ერესითაო, რომ ეგ არის გამეორება არიოზის ცრუ სწავლისაო; ამასთან აყვედრებდნენ პროტესტანტებს, რომ მაჰმადის სწავლა არის გამეორება სარაცინის ერესისაო და არიოზის მოძღვრებისაო. ამ ნაირად კათოლიკენი აყვედრიდნენ ბერძნებსა და პროტესტანტებს, რომ მაჰამდი თქვენი ნაყოფიაო, ხოლო პროტესტანტები კიდევ ამასვე უკიჟინებდნენ ლათინებს და ბერძნების ეკკლესიას.

ვიდრე მაჰმადი საზოგადო ასპარეზზე გამოვიდოდა, როგორც წინასწარმეტყველი, ეს „საწყალი, ავადმყოფი ობოლი“ ქარავნებს დასდევდა. ხანგრძლივი სიარული სავაჭრო საქმეების გამო, მერე ისეთ ქვეყანაში, სადაც მაშინ საკმაო სწავლა–განათლება მოიპოვებოდა, შეიქმნა მისთვის სკოლად, ამ სიარულმა და მოგზაურობამ შესძინა იმისს ბუნებით გამჭრიახს გონებას პირველ დასაწყისი ცოდნა, სწავლა–განათლება. მაჰმადმა ყმაწვილობაშივე ბევრი რამ ნახა, ბევრი რამ გაიგონა; ხშირად ემუსაიფებოდა ქრისტიანებს, ებრაელებს და თითქმის ბერებიც–კი მეგობრებადა ჰყვანდა. რაკი პატიოსანი კაცი იყო, თაოსანი და საქმეც რიგიანად მიჰყვანდა, მაჰმადი გამდიდრდა, ქონება შეიძინა. ორმოცდახუთის წლის მდიდარმა ქვრივმა ქადიჯამ, რომლის ქარავნებსაც ის დასდევდა, მოიწონა ახალგაზრდა მაჰმადი და ქმრად შეირთო. ამ სახით ოცდახუთი წლის მაჰმადი შეიქმნა დამოუკიდებელი კაცი და აი აქედგან იწყება იმისს ცხოვრებაში დიდი ცვლილებაცა.

ჯერ სარწმუნოებათა სხვადასხვა გვარობამ და თითოეულის იმათგანის თავ–მოწონებამ შეაფიქრიანა მაჰმადი. ამ კაცს ეჭვი დაებადა და დაიწყო ძიება, რომელი სარწმუნოება უფრო ჭეშმარიტიაო. რად არის იმათ შორის ასეთი დიდი გარჩევაო, მოიპოვება რომელსამე მათგანში სრული ჭეშმარიტება, თუ არაო. თუ მოიპოვება, რატომ ყველანი არ აღიარებენ იმ ჭეშმარიტს სარწმუნოებას და სხვა... ამ ნაირი ეჭვიანობა არ აძლევდა მაჰმადს მოსვენებას, უშფოთებდა გრძნობას, გონება იმისი მუშაობდა დაუღალავად და ეძებდა გზას, რომ ან აქეთ მიმართულიყო, ან იქით. ამისთვის დაიწყო სწავლა მაშინდელის სხვადასხვა სარწმუნოებისა. სწავლამ გონება გაუმახვილა და რელიგიური ცნობანი შესძინა. მაჰმადიანთა მწერალნი არა ჰმალავენ და იხსენიებენ იმათ, ვისთანაც მაჰმადი მეგობრად იყო. ასახელებენ კოიკა ქრისტიანს, იაქიას და სალმანას. რა თქმა უნდა, რომ მაჰმადი მიჰმართავდა ქრისტიანებს, ებრაელებსა და სხვადასხვა მოძღვრების მიმდევართა: ნესტორიანებს, ესსეიებს, ებიონიტებს, საბეიანებს, განიფებს. ამ გზით გაიცნო ხუთი წიგნი მოსესი, სახარება და სხვა აპოკრიფიული წიგნები, როგორც მაგალითად: სახარება ბარნაბესი, აღთქმა თორმეტის პატრიარქისა, წიგნი ენოქისა და სხვანი. დაბადების მოთხრობანი მაშინ ძალიან იყო გავრცელებული სხვადასხვა დამატებითა და განმარტებით; მაშასადამე, მასალა მზად ექმნებოდა თავისის ახალის სარწმუნოების დასაარსებლად. ამ ნაირად

ყორანში შეტანილ იქმნა მრავალი ებრაელთა და ქრისტიანეთა აპოკრიფიული ცნობანი და დაბადებიდგან გადაკეთებული და დამახინჯებული მოთხრობანი.

როგორც მოქალაქეს, რომელიც ფრიად მდიდარი იყო თუ ფულითა და თუ ნიჭით, მაჰმადს პატივსა სცემდნენ მექის მკვიდრნი და ამისთვის მრავალთა ყურადღება ჰქონდა დამსახურებული; ესენი თვალ–ყურს ადევნებდნენ თავიანთის წარჩინებულის მოქალაქის ყოფა–ცხოვრებას. მალე შეჰნიშნეს, რომ მაჰმადი, სხვათა ფანატიკოსთა მსგავსად, ყოველ წლივ მთელი თვე რამადანს მექის ახლოს მდებარე გორაკა ხირას მღვიმეში მარტოდმარტო ატარებდა მარხვასა და ლოცვაში. რასაკვირველია, ყველაზე ადრე შეამჩნივა ამ ნაირი ცვლილება ცოლმა, მაგრამ იმან ვერაფრით ვერ ახსნა ეს ამბავი. განმარტოვებულმა ცხოვრებამ, გულ–ჩათხრობილობამა და ხშირად ოცნებაში ყოფნამ ნელ–ნელა იმოქმედა და მაჰმადმა ირწმუნა, რომ მე წმინდა ცხოვრებას ვატარებო, თვით ღვთაებას უნდა დამიახლოვოსო. იმისმა გონებამ დაიწყო აღმა–ფრენა უხილავსა და განუსაზღვრელს სივრცეში და ხან რა ეჩვენებოდა, ხან რა. იმან ვერ გაარჩია მოჩვენება ნამდვილისაგან და დარწმუნდა, რომ უხილავი არსება მეცხადებაო, მამცნევს ღვთის ნებასაო, მასწავლის ჭკუასაო; ასე გატაცებულსა და ფიქრით დაღლილს იმისს გონებას ელანდებოდა ვითომ ციური არსება და ყურთ ესმოდა ხმა მისი მღაღადებელი: – „გიხაროდენ, ღვთისგან მოვლინებულოვო...“

რა თქმა უნდა, რომ მაჰმადი მუდმივ არ იყო ამისთანა ოცნებაში, სნეულივით შეპყრობილი უცნაურისა და უხილავის სანახავებით; ხანდისხან ჰგრძნობდა ნამდვილს მიზეზს თავისის ავადმყოფობისას და შესჩიოდა თავისს ცოლს ქადიჯას, გონება მეფანტებაო. მაგრამ რაკი ერთხელ წარმოიდგინა თავისი თავი ღვთისგან მოვლინებულად, წინასწარმეტყველობა იტვირთა და, თუ რამ შეცდომა მოუვიდოდა, ამ შეცდომას აწერდა კაცის ბუნების სისუსტეს, რომლის მიზეზითაც ადამიანს არ შეუძლიან ამაღლდეს შეუცდომლობამდის. ამას გარდა მაჰმადი თავისს შეცდომას უყურებდა სრულებით სხვა ნაირად. რაკი დაჯერებული იყო, რომ წინასწარ–მეტყველი ვარო, აღარ დასდევდა არც იმას, რომ სწორე გონების მსჯელობას არღვევდა და არც იმას, რომ ზნეობის გზას გადაუხვევდა ხოლმე; ხანდისხან თავისს სურვილს აკანონებდა კიდეც. აქაო და მსურს ოთხზე მეტი ცოლი შევირთოვო, მაჰმადი ამბობდა, რომ წინასწარმეტყველს შეჰფერის ოთხზე მეტი ცოლი ჰყავდესო. რაკი ასე დატრიალდა მაჰმადის ფიქრი, რაღა დაუშლიდა, რომ ყოველივე თავის სასარგებლოდ არ გადაეხარა, ხომ დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე იმისი ქცევა ზე შთაგონებით იბადებოდა, ყოველივე ფიქრი და აზრი ზენაარის სურვილით უჩნდებოდა. მაჰმადმა წინ საგანი გამოისახა და ამ საგანს ეტანებოდა სულითა და გულით. მაჰმადის გულითადი სურვილი იყო ამ საგნისათვის არ ემტყუნა და საგანი იგი ცხოვრებაში განეხორციელებინა, რა გზითაცა და რა ღონითაც უნდა ყოფილიყო. ამისთვის არ არის გასაკვირველი, რომ მაჰმადი კაცის კვლას კანონიერ საქმედა სთვლიდა, იმ შემთხვევაში, როცა ეს კაცის კვლა საჭირო იყო იმის დედა–აზრის შესრულებისთვის. ამასთანავე დარწმუნებული იყო, რომ ვითომ ამისთანა საშუალებანი არ დაუშლიდა თვით მაჰმადს მაინც ღვთისგან მოვლინებული ყოფილიყო.

„მახვილი არის გასაღები სასუფევლისა; ერთი წვეთი სისხლი ღვთის გულისათვის დაღვრილი, ერთი ღამე სარწმუნოებისათვის იარაღ ქვეშ ყოფნა სჯობიან ორის თთვის მარხულობასა და ლოცვას; სისხლის დაქცევა უფრო მცირე ბოროტებაა, ვიდრე კერპთ თაყვანის–მცემლობა; ერი, რომელსაც დაუვიწყნია შემოქმედი, ბევრად უარესია პირუტყვთა ხროვაზე.“

აი რასა ჰქადაგებდა მაჰმადი.

მაჰმადმა თავისი მოძღვრება გამოსთქვა ნაწყვეტ–ნაწყვეტად იმ სახით, როგორც გამოითქმება ზეგარდამო შთაგონებული განცხადება. ეს გამოთქმანი შეკრიბნა იმისმა სიმამრმა აბუბეკერმა და შეადგინა მაჰმადიანთათვის წმინდა წიგნი „ყორანი.“ ამ ნაირად შემდგარი წიგნი შეიქმნა საღმრთო და სჯულის მდებელ წიგნად. გარდა ამისა შემდეგ შეჰკრიბეს გარდამოცემანი „ხადიტი“ [ანუ „ხადისი“] და სიტყვანი მაჰმადისა და ამ კრებულს უწოდეს „სუნნა.“ რადგანაც ეს გარდამოცემანი მაჰმადის შესახებ ყველამ არ მიიღო და არ შეიწყნარა, ამისთვის მოხდა მაჰმადიანთა შორის განხეთქილება: ერთს მხარეს გავიდნენ უარისმყოფელნი შიიტნი, მეორე მხარეს სუნნიტნი, რომელთაც მიიღეს სუნნა, როგორც უსაჭიროესი დამატება ყორანისა.

ყორანის ქვაკუთხედია დოღმატი: – **„არ არს ღმერთი, გარდა ღმერთისა და მაჰმადი არს მისი წინასწარმეტყველი.“** წინასწარმეტყველთა რიცხვში მან შერიცხა მოსე და იესო ქრისტე, რომელთა სარწმუნოება უნდოდა დაეგვირგვინებინა თავისის სარწმუნოებით. რათა მიემხრო ქრისტიანენი და ებრაელნი, მაჰმადმა მიიღო ზოგიერთი დოღმატები მათი, ხოლო ამ დოღმატებს თავისით დაუმატა მრავალი წესები და დებულებანი, რომელთაც დიდი გავლენა შეეძლოთ ექონიათ აღმოსავლეთის კაცის აღტაცებულს მგრძნობიარე გონებაზე.

მაჰმადი ასწავლიდა ერს, რომ არის ერთი ღმერთი დაუსაბამო და დაუსრულებელი, შემოქმედი და მპყრობელი ყოვლისა, იგი ამცნევს კაცთა ნათესავს, რომ არის აღდგომა მკვდრეთით და საიქიო ცხოვრება, სადაც მორწმუნენი და კეთილის მომქმედნი იხილვენ შემოქმედსა პირის–პირ, ხოლო ურწმუნონი და ბოროტის–მომქმედნი ღირსეულად დაისჯებიანო. მაჰმადი მოძღვრებდა ბედისწერის შესახებაც. თანახმად გარშემორტყმულ ერთა და ტომთა ჩვეულებისა, მან დაადგინა კანონად ხშირად ბანვა ტანისა, ანუ ნამაზი, ხუთი ყოველ–დღიური ლოცვა. მაჰმადის აზრით, მლოცველს მუდამ პირი მიქცეული უნდა ჰქონდეს მექისაკენ. იმისივე დაწესებულია აგრეთვე პილიგრიმობა მექაში და მოწყალების გაცემა; მან აღკრძალა სასტიკად ღორის ხორცის ჭამა და ღვინის სმა; ამის სამაგიეროდ მაჰმადმა მისცა მორწმუნე მოსლემინებს სრული თავისუფლება ხორცთა დასატკბობად, პირუტყვულ გრძნობის დასაკმაყოფილებლად. უდიდესი მცნება ყორანისა, როგორც ჰმოწმობენ წარჩინებულნი მწერალნი, ის არის, რომ ისლამი, ანუ მოძღვრება მაჰმადისა უნდა იყოს გავრცელებული ყოველის საშუალებითა და უცხო სარწმუნოების ერთა მოსაქცევად უნდა იხმარონ ცეცხლი და მახვილიო. [*ისლამის გავრცელებაზე ყორანის მეორე თავის მეოთხე მუხლში ვკითხულობთ: „ნურავის ნუ სდევნით და თავს ნუ დაესხმით მტრულად, თუნდა თვით სარწმუნოება იყოს განსაცდელში.“ მაგრამ ამ საქებ აზრს ყორანისას მაჰმადიანთა ღვთის–მეტყველნი ისე განმარტავენ, რომ ვითომ ისლამი მახვილით უნდა გავრცელდეს მაინცო.*] ეს მცნება მაჰმადიანობისა ფრიად

შეუწყნარებელი საქმე იყო, თუმცა ზოგიერთი სხვა წესი და მოძღვრება მისი იყო ფრიად ამაღლებული.

ამ სახით დაარსდა და გავრცელდა ისლამი მაჰმადის მეოხებით. მაჰმადმა პირველად შეიგნო, რომ მაშინდელს ხალხს არ მოსწონდა თავისი სარწმუნოება და ელოდა ახალს. ეს დაიხვია ხელზე მაჰმადმა და შეჰქმნა ახალი სარწმუნოება. ამ სარწმუნოებაში თავად უპირველესი ადგილი დაიჭირა. თვით სარწმუნოება ისეთი მოიგონა, როგორიც ერს ეამებოდა. გავრცელება და დამკვიდრება, მაჰმადის სარწმუნოებისა შემდეგ ბევრმა იტვირთა და ამ საქმისათვის მრავალმა იღვაწა და იშრომა.

გაჩნდებოდა თუ არა ისლამი უმაჰმადოდ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს კი ითქმის, რომ ისლამი ვერ გაჩნდებოდა, თუ მაჰმადისთანა კაცი სხვა არ დაიბადებოდა. თვით ისტორია ჰქმნიდა ისლამს. „თუ თვისება და ხასიათი არაბთა [*ob. Нравы, обычаи и религия Арабов. Руков. к др. ист. вост. до перс. войнъ. Ленормана. Арабы. т.II, вып. I-й, стр.88-100.*], – ამბობს ერთი სწავლული, – არის მამა ისლამისა, თვით მაჰმადი [*ამბობენ, რომ მაჰმადი მოსწამლეს და გარდაიცვალა 632 წელს მედინას ქალაქშიო.*] დედაა მისიო.“

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1888. – N249. – 26 ნოემბერი - გვ.2.

ახალი ამბავი: – ბატონმა გიორგი საძაგლიშვილმა შემოსწირა „წერა–კითხვის საზოგადოების წიგნთ–საცავს“ შემდეგი წიგნები და ნივთები:

1). ლოცვანი ოსური ხუცურის ასოებით.

2). წესი და განგება და სჯულის კანონი მეექვსის კრებისა ას სამეოცდა–რვათა წმიდა მამათა, რომელნი შეკრბეს კონსტანტინეპოლესა ახალსა რომსა.

3). ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობითი.

4). წიგნი აღსარებისა.

5). ისტორია დავით ბატონიშვილისა 1880 წ.

6). ოთხი ჩუქურთმა, ნაპოვნი ცხინვალის ხეობაში.

7). ძველი ფულები: ოთხი ვერცხლისა და შვიდი სპილენძისა.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უცხადებს შემომწირველს.

ივერია - 1888. – N273. – 25 დეკემბერი - გვ.2.

ახალი ამბავი: – „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელს სა–ზოგადოებას“ მოუვიდა გორიდამ ბატონ გიორგი საძაგლიშვილის მიერ შემო–წირული ძველი ფული, რიცხვით თორმეტი. ამ ფულში სამი–ოთხი თამარ მეფისა და დავით სოსლანის დროისაა.

ივერია - 1889. – N274. – 23 დეკემბერი - გვ.2.

ახალი ამბავი: – ბევრი სხვა–და–სხვა შესანიშნავი ნივთი შეუკრებია გორის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს, ბატონს გიორგი საძაგელოვ–ივერიელს, და

უნდა „წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გაუგზავნოს. ეს ნივთებია სხვა–და–სხვა ხუცური ან მხედრული ხელთ–ნაწერები, ძველი ფულები არაბულის, ან სპარსულის ზედ–წარწერებით და ტილოზედ ბერძნულის წარწერით ძველი ნახატი ოდიკი. ხოლო ნაწერებში უფრო შესანიშნავია ხუცურად, წვრილ ასოებით, ნაწერი მსოფლიო ისტორია. ეს წიგნი ქაღალდზეა დაწერილი ფრიად მშვენიერის ხელით და შეიცავს ექვსას სამოცდარვა გვერდს. ვისგან და როდის არის დაწერილი ეს წიგნი, მინაწერებიდამ არა სჩანს. შიგადაშიგ ცარიელი ადგილებია და ამ ადგილებში გადამწერისაგან ჩაწერილია: – „ეს ადგილი დედანიდგან ვერ ამოვიცან.“

ივერია - 1890. – N181. – 23 აგვისტო - გვ.1.

ახალი ამბავი: – ბატონი გიორგი საძაგელოვი–ივერიელი შემდეგს მცირე საარხეოლოგიო შენიშვნასა გვწერს: დიდ ვახტანგ გორგასლანისაგან აშენებულ 1500 წლის ზემო–ნიქოზის დიდებულს ტაძარში, რომელშიაც სამღვდელ–მთავრო კათედრა იყო 1810 წლამდის, არის ერთი ძველის–ძველი არხეოლოგიურის მხრით შესანიშნავი ხატი მიძინებისა ყოვლად წმიდის ღვთის–მშობელისა, ხატი არ არის დიდის ზომისა, სიგრძით აქვს ცხრა და სიგანით რვა გოჯი. ეს ხატი გარშემო ვერცხლით არის მოჭედილი და ზედა აქვს მხედრულის ასოებით შემდეგი წარწერა: „ქ: ჩვენ მაჩაბლის ზურაბ სახლ–ხუცის ძემან ვახტანგ და თანამეცხედრემა ჩვენმა ამილახორის ასულმა გუქამ მოვაჭედინე ხატი ესე მიძინებისა, სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად. ქ–კსა უიზ.“ აქ იგულისხმება მეორე 532 წლიური მოქცევა ქართულის ქორონიკონისა. პირველი ქორონიკონი დაიწყო 780 წელს ქრისტეს შემდეგ და შესრულდა 1312; ამ 1312 წელს რომ მივუმატოთ უიზ (417წ.), გამოვა, რომ ზემოხსენებული ხატი არის მოჭედილი 1729 წელს. თვით ხატი ფიცარზე არის დახატული და სიძველის ნიშანი აძევს, წამალი ზოგან გადასვლია და ზოგან ფერი უცვლია; როგორც მხატვრობა გვიჩვენებს, უნდა ეკუთვნოდეს IX-XI საუკუნეებს. ხატის გარშემო შემოჭედილი ვერცხლი დასევადებულია და ზედ დიდის ხელოვნებით დახატულია თორმეტი საუფლო დღესასწაული. ეტყობა, ეს ხატი წინად შუა ეკკლესიაში დასასვენებელ ხატად ყოფილა, რომელსაც საუფლო დღესასწაულებში გამოასვენებდნენ შუა ეკკლესიაში, რომ ხალხს თაყვანი–ეცა.

ივერია - 1890. – N210. – 4 ოქტომბერი - გვ.2.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

კულბითი – კულბითი მშვენიერი სოფელია, აქვს კარგი მდებარეობა და საღი ჰავა. ამ სოფლის ადგილი თავის ტყით მეფე დავით აღმაშენებელს უბოძებია ოქროპირიძეების წინაპარ ჩოჩიშვილებისთვის, რომელნიც ოსეთიდგან გადმოსახლებულან, მეფის ყურადღება დაუმსახურებიათ თავის ერთგულობითა და მისივე ნება–დართვით ამოურჩევიათ ეს ადგილი საცხოვრებლად. დავით აღმაშენებელის ნაბოძები სიგელი აქამდე არის დაცული ოქროპირიძიანთ ოჯახში.

სოფლის თავში არის ყინულსავით ცივი წყარო, რომელსაც თურმე სამკურნალო თვისება აქვს; ვისაც გააციებს წყაროს წყალში იბანავებს და მორჩება; ამიტომ ამ წყაროს დაერქვა „წამლაწყარო.“

კულბითში ხშირად უცხოვრიათ ქართველთა მეფეების შვილებს. სხვათა შორის ჩვენის მატიანებიდგან ვიცით, რომ ხუთასის წლის წინად აქ სცხოვრობდა მეფის ძე გოჩა (გიორგი); ეს სოფელი აგრეთვე ძლიერ ჰყვარებია დიდ ერეკლე II მეფის შვილს იულონს, რომელიც აქ ჩერქეზიანთ ოჯახში აღზრდილა პატარაობიდგან და ხშირად მუხის ძირში დროება გაუტარებია. როდესაც იულონი იძულებული გამხდარა, სამშობლოსთვის თავი დაენებებინა, იმას თან გაჰყოლიან იმერეთში ერთგულნი მხლებელნი, მათ შორის ცნობილი ფირანიც, რომელიც იულონის შეპყრობის დროს ლუკმა–ლუკმა დაუკეპიათ; თავ–განწირულის დაკეპილი სხეული კალათებში ჩაულაგებია ივანე შავარდენიძესა და გადმოუტანია კულბითში სამშობლო მიწისთვის მისაბარებლად.

ისტორიული ძველი ნაშთებით არ არის ღარიბი ეს სოფელი. შიგ სოფელში და მის გარშემო ყოფილა წინად თორმეტი ეკკლესია, რომელთა რიცხვი, თუმცა, სამწუხაროდ შემცირებულა, მაგრამ სანუგეშოდ ჩვენამდე მოუღწევია გოჩასაგან აშენებულს თლილის ქვის ეკკლესიას. მეფის ძეს გოჩას თავის სახსოვრად დაუტოვებია ეს მშვენიერის ხელოვნების მხრითა და გარშემო ჩუქურთმებით შემკული ეკკლესია. იმავე გორაკაზე, რომელზედაც ეს ეკკლესია არის აშენებული, სოფლის მკვიდრთა და ტაძრის დასაცველად მტერთაგან გოჩასვე აუშენებია მკვიდრი ქვითკირის გალავანი კოშკებით. ეკკლესია და ქვითკირის სიმაგრენი თითქმის ორმოც ვერსიდგანა სჩანს. ნეტარ ხსენებულ გოჩას შემდეგ, რომელიც ჩრდილოეთის სვეტისა და სამკვეთლოს შუაში განისვენებს, მისგან აშენებულ ეკკლესიაში აქამომდე არ შეწყვეტილა წირვა–ლოცვა, მხოლოდ ამ რამდენსამე წლის წინად შტატი იქმნა აქედგან გადატანილი ოქროპირიძიანთაგან განახლებულს საყდარში.

გოჩას ეკკლესიის შესავალში ასვენია სასწაულთ–მოქმედი ხატი ღვთის–მშობლისა, რომელიც ჯერ ჩერქეზიანთ ოჯახში სვენებულა და მერე შეუწირავთ ეკკლესიისთვის. ეს ხატი, როგორც ამბობენ, მოუტანიათ იერუსალიმიდგან და არის ნამდვილი პირი ივერიის ღვთისმშობლისა, რომელიც ზღვაზე სასწაულებრივ გამოეცხადა ქართველს ბერს გაბრიელს. ეს ხატი ჟამთა ვითარებისაგან დაძველებულა, წამალი ადგილ–ადგილ გადასვლია. მხატვრობა (რუსული უნდა იყოს) ბუნდადა სჩანს. ამ უკანასკნელის გარემოებით აიხსნება ხალხის ღრმა რწმუნება, რომ ხატი იღრუბლებაო.

დროთა ბრუნვის გამო გოჩას ეკკლესია ძლიერ დაძაბუნდა, ჩრდილოეთის მხარე დაირღვა და აღმოსავლეთის მხარეს საძირკველი გამოუჩნდა. გარედან კედელსა და ფრონტონებს (კალთებს) თითქმის სულ შემოცლილი ჰქონდა თლილი ქვები, ზოგან კალთებიდგან სინათლე ჩამოდიოდა ეკკლესიაში. გუმბათი თუმცა მაგრა სდგას, მაგრამ არც იმას შერჩენია ზევიდგან სახურავი. სამწუხარო იყო ამ ეკკლესიის ამისთანა მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ ხალხი ძალიან ლოცულობს ამ ეკკლესიასა და, თუ გულის შემატკივარნი არ გამოსჩენოდნენ, იქნება ხელიდგან გამოგვცლოდა ეს შესანიშნავი ისტორიული ნაშთი. ბევრი ამისთანა ტაძარი დიდის თავ

განწირულობით ჩვენ წინაპართ მტრებისაგან გადურჩენიათ და ჩვენთვის პირ–ნათლად გადმოუციათ, მაგრამ ჩვენ მშვიდობიანობის დროს ჩვენი დაუდევრობით დაგვიკარგავს. ვინ იცის დიდი ხანი ყოფილიყო გოჩას ეკკლესია ამისთანა მდგომარეობაში და აღდგენა არ ჰღირსებოდა, რომ მისი განახლება არ განეზრახა ადგილობრივს მღვდელს დიდათ პატივცემულ მ. გაბრიელ ოქროპირიძეს, რომელმაც ამ ეკკლესიის გასაახლებლად სთხოვა საქართველოს ეგზარხოსს პალადის კომიტეტის დაარსება. კომიტეტში თვით მღვდელს გარდა არიან: გორის მაზრის თავად–აზნაურთა წინამძღოლი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, გიორგი იერონიმეს ძე სამაგელოვი და ინსპექტორი მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოებისა მღვდელ–მონაზონი მ. ლეონიდი. საქმის დასაწყობლად მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელიც მთელს საქართველოში ცნობილია როგორც უხვი გამღები შეწირულობისა, კეთილ ინება და შესწირა ათი თუმანი. კომიტეტი უკვე შეუდგა ნაკისრს საქმეს, შეეკრა ოსტატ ბერძნებს პირობითა და იმედი აქვს, რომ ამ ენკენისთვის გასვლამდის ნახევარი საქმე მაინც იქნება შესრულებული. ამ ნაირად ამ მოკლე ხანში განახლებულს ნიქოზის ტაძარს მიემატება გოჩას ეკკლესიაც. სასურველია, რომ სხვათაც მიაქციონ ყურადღება ძველს ისტორიულს ნაშთებსა და თუ თვითონ თავს ვერ უდვიათ განახლება, სთხოვონ სასულიერო მთავრობას მცოდნე კაცთაგან კომიტეტების დაარსება და ერთმანეთის დახმარებით შეუდგნენ ძველი ტაძრების განახლებას.

თანამემამულე.

ივერია - 1891. – N56. – 14 მარტი - გვ.1.

ახალი ამბავი: – „წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ–საცავს შემოსწირეს ძველი ხელთ–ნაწერი წიგნები:

თავ. გურიელმა: 1). სურათებიანი მარხვანი. 2). ჟამნ–გულანი. 3). წიგნი სიბრძნისა ძისა ზირაქისა და ეკკლესიასტე. 4). ეთიკა, თეოლოღია და სწავლანი მაქსიმე აღმსარებელისანი. 5). სურათებიანი სახარება.

ექვთიმე თაყაიშვილმა: 1). ჟამნი, ხუცური ხელნაწერი ორი ცალი. მანვე გადმოსცა სხვისაგან გამოგზავნილი წიგნები. 2). ჟამნი და კურთხევანი. 3). ფსალმუნი დავითისი. 4). სამხედრო ტიბიკონე. 5). მიმოსვლა თელემაკისა და ათინასი. 6). კრებული სხვადასხვა ნაწერებისა (წამება დიმიტრისა; წამება რაჟდენისა; გარდამოცემა იოანე დამასკელისა; ექვსთა დღეთა ბასილი დიდისა და სხვა). 7). ამირან დარეჯანიანი.

გიორგი სამაგელოვმა: – სძლის პირ გულანი.

„ქართველთა წიგნების გამომცემ ამხანაგობის საზოგადოებამ ხუთი ცალი თავიანთ გამოცემულ „ხალხურ ზღაპრებისა.“

გამგეობა საზოგადოებისა გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

ივერია - 1891. – N87. – 26 აპრილი - გვ.1.

ახალი ამბავი: – ბატონმა გიორგი საძაგელოვმა „წერა–კითხვის საზოგადოებას შემოსწირა შემდეგი წიგნები, ნივთები და ძველი ფული: ტრიოდიონი (მარხვანი), საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრია სალოსისა, მსოფლიო ისტორია, ხუცურის ასოებით ნაწერი სადღესასწაულო, ძველი ხელთნაწერი სადღესასწაულოსი, ღვთით მშვენიერი თხრობანი სულისა ფრიად სასარგებლო, რომელსაც ეწოდების „გვირგვინი," სწავლანი გამოკრეფულნი სულიერნი წმინდათა დიდთა წიგნთაგან, „საღმრთო მარგალიტი," ძველი საეკკლესიო წიგნი, ხუცური, ეტრატზე ნაწერი, აპოკრიფი ყოვლად წმინდა მარიამის ხარებასა და იოსებზე, მეთვრამეტე საუკუნეს ხელთ–ნაწერი ლიტურღია ოქროპირისა, რუსული ასამაღლებლები ქართულის ასოებით; ეს ხელთ–ნაწერი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც პლატონი იყო მოსკოვის მიტროპოლიტად; სხვადასხვა ხელთ–ნაწერის წიგნების ფურცლები, ისტორია გინა თხრობა საღმრთო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმისა, შემოკრებული არხიმანდრიტი ზურაბიანის მიერ კოსტანტინეპოლელისა, მინის ბრასლეტი, ნაპოვნი თელავის ღვთაების ეზოში, საფლავის თხრის დროს – სამი არშინის სიღრმეზე; ეკუთვნის სამთავროს საფლავების დროს; ოთხი ძველი ვერცხლის ფული და სამიც სპილენძისა. ამავე საზოგადოებას ბატონმა გიორგი ზალიკალიანმა შემოსწირა ერთი წიგნი „მარგალიტიანი."

შემწირველთ „საზოგადოების" გამგეობა მადლობას უცხადებს.

ივერია - 1891. – N240. – 10 ნოემბერი - გვ.2.

ახალი ამბავი: – ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ქ. უღრელიძე გადაყვანილ იქმნა მასწავლებლადვე ქუთაისის სასულიერო სასწა–ვლებელში. მის ადგილას – ქართულის ენის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდგან გადმოყვანილ იქმნა გიორგი საძაგლიშვილი. ბატონი – ქ. უღრელიძე სხვათა შორის ტფილისის რეალურს სასწავლებელშიც ასწავლიდა ქართულს ენას. ეხლა, მისი გადაყვანის შემდეგ, ხსენებულს სასწავლებელში ქართულის ენის მასწავლებლის ადგილი თავისუფალი შეიქმნა. ბევრმა უკვე მიართვა თხოვნა რეალურ სასწავლებლის მთავრობას, ქართულის ენის მასწავლებლად მე განმაწესეთო. იმედია, ხსენებული სასწავლებელი უფრო ღირსეულს კაცს ამოარჩევს ამ ბევრთაგან და ამასთანავეც ყურადღებას არ მიაქცევს მარტო ატესტატს, რომლის ქონა და უქონლობა ქართულის ენის ცოდნასა და უცოდინარობას სრულიად არა ჰნიშნავს.

ივერია - 1892. – N166. – 6 აგვისტო - გვ.3.

ქართულ აპოკრიფების შესახებ

რადგანაც ბატონი ა. ს. ხახანაშვილი შესდგომია ქართულს ენაზედ შენახულ აპოკრიფულ ნაწერების გამოკვლევას, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ დავბეჭდო მისდა საყურადღებოდ ცნობები ერთ აპოკრიფულ წიგნის შესახებ, რომელიც არის დაცული გორის თავად–აზნაურთა წინამძღოლის, ივანე დავითის ძე სულხანიშვილის ოჯახში. როგორც ძველად შემძლე ოჯახი, უწინ ბევრი ხელთ–ნაწერი წიგნი მოიპოვებოდა თურმე ბატონ სულხანიშვილის სახლში, ახლა–კი მხოლოდ ერთი პატარა აპოკრიფული წიგნი დარჩენილა. ეს წიგნი მე გადავათვალიერე წარსულს აპრილში და ამოვსწერე სათაურები, წიგნში არის მოქცეული ექვსი აპოკრიფული წერილი. ხუთი მათგანი შეეხება ახალი აღთქმის მოთხრობებს და ერთი შეიცავს ყრმათა მიმართ საჭირო სწავლას. აი თვით წიგნში მოქცეული ნაწერების სათაურები:

1). წმიდისა ღვთისმშობლისაგან კაცთა ცოდვისა სატანჯველთა ხილვა. (26 ფურცელი).

2). მცნება და ბრძანება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელი მიეცა საკვირველებით წმიდასა სილიბისტროს რომთა პაპისა. (9 ფურცელი).

3). სწავლანი მცირენი ყრმათა მიმართ საჭირო. (7 ფურცელი).

4). გამოცხადება წმიდათა (?) ელისაბედისა: სატანჯველისა მიმართ ქრისტესი. (5 ფურცელი).

5). ლოცვა ყოვლად წმიდისა მარიამისა მიმართ წმიდათა, რომელთა ჰპოვეს საფლავი ქრისტესი, ჟამსა მას მორწმუნესა (?). (5 ფურცელი).

6). დიდსა ხუთშაბათსა გოდება წმიდისა ღვთისმშობლისა მარიამისა, ოდეს დამსჭვალულ (?) ძე თვისი იესო. (6 ფურცელი).

წიგნი არის დაწერილი მშვენიერის მხედრულის ხელით მომსხო ქაღალდზედ და ტყავის კაზმა აქვს.

გ. სამაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1892. – N224. – 24 ოქტომბერი - გვ.2.

ახალი ამბავი: – ბატონმა გიორგი სამაგლიშვილმა შესწირა „წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკას: 1). ხელ–ნაწერი „სიბრძნე–სიცრუის წიგნისა.“; 2). ქართული ანბანი ხუცურისა და მხედრულის წერილისა, დაბეჭდილი მოსკოვს 1825 წ.; 3). სასიამოვნო წალკოტი ყრმათათვის, ანუ კრება სასიამოვნოთა და რჩეულთა ზღაპართა ანდრია წოწვიანიძისა, დაბეჭდილი ტფილისში 1842 წ.; 4). „შენდობის წიგნი მღვდელ–მთავართა მიერ ვისთვისაც ენებოს“ მიცემული ტირძნისში მცხოვრებელის გლეხის ბეროსთვის ათანასე ნიქოზელის მიერ; 5). დახვეული ავგაროზი; 6). მხატვრობიანი ავგაროზი; 7). ხუთი ძველი ფული: ორი ვერცხლისა და სამი სპილენძისა; 8). რუსული მანათიანი 1861 წლისა; 9). ყოვლად სამღვდელო გაიოზის ფოტოგრაფიული სურათი და 10). აფროდიტა პალადა,

ამოჭრილი სარდიონის ქვაზედ და ახლად ჩასმული ვერცხლში. ეს ქვა არის ნაპოვნი მცხეთაში ცამეტის არშინის სიღრმეზედ.

საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის შემომწირველს.

ივერია - 1893. – N28. – 10 თებერვალი - გვ.2-3.

აპოკრიფები საზოგადოდ და ქართული განსაკუთრებით

II

საღმრთო წერილი შეიცავს ორ აღთქმას: ძველს და ახალს. საღმრთო წიგნები ძველის აღთქმისა დასწერეს წინასწარმეტყველებმა, ახალის აღთქმისა – მოციქულებმა. საღმრთო მოთხრობებიო, დაწერილი, ამბობენ ღვთის–მეტყველნი, სულის წმინდის შთაგონებით და ხელმძღვანელობით, ბევრს ადგილას შემოკლებითაა ნაამბობი და ბევრი რამ ღვთის განგებით არის დაფარულიო. ამისთანა ადგილების ახსნა მოინდომა სარწმუნოებრივმა ცნობის მოყვარეობამ, რის გამოც ბევრი აპოკრიფული წიგნები დაიწერა. არის კიდევ მეორე მიზეზი აპოკრიფების დაწერისა; ზოგი ერთი აპოკრიფი იწერებოდა წინადვე განზრახულის აზრით, რომ თავის მომხრე მწვალებლობის მოძღვრებისათვის საფუძველი და ნიადაგი მოეპოვებინა საღმრთო წერილში. ამ გარემოებამ დაჰბადა აპოკრიფული წიგნები, რომელიც არ არის შეწყნარებული წმინდა ეკკლესიის მიერ. ზოგიერთი აპოკრიფი დევნული იყო და აღკრძალული საკითხავად, ზოგი–კი მხოლოდ მარტო იმიტომ არ მოჰყვა კანონიკურ წიგნთა შორის (II საუკუნეში), რომ არ იყო დაწერილი მოციქულებისაგან. ახალ აღთქმაში აპოკრიფულ წიგნებს ზოგიერთა ადგილებში თითქმის ისეთივე ავტორიტეტი მიეთვისებათ, როგორც კანონიკურ წიგნებს (მაგალ., წიგნი ენოქისა იუდა მოციქულის ეპისტოლეში). განსაკუთრებით ძალიან ხშირად მოჰყავთ აპოკრიფულ თხზულებათაგან ადგილები თავის აზრის დასასაბუთებლად: კლიმენტი ალექსანდრიელს, ორიგენს, ირინეისს, ტერტულიანს და კიპრიანს.

ძველ დროში დიდი ბაასი ასტეხა აპოკრიფულმა ლიტერატურამ; აპოკრიფების ღირსების შესახებ ქრისტიანები სხვადასხვა აზრს ადგნენ. კრიტიკამ ახალ დროში ხელმეორედ ჩამოაგდო ლაპარაკი ძველ საკამათო საგნის შესახებ და ეხლა სცდილობს გამოიკვლიოს შინაარსის მიხედვით დრო აპოკრიფების დაწერისა და ქრონო–ლოგიური წესი აღადგინოს.

აპოკრიფებს საზოგადოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ ხალხისთვის და ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ აპოკრიფებს დაუჭერიათ თვალსაჩინო ადგილი ქართულს ლიტერატურაში. ახალის აღთქმის შესახებ უფრო ბევრი აპოკრიფებია, მაგრამ მნიშვნელობა ძველის აღთქმის აპოკრიფებს მეტი მიეთვისებათ. ჩვენში აპოკრიფული წიგნები გავრცელდა საბერძნეთიდგან და სირო–ქალდეიდგან; ორიოდე აპოკრიფი სომხურიდგანაც გვაქვს გადმოღებული. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ორიგინალურ აპოკრიფებსაც არა ყოფილა მოკლებული საქა–

რთველო. ჯერ ქართულ ენაზედ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი დიდაკტიკური თხზულება: „სიბრძნე ბალავარისა,“ რომელიც, მეცნიერების აზრით, არის გადა–თარგმნილი ქართულიდგან ბერძნულს ენაზედ თვით ჩვენის სახელგანთქმულ საღმრთო წერილის მთარგმნელის წმინდა ევთიმის მიერ. სრული იმედი გვაქვს, რომ უფრო დაწვრილებითი გამოკვლევა ჩვენის ძველი მწერლობისა, კიდევაღმოაჩენს საქართველოში ორიგინალურს აპოკრიფებს.

ქართულ აპოკრიფულს ლიტერატურას დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება. სხვათა შორის ჩვენი თანამემამულე პროფესორი ა. ს. ხახანაშვილიც შესდგომია ქართული აპოკრიფების შესწავლას და გამოკვლევას. მაგრამ, რადგანაც აპოკრიფული წერილები დაფანტულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ერთ კაცისთვინ ძნელია მათი ნახვა და გადათვალიერება, ამიტომ ყველა ქართველი ვალდებულია შემწეობა გაუწიოს ბატონ ხახანაშვილს და დაუსახელოს, სად რომელი აპოკრიფი არის და რა შინაარსისა.

იმ აპოკრიფული წიგნის გარდა, რომლის შემოკლებული შინაარსი ამას წინად ვაუწყე „ივერიის“ მკითხველებს, კიდევ შემთხვევა მომეცა ორი აპოკრიფული წიგნის გადათვალიერებისა. ერთი მათგანი ეკუთვნის გიორგი ლომიევს. აი ამ საინტერესო წიგნის შინაარსი:

1). ქადაგება და თარგმანი დაბადებისა. 1–18 ფურც. მეცხრამეტე ფურცელზედ წერია: „ღმერთო შეუნდე ამის დამწერსა და მოთარგმანესა (სომხურიდგან უნდა იყოს) და პატრონსა სტეფანას. ამინ. ჩყკ‹ [1828] წელსა;

2). ხარება ანგლოზისაგან სეითის შობისა. 19–29;

3). სწავლა და ქადაგება მესტუმრობაზედ, მგზავრისა და გლახაკის შეწყნარებაზედ. 29–36;

6). სიტყვა მელიქსედექზედა, თუ ვინ იყო. 44–49;

7). დანიშვნა ისააკისა და მოყვანა რებაკისა აისორის ქვეყნიდგან. 49–51;

8). თქმული აზონ (?) წინასწარმეტყველისა მიერ. ცნობა მასზედ, რომ თთვეში ორი კვიმეტი დღეა. ყოველ თთვეს ორი უბედური დღე აქვს:

ა). იანვრის ოთხსა და ცხრასა;

ბ). თებერვლის ექვსსა და ოცსა;

გ). მარტის ექვსსა და თხუთმეტსა;

დ). აპრილის სამსა და ათსა;

ე). მაისის სამსა და ოცსა;

ვ). თიბათვის თვრამეტსა და ოცდა–შვიდსა;

ზ). მკათათვის ოთხსა და ოცსა;

Თ). მარიამობისთვის ექვსსა და ჩვიდმეტსა;

თ). ენკენისთვის სამსა და ოცსა;

ი). ღვინობისთვის სამსა და თხუთმეტსა;

ია). გიორგობისთვის რვასა და თხუთმეტსა;

იბ). ქრისტეშობისთვის სამსა და ოცდა–ოთხსა.

ამ დღეებში რასაცა იქ, ყველაფერი ბოროტია, შობილი უბედური იქნება და ქორწილიც უბედური. 51–55;

11). გაკეთება მოვსესი კიდობნისა (?) და დაშრობა იერიქონის წყლისა. 94–98;

12). ხარება იაკიმასი და ანნასი. 99–104;

13). ხარება ღვთის–მშობლისა მარიამისა გაბრიელისაგან. 105–110;

14). ხარება და დაბადება იოანე ნათლისმცემელისა. 111–116;

15). გამოცდა მარიამისა ხუცებისაგან. 117–120;

16). საცდურის წყლის დალევა მარიამისა. 120–123;

19). გამოსვლა იოანესი კლდიდგან. 137–142;

20). სასწაულთ–მოქმედება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. 143–148;

24). ანდერძი იესო ქრისტესი ჯვარცმისა. 160–181;

26). სატანჯველი წმიდა გრიგორისა, სომხეთის განმანათლებელისა, ტრდატ მეფისაგან ვაღარშაპატის ქალაქში. 186–194;

27). სატანჯველი ათორმეტი წმინდა გრიგორისა. 194–204; და

28). წამება წმინდა რემსიმესი (?) და გაღორება ტრდატისა და ამოყვანა სავანიდგან წმინდა გრიგორისა. 206–222.

მეორე წიგნი წარმოადგენს კრებულს, რომელშიაც მოიპოვებიან შემდეგი მოთხრობები აპოკრიფულის ხასიათისა:

1). ხარება იოაკიმესი და ანასი. 38–79;

3). ქრისტეს ტირილის საკითხავი. 93–117;

4). წიგნი ცოდვიანი ანასი. ლექსად არის. 117–128;

6). წიგნი იობისა ლექსადვე. 135–137;

9). წიგნი სასუფევლის დიდებაზედ. 159–184;

10). სიკვდილი აბელისა კაენისაგან. 184–196;

11). წიგნი აბრაამისა. ლექსად თქმული. 196–200;

12). აშენება ნოესაგან კიდობნისა და მოსვლა წარღვნისა. 200–213. აქ არის შემდეგი წარწერა; „გთხოვთ, წამკითხველნო, გადამწერი ადღეგრძელოთ, თუ ასონი ნაკლები ჰნახოთ. შენდობილი ჰყავით. გადამწერი გაბრიელ კოჩუაშვილი.

გიორგი საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1893. – N32. – 14 თებერვალი - გვ.3.

ახალი ამბავი: – „წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბ–ლიოთეკას შესწირა ბატონმა გიორგი საძაგლიშვილმა: 1). სძლის პირნი, მხედრულის ხელით ნაწერი XVIII საუკ.; 2). რიტორიკა, შედგენილი ანტონ I კათალიკოზის მიერ 1764 წ.; 3). აპოკრიფული წიგნი ძველის აღთქმისა; 4). პირი წერილისა ვახტანგ მეფის ძის ბაქარის მეუღლის ანნასი მოსკოვის მიტროპოლიტთან, რომელიც მიწერილია 25 დეკემბერს 1751 წ. და 5). თამარ მეფის შავი ფული 1202 წ. და ერთიც სხვა შავი ფული.

საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის შემომწირველს.

ივერია - 1893. – N102. – 20 მაისი - გვ.1-3.

ფელეტონი

გორის სასულიერო სასწავლებლის 75 წლის იუბილეი (1818–1893 წ.)

რუსეთთან შეერთებამდე მრავალტანჯულს საქართველოში თითქმის ყოველ მონასტერსა და ტაძართან იყო სამრევლო სკოლები და ამას გარდა მე–18–ე საუკუნეში არსებობდა ორი სემინარია: ერთი ტფილისში და მეორე თელავში. [იხ. Акты Кавказ. Археогр. ком. т.1, стр.533.]. ქართლის ცხოვრება გვმოწმობს, რომ როდესაც ერეკლე II ჩამოიყვანა რუსეთიდგან კათალიკოზი ანტონი I, მან საქართველოში გააწყო შკოლები ბაუმეისტერისა (ქართლის ცხოვრება. ნაწ. II, გვ.505). არ იყო მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი. 1799 წელს ბატონიშვილმა იოანემ მიართვა მეფე გიორგი XIII უქვეშევრდომილესი წინადადება, რომელშიაც სხვათა შორის განმარტებული იყო საჭიროება უმაღლესის სასწავლებლის დაარსებისა გორში. ამ სასწავლებელს უნდა ჰქონოდა ვრცელი პროგრამმა; აქ უნდა ესწავლებინათ: ლათინური, ბერძნული, ფრანგული, კატეგორია (ლოღიკა, რიტორიკა და სხვ.) [იხ. Свед. о Помят. Грузин. письм. Цагарели стр. XXXVIII.] თუმცა ზემოხსენებული წინადადება მეფისაგან შეწყნარებული იქმნა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა სისრულეში მოეყვანა ბატონიშვილის წინადადება. [იხ. ibid გვ.IX].

1817 წელს დაარსდა ტფილისში სასულიერო სემინარია, რომლისთვისაც საჭირო იყო სასულიერო სასწავლებლები: ტფილისს, გორსა და თელავში. ამ ნაირად 1817–1818 წლებში დააარსეს მაზრებში სასულიერო სასწავლებლები.

16 მაისს შესრულდა სწორედ სამოცდა–თხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც გორში ოფიციალურად გაიხსნა სასულიერო (სამრევლო) სასწავლებელი, თუმცა მოწაფეების მიღება დაიწყო 1817 წ. 1 ღვინობისთვიდან. 16 მაისს 1818 წელს სასულიერო სკოლის გახსნის დღესასწაულს დაესწრო ადგილობრივი სამღვდელოება და ამას გარდა პოლკოვნიკმა ბერნიკოვმა, ოლქის უფროსმა, მოიწვია გორის მაზრის თავად–აზნაურობაც. მოწვეულნი სტუმარნი შეიკრიბნენ ეხლანდელ საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ახალის სასწავლებლის სახლის წინ ორ რიგად იდგნენ მოწაფენი, რომელნიც სტუმრებს ფიანდაზად ფეხებ ქვეშ უშლიდნენ ვარდს და სხვადასხვა ყვავილებს. პარაკლისი გათავდა მრავალჟამიერით. პარაკლისის შემდეგ ახალ სასწავლებლის ზედამხედველმა ნეშუმოვმა წარმოსთქვა სიტყვა და განუმარტა მსმენელთ სწავლის საჭიროება და სარგებლობა და ამასთანავე ქება შეასხა იმპერატორს ალექსანდრე I კურთხეულს, რომელიც ზრუნავდა საქართველოში სწავლა–განათლების გავრცელებისათვის. ამის შემდეგ ბატონი ბერნიკოვი გაუ–მასპინძლდა სტუმრებს და მიიწვია შინაურს სადილზედ. აქ, ჩვეულებისამებრ, წარმოითქვა სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე I-სა, მიტროპოლიტის თეოფილაკტესი, მთავალ–მართებლის ერმოლოვისა და იმათი, რომელნიც ემსახურებიან სწავლა–განათლების საქმეს საქართველოში. ამ ნაირად

გორში დაარსდა სკოლა, რომელიც 1840 წლამდე, სანამ არ გაიხსნა გორის სამოქალაქო სასწავლებელი, იყო ერთადერთ სასწავლებლად, რომელიც განათლების სხივებს უხვად ჰფენდა მთელს მაზრას.

1818 წელს გაიხსნა მხოლოდ პირველი კლასი, შემდეგ 1819 წელს მოემატა მეორეც. ახლად დაარსებულ სასწავლებელს მოუვიდა ტფილისის სემინარიიდგან პროგრამმები და სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელშიაც იყო განსაზღვრული სასულიერო სასწავლებლის სემინარიასთან დამოკიდებულობა. თანახმად მიტროპოლიტის თეოფილაკტეს მიწერილობისა (5 ღვინ. 1818 წ. N625), გორის სასულიერო სასწავლებლის შესანახად რუისის არქიმანდრიტს ნიკიფორეს უნდა ეძლია ყოველ წლივ 420 მ. ეს ფული ამ ნაირად იყო განაწილებული; ზედამხედველს (იგივე მასწავლებელი მეორე კლასისა) 225 მან.; დანარჩენი 75 მან. კანცელარიის და სახლის ხარჯად.

სასწავლებელს პირველ ხანებში არა ჰქონდა წოდებრივი ხასიათი. მართლ-მადიდებლებს გარდა, მოწაფეთა შორის ბევრნი იყვნენ ფრანგები და გრიგორიანები (სომხები). სახლი, რომელშიაც მოათავსეს სასწავლებელი, წინად ეკუთვნოდა ფრანგების პატრებს; ესენი 1755 წელს თეიმურაზ მეფემ განდევნა საქართველოდგან, წაართვა სახლი და ეკკლესია და გადასცა სამთავისის არხიეპისკოპოზს კირილეს. [იხ. Грузин. церк. гудж. Д. Пурцеладзе, стр. 51. ქარ. ცხ., ქორონიკონები ნაწილი II, გვ.257.]

საზოგადოება წინაპირველად გულგრილად დაჰხვდა სასულიერო სასწა–ვლებლის დაარსებას. 1817 წ. 1 ღვინობისთვიდგან 16 მაისამდე (1818 წ.) გორის ვრცელს მაზრაში ძლივს შეაგროვეს 27 მოწაფე სასულიერო წოდებისა. მიტრო–პოლიტი თეოფილაქტე სასტიკად სდევნიდა იმ სამღვდელოთა, რომელნიც შვილებს არ აძლევდნენ გორის სასულიერო სასწავლებელში. აი სია 1817–1818 წლების მოწაფეთა. სასულიერო წოდებისა:

ანანიევი გედეონ (13 წლ.), ღონღაძე ანტონ (15 წლ.), მამუჩევი ნიკ. (10 წლ.), პაპიტოვი გრიგ. (15 წლ.), დიდებულიძე, ზურაბ (13 წლ.), ოქროპირიძე ანდრია (12 წლ.), ოქოევი სოლომ. (13 წლ.), ბარნაბოვი ანდრია (14 წლ.), დადიანიძე ალექსი (14 წლ.), დავიდოვი ფილიპე (16 წლ.), კოშორიძე პეტრე (17 წლ.), პროტოპოპოვი ზაქარია (12 წლ.), ხუციევი ონისიმე (10 წლ.), ბაღნიევი ფილიპე (15 წლ.), გარსევანოვი სვიმონ (14 წლ.), იოანიძე ყარამან (10 წლ.), ეპომიევი პეტრე (10 წლ.), ლაგიევი იოსებ (15 წლ.), ელიოზოვი ანდრია (17 წლ.), ელიოზოვი გაბრიელ (12 წლ.), კოლელოვი გიორგი (15 წლ.), კიკნაძე იაკობ (17 წლ.), ცერაძე გრიგოლ (6 წლ.), კასრაძე ნიკოლოზ (7 წლ.), ჯინჭარაძე ქაიხოსრო (9 წლ.), კოლელოვი იოსებ (17 წლ.).

სხვა წოდებისა:

ალხაზოვი ალხაზ (10 წლ.), ალხაზოვი გრიგოლ (13 წლ.), ალიხანოვი იოსებ (8 წლ.), ალხაზოვი სოლომონ (8 წლ.), ალხაზოვი ლაზარე (8 წლ.), ბაბალოვი ფარსადან (9 წლ.), ენდრონიკოვი იაკობ (13 წლ.), თუმანოვი გრიგოლ (9 წლ.), გავრილენკო პოლიევკტ (7 წლ.), კანდელაკი სვიმონ (10 წლ.), ზუბალოვი სვიმონ (9 წლ.), თუმანოვი კონსტანტ. (7 წლ.), ამიროვი სტეფანე (7 წლ.), საკოვი იაკობ (9 წლ.), მამაცოვი იოსებ (9 წლ.), ანანოვი დავით (13 წლ.), მირზოვი ედიშერ (14 წლ.), ამილახვარი გივი (10

წლ.), ჯარაევი იაკობ (11 წლ.), ნაზაროვი იოსებ (9 წლ.), წერეთელი სამსონ (8 წლ.) ქუთაისიდგან.

ამ მოწაფეთა შორის დიდი გარჩევა იყო წლოვანობაში (6–17) და ნახევარზე მეტს თვალი სახლებისკენ ეჭირა. 1818–1825 წლებში ხშირი იყო მაგალითი მოწაფეთა შინ გაქცევისა. ამ შემთხვევაში, მიტროპოლიტის თეოფილაკტეს მოწერილობის ძალით, სასწავლებლის მთავრობას უნდა მოეთხოვა შემწეობა გორის ოლქის (ოკრუჟნი) უფროსისაგან. რა იყო მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა? ამის მიზეზს ჩვენ პირველად იმაში ვხედავთ, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი აღმოცენდა არა ადგილობრივს ნიადაგზედ, არამედ უცხოეთიდგან იყო გადმოტანილი, გადმო–ნერგილი; მეორეს მხრით, თვით სასწავლებლის გამგეთა ვერ შეითვისეს მოწაფენი, ვერ დაამკვიდრეს კავშირი თავისსა და მოწაფეთა შორის. ან რა გასამტყუნარნი იყვნენ მოწაფენი, როდესაც მასწავლებლები ფორმალურად ექცეოდნენ თავის წმინდა მოვალეობას და უფრო ხშირად ყოვლად შემძლებელს „როზგს“ მიმართავდნენ ხოლმე; გაკვეთილების ახსნით თავს არ იწყენდნენ! აი, ჩვენის ფიქრით, ნამდვილი მიზეზი მოწაფეების სახლებში სირბილისა და არა: „ученики перестали ходить по необычайности и дикости нравовъ здешняго народа.“ [იხ. Акты кавказ. археогр. ком. т.1. стр.367.], როგორც უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ ზოგიერთნი. ბევრი დრო და მეცადინეობა უნდადო, რომ ახალს სასწავლებელს მოეპოვებინა ნდობა. როდესაც ზნეობრივი კავშირი ვერ დამყარდა სასწავლებელსა და მოწაფეთა შორის, რა თქმა უნდა, სხვა ღონისძიება იყო საჭირო ბავშვების მოსაჩვეველად. აი ამისთანა საშუალებად მიაჩნდათ სუბსიდიის მიცემა მოწაფეთათვის, რომელსაც არა ჰქონდა კარგი შედეგი, და ამიტომ ეს სუბსიდია სასულიერო მთავრობამ ამოჰკვეთა.

პირველ ხანში გაკვეთილები ასე იყო განაწილებული: სადილის წინად ასწავლიდნენ რუსულს, ნასადილევს–კი ქართულს. 1820 წელს გაიმართა „უეზდნი უჩილიშჩე,“ რომელიც 1833 წელში გაიყო უფროს და უმცროს განყოფილებად. ამის შემდეგ შეერთებულს სასწავლებელში ოთხი კლასი გახდა. 1836 წლიდგან გორის სასულიერო სასწავლებელს მისცეს სამისიონერო სკოლის ხასიათი, რის გამოც შემოღებულ იქმნა თათრული და ოსური ენები, რომლებსაც ასწავლიდნენ 1856 წლამდე. 1826 წელს გადააგდეს ბერძნული ენა, სამაგიეროდ შემოიღეს ლათინური. 1867 წელს ძირეულად შეიცვალა იმპერიაში რუსეთის ყველა სასულიერო სასწავლებელი; გორის სასწავლებელშიაც მოახდინეს ჯეროვანი ცვლილება. დაარსდა მართველობა (პრავლენიე), რომელშიაც ზედამხედველის და ინსპექტორის გარდა დაინიშნა ორი წევრი სამღვდელოების მხრით და ერთიც მასწავლებლისაგან. ლათინურმა, მიროპოლსკის რევიზიის შემდეგ (1883 წ.), დაუთმო ადგილი ისევ ბერძნულს და ქართული ენაც სავალდებულოდ დაიდვა. 1872 წელს გორის მაზრის სამღვდელოებამ შეიგნო საჭიროება მოსამზადებელის კლასისა და გახსნა ერთი მოსამზადებელი კლასი, რომელსაც შემდეგ ორი სხვა მიუმატეს.

რა თქმა უნდა, რომ გორის სასულიერო სასწავლებელში პირველად სწავლის საქმე ვერ მიდიოდა რიგიანად. მასწავლებლები ძალიან ხშირად იცვლებოდნენ ხოლმე; რაკი კარგი „პრიხოდი“ დაიცლებოდა, მასწავლებელი მაშინათვე თავს ანებებდა სასწავლებელს და იცვამდა ანაფორას. განსაკუთრებით ძალიან კოჭლობდა

რუსული ენა. ამ უმთავრესის საგნის კარგად სწავლებისათვის მთავრობამ დაიწყო მოწვევა სემინარიაში კურს–შესრულებულთა, რუსეთიდგან, მაგრამ მთავრობის კეთილს განძრახვას სასურველი ნაყოფი ვერ მოჰქონდა, რადგანაც ძალიან ხშირად რუსეთის სემინარიებიდგან მოდიოდნენ მხოლოდ დიდის ჯამაგირებისა და პრაგონებისათვის, ან კიდევ „по разстроенному здоровью.“ დიდად აბრკოლებდა აგრეთვე სწავლის კარგად წარმართვას რიგიანის სახლის უქონლობა, უფულობა და ქონების მხრით შევიწროებული მდგომარეობა. მხოლოდ 1837–დგან დაიწყეს ზამთრობით კლასების გათბობა. 1843 წელს სინოდის კანტორამ შეიძინა სამხედრო უწყებისგან დიდ ქუჩაზედ სახლი, რომელშიაც მოათავსა სასულიერო სასწავლებელი.

ამის შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელი თანდათან წარმატებაში შედის. პირველ ხანებში გორის სასულიერო სასწავლებელს ჰქონდა საზოდაგო ხასიათი: ერთსა და იმავე დროს იყო სასულიეროც, სამოქალაქოც და საოსტატოც. გორის სასწავლებლის წარმატება ცოტათი შეაფერხა ცეცხლმა, რომელმაც იმსხვერპლა სასწავლებლის თითქმის მთელი წიგნთ–საცავი. 1889 წელს გორის მაზრის სამღვდელოების საფასით სასწავლებლის მართველობამ ააშენა მშვენიერი ორ–სარ–თულიანი სახლი, იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ ნაჩუქებს ადგილზედ. სასწავლებლის ეკკლესია აკურთხა ყოვლად უსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ღირსისა მამისა გიორგი მთაწმინდელის სახელობაზედ. 1889 წ. სასწავლებელში ითვლებოდა 294 მოწაფე. ამით ვათავებთ ჩვენს მცირე შენიშვნას.

სამოცდა–თხუთმეტი წელიწადი ემსახურებოდა გორის სასულიერო სასწავლებელი გორის მაზრას და განსაკუთრებით მაზრის სამღვდელოებას. რამდენი თაობა აღუზრდია ამ სასწავლებელს, რამდენი პატიოსანი მუშაკი შეუძენია მას ჩვენის სამშობლოსთვინ! ყველას დასახელება შორს წაგვიყვანს; დავასახელებთ მხოლოდ რამდენსამე: 1). კონსტანტინე მამაცაშვილი (1828–1829 სიებშია მოხსენებული); 2). ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე (ალექსი ოქროპირიძე 7 ენკენისთვეში 1834 წ. მიუღიათ და 1837 წ. მისსავე ძმას, გიორგის, სემინარიის მოწაფეს, გადაუყვანია ტფილისის სასულიერო სასწავლებელში); 3). გერონტი ეპისკოპოსი (გრიგოლ პაპიტაშვილი); 4). იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი (პე–დაგოგი); 5). დანიელ ჭონქაძე (ბელეტრისტი); 6). ნიკოლოზ ლომოური (ბელე–ტრისტი); 7). ნიკოლოზ ხიზანაშვილი (ურბნელი); 8). სოფრონ მგალობლიშვილი (გუმსაძე); 9). არხიმანდრიტი ამბროსი (ალექ. კავკასიძე); 10. ნიკოლოზ გაბრიელის ძე ტატიშვილი; 11). იოსებ ბაქრაძე და მრავალნი სხვანი, რომელთაც დაუმთავრებიათ სწავლა საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში და დიდის პატივისცემით იხსენიებენ თავიანთ alma maters–სა.

სასურველია, რომ გორის მაზრის სამღვდელოებამ აღნიშნოს რითიმე ეს შესანიშნავი დღე. სხვა სასულიერო სასწავლებლებს ზოგს ძმობა აქვს დაარსებული ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად, ზოგს – სტიპენდიები, ზოგს კარგად მოწყობილი პანსიონები და სხვა. მაგალითი უხვის შეწირულობისა უჩვენა გორის სამღვდელოებას ყოვლად სამღვდელომ ეპისკოპოზმა ალექსანდრემ, რომელიც მთელს საქართველოში ცნობილია, როგორც უხვი გამღები შეწირულობისა. მათმა მეუფებამ დააარსა გორის

სასულიერო სასწავლებელში ეკკლესიის კურთხევის დროს ერთი სტიპენდია გორის მაზრის სამღვდელოთა ობოლთათვის.

გ. სამაგელოვი–ივერიელი
ტფილისი 16 მაისი.

ივერია - 1893. – N181. – 24 აგვისტო. - გვ.2.

მთავრობის განკარგულებანი

–

უწმინდესის სინოდისაგან ლოცვა–კურთხევა მოუვიდა ბატონ გ. სამაგლიშვილს ქართულის ძველ ეკკლესიების განახლებისა და აღდგენისათვის დაწესებულ კომიტეტში მოღვაწეობისათვის. ეს ტაძრებია: ზემო ნიქოზისა; მეტეხისა და სხვა.

ივერია - 1893. – N188. – 3 სექტემბერი. - გვ.2.

შესანიშნავი ვარიანტი ა. ს. გრიბოედოვის თხზულებისა: „Горе отъ ума.“

გორის მაზრის თავად–აზნაურთა წინამძღოლის ი. დ. სულხანიშვილის საგვარეულო წიგნთ–საცავში წარსულ მარიამობისთვის 30–ს, სხვათა შორის, შემხვდა ერთი ფრიად შესანიშნავი კოპიო რუსეთის უკვდავის პოეტის ა. ს. გრიბოედოვის თხზულებისა: „Комедия – Горе отъ ума. Марта 20 дня, 1834 года. г. Змиевъ.“

თვით დედანი პოეტის თხზულებისა, როგორც გვმოწმობს ბატონი გარუსოვი – გრიბოედოვის თხზულების კომენტატორი და გამომცემელი – დაუწვავთ პეტერ–ბურგში, უმთავრეს შტაბის სახლში და ამიტომ ავტოგრაფის უქონლობის გამო, ყველა მის ძველ ვარიანტს მიეთვისება დიდი მნიშვნელობა. ეს იშვიათი ხელთ–ნაწერი შეიცავს 166 გვერდს in 4°; 76 გვერდი არის დაწერილი თეთრ სქელ ქაღალდზე, დანარჩენი 90 გვერდი–კი ლურჯ ქაღალდზედ. სათაურის ქვეშ არის მოთავსებული შემდეგი ლექსი:

„Одна строфа, где пылкий
Гений неподражаемо блеснетъ,
Поэта память сбережетъ,
Не улетитъ въ реку забвений,
Она века переживетъ!“

ამ ხელთ–ნაწერის გადასინჯვის დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელში არა გვქონდა დაბეჭდილი ეკზემპლიარი ამავე თხზულებისა, შენიშვნებით გამოცემული დ. გ. ერისთავისაგან, რომ შეგვედარებინა, მაგრამ უბრალო თვალის გადავლებამაც დაგვარწმუნა, რომ ხელთ–ნაწერში ვარიანტები საკმარისი არის და ზოგი მათგანი

შეიძლება იმისთანაც გამოდგეს, რომ დაბეჭდილ თხზულების უწყებულ ადგილს სულ აზრი შეუცვალოს. ეს შესანიშნავი ხელთ–ნაწერი თავიდგან ბოლომდისინ დიდის მეცადინეობით გადასინჯულია და გადასწორებული, თუმცა–კი თვით ხელთ–ნაწერიდგან არა სჩანს, ვის მიუღია ეს შრომა. იქმნება ეს ხელთ–ნაწერი შესწორებულია ან ა. ს. გრიბოედოვის ავტოგრაფთან და ან გრიბოედოვის ხელითვე გასწორებულ ხელთ–ნაწერიდგან (იხ. „Горе отъ ума," изд. Д. Г. Эристава. Тиф. 1879г.), რომელიც საქართველოში მოიპოებოდა და შემდეგ დაიკარგა.

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1894. – N44. – 25 თებერვალი. - გვ.2.

ახალი ამბავი: – გუშინ, 24 თებერვალს, სასულიერო სასწავლებელში სალიტერატურო დილა იყო გამართული, ბავშვები მშვენივრად იყვნენ მომზადებულები რუსულად და ქართულად როგორც გალობისა, ისე ლექსების წაკითხვის მხრივ. მასწავლებელმა საძაგლიშვილმა წაიკითხა რუსულად წერილი ქართველ ბერობის დამსახურების შესახებ სამშობლო ეკკლესიის და საზოგადოების წინაშე. ზოგიერთმა მოწაფეებმა საჩუქრებიც მიიღეს. ამ დილას დიდ–ძალი ყმაწვილების მშობლები და სხვანი დაესწრნენ.

ივერია - 1894. – N277. – 31 დეკემბერი. - გვ.4.

მე განვიზრახე შემლებისა–და გვარად ავსწერო ზოგიერთი ქართული ძველი ტაძრები, რომელთა წარსულს დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენს სამშობლო ისტორიაში. ამ ჟამად ვწერ ანანურის ტაძრის (მონასტრის) ისტორიულ და არქეოლოგიურ განხილვას, რომლის შესასრულებლად, დაბეჭდილ ღარიბ წყაროების გარდა, საჭიროა ხელნაწერი მასალები, გაფანტული აქა–იქ ძველს ოჯახებში. ამიტომ თქვენის გაზეთის საშუალებით მივმართავ თხოვნით ყველას, ვისაც–კი მოეპოვება წერილობითი იადგრები (დოკუმენტები) ანანურის ტაძრისა და არაგვის ერისთავების გვარეულობის შესახებ (გუჯრები, სიგელები, სათარხნო ქაღალდები და სხვ.), კეთილ ინებონ, მცირე ხნობით გამოგვიგზავნონ ქ. ტფილისში, რომელისამე ქართულ რედაქციის სახელობაზედ და ან შემდეგის ადრესით: Въ г. Тифлисъ. Преподавателю Духовнаго Училища Георгию И-чу Садзагелову (Ивериели). დიდის მადლობით მივიღებ აგრეთვე ყველა ჩვენებას ზემო აღნიშნულ საგნების შესახებ. უმორჩილესად ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაჰბეჭდონ ეს წერილი.

გიორგი საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1895. – N18. – 25 იანვარი. - გვ.3.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩემის მიმართვის გამო ანანურის ტაძრის აღწერისა და არაგვის ერისთავების გვარეულობის იადგარების შესახებ, ამ დღეებში მივიღე ქ. პოლტავიდან წერილი, რომლის ზოგიერთი ადგილიც საინტერესოდ მიმაჩნია „ივერიის“ მკითხველებს განვუზიარო. „თქვენი წერილის შინაარსი, იწერება ბ. მღებრიშვილი, რომელიც ივერიის 277–ე ნომერში იყო დაბეჭდილი, გარდავეც პოლტავაში მცხოვრებთ არაგვის ერისთავებს; ამათ ეს თქვენი განზრახვა ძალიან სასიამოვნოდ დარჩათ და დამავალეს, ეს სიამოვნება გარდმოგცეთ თქვენ. ამასთანავე მითხრეს, რომ დიდის სიამოვნებით დავეხმარებით ამ შეგროვილ ცნობების გამოცემაშიო. რაც შეეხება ამათ წინაპართა საგვარეულო ცნობებს, თუ რამე ჰქონიათ, გასვენებულის ჩუბინაშვილისათვის გარდაუციათ და ეხლა სწორედ არ იციან, ვის დარჩა ეს ცნობები იმის სიკვდილის შემდეგ; მითხრეს, მიჰმართოთ პროფესორს ბ. ცაგარელს, რომელმაც იქნება იცოდეს რამე, ვის ხელშია ეხლა ეს ცნობები. ამათ მხოლოდ დარჩენიათ ზოგიერთი გამონაწერები სენატის დებულებებიდგან არაგვის ერისთავების გვაროვნობის შესახებ, – აქ მოთავსებულია სხვათა შორის არაგვის ერისთავებზედ აზრი მეფე ერეკლეს ძის მირიანისა, რომელიც მაშინ პეტერბურგში ჰმსახურებდა. ეს თუ საჭირო იქნება, გამოგზავნიან თქვენთან. თუ შემდეგში საჭირო რამე ჰპოვოთ, ან მე მომწერეთ, ან მიჰმართეთ თვით პოლტავის გუბერნიის თავად–აზნაურთა წინამძღოლს თავად მიხეილ ანდრიას ძეს ერისთავსა.“

დიდად სასიამოვნოა, რომ ორი საუკუნის განმავლობაში სამშობლო ნიადაგს მოშორებულნი არაგვის ერისთავთა შთამომავალნი, არ ივიწყებენ საქართველოს და ინტერესით ადევნებენ მას თვალ–ყურს.

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1895. – N93. – 3 მაისი. - გვ.1-2.

ფელეტონი

ახალი ვარიანტი ვეფხის–ტყაოსნისა

ამ ათის წლის წინად შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ვეფხის–ტყაოსნის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. ყველაზედ ძველი ვარიანტი, რომელიც კომისიას ხელში ჰქონია, ყოფილა გადაწერილი 1646 წელსა. თუმცა ძველის–ძველი ვარიანტი არ აღმოჩენილა, მაგრამ ამ გარემოებას კომისიის წევრნი ვერ დაუბრკოლებია და განზრახული აზრი აღსრულებაში მოუყვანიათ. ათიოდე ხელთ–ნაწერის ერთმანეთთან შედარებით, როგორც იგინი გვაუწყებენ, რამდენიმე ბნელი აზრი გამოურკვევიათ, რაც ძველ ვარიანტებში არა ყოფილა და აზრის მიმდინარეობასაც უშლიდა, გამოუკლიათ. კომისიის შრომა, რა თქმა უნდა, საპატიოა და მადლობის მეტი ჩვენ არა გვეთქმის–რა.

მაგრამ მცირე შენიშვნით მაინც უნდა მივმართოთ ვეფხის–ტყაოსნის სარედაქციო კომისიას.

იკისრა–რა დიდი პასუხის საგები საქმე ქართველობის წინაშე, კომისიას თვისი, თუ შეიძლება ესრეთ ვსთქვათ, გასამართლებელი საბუთებიც უნდა გამოექვეყნებინა, ესე იგი ცალიერის ლითონის სიტყვით–კი არ უნდა ეუწყებინა საზოგადოებისთვის, რომ ესა და ეს ადგილი ვარჩიეთო, ესა და ეს ტაეპი გამოვტოვეთო და სხვა. კომისია ვალდებული იყო აღდგენილის ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტები მოეყვანა, როგორც საზოგადოდ. ამ გვარს შემთხვევებში მიღებულია, იტყვიან, რომ სურათებიან ვეფხის–ტყაოსნის აჭრელება ვარიანტებით გააუშნოებდა წიგნს, რომელიც სხვა აზრით იბეჭდებოდაო. ამაზედ ჩვენც ვეთანხმებით, არც ჩვენ ვემდურებით კომისიას იმისთვის, რომ ბატონ გ. ქართველიშვილის გამოცემულს ვეფხის–ტყაოსანში (1888 წ.) არ ჩაურთო ვარიანტები; ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ სადაც 12.000 მანეთი იხარჯებოდა და შრომა შრომად მიდიოდა, იქ ძნელი არ იყო 300 მანეთი გადაედვათ და ცალკე დაებეჭდათ ვარიანტებით სრული ტექსტი ტაეპთა აღნუსხვით. საჭირო იყო ტაეპთა აღრიცხვა სურათებიან ვეფხის–ტყაოსანშიაც შეეტანათ, როგორც ბატონ ბროსეს გამოცემაში იყო, რადგანაც უამისოდ ციტატების მოყვანა ერთობ ძნელდება.

ერთი მცირე შენიშვნა კიდევ ვეფხის–ტყაოსნის სარედაქციო კომისიას ტარი–ელის ტანსაცმლის შესახებ. მეტად ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს კაცზედ უმთავრეს გმირის ტანსაცმელი. ტარიელს წამოსხმული აქვს ვეფხის ტყავი ვეებერთელა კუდით, რომელიც უშნოდ დასთრევს და ვეფხისავე თავი ქუდათ აქვს დახურული. სად იპოვა კომისიამ ამისი საფუძველი? იქნება თვით ვეფხის–ტყაოსანში? მაგრამ იქ, სადაც აწერილია შეხვედრა „უცხო მოყმისა," ტარიელის ჩაცმულობაზედ აი რა სწერია:

„მას ტანსა კაბა ემოსა,
გარე თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე
იყო სარქმელი თავისა."

ამაზედ ცხადად განა კიდევ–ღა შეიძლება თქმა! ხამი ტყავი კუდით–კი არა ჰქონდა წამოსხმული ტარიელს, მას ემოსა კაბა, რომელსაც გარედგან თმა ვეფხის ტყავისა ჰქონდა, ესე იგი ეცვა ვეფხის ტყავისაგან შეკერილი კაბა და თავზედაც იმ ტყავისავე ქუდი ეხურა.

ამ გვარი შრომა რომ გაეწია კომისიას, ეხლა ჩვენის აზრით, დიდი ნაბიჯი გვექმნებოდა წადგმული ვეფხის ტყაოსნის შესასწავლად. კომისიის გამოცემა, თუმცა გარეგნობის მხრით, გარდა ზემორე აღნიშნულისა, მშვენიერია, მაგრამ იმაში გამოურკვეველი და შესასწორებელი ადგილები, როგორც ახალმა ვარიანტმა დაგვარწმუნა, ბევრი მოიპოვება. ეტყბა ჩვენის დიდებულის პოეტის შესწავლის ხანა ჯერ მალე არ დადგება. დაწყებული 1709 წლიდგან, როდესაც პირველად ვახტანგ მე–VI-ს სტამბაში დაისტამბა ვეფხის–ტყაოსანი, 186 წლის განმავლობაში ოცამდე გამოცემა ყოფილა ამ თხზულებისა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ასცდენია შეცდომებს. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ შეცდომებით სავსე ტექსტი ამ უკვდავ ქმნილებისა ვრცელდება ახლად გამოფხიზლებულს საზოგადოებაში და ზოგიერთი შეცდომათაგანი (მაგალითად: „მოციქულნი... ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ"), აძლევენ

სხვას საბუთს გაჰკილონ შოთას პოემა. ვეფხის ტყაოსნის ყველა ვარიანტების გამოცემის გარდა, აუცილებელი საჭიროება მოითხოვს დაიბეჭდოს „ამირან დარეჯანიანი“ მოსე ხონელისა, რომელიც ახალს შუქს მოჰფენს მე-XII საუკუნის ჩვენს კლასიკურს ლიტერატურას საზოგადოდ და შოთას უკვდავ და მაღალ ხელოვნურს ქმნილებას განსაკუთრებით. ამის გარდა უნდა შეგროვდეს და ერთად გამოიცეს ლეგენდური თქმულებანი ჩვენის ხალხისა და კავკასიელ ერთა და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეიძლება შეგნება შოთას „ობოლ მარგალიტისა.“ დედა აზრი ვეფხის ტყაოსნისა, რომ სპარსულიდგან არ არის ნასესხები, ეს დღესავით ცხადია; სიუჟეტი ამ საკვირველის ქმნილებისა სპარსული–კი არ არის, როგორც ზოგსა ჰგონია, ნამდვილი ქართულია და ჩვენის ქართველ ხალხის უმაღლესს ნიჭს ეკუთვნის. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც–კი გულისყურით გადაიკითხავს ქართულს ლეგენდებს და შეუფარდებს „ამირან დარეჯანიანს.“ ლეგენდარულ თქმულებათა ერთად გამოცემას და „ამირან დარეჯანიანის“ დაბეჭდვას მარტო ლიტერატურისთვის კი არ ექმნებათ მნიშვნელობა, იმათ შემწეობით ზოგიერთი სიბნელით მოცული ხანა ჩვენის ისტორიისა გამოირკვევა და ქართლის ცხოვრების ბევრს თქმულებათ ფაქტიური ხასიათი მიეცემათ.

ჩვენი საუბარი ვეფხის ტყაოსნის შესახებ ახალმა ვარიანტმა გამოიწვია, რომელიც ფრიად შესანიშნავია. ეს ვარიანტი არის დაწერილი დიდ თაბახიან ფორმატის სქელ ქაღალდზედ და შეიცავს 251 გვერდს. სათაურები და ყველა მუხლების პირველი სიტყვები წითელი მელნით არიან დაწერილი. ეს ხელთ–ნაწერი კალიგრაფიის მხრით უნაკლულოა, როგორც ამ ვარიანტის სხვა ხელთ–ნაწერებთან შედარებამ დაგვარწმუნა, ეს უნდა იყოს გადაწერილი პეტრე მოსეს ძის ტაბლიაშვილისაგან, რომელსაც ხშირად იხსენიებს ჩვენი ისტორიკოსი ბ. დ. ბაქრაძე ქობულეთისა და აჭარის აღწერაში. პეტრე ტაბლიაშვილი სცხოვრობდა მე–XVIII საუკუნის გასულს და მე–XIX დასაწყისში და ითვლებოდა ჩინებულ კალიგრაფად. ახალ ვარიანტში ჩულდ (1434) ტაეპია. ასეთი სახელ–განთქმული კალიგრაფი, რომელსაც მრავალი წიგნები გადაუწერია, ეჭვი არა გვაქვს, რომ ამ ვარიანტს ვეფხის ტყაოსნის კარგი დედნიდგან გადასწერდა. ამაში თვით ხელთ–ნაწერიც გვარწმუნებს.

ვარიანტი იწყება ამგვარად: „ამა ამბისა დასაწყისი პირველი, ჰამო და სასმე–ნელად შვენიერი სწავლისათვის მოშაირეთასა, ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა, რომელსა ვეფხის ტყაოსნობით უხმობენ.“ დაბეჭდილ სათაურების გარდა კიდევ შემდეგი სათაურებია ვარიანტში: 1). ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა; 2). ავთანდილისაგან ქვაბით წასვლა ტარიელის ძებნად, მოთქმა და ტირილი; 3). პოვნა ავთანდილისაგან ტარიელისა ლომ–ვეფხი რომ დაეხოცა; 4). მბობა ტარიელისაგან ავთანდილისადმი ლომისა და ვეფხის დახოცისა; 5). ფატმანისაგან ავთანდილის მიგებება და სიხარული; 6). ფატმანისაგან ნესტან–დარეჯნის კითხვა ვინაობისა თვისისა და ამბავისა მისისა შეტყობის ნდომა; 7). უსეინისაგან გამჟღავნება ნესტან–დარეჯნისა მეფის წინაშე; 8). თათბირი ავთანდილისა ქაჯეთის ციხეს შეპარვით შესვლისა; 9). თათბირი ტარიელისა სამთაგან ციხის შეხტომისა და 10). ტარი–ელისაგან ზღვათა მეფის გაყრა და ფრიდონისას მისვლა. 160 გვერდზე შემდეგი სათაურები აქვს: „აქა ავთანდილ ვარსკვლავთა ეუბნების თავის ბუნებასა, ამას

(ზუალოს) სევდიან ეტლად იტყვიან, ამას (მუშთაროს) მოსამართლეთა ეტლად იტყვიან, ამას (მარიხოს) მესისხლეთა ეტლად იტყვიან, ამას (ასპიროზს) მკურნალთა ეტლად იტყვიან, ამას (ოტარიდოს) მწიგნობართა ეტლად იტყვიან, ამას (მთვარეს) მოწყალეთა და სნეულთა ეტლად იტყვიან.“ ორმოცდა–მეოთხე თავი მეცამეტე ტაეპით თავდება, მერე წითელი მელნით მხოლოდ ტაეპების პირველი სიტყვები არიან დაწერილნი. ამის შემდეგ დაუწერავი ქაღალდია ოთხი ფურცელი. სხვა წარწერები ამ ვარიანტზე არა აღმოჩნდა–რა.

დაბეჭდილი ტექსტი ვეფხის ტყაოსნისა ახალს ვარიანტს რამდენსამე ადგილს შევუდარეთ და შემდეგი განსხვავება აღმოჩნდა:

დაბეჭდილი 1890 წლ.

XVIII თავი.

მაშინვე დაჯდა ნადიმად,
მორჭმული ლაღი შვებული,
ენა მის დღისა შვებისა
ყოლა ვერ იტყვის კრებული.

ახალი ვარიანტი.

მყის თანად დასჯდა ნადიმად,
მორჭმული ლაღი შვებული,
ენა მის დღისა შვებისა
ვერ იტყვის მჭევრად ქებული.

ვარიანტის სიტყვები: „ვერ იტყვის მჭევრად ქებული“ უფრო კარგადა ჰხატავს აზრს, სანამ დაბეჭდილის სამაგიერო ადგილი.

მზისა უთამამოსა
მას საბოძვარი უბოძა –

მართ მზისა შესაბამოსა.
შერმადინ ნიჭით აღავსო...

სმა გარდახდა თავის თავის (?)
გაიყარნეს...

სმა გარდახდა თავ–თავისად
გაიყარნეს.

დიდებულთა ჯარისაგან
ზოგნი ჰგვანდნენ ვითა მთვრალსა (?)
მის ყმის მოსვლა უხარის
ყოველსა მუნ მეკრეფესა (?)

დიდებულთა ჯარისაგან

ვერ მოჰკრიან ზოგნი თვალსა...
მის ყმისა მოსვლა უხარის
ყოვლთა ვით ვარდის მკრეფეთა.

XXI თ. ანდერძი.
წაგიკითხავ, სიყვარულსა
მოციქულნი [„სიყვარული აგვამაღლებსო,“ ამას
არც ერთი მოციქული არ ამბობს და ახალ აღთქმაშიც
არ მოიპოვება. იხ. Справочный и объяснительный словарь
къ Новому Завету. П. Гильдебрандта,
წ. 3–4, გვ.1015–1020.] რა გვარ სწერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ
სცან ცნობანი მიაფერენ.

წაგიკითხავს, სიყვარულსა
ბრძენთა ბრძენნი ვითა სწერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ,
სცან გონება შეამზერენ.

II თავი. ამ თავში გამოტოვებულია მესამე ტაეპი, რომელიც ახალს ვარიანტში არის. მოგვყავს ეს ტაეპი:

როსტევანს ცნობა მოსურდა,
სჭვრეტს ყმასა განკვირვებული,
უბრძანა მონას მიდიო,
ვინ არს მზებრ განათლებული,
მოვიდეს ვნახოთ შევიტყოთ,
რად არს გლახ დაჭმუნვებული,
რა უმძიმს, რა სჭირს გვაცნობოს,
ჰსწამს თუ ზე დასთა კრებული.

ეს ტაეპი შეცდომით უნდა იყოს გამოტოვებული. ტარიელის დანახვის შემდეგ, ცხადია, როსტევან მეფეს ვინმე მხლებელთაგანი უნდა გაეგზავნა ამბის გასაგებად, როგორც ვარიანტშია, ამას თხოულობს თვით აზრის მომდინარეობა.

X თავი.
გულსა ბნელი განმინათლდა,
ზედა ლხინი ადგა სვეტად...
მან ბალიში დამართებით
დასდვა მასზედ საქებარსა (?)

გულსა ბნელი განმინათლდა,
ზე ნათელი მადგა სვეტად...

მან ბალიში ქვე სდვა, ვსჭვრეტდი,
მზისა დისკოდ საქებარსა.

მე-VIII თავი შემდეგის ტაეპით თავდება, რომელიც დაბეჭდილში გამო–ტოვებულია:

რა პურობა გარდვიხადე,
დარბაზს მიველ მხიარული,
მეფემ ტკბილად შემომხედა,
შვილებრ აქვნდა სიყვარული,
ნება ვსთხოვე ხატავეთზედ,
რაზმით მეწყო სიარული,
ბრძანა შვილი აგრე სჯობსო,
შეანანო საქმე მტრული.

ქართლში დაგვპირდნენ ვეფხის–ტყაოსნის ძველს ვარიანტს; როდესაც ამას ვიშოვნით, მაშინ უფრო დაწვრილებით შევადარებთ დაბეჭდილს ტექსტს ვარიანტებთან.

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1895. – N104. – 20 მაისი. - გვ.4.

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ N98–ში დაბეჭდილი იყო შენიშვნა ერთის ძველ „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტზედ, რომელიც თურმე მოიპოვება განსვენებულის თავ. რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში. ეს ხელთ–ნაწერი ქ. მოსკოვში ყოფილა შეძენილი, ნახატებიანი არშიები ჰქონია და ბევრი წარწერები თავსა და ბოლოში. ამასთანავე ნათქვამი იყო, რომ „განსვენებულის სახლობა ამ ხელთ–ნაწერს დაუთმობს მათ, ვინც მოისურვებს და ვეფხის ტყაოსნის ვარიანტების შესწავლას შეუდგებაო.“

რადგანაც ჩვენ განვიზრახეთ შეძლებისა–და გვარად ვეფხის ტყაოსნის ვარიანტთა შედარება დაბეჭდილს ტექსტთან, ამიტომ „ივერიისავე“ შემწეობით უმორჩილესად ვთხოვთ განსვენებულის თავ. რევაზ ჩოლოყაშვილის სახლობას, ცოტა ხნობით დაგვითმოს მათს ოჯახში შენახული ვარიანტი, ხელთ–ნაწერი შეიძლება გამოიგზავნოს წერა–კითხვის სახელობაზედ გადმოსაცემად ჩვენდა.

ვსარგებლობ–რა ამ შემთხვევით, უმორჩილესად ვთხოვთ აგრეთვე ყველას, ვისაც–კი აქვს ვეფხის ტყაოსნის ძველი ვარიანტი, დროებით გვათხოვონ.

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1895. – N105. – 21 მაისი. - გვ.1-2.

ფელეტონი

გიორგი მთაწმიდელი, როგორც სასულიერო პიიტიკოსი

მე-X-XI საუკუნეებში ბაგრატიონთა მეცენატობით დიდს წარმატებაში შევიდა სწავლა–განათლების საქმე საქართველოში. ამ გონებრივმა მოძრაობამ დაჰბადა მთელი გუნდი ნასწავლთა პირთა, რომელთა შორის პირველი ადგილი ღირსეულად უჭირავს მეცნიერს და მაღალ–ნიჭიერს ბერ–მონაზონს წმიდა გიორგი მთაწმიდელს (1014–1065 წ.) ეს შესანიშნავი მუშაკი ფრიად განვითარებული პირი იყო და ფას–დაუდებელი ღვაწლიც მიუძღვის საღვთის–მეტყველო ლიტერატურაში თვისის თარგმანებით. აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენის ფორმებისა, მისი მიხვრა–მოხვრა, სიდარბაისლე, ყვავილოვნება, სინაზე–სიტკბოება, სიმარტივე, ღრმა გამომეტყველება და საზოგადოდ ძვირფასი სალარო ამ ძველის–ძველის კულტურულის ენისა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ლინგვისტები [იხ. Взглядъ на ист. и лит. Грузии. Броссе. Жур. Мин. нар. просв. 1838 г. Авг. стр.280.], გიორგიმ პირველად გამოაქვეყნა და დაგვანახვა, რის შემძლებელია ქართული ენა.

კათალიკოსი ანტონ I მისს ღვაწლს სამშობლო სიტყვიერებისადმი შემდეგის სიტყვებით მოიხსენიებს:

„ოქროის ეჟვან თქორ ირისოვან იქმენ, ქართველთა ქება აწ ორიონ მეტ, როს ესთა შეამკ მისაწყ გიორგი ბრძენო, ოქიმოდ მზისა ორონზე იასპოვან, სად მზადი მისაგ აქავ მდიდრად მინაღი.“

აქ კიდურ–წერილობით გამოსთქვა შემდეგი: – ოქროსა ნაკადითა მორწყე გიორგი, ანტონი (წყობილ–სიტყვაობა).

ამ შესანიშნავმა მოღვაწემ აგრეთვე დიდი სახელი გაითქვა სამშობლოს გარეთაც – საბერძნეთში, სადაც მას დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ ბიზანტიის გვირგვინოსანნი და აღმოსავლეთის პატრიარქნი. აქ მუდამ მცველად იყო იგი საქართველოს ეკკლესიის ავტონომიისა [იხ. Русско-Визан. отрыв. Васильевскаго. Жур. мин. нар. просв. часть CXCV, стр.136.]. საბერძნეთში გიორგი მთაწმიდელი ცნობილია, როგორც უწარჩინებულესი წარმომადგენელი კონსპერატიბულ–სპირიტუალურის მიმართულებისა, რომელიც წინააღმდეგ ულტრო–ლიტუალურ მიმართულების მიმდევართა არავითარს მნიშვნელობას არ აძლევდა აღმოსავლეთისა და დასა–ვლეთის ეკკლესიათა შორის გარეგანს განსხვავებას [დაწვრილებით ამაზედ იხ. Лебедева. Очер. внутр. ист. Виз.-вост. церкви въ IX, X и XI векахъ.] და ერთნაირის სიყვარულითა და თანაგრძნობით ექცეოდა ყველა ქრისტეს სარწმუნოების მაღიარებელთა. რაციონალური და ადამიანური შეხედულება სახელოვანის გიორგი მთაწმიდელისა ამ კითხვის შესახებ ნათლადა სჩანს მის საუბრიდგან [იხ. Епис. Порфирия. Ист. Афона. Тр. Киев. дух. Ак. 1873 г. Янв. стр.43-44.] საბერძნეთის იმპერატორ კონსტანტინე დუკაწისთან (დუკა).

ჩვენ აქამომდე ვთვლიდით გიორგი მთაწმიდელს მხოლოდ საღმრთო წიგნთა შესანიშნავ მთარგმნელად და ღრმა ღვთის–მეტყველად და არც–კი გვეგონა, რომ გარდა ამისა წარჩინებულის პიიტიკოსობის სახელიც დაუმსახურნია მას. და მართლაც გიორგი ათონელი მშვენიერი ლექსთა მთხზველი ყოფილა. ამ შესანიშნავ მუშაკის ღვაწლის დაფასება, როგორც საღმრთო–საეკკლესიო წიგნთა გადმომღებისა და ღრმა თეოლოგისა საიმისო სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მისს პოეტურს ნაღვაწზედ. ჯერ–ჯერობით სამი ნიმუში გვაქვს მის ლექსთა თხზულებისა და ისიც სხვადასხვა ენებზედ.

აკადემიკოსი კალინოვსკი გიორგი მთაწმიდელზედ მოგვითხრობს, რომ მან მშვენიერის ლექსებით შეამკო ათონის მთაო და ეს ლექსები ყველა ევროპიულს ენაზედ გადაღებულიაო. ამის დასასაბუთებლად პატივცემულს აკადემიკოსს მოჰყავს ი. ი. კაზლოვისაგან თქმული ლექსი: „Вечерний Звонъ, вечерний звонъ!,“ რომელიც თურმე ნათარგმნია მთაწმიდელის ლექსისაგან და თვით კრებული ამ სასულიერო მგოსნის ქმნილებათა გელათის მონასტერში ინახებაო“ (ივერია 1886 წ. N137). იპოვება დღესაც გიორგი მთაწმიდელის ლექსთა კრებული გელათის მონასტერში თუ არა, ჩვენ არ ვიცით. დიმიტრი ბაქრაძე და გ. წერეთელი, რომელთაც არა ერთხელ განუხილავთ მეცნიერულის აზრით გელათის წიგნთ–საცავი, არავითარს ცნობებს არ გვაძლევენ ამის შესახებ [იხ. Пол. соб. над. и прип. къ рук. Гелат. мон. Г. Е. Церетели. Тр. вост. Ком. Имп. Моск. археол. общ. т.1. вып.2, стр.223-278.]

ლექსი: „Вечерний Звонъ, вечерний звонъ!,“ დიდის გრძნობით არის დაწერილი. დედანი, რა თქმა უნდა, უფრო მაღლა იდგება. აქ ,გოსანი უცხო მხრიდგან შესტრფის საყვარელს სამშობლოს და სევდიანის კილოთი მოსთქვამს თვისს სულის კვეთებას. გაბედვით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ უკანასკნელი ტაეპი ამ რვა ასის წლის წინად დაწერილის ლექსისა:

Лежать и мне въ земле сырой!
Напевъ унылый надо мной
Въ долине ветеръ разнесетъ,
Другой певецъ по ней пройдетъ,
И ужъ не я, а будетъ онъ
Въ раздумье петь вечерний звонъ!

რომელშიაც იხატება მაღალი ნიჭი პოეტისა, მისი ძალა და სულიერი მიდრეკილება სამშობლოსადმი, არ ჩამოუვარდებიან ბარათაშვილის „მერანს,“ რომელსაც აზრით და გამომეტყველებით ძალიან წააგავს. აი ეს ადგილები:

„... ქარიშხალი ძვალთა შთენილთა,
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!
... და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

გიორგი მთაწმიდელის ლექსთაგანი ქართულს ენაზედ აქამომდე მხოლოდ ერ–თი ვიცით. ეს თორმეტ მარცვლოვანი აკროსტიხი წარწერილია გელათის სახარე–ბაზედ და სათაურის ასოებიდგან ამოვიკითხავთ თვით ავტორის სახელსა – გიორგის.

„განსაკვირველთა ღვთისა საქმეთა წიგნი,
ემბაზით მადლით აღმომშობელი ჩვენი,
უტკივრად გაქვს ოფლისა ნამუშაკევი,
რომელთა გწყურის, სვემდი წყალსა ცხოველსა,
გარნა ჩემდა თავს იოხდით, რომლისასა
იტყვიან თავნი სტიხოსთანი სახელსა.“

ამ მოკლე ლექსში მარტივად გამოთქმულია მნიშვნელობა ჩვენის სიტყვიერების სამაგალითო საუნჯის–სახარებისა, იმ ცხოველის წყლით აღვსილ მადლის ემბაზისა, რომელიც მუდამ ასულდგმულებდა ქართველს ერს მისს მწარე ხვედრში. ამ აკროსტიხულ გვარ ლექსებს ერქვა ძველად: „მარცვალნი გრძელნი მოკლეთაგან დამოკიდებულნი,“ ანუ კუდ კვეცილი, ურითმო ლექსი (jambus), რომელიც ჩვენში ბერძენ–ლათინთა მიბაძვით შემოუღიათ. ეს ლექსი უხმარნიათ ძველად საღვთის–მეტყველო ლიტერატურაში, განსაკუთრებით მონასტერთა მოღვაწეებს. ანტონ I კათალიკოსი ამავე ზომის ლექსებით სწერდა წმიდათა ქებას და საგალობლებს (წყობილთ–სიტყვაობა).

გიორგი მთაწმიდელს მარტო ქართულს ენაზედ–კი არა ჰქონია ლექსები, მას ბერძნულს ენაზედაც უწერია და ათონის მთიდგან მთელს ევროპას მოჰფენია. დაბეჭდილს მასალებში ჩვენ ვიპოვნეთ მხოლოდ ერთი ბერძნული ლექსი, რომელიც ეკუთვნის მთაწმიდელის კალამს. ეს ლექსი რუსეთის ცნობილს მეცნიერს, ელინთა სიტყვიერების დოქტორს, ეპისკოპოსს პორფირი უსპენსკის ამოუღია ისააკ მესოპოტამიელის დიდ ხელთ–ნაწერიდგან. პორფირი უსპენსკი დიდი ხანი იყო აღმოსავლეთში რუსეთის მისსიის უფროსად და არა ერთხელ მიმოუხილავს იქაური მონასტრები. კერძოდ ჩვენ ქართველებისთვის პორფირიმ დიდი ღვაწლი გასწია; მან პირველმა გადმოიღო და შეაგროვა ერთად აღმოსავლეთის მონასტრების ქართული წარწერიანი და ამისივე მეოხებით პლატონ იოსელიანმა ეს წარწერები რუსულის თარგმანებით დაბეჭდა 1865 წ. თებერვლის სასულიერო მახარებელში.

სინას მთაზედ ყოფნის დროს პორფირის გადაუსინჯია ისააკ მესოპოტამიელის დიდი ფოლიანტი, საიდგანაც მას ამოუღია ზემოხსენებული ოთხ–ტაეპოვანი ლექსი და ჩაურთავს სინას მონასტრის აღწერაში. ალბათ გადმოწერის დროს ლექსს შეცდომები შეჰპარვია. ეს ბერძნული ლექსი არის მოკითხვის წერილი სახელგანთქმულის გიორგი მთაწმიდელისა საბერძნეთის იმპერატორ კონსტანტინე დუკაწისთან და პორფირი მიაწერს მას ექვთიმეს (?), რომელსაც დიდის ქებით იხსენიებს. შინაარსი ამ ლექსად დაწერილი მოკითხვის წერილისა შემდეგია: ათონის მოღვაწე, ისურვოდა რა კონსტანტინე დუკაწისთვის მრავალჟამიერ დღეგრძელობას და მტრებზედ გამარჯვებას, სთხოვდა განეგრძო მასთან მიწერ–მოწერა და ამასთანავე შესჩიოდა, რომ ათონის მთაზედ შეშის ჭრის დროს ძალიან გავცივდიო. „შესანიშნავი ამ წერიში ის არის, ამბობს მეცნიერი მოგზაური პორფირი, რომ ექვთიმემ იცოდა ბერძნული ენა ისე საფუძვლიანად და მასთან ისე ვრცლად, რომ შეეძლო ამ ენაზედ

ლექსების წერაო; მაშასადამე ჩვენთა თანამემამულე ქართველთა შეუძლიანთ სრულიად ერწმუნონ საღმრთო წერილის იმ თარგმანებს ხსენებულის ენიდგან, რომლებიც მან შეასრულა ათონის მთაზედაო.“ [იხ. Епископа Порфирия. Первое пут. въ Син. мон. въ 1845 г. стр.212-213.]

პატივცემულს პორფირი ეპისკოპოსს უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთხსენებულის წერილის ავტორზედ, მისს ვინაობაზედ, იგი სცდება, ან თვით ხელთ–ნაწერს შეუყვანია შეცდომაში. წმიდა ექვთიმეს რომ მივაწეროთ ეს წერილი თანახმად პორფირის აზრისა, მაშინ ხომ ცხადი ანახრონიზმი იქმნება, რადგანაც ექვთიმეს მოღვაწეობის დროს საბერძნეთში მეფობდნენ ვასილი II (976–1025) და კონსტანტინე VI (1025–1028) და არა დუკაწი, რომელიც მეფობდა 1059–1067 წლებში, ხოლო ამ დროს აღმოსავლეთში ცნობილი საღმრთო წერილის მთარგმნელი ექვთმე (963–1028), რომელმაც განავცელა და განანათლა ქართველთა ენაი, აღარ იყო ცოცხალი, აქედან ცხადადა სჩანს, რომ ექვთიმეს არ შეეძლო მიწერ–მოწერა გაემართა იმპერატორ დუკაწისთან და გალექსილის წერილის ავტორი სხვა პირი უნდა იყვეს თანამედროვე ამ გვირგვინოსნისა. და მართლაც კონსტანტინე დუკაწის მეფობაში სცხოვრებდა მეორე დიად სახელ–განთქმული მთარგმნელი საღმრთო და საეკკლესიო წიგნთა, შესანიშნავი ღვთის–მეტყველი და ბერძნულის ენის ღრმად მცოდნე წმიდა გიორგი მთაწმიდელი (1014–1065 წ.), წინამძღვარი ივერიის პორტაიტის მონასტრისა ათონის მთაზედ, რომელსაც, ეჭვს გარეშე ეკუთვნის ეს გალექსილი ბერძნული წერილი, მით უმეტეს რომ, როგორც ზემორე ვთქვით, იგი ცნობილია შესანიშნავ სასულიერო პიიტიკოსად და რომლის სახელიც მისის მრავალ–გვარ ღვაწლის გამო სამშო–ბლოსადმი უნდა აღინიშნოს ოქროს ასოებით ქართულს სიტყვიერებასა და ლიტერა–ტურაში.

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1895. – N107. – 25 მაისი. - გვ.3-4.

ბიბლიოგრაფია

ამ დღეებში შემთხვევა მქონდა გადამესინჯა მხედრული ხელთ–ნაწერი, წიგნაკი სინიდისის ლოცვისა. ეს წიგნაკი დაწერილია მშვენიერის რგვალის ხელით და იწყება შემდეგის სიტყვებით: „გლოვა არს ჭმუნვარება სულისა ღმობასა შინა, გულისა მოწლეობისასა მარადის საწყურიელსა ზედა დადგომით მეძიებელი, ტკივილით მოგონება თვისთა ცოდვათა ზედა.“ 131–ე გვერდზედ აქვს შემდეგი წარწერა: დასასრული ექვსისა ნაწილისა სინიდისის ლოცვისა. დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა წელსა ჩღთ–ს [1709წ.] ნოემბრის იზ–სა [17] რიცხვსა. აღწერილ არს პეტრე ტაბლიევისაგან ჩყკე [1825წ.].

„სათნო და საყვარელი ღმრთივ წერილი ესე აღვსწერე მე გლახაკმან პეტრე ტაბლიევმან მოსახსენებლად ჩემ უღირსებისა აღმომკითხველთაგან. მოიხსენე უფალო აღმწერელის ამისა წიგნისა მშობელნი მოსე და თამარ და მეცა ცოდვილი

მაცხონე. ამავე წიგნთაგან ერთად ყდაში გადაკრულია მხედრულისავე მშვენიერის ხელით გადაწერილი მამაო ჩვენოს განმარტება, თქმული მზეჭაბუკ ჯამბაკურიანისაგან აგვისტოს 10–სა, წელსა ქრისტესით ჩღიზ [1767], ხოლო ქართულსა ქორონიკონსა უნე [455]. ბოლოში გადამწერი გვაუწყებს: ვიწყე წელსა ჩყკე–ს [1825] თვესა აგვისტოს ია–ს [11] და შევასრულე მასვე აგვისტოს იდ–ს [14] გლახაკმან ტაბლიაშვილმა პეტრემ მოსეს ძემ. ამინ.“

ეს პეტრე ტაბლიაშვილი სახელგანთქმული კალიგრაფია, რომლის მშვენიერი ხელი ადვილი საცნობია და, როგორც ვიცით, ბევრი წიგნებიც გადაუწერია. ამ ცნობილ კალიგრაფისაგან გადაწერილი ვარიანტი ვეფხის–ტყაოსნისა, რომელზედ ჩვენ გვქონდა საუბარი „ივერიის“ 93 N–ში, მისმა მემკვიდრეებმა დაუთმეს წერა–კითხვის საზოგადოებას.

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1895. – N116. – 6 ივნისი. - გვ.1-2.

ფელეტონი

თამარ დიდი და მისი სახელწოდება

„მართალია, მძრახველს ძრახვა
თვით–კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა
ქვეყანას არ მოუხდების.“
დ. გურამიშვილი.

სხვა ტომთა ისტორიაში იშვიათად შეჰხვდებით იმისთანა შარავანდედით მოსილს გვირგვინოსანს, რომელსაც თვისს გარშემო შეეერთებინოს წარსულის და მომავალის დროის გარდამოცემანი, ყველა კარგი ქართველთა ცხოვრებისა ერთად აეკინძოს, სამუდამოდ მოეპოვებინოს შთამომავალთა გულში უსაზღვრო სიყვარული, და მასთან ისეთი სპეტაკი და უნაკლულო იყოს, როგორიც იყო

„თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
პოეზიის ერის გულში სხივით მორთული,
ივერიის ძეთ დიდება და სიყვარული.“

(ვახ. ორბელ.)

აღტაცებული თამარის ღვაწლ–შემოსილი სახელით, თანამედროვე მემატიანე ამ სიტყვებით განმარტავს მის მნიშვნელობას: „უდიდესთა საქმეთა საღმრთოთა, ამბობს ქართლის ცხოვრება, რომელთა მოთხრობა შეუძლებელ არს, არა ჩვენ მიერ, არამედ უკეთუმცა შეკრბეს ბრძენნი ყოვლისა სოფლისანი, ჯეროვანად ხელ–ყოფენ დუმილსა, ვერ მიწდომისათვის სიტყვით გამოთქმად საქმეთა თამარისათა. [იხ. ქართლის ცხოვრება: ნაწ. 1. გვ.310.]

თამარის მოგონება რაღაც ზეციურის სიხარულით ავსებს გულს. მისს მომხიბლავს სახელს ჩვენ, ქართლოსიანნი, მოწიწებით და კრძალვით უნდა

ვიხსენიებდეთ, ვინაიდგან თამარის სახელზედ უძვირფასესი სახელი ჩვენ არა გვაქვს. „თამარს უნდა თაყვანს–ვსცემდეთ, როგორც ამბობს პოეტი გრიგოლ ორბელიანი და ცრემლ–მორეული ვემთხვეოდეთ ფერხთა.“ თამარი არის დიდება ჩვენის ქვეყნისა, მისის მყოფადის სასოება, იგი არის წმიდა–წმიდათა, რომლის სახელის შებღალვას ყოვლად მომთმინო ქართველი ერი ვერ აიტანს. აი ამიტომაც ჩვენ ძალიან გაგვა–კვირვა და მწარე ფიქრებიც მოგვგვარა თამარის წმიდანობაზედ გამოწვეულმა ბაასმა.

საექსარხოსოს სასულიერო მახარებელში (Духов. Вест. Грузин. Экзарх. 1895г. №3) პატივცემულმა დეკანოზმა მამა გიორგი ხელიძემ აღძრა კითხვა თამარის წმიდანობის შესახებ და იმის სახელწოდებისა. მამა გიორგი ხელიძეს ის დასკვნა გამოჰყავს, 1). რომ თამარი წმიდანი არ იყოო, იქნება თვისს სახელწოდებას დღესასწაულობდა აღდგომის მესამე კვირიაკეს (მენელ საცხებელთა), როდესაც ჩვენი ეკკლესია იხსენიებს დედათ მთავარს Ѳамаръ-ს, რომლის სახელიც თამარ დედოფლისთვის დაურქმევიათო და შემდეგ ეს ორი სახელი ერთმანეთში აურევიათო; 2). თამარის სახელზედ არც ერთი ეკკლესია ანუ სამწირველო არ მოიპოვება საქართველოშიო; 3). დაბეჯითებით არც–კი ვიცით, სად არის იგი დასაფლავებული და სხვ...

ბატონმა ა. ს. ხახანაშვილმა თამარის შესახებ დაწერილს წერილში „ივერია“ 1895 წ. N75) საკმაოდ განმარტა წმიდათა შერაცხვის წესი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკკლესიებში. შესავსებლად თამარზედ ნათქვამისა, აქ ჩვენ მხოლოდ ორიოდე მოსაზრება გვსურს წარმოვსთქვათ. კანონიზაცია (canonisatio) წმიდათა ჩვენმა ეკკლესიამ მიიღო საბერძნეთიდგან, მაგრამ იქაც მე–XI საუკუნემდე ეს საქმე ჯერო–ვანად არ იყო გამორკვეული. მაშინაც და ეხლაც აღმოსავლეთის ეკკლესიებში საზოგადოდ ცნობილი წმიდანები ცოტანი იყვნენ, ადგილობრივის წმიდანების რიცხვი–კი მრავალი. ჩვენშიაც, როგორც საბერძნეთში, არ ყოფილა მოწვეული საგანგებო კრება კანონიზაციისთვის. რუსეთშიაც ამგვარი კრება მხოლოდ მიტრო–პოლიტ მაკარის [დაწვრილებით იხ. Ист. Канон. рус. свят. В. Василева. Чт. въ общ. ист. древ. 1893 г. кн. 3 და Е. Е. Голубинскаго – Канон св. въ руск. цер. Бог. Вест. 1894 г. №VI-X.] დროს მოხდა (1547–1549 წწ.) დაყოფილს და დანაწილებულს საქართველოს ცოტა ჰყავდა საზოგადო წმიდანები, სამაგიეროდ თითქმის ყველა მაზრას, საეპისკოპოსოს და მონასტერს ჰყავდა თავიანთი წმიდანები, რომელნიც ადგი–ლობრივ იდიდებოდნენ და შემდეგში მათი სათაყვანისცემო ასპარეზი თანდა–თან ვრცელდებოდა და ფართოვდებოდა.

თამარის ბრწყინვალე მეფობის შემდეგ, დიდი უბედურება ეწია ჩვენს სამშობლოს – მონღოლების ურდო ღვთის რისხვასავით თავზედ დაატყდა საქა–რთველოს. შემდეგ ყიზილბაშთა და ოსმალთა ერთ–მეფობას ბოლო მოუღეს ჩვენში. სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიყო საქართველო. იმ შავ ბედს და უკუღმართს დროს, როდესაც ჩვენნი წინაპარნი თავგანწირულად ებრძოდნენ მუსულმანთა მძლავრობას და მუდამ ხმლით ხელში იცავდნენ ეროვნებას, სარწმუნოებასა და სამშობლოს, მოცლა არა ჰქონდათ წმიდანთა კანონიზაციის საქმეს შესდგომოდნენ; მაშინ ახალ მოწამეების აღნუსხვასაც ვერ ასდიოდნენ.

თამარის წმიდანათ შერაცხვაზედ ეკკლესიურ დადგენილების უქონლობა ვერ დაარღვევს ქართველის ხალხის ღრმა რწმენას, რომ იგი წმიდანია. თუ დოღმატურ–

იურიდიულის მხრით შევხედავთ საზოგადოდ წმიდანებს, მაშინ ხომ ბევრი მათგანი უნდა გამოვაკლოთ წმიდანების სიას, რადგანაც მათ შესახებ წერილობითი აქტები არ გვაქვს დასასაბუთებლად მათის კანონიზაციისა. რუსეთის ეკკლესიას ბევრი ისეთი წმიდანი ჰყავს, რომელთა კანონიზაციაზედ არავითარი ცნობა არ დარჩენილა და ეს გარემოება ეკკლესიას ხელს ვერ უშლის იგინი ადიდოს და წმიდანად აღიაროს. წმიდა მოციქულთა სწორი ოლგა, როდის იყო შერაცხული წმიდანად და მოციქულთა სწორად, ამაზედ გადაწყვეტილი არა გვაქვს რაო, ამბობს პროფ. ე. ე. გოლუბინსკი, აგრეთვე როგორ სრულდებოდა მე–XV საუკუნემდე ჟამის წირვა მისს მოსა–ხსენებლად, არც ამაზედ გვაქვს არავითარი ცნობაო [იხ. ibid. NVII. стр.74-75.]. მაშასა–დამე, უქონლობა თამარის შესახებაც საეკკლესიო დადგენილებისა (კანონიზაციისა), უქონლობა საგალობლებისა იმას არ მოასწავებს, რომ იგი წმიდანი არ იყოს. იყვნენ იმისთანა პირნი, რომელთა შესახებ ეკკლესია საჭიროდ არა სთვლიდა საგანგებო დადგენილებას, მაგალითად: ძველს აღთქმაში – მამათ–მთავარნი და წინასწარ–მეტყველნი, ახალში – ღვთისმშობელი, იოანე წინამორბედი და მოციქულნი, ყველა მათგანი წმიდანებად ითვლებოდნენ. კანონიზაცია იმისთანა მოღვაწე პირზედ იყო საჭირო, რომელთაწმიდანობაზედ შესაძლო იყო საეჭვო რამ გამოთქმულიყო, მაგრამ თამარის წმიდანობაზედ არავითარი ეჭვი არ ყოფილა გამოცხადებული ამ შვიდის საუკუნის განმავლობაში და არც ეკკლესიური აქტი იყო საჭირო მისს კანონიზა–ციაზედ. ხალხის შეგნებამ აღიარა თამარი წმიდანად და იგი წმიდანია.

თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს ძველს ჯერეთ–კი შეუსწავლელს და გამოუქვეყნებელს მწერლობას, ცხადად დავინახავთ, რომ თამარ ბრწყინვალე ჩვენთა წინაპართა სიციცხლეშივე სცნეს წმიდანად. ერთი მე–XII საუკუნის გუჯარი, რომელსაც „მანდატურ–უხუცესი და ამირ სპასალარი“ ჭიაბერი (ქართ. ცხოვ. I. გვ.283) უძღვნის შიო მღვიმის მონასტერს და რომელსაც ხელს აწერენ კათალიკოსი იოანე და ერისთავთ–ერისთავი ძეგან აბულეთის ძე, თამარს იხსენიებს „ღვთისა სწორად...“) [ვახუშტი, საქართ. ისტორ. გვ.217.]. 1204 წლის გუჯარში ანტონი ჭყონდიდელი თამარს მიჰმართავს და იხსენიებს მას, როგორც „ღვთისა სწორად,“ – „Равнан Богу“ [იხ. Пурцеладзе, церк. гудж. стр.96-97.]. ბერ–მონაზონი იოანე შავთელი (აბდულ მესია) თანამედროვე თამარ დედოფლისა, კაცი „ღვთის სათნო, ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწეთა შინა და ლექსთა გამომთქმელი“ ბრწყინვალე თამარს შეამკობს შემდეგის ეპიტეტებით: – **„ბრძმედო საწმიდისაო, საღმრთო ბანაკო, წმიდად შემწყობრე, მათთან მოსაგრე, ზეცისა ძალთა ხარ მოდასეცა, მადლით სპეტაკი უფროს ნათლისა, ნათლის ემბაზი, ნეტარ ხარ ყოვლად, წმიდად და ცხოვლად...“**

მეორე თანამედროვე პოეტი ამბობს: – **„ვინატრიდია, ვინატრიდია ძე ღვთისა შენდა ძედ მწოდებარე.“** და სხვა...

თუ ესეთი ღვთის სათნო პირნი, როგორნიც იყვნენ სწავლით გამსჭვალულნი კათალიკოსი იოანე, სახელგანთქმული სასულიერო მოღვაწე ანტონი ჭყონდიდელი, ბერ–მონაზონი პოეტი იოანე შავთელი და არა ნაკლებად ცნობილი პოეტი ჩახრუხაძე, რომელნიც თამარს სთვლიან ღვთისა სწორად, ადარებენ ღვთისმშობელს და სხვა ამ გვარი ეპიტეტებით იხსენიებენ, მაშ ეჭვი არც–კი უნდა გვქონდეს, რომ თამარი თანა–მედროვეთაგან ერთხმად წმიდანად იყო აღიარებული. ან საეკკლესიო აქტი რომ

შეედგინათ თამარის წმიდანობაზედ ამათზედ უკეთესს, სანდო და სარწმუნო პირებს ვისღა მოაწერინებდნენ ხელს!

ნათქვამს უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი ფრიად შესანიშნავი მოწმობა. ქართველი ელჩი არხიმანდრიტი ხარიტონი, წინამძღვარი ქურმუღოს (Курмигийской или Курмутской Богородицы) მონასტრისა, გაგზავნილი თეიმურაზ მეფისაგან რუსეთში 1619 წელს, მეფე მიხეილ თეოდორის ძის წინაშე იმეორებს თეიმურა–ზისაგან დაბარებულს სიტყვებს: – „თეიმურაზი ეხლა სცხოვრებს იმერეთშიო, სადაც დაკრძალულია წმიდა გვამი თამარ დედოფლისაო“ („где находится святое тело царицы,“ т. е. Тамары). ეს მოწმობა იმითი მიიქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ იგი წარმოთქმულია სასულიერო პირისაგან და მასში ნათლად იხატება შეხედულება ჩვენის ეკკლესიისა კეთილ–მორწმუნე გვირგვინოსანს ეკუთვნის. გელათის მონა–სტერში სხვა დედოფლებიც ბევრნი არიან დასაფლავებულნი, მაგრამ იმათგან არავის იხსენიებს; რის მაჩვენებელია ეს თუ არა იმისი, რომ იქ განსვენებულ დედოფალთაგან მხოლოდ თამარს აღიარებდა და აღიარებს ხალხი წმიდანად.

ხალხმა თვისი აზრი თამარის წმიდანობაზედ გამოსთქვა იმაში, რომ თამარს ჰხატავს ეკკლესიაში ნიმბით (სხივით, ესე იგი ისე, როგორც წმიდანები იხატებიან, ხოლო ფშავ–ხევსურეთსა და სვანეთში სამწირველოებიც არის მისს სახელზედ და საგანგებო დღესასწაულებიც დაწესებული. თამარ–მზეს იგინი სთვლიან სნეულთა და ავადმყოფთა მკურნალად. თამარ–მზე, ფშაველების რწმენით, ყველა ხატებზედ ძლიერია, რადგანაც სხვა ხატები მხოლოდ შუამდგომლობენ ღმერთთან, თამარ–მზე კი თვით ჰკურნავს სნეულთა და დავრდომილთა.

თამარ დედოფლისთვის ѳамаръ დედა–მთავრის სახელი დაურქმევიათო, ბრძანებს მამა გიორგი ხელიძე. ეს მოსაზრება იქმნება საფუძველს არ იყოს მოკლებუ–ლი, მაგრამ ასე შორს რად გვინდა წასვლა თამარის სახელწოდების საძებნელად, როდესაც თვით ბაგრატიონთა ახლო ნათესაობაში ჩვენა ვხვდებით ამგვარსავე სახელწოდებას. თამარი ერქვა დავით აღმაშენებელის ასულს, შირვანის დედოფალს, რომელიც დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, ააშენა თიღვის შესანიშნავი მონასტერი და იქვე მონოზონად შესდგა. [იხ. ქართ. ცხოვრ. ნაწ. I. გვ.245, 264 და 290]. პაპისა და დიდედას სახელების დარქმევა ხშირი იყო საქართველოში და მაშასადამე უფრო შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ თამარს დაარქმევდნენ წმიდა დავით აღმაშენებელის ასულის სახელს.

რაიცა შეეხება მამა გიორგი ხელიძის სიტყვებს, რომ ნამდვილად არც–კი ვიცით, სად ასაფლავია თამარ დედოფალიო, ამაზედ ჩვენ ბევრი ლაპარაკი არ გვჭირდება, რადგანაც პირდაპირი მოწმობა გვაქვს ამ კითხვის შესახებ ქართლის ცხოვრებაში. აი მატიანეს სიტყვები: – „...და წაიყვანეს სამკვიდრებელსა გელათად და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა... აღმოიყვანეს (გვამი თამარისა) და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა.“ [იხ. ibid. ნაწ. I, გვ.334, სხოლ. I, 345]

ჩვენს მცირე შენიშვნას ვაბოლოვებთ პატივცემულის პროფ. ე. ე. გოლუბინსკის სიტყვებით: – „სადიდებლად ვიეთთამე ადგილობრივთა წმიდანთა, რომელთა

დღესასწაული არ ვიცით როდის დაუდგენიათ, არიან აშენებულნი სამწირველოები და ეკკლესიები, გასაოცარი იქმნებოდა, – ამბობს პროფესორი გოლუბინსკი, კითხვის აღძვრა მასზედ, ეს წმიდანები ნამდვილი წმიდანები არიან თუ არაო.“ [იხ. Е. Е. Голубинскаго. Ист. кон. св. къ рус. 1 цер. NX. стр. 69, прим. I].

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1895. – N146. – 12 ივლისი. - გვ.3.

ვაზის ავადმყოფობა

სოფელი ქვემო ნიქოზი. წელს თუმცა გაზაფხულის პირში რიგიანი ამინდები ვერ დაუჭირა ვენახებს, მაგრამ ვაზმა მაინც კარგად იყვავილა და კარგი მტევანი გამოიტანა. დაიმედებულთ, რომ ვენახის მოსავალი არ გვიმტყუნებდა, ვაზს თავისს წესზე მოვლა არ დავაკელით. ეხლა–კი იმედი გვიმტყუნდება. რას მოვიფიქრებდით, რომ მოსავალს ხელს შეუშლიდა უცნაური სენი, რომელიც გაუჩნდა ვაზსა. ეს ერთი კვირაა თვალ–ყური ვადევნე ვენახსა და აი რა შევნიშნე: ავადმყოფი ვაზის მტევანი ჰკარგავს მწვანე ფერს, აღარ იზრდება, წითლად ჭკნება და მარცვალი სცვივა; ზოგს ვაზს–კი დამჭკნარი მტევანი კლერტოიანად სცვივა. იშვიათად შეჰხვდებით იმისთანა ვაზს, რომელსაც ეს უცნაური სენი არ ეტყობოდეს. „მწვანე“ თითქმის ყველგან გაფუჭებულია. ეტყობა, მწვანეზე უფრო მოქმედებს ეს სენი. ვენახში ყველგან ერთნაირად არ არის მოდებული ვაზის ავადმყოფობა, დაუბარავში უფრო ძლიერ იჩენს თავს, სანამ დაბარულში. შევამჩნიე, რომ პირველად ჭკნობა იწყება ძირის მტევნებიდან. არც ფოთოლი რჩება დაუზიანებლად. ავადმყოფს ვაზს ფოთოლი ალაგ–ალაგ (უფრო ხშირად ნაპირებში) ზევითა პირი უწითლდება და ამ დაზიანებულ ადგილების ქვედანაპირს თეთრი ობი ეკიდება. ფოთოლი იხრუკება და ხმება.

ამ ვაზის ავადმყოფობას ჩვენში ყველა უჩივის, ეტყობა ეს სენი ყველას სწვევია. რა ავადმყოფობაა, ან რა მიზეზის გამო გაჩნდა, ამაზედ აქაური მცხოვრებლები პასუხს ვერ იძლევიან. თუ გაზაფხულის თოვლისა და სუსხიან დღეების შედეგია, როგორც ზოგსა ჰგონია, აქამომდე თავი რატომ არ იჩინა? თავად ჩვენს მხარეში ვენახის შემუშავება ძვირადა ჯდება და თუ ათასნაირი სენიც ზედ დაერთო, მაშინ ხომ ხელსაც აგვაღებინებს მევენახეობაზედ. დიდი ქებაა, თუ წელს ვაზის მოსავლის მეოთხედი მოგვივივდა. ღვინის ფასმა ეხლავე აიწია. სასოწარკვეთილებას მიცემულნი შესცქერიან ვენახებს და შველა–კი არ შეუძლიანთ. სასურველია, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ სენს, იქნება შემდეგში მაინც ააცილონ თავიდგან აქაურს ვენახებს ამგვარი მაზარალებელი სენი.

გ. საძაგელოვი–ივერიელი.

ივერია - 1897. – N10. – 28 იანვარი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – როგორც ვუწყით, ბრიტანიის საღმრთო წერილის საზოგადო–ებამ უწმიდესის სინოდისაგან ქართულის დაბადების დასტამბის ნება-რთვა მიიღო. ეხლანდელი ქართული დაბადება მეთვრამეტე საუკუნეში არის ბატონიშვილის ბაქარის მიერ სლავიანურიდგან ნათარგმნი. ბაქარს მრავალი შეცდომა შეჰპარვია დაბადებაში. როგორც ეტყობა, სლავიანურის ენის სუსტად ცოდნისა გამო, და აგრეთვე იმიტომაც, რომ არც თვით სლავიანური დაბადება იყო მაშინ ნაკლს აცილებული. რათა ახალი გამოცემა ამ გვარ ნაკლს ასცდეს, საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა, არხიმანდრიტის მამა ლეონიდის თავმჯდომარეობით, კომისია შეადგინა, რომლის წევრებადაც მიწვეულნი არიან მამა კირიონი (სამაგლიშვილი), მღვდელი კალისტრატე ცინცაძე და კონჭოაშვილი და ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბატონი ანტონ ნატროშვილი. კომისიის წევრნი კვირაში ორჯერ იკრიბებიან და მათდამი მინდობილს საქმეს გულმოდგინედ აკეთებენ. ისინი ეხლანდელს დაბადებას ადარებენ სლავიანურს, რუსულს, ბერძნულსა და ებრაულს დაბადებას. ამასთანავე კომისიას მოუპოვებია ორი ძვირფასი ქართული ვარიანტი, მშვენიერის ენით დაწერილი, ერთი იმათგანი მცხეთისა, მეშვიდე საუკუნეში ებრაულით ნათარგმნი, და მეორე ათონისა, მეათე საუკუნეში ბერძნულით ნათარგმნი. კომისია, როცა შექმნას (მოსე წინასწარმეტყველის 5 წიგნია) შეასწორებს, მაშინვე საზოგადოებას გადასცემს დასასტამბად და შემდეგ სხვა წიგნების შესწორებას შეუდგება. კომისია ჩქარა ვერ მორჩება მუშაობას, რადგან საქმეს ერთობ სიფრთხილით ეკიდება.

ივერია - 1897. – N94. – 17 მაისი. - გვ.2-3.

ახალი ამბავი: – ზემო–ნიქოზი. ყველაფრით მოწყობილია ჩვენი სოფელი: ჰავით, მდებარეობით, ადგილ–მამულით, ხალხიც გაცილებით შემლებულია, ვიდრე გარეშე მდებარე სოფლების მცხოვრებელნი. მხოლოდ ერთი ნაკლულევანება ისა აქვს, რომ სასწავლებელი არ მოგვეპოვება. ესეც რომ მოვახერხოთ, მაშინ–კი აღარა გვიშავს–რა. იმედი–კია, რომ ახლო მომავალში განხორციელდეს ჩვენი იმედი, რადგან დაუღა–ლავი მშრომელი მამა კირიონი (გიორგი სამაგელოვი), წინამძღვარი ქვაბთა–ხევის მონასტრისა, არავითარს შრომას არა ჰზოგავს სასწავლებლის დაარსებისთვის. წინადაც არა ნაკლებ ჰზრუნავდა პატივცემული მამა კირიონი ჩვენის სოფლის საკეთილდღეოთ: იმის მეცადინეობით გამშვენიერდა და გაკეთდა ადგილობრივი ეკკლესია და საერთოდ არავითარს შრომას არა ჰზოგავს სოფლის მკვიდრთა საკეთი–ლდღეოდ. იმედია, შემდეგშიაც არ დაგვტოვებს უყურადღებოთ პატივცემული მამა კირიონი.

ივერია - 1897. – N254. – 9 დეკემბერი. - გვ.3.

დაბა და სოფელი

სოფელი თიონეთი, 18 ნოემბერი. 13 ნოემბერს მობრძანდა სოფელ თიონეთში მართლ–მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი მამა კირიონი. მეორე დღეს, 14 ნოემბერს, მამა კირიონი მოელაპარაკა თიონეთის საზოგადოებას სკოლის შეკეთების შესახებ, რომელიც კარგა ხარჯს თხოულობს. საზოგადოებამ იკისრა ყოველივესავე მასალის მომზადება და მოტანა, სთხოვა მამა კირიონს,რომ გვიშუამდგომლეთ საბჭოს წინაშე, ოსტატებისა და ტფილისიდგან მზად ფიჭვის მასალის კარ–ფანჯრისათვის ფულად შემწეობა მოგვცენო. მამა კირიონი დაჰპირდა საზოგადოებას, ვეცდები, რომ ფულად რაც უნდება შენობის გადაკეთებას, საბჭომ იკისროსო. მხოლოდ ეცადეთ, რომ მასალა ადრე მოამზადოთ და სკოლა ზაფხულისათვის მოესწროსო. საზოგადოებამ მადლობა მოახსენა მამა კირიონს. მამა კირიონის მამაშვილურმა დარიგებამ და შემწეობის დაპირებამ ხალხს სურვილი აღუძრა, გაეგებინებინათ თავისი სიღარიბე და სთხოვა ყრილობამ მამა კირიონს: „გვიშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რომ ეს „ლაგირის“ მიწები, რომელიც იქ ჯარის ბანაკად ამორჩევამდე, თიონეთის სიმდიდრეს შეადგენდა, დაგვითმონო და ან ამდენი ბეგარა გარდასახადი შეგვიმსუბუქონო.“ მამა კირიონმა აუხსნა ყრილობას, რომ ეგ საქმე მე არ შემეხება და სამწუხაროდ, ვერას გიშველითო.

ბატონმა თიონეთის მაზრის უფროსმა აუხსნა ხალხს, რომ მამა კირიონს მარტო სკოლები აბარია და ერთი იმ სკოლათაგანია ეს ჩვენი სკოლაც, რომელშიაც თქვენი შვილები სწავლობენ. თქვენ ბედნიერად უნდა ჰრაცხდეთ თავს, რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების შემწეობით გაქვთ ისეთი სკოლა, რომელშიაც თქვენი შვილები წერა–კითხვის გარდა ხელობასა და მიწის მუშაობასაც ისწავლიან. ამისათვის უნდა ეცადნეთ, რომ ამ კარზედ მომდგარს ბედს კარგა გაუფრთხილდეთ, და ხელი შეუწყოთ თქვენ საშვილიშვილო საქმეს.

ხალხმა მადლობა მოახსენა თავისს უფროსს და მამა კირიონს. შემდეგ გაემართენ სკოლისკენ, სადაც ოსტატები მოიწვიეს და მოისაზრეს მამა კირიონისა და მაზრის უფროსის წინადადება, თუ როგორ უნდა გადაკეთებულიყო შენობა ხარჯთ–აღრიცხვა შეადგინეს და საზოგადოებაც დაიშალა.

ხოტეველი.

ივერია - 1898. – N57. – 15 მარტი. - გვ.2-3.

ქართული საეკკლესიო საუბარი ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში

ტფილისში წარსულს წელს დაარსებულის საეპარქიო სამისიონერო სასულიერო განათლების ძმობის საბჭომ სცნო აუცილებელ საჭიროებად – ამ დიდ–მარვაში გაემართა ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში ქართულს ენაზედ საეკკლესიო საუბრები ქართველების სასულიერო საჭიროების დასაკამყოფილებლად. ამ ფრიად მოსაწონის აზრის განსახორციელებლად ძმობის საბჭომ სწორედ რომ კარგის ადგილის და ისტორიულის მნიშვნელობის ტაძარი აღმოირჩია, ეს ტაძარი ქვაშვეთის წმიდის გიორგის ტაძარია, რომელიც მოწამეა საქართველოს თავზედ გადავლილთა თითქმის ყოველთა უბედურებათა და მწუხარებათა...

საეკკლესიო საუბარნი გამართულ იქმნენ ჯერ–ხანად ამ დიდ–მარხვაში. საეკკლესიო საუბრისთვის დანიშნულია დიდ–მარხვის თითოეული კვირა დღის საღამო. ამ დღეს ქვაშვეთის ტაძარში, საღამოს ხუთს საათზედ, იწყება ლოცვა, ლოცვას მოსდევს „დაუჯდომელი“ ღვთის მშობლისა, რომლის წილ–ხდომილია მრავალ–წამებული საქართველო. „დაუჯდომელის“ შემდეგ დანიშნულია საეკკლესიო საუბრის წარმოთქმა. პირველს კვირას დიდმარხვისას წარმოსთქვა საეკკლესიო საუბარი მარხვისა და იმისს მნიშვნელობის შესახებ ქვაშვვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიის წინამძღვარმა მამა მარკოზ ტყემალაძემ, მეორე კვირას – საეკკლესიო წიგნების კითხვის მნიშვნელობის შესახებ არქიმანდრიტმა მამა ლეონიდემ, – მესამე კვირას – დიდუბის მღვდელმა მამა კალისტრატე ცინცაძემ იესოს ჯვრის შესახებ. მეოთხე კვირას, – 15 მარტს წარმოსთქვამს საეკკლესიო საუბარს საქართველოს მეფის წმიდა დავით აღმაშენებლის შესახებ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ი. ფერაძე; მეხუთე კვირას–კი – იღუმენი მამა კირიონი.

ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში ამ საუბრების მოსასმენად იმდენი ხალხი არ დადის, რამდენსაც მოელოდა ძმობის საბჭო, – თუმცა არ შეგვიძლიან არ ღვნიშნოთ, რომ მაინც საკმაოდ დადის ხალხი ამ საუბრების მოსასმენად, რომელთა შესახებ თავისს დროს გამოუცხადა სამწყსოს მამა მარკოზ ტყემალაძემ... მაინც ამდენი ხალხი არ დადის, რამდენიც ყაზანის ღვთისმშობლის სამისსიონერო ეკკლესიაში, სადაც საეკკლესიო საუბარს რუსულს ენაზედ ამბობენ ძმობის საბჭოს დადგენილების თანახმად. ამ ტაძარში ხალხი არც–კი ეტევა საუბართა წარმოთქმის დროს...

ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი მამა სერაფიმე, რომელიც ძმობის საბჭოს თავმჯდომარეა, ძლიერ სცდილობს, რომ ქართულ საუბრების მოსასმენად იმდენივე ხალხი დადიოდეს, რამდენიც რუსულ საუბართა მოსასმენად დადის... ამ აზრით კვირას, 15 მარტს, და ამავე თთვის 22–საც საღამოს ლოცვისა და დაუჯდომელის კითხვის დროს ქვაშვეთის ტაძარში, მამა რექტორის სერაფიმეს განკარგულებით, იგალობებს ტფილისის სასულიერო სემინარიის ქართულ მგალობელთა გუნდი და ქვაშვეთის საეკკლესიო–სამრევლო სკოლის

მოსწავლენიც. იმედია, რომ ქართველობა, უკეთუ მას მცირედ მაინც უღვივის სიყვარული სამშობლო ენისა და ღვთის–მსახურებისა არ დაიზარებს საეკკლესიო საუბრების მოსმენას ქართულს ენაზედ ქვაშვეთის ტაძარში... უკეთუ ქართველობა თანაგრძნობით მოექცევა და ივლის ამ საუბართა მოსასმენად, ძმობის საბჭოს თავმჯდომარეს არქიმანდრიტს მამა სერაფიმეს განზრახვა აქვს გააძლიეროს და გაახშიროს ქართულს ენაზედ საეკკლესიო საუბარნი. იგივე თავმჯდომარე სცდილობს გამოსცეს ქართულს ენაზედ საუკეთესო საეკკლესიო საუბრები ორიგინალური და რუსულიდგან ნათარგმნი. ამ მოკლე ხანში გამოცემულ იქნება გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებლის მ. ი. ვოსტორგოვის ფრიად საინტერესო საუბარი, ქართულად ნათარგმნი.

ივერია - 1898. – N90. – 30 აპრილი. - გვ.1-3.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოს ქართლ-კახეთის ეპარქიისა

არიან ადამიანნი, თითქოს განგებისაგან გაჩენილნი რაიმე საქმისათვის. ამათგან არის დაშთენილი ხშირად ღრმა კვალი ცხოვრების ხნულში. ამ რჩეულთ ეკუთვნის, სხვათა შორის, უმაღლესად დანიშნული გორის ეპისკოპოსად, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, საქართველოს საექსარხოსოს ვიკარი.

დიდ არს და ძნელ საეპისკოპოსო მოღვაწეობა, ეკლით და ნარით ფენილ არს გზა სამღვდელთ-მთავრო მათის სარბიელისა! ეპისკოპოსს მეტად, ვიდრე სხვა ვისმე, სჭირია იყოს დაჯილდოვებული უხვად ზეციურის მადლით: იგი უნდა წარმოადგენდეს მოწინავეს და მესვეურს, თავისი დროის წოდების წევრს, იყოს აღჭურვილი დიადის გონებრივისა და ზნეობრივის მადლით; მტკიცე, შეურყეველის ხასიათითა და პატიოსნე-ბით; ქრისტიანულის მოყვასისადმი სიყვარულითა და საზოგადო საქმისათვის თავ-დადებით; პირადის მაღალის ზნეობით და წმიდა ღვაწლით ქრისტეს ეკკლესიისა და ერის წინაშე. მძიმე მოვალეობა უწევს მღვდელ-მთავარს, როდესაც ეკკლესიასა და სამშობლოს მოელის რაიმე საფრთხე და შიში; როდესაც მტერი, ვითა მძვინვარე მტაცებელი მგელი, მზა არს შევარდეს ფარეხსა ქრისტეს ეკკლესიისასა, რათა დაჰგლიჯოს ცხოვარნი მისნი და განფანტოს წმინდაი სამწყსო მისი. „მეცნიერებით აუწყე სულსა სამწყსოსა შენისასა და რათა დაადგინე გული შენი სამწყსოთა შენთა მიმართ.“ (იგავი. 22,23). საჭიროა დიდად მღვდელ-მთავარი განაღვიძებდეს და ჯეროვანად ჰკურნებდეს სულთა მძინარე უღირსთა მწყემსთა, რათა იგინი არევთა თვისთაგან მგელთა მტაცებელთა განაგდებდნენ და სულთა დასდებდნენ სამწყსოსა თვისისათვის, რათამცა არა მყვედრებელ იქმნენ პირველის მის მწყემსთ-მთავრის მიერ სიტყვითა იერემია წინასწარმეტყველისათა, რომელი იტყვის: „ჰოი, მწყემსნო, წარწყმენდელნო და განმაბნეველნო ცხოვართა ნაძოვრისა ჩემისათა, იტყვის უფალი. ამისთვის იტყვის უფალი ღმერთი ისრაილისა

მწყემსთა ზედა, მწყსელთა ერისა ჩემისათა. თქვენ განაბნიენით ცხოვარნი ჩემნი და განაგარეენით იგინი, და არა მოიზიდენით იგინი. - აჰა მე შურ ვიგო თქვენ ზედა, ბოროტთაებრ სიმარჯვეთა თქვენთა, თქვა უფალმან.“ (იერემია. 23,1).

საქართველოს ეკკლესია იმ თავითვე იმითი იყო მტკიცე და შეურყეველი, რომ განგება უგზავნიდა ისეთ მოღვაწეებს, რომელნიც თავგანწირულად ჰშრომობდნენ მისდა საკეთილდღეოდ, მისის გონებითისა და ზნეობითის განვითარებისათვის. ასეთის ზნეობისანი იყვნენ ჩვენნი ძველნი მღვდელ-მთავარნი და ეპისკოპოსნი. იმათი ფიქრი და გრძნობა ქვეყნის დიდებას დასტრიალებდა თავს, რომლის გარეშე ყოველივე მისწრაფება და წადილი იყო „ამავოება ამავოთა.“ (ეკკლესიასტე 1,2). ისინი მოწინავე რაზმში იდგნენ, კვერთხით და ჯვარით ებრძოდნენ მტერსა, ლოცვითა და ვედრებით სასოებასა და ნუგეშს ჰფენდნენ საქართველოსა. იმათი სიქველე, მაღალი ზნეობა, დიადი გონებრივი ძალა, შეურყეველი პატიოსნება, მოძმეთა სიყვარული, ჩაგრულთა და მაშვრალთა შებრალება, დაუღალავი შრომა, მტკიცე სარწმუნოება დღევანდელის ქართველებისათვის გახდნენ სანთლით საძებარნი ყოველ წოდებაში. დიდი, ძალიან დიდი, დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის სამღვდელოებას სამშობლოსა და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და თავ-განწირული სამღვდელოება აი, ის მძლეთა-მძლე ბურჯი, ის მტკიცე და შეურყეველი სალი კლდე, რომელზედაც მუდამ მაგრად იდგა ქართველი ერი და რომელთაც ფეხზედ წამოაყენეს, წარმატების გზაზედ დააყენეს, განაცხოველეს და განაძლიერეს მისი საზოგადოებრივი ცხოვრება; შეჰქმნეს მისი მრავალ-საუკუნოვანი ისტორია; მისცეს და დაიცვეს მისი ეროვნული თვით-არსებობა და სხვა და სხვა.

სამწუხაროდ, ულმობელთა დროთა ბრუნვამ სრულებით შესცვალა ის მაღალი ზნე, ის მთავარი აზრი და წმიდა გრძნობა, რომელიც სხივოსანის შარავანდედით ამკობდა ძველის სამღვდელოების, ბერთა და მონაზონთ ღვაწლს სამშობლოს და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. მონასტერნი და ლავრანი დაცარიელდნენ, სამღვდელონი და მონაზონნი ზნითა და ქველობით დაკნინდნენ. მღვიმესა და მაღაროში მოღვაწეობა თითქმის აღარავის იზიდავდა; ხოლო თუ ვინმე ამ მოღვაწეობას ხელს ჰკიდებდა, მომეტებულნი წარსულს ზნესა, მცნებასა და აღთქმას აღარ მისდევდნენ.

სასიხარულოდ, ამ ბოლო დროს სასიამოვნო მოვლენას ვხედავთ: უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი ქართველნი იწყებენ ბერ-მონაზონად შესვლას და ამ გზით სამსახურს ერისა და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე. ამგვარად ეკუთვნიან: ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, იგუმენი ქვათა-ხევის მონასტრისა კირიონი (გ. სამაგლიშვილი), ბერ-მონაზონი დიმიტრი (აბაშიძე) და სხვა.

აი, ეს ათი წელიწადია, რაც ყოვლად სამღვდელო ლეონიდე ჰმოღვაწეობს ძნელს სამონაზონო ასპარეზზედ. მისი მოღვაწეობა ამ სარბილეზედ იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ საზოგადოებას მისი მრავალ ფოთლიანნი და კეთილ ნაყოფიერნი შრომა და ბიოგრაფიული ცნობანი.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ერის კაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე, არის შვილი სოლომონ მღვდლისა. იგი ღვიძლი ძმისწულია ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრესი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა. დაიბადა გორის მაზრაში, სოფელ ნაქალაქევში, 1861 წელს, მაშასადამე ჯერ ყმაწვილი კაცია, 37 წლის. თავდაპირველი

განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იმ თავითვე ყველა მოსწავლეების და მასწავლებლების ყურადღებას იზიდავდა, როგორც ღვთის მოსავი, სათნო ხასიათის და სწავლაში გულ-მოდგინე ყმაწვილი. სასულიერო მოღვაწეობის მისწრაფება და ბერულ ცხოვრების ტრფიალი მას თანდათან ემატებოდა და განსაკუთრებით განუცხოველდა კიევის აკადემიაში ყოფნის დროს, სადაც მეოთხე კურსზედ მან თავისის წმიდა ცხოვრებით ცნობილის აკადემიის რექტორის სილიბისტრეს ზედ-გავლენით სურვილი განაცხადა ბერად აღკვეცისა და კიდეც აღიკვეცა 1887 წელს. მეორე წელს მან დაამთავრა წარჩინებულად სასულიერო აკადემიაში სწავლა, მიიღო ღვთის მეტყველების კანდიდატობის ხარისხი. ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მონაზონად და გამოემგზავრა სამსახურისთვის საქართველოს საექსარხოსოში.

ამ საუკუნის დასაწყისში, შემდეგ ერთ-მორწმუნის ძლევა-მოსილის რუსეთის სახელმწიფოს მიერ თავისს მფარველობის ქვეშე საქართველოს მიღებისა, თუმცა ამ ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობა და მტერთაგან უშიშრობა, მაგრამ მრავალ საუკუნეთა ჩაგვრამ მაჰმადიანთ ქრისტეს ჯვარისა და სარწმუნოების მტერთაგან, ღრმა შავ-ბნელი კვალი დაასვა ქართველების ცხოვრებას და მათ სარწმუნოებით-ზნეობრივს შეხედულებას. ამ ზნეობრივ-დამაქვეითებელ გავლენას მოჰყვნენ მომეტებულად უფრო საქართველოს განაპირა ნაწილები და ხალხნი: თუშ-ფშავ-ხევსურნი, ინგილო-გაღმა-მხარელნი; ოსნი აბხაზნი, სვანნი, ქობულეთელ-აჭარელნი და სხვანი. საზოგადოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს განაპირა ერნი. თუმცა ქრისტიანობა ამ ქვეყნებში აი ეს მე-15 საუკუნე იქმნება, რაც გავრცელდა, მაგრამ სარწმუნოებრივი მათი რწმენა-შეხედულება ძალიან შორსა სდგას ქრისტიანულ მართლმადიდებლობითის ეკკლესიის დოღმატიურ სწავლისა და წესრიგისაგან. სარწმუნოება მათი გარყვნილია მაჰმადიანობითა და წარმართობით, მართლმადიდებელ სამღვდელო კაცთა გარდა, იმათა ჰყავთ თავიანთი სამღვდელონი: ხუცეს-დეკანოზები და სხვა.

აი, ამისთანა სურათს წარმოადგენდა მდგომარეობა ამ საქართველოს განაპირა ნაწილების ხალხთა, რომელთ სულიერ ხელმძღვანელად, სარწმუნოების-ზნეობრივ მხრივ, იყო მოწოდებული ჯერედ ახალგაზრდა, ახლად აკადემიაში სწავლა დამთავრებული მღვდელ-მონაზონი ლეონიდე, დანიშნული მისსიანერად და ინსპექტორად ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა იმ დროის ექსარხოსის, აწ უპირველესის სინოდის წევრის, მიტროპოლიტის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პალლადის მიერ. დიდი უვიცობის უტეხი ტყე ედვა წინ გასაკაფავად ყოვლად სამღვდელოს. რომელს მარტო-ხელს მთესველს შეეძლებოდა არ გასტეხოდა გული განათლების თესვის დროს იმისთანა ყამირში, რომელსაც განათლების ბარი და საკვეთი პირველად ჰხვდებოდა. მაგრამ ასეთი როდის არის ყოვლად სამღვდელო. მან თავისის მგრძნობიარე გულით ალღო აიღო, რომ განათლება ის ქვა-კუთხედია, ის დედა-ბოძია, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული თაღი ჩვენის ერის კეთილდღეობისა. ამიტომ მანამ ამ დედა-ბოძს მკვიდრს ნიადაგზედ არ დააყენებდა, ამ ქვა-კუთხედზედ არ ააგებდა საკურთხეველს

პატიოსანის შრომის თაყვანის-მცემელთათვის, მანამდე ნამდვილის წარმატებისა და განათლების მადლი ჩვენ იქმნება არ გვღირსებოდა და მოგვხდომოდა.

თავისის სამშობლო ერის ამისთანა არა-სანატრელ მდგომარეობისა გამო ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა იდო თავს მოღვაწეობა, რათა გაენათლებინა ნათლითა ქრისტეს სახარებისათა ეს მივარდნილნი საქართველოს კუთხენი. თავისის აზრის მისაღწევად მან აღირჩია ორი საშუალება: სკოლა და ცხოველი ქადაგებითი სიტყვა.

თანამდებობაზედ დანიშვნის უმალ მას ვხედავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მთელის თვეობით სცხოვრობს იგი მთებში, სადაც ჰქადაგებს და არიგებს ხალხს ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე სოფელში. მას შეხვდებით თერგის ოლქში, თუშეთში, ხევსურეთში, ფშავეთში, აბხაზეთში, გაღმა-მხარში ლეკებსა და ინგილოებს შორის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში და სხვა. ზოგს ადგილას ხსნის იგი სკოლებს, ზოგან ეკკლესიის კრებულთათვის სადგომებს, ზოგან აღადგენს ნანგრევთაგან „ტაძართ შთენთ დიდებულთა და მონასტერთა აოხრებულთა," სადაც ძველად ჰყვავოდნენ და აღიზრდებოდნენ საქართველოს ერთგული მოღვაწენი.

მისის მეცადინეობით, სხვათა შორის, აღდგნენ ნანგრევთაგან თვისთა ქურმუხისა და თასმალოს ეკკლესიანი, ზაქათალის ოლქში, სადაც აშენებულ იქმნენ ეკკლესიის კრებულთათვის სადგომები.

ენა-ტკბილმა და თავაზიანმა, მარტივმა ცხოვრებაში და ყველასათვის მისაწვდომ მოსახვედრმა, გულ-კეთილმა და წრფელმა ყოვლად სამღვდელომ მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მიითვისა და დაიახლოვა ყველანი, ვისთანაც-კი საქმე უნდა დაეჭირა; გაამხნევა თითქმის სასოწარკვეთილი მასწავლებლები ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სასწავლებლებისა; გაუღვიძა მოწაფეთ ცნობისმოყვარეობა სწავლის შესათვისებლად და მისაღებად; შეაგნებინა მოსწავლეთა მშობლებს ბავშვების ქრისტიანულ სარწმუნოებაზედ აღზრდის უპირატესობა და საჭიროება და სხვა. სულ მცირე ხნის განმავლობაში ყოვლად სამღვდელომ გააორკეცა რიცხვი იმ 25 საზოგადოების სასწავლებლისა, რომელიც ჩაიბარა მან განწესების დროს. ყველგან დაიყოლია ხალხი აეშენებინათ სასწავლებლისათვის ახალი და მოხერხებული შენობები და ბავშვები მიეცათ სასწავლებლად სკოლაში.

არანაკლებ მრავალფეროვანი და მრავალ ნაყოფიერი იყო მოღვაწეობა ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა ქიზიყში. მისის შრომითა და თაოსნობით გადაკეთებულ იქმნა აქ საწინამძღვრო შენობა და შესანიშნავი ტაძარი ხირსის წმიდა სტეფანეს მონასტრისა, დიდებული ნაშთი მეშვიდე საუკუნისა. დაეგო ახალი იატაკი ტაძარში, დაედგა ახალი მშვენიერი ლუსკუმა წმიდა სტეფანეს საფლავზედ, გაილესა და გამშვენიერდა ტაძარი, შეაკეთებინა კარგად ვენახი და სხვა. აქვე გაიხსნა საეკკლესიო სამრევლო სკოლა. ეს უკანასკნელი პირველ ხანში ინახებოდა ყოვლად სამღვდელოს ხარჯით, მხოლოდ ბოლო დროს, მისის შუამდგომლობით უწმიდესმა სინოდმა დანიშნა მისს შესანახად 300 მანეთი. ყოვლად სამღვდელოსავე თაოსნობით გაიხსნა ასეთივე სკოლა ხაშმში მშვენიერის, კარგად მოწყობილის შენობით და 300 მანეთი მასწავლებელისათვის ჯამაგირად.

ასეთი ერთგული და მრავალ ნაყოფიერი სამსახური ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, რასაკვირველია, არ დარჩა უყურადღებოდ უწმინდესის სინოდისაგან. ერთგულის სამსახურისათვის და სამაგალითო ცხოვრებისათვის მღვდელ-მონაზონი ლეონიდე ისევ 1889 წელს დაჯილდოვებულ იქმნა ხაბარკულით; იმავე წელს დაინიშნა ქართლის საეპარქიო სამრევლო საბჭოს წევრად. ძალიან მალე, შემდეგ ამისა, ნაყოფიერი სამისსიონერო მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებულ იქმნა მკერდის ჯვრით და აღყვანილ ზედაძნის მონასტრის წინამძღვრად. 1893 წელს უწმიდესის სინოდის ბრძანებისამებრ დანიშნულ იქმნა ხირსის წმიდა სტეფანეს მონასტრის წინამძღვრად და აღყვანილ არხიმანდრიტის ხარისხზედ, ამასთან დარჩა მისსიონერად და ინსპექტორად. იმავე წელს არხიმანდრიტი ლეონიდე დაინიშნა ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად. 1896 წლიდან იგი გადმოყვანილ იქმნა დაჯილდოებით სინოდის ქართლ-იმერეთის კანტორის წევრად და წინამძღვრად იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოისა.

ამ ბოლო დროს ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს ცოტა შრომა არ მიუძღვის, როგორც თავმჯდომარეს სიონთან დაარსებულის არქეოლოგიურ სიძველეთა მუზეუმისას, თავმჯდომარეს დაბადების გამასწორებელ კომიტეტისას და თავმჯდომარეს სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოსას.

მეორე მხარეს ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოღვაწეობისას შეადგენს, როგორც ვსთქვით, მისნი მოძღვრებანი და ქადაგებანი. ყოვლად სამღვდელომ, როგორც სიყრმითვე თანაშეზრდილმა თავისს სამშობლოს ბუნებასთან და თანამოძმეების სვე-ბედთან, კარგად იცის ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ზნეობრივი მათი ელფერი, გონებრივი შეხედულება და სარწმუნოებრივი გრძნობა. ამისათვის ყოველი მისი სიტყვა დიდად ჰმოქმედებს ხალხზედ და ღირსეულის ნაყოფითაც გვირგვინდება, რადგანაც იგი შეთანხმებულია ადგილობრივ ვითარებასთან, რაიცა აორკეცებს მისს მოღვაწეობას ამ სარბიელზე.

წმიდის გრძნობით მივულოცავთ მღვდელ-მთავრობის ხარისხის მიღებას და ვისურვებთ მისთვის ხანგრძლივს მოღვაწეობას სამშობლო ერისა და ქრისტეს ეკკლესიის სასარგებლოდ. დიდად მოხარულნი ვართ, რომ ღვაწლი, შრომა, ნიჭი და განათლება ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა ღირსეულად დაფასებულ იქმნა.

მით უფრო გვიხარის, რომ მას ჰხვდა წილად სამსახურისათვის ის ქრისტიანობის უძველესი აკვანი, რომელსაც შეადგენს დედა ქართლი.

ა. ნატროშვილი.

ივერია - 1898. – N179. – 21 აგვისტო. – გვ.1.

ახალი ამბავი: – მამა არხიმანდრიტის კირიონის სახელდება ეპისკოპოსად დანიშნულია საქართველოს ექსარხოსის სახლის დარბაზში შაბათს, 22 მარიამობისთვეს, დღის 12 საათზედ, ხოლო ხელ–დასხმა ეპისკოპოზად კვირას, 23 მარიამობისთვეს, სიონის საკრებულო ტაძარში. ამ დღისათვის მოწვეულნი არიან ეპისკოპოსნი: გურია–სამეგრელოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც

უკვე ჩამობრძანდა, და იმერეთისა – ყოვლად სამღვდელო ბესარიონი. ამათ გარდა ხელ–დასხმაში, რომელიც შესრულებულ იქმნება მისის მაღალ–ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მიერ, მონაწილეობას მიიღებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა.

არქიმანდრიტმა კირიონმა ქვათახევიდგან ჩამოიტანა და ჩააბარა ტფილისის საეკკლესიო მუზეის 96 ცალი ხელნაწერი, რომელთაგან არა მცირე ნაწილი ტყავზედ ნაწერია. ტყავზედ ნაწერთა შორის არის ერთი სახარება, რომლის ბოლოში წმიდა გიორგი მთაწმინდელის ანდერძია ჩართული. ეს სახარება, ჩემის ფიქრით, უნდა იყოს ნაშთი მე–XI საუკუნისა. ანდერძი ფრიად ვრცელია და შიგ მოთხრობილია, თუ რამ აიძულა გიორგი ხელ ახლა ეთარგმნა სახარება: ძველი თარგმანები გადამწერლებს გაერყვნათო და ამიტომ მე ახლად ვსთარგმნეო. ერთგან სწერია (ანდერძში): „სახარებასა მართალსა და უფროჲს გზასა ბრწყინვალესა. ახლად განწმენდილსა წმიდისა მამისა რუენისა მიერ. გიორგი მთაწმიდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასო მრუდი და ნაკლული და არცა მეტი, ხოლო ჩამიწერია საძიებელი წელიწადისა“ და სხვა. შესანიშნავია აგრეთვე დავითნი, წვნიკის ნუსხურით გადაწერილი (სათაურები ოქროს მელნით გამოყვანი–ლია) 1494 წელს ამბროსის მიერ პატრონის მზეჭაბუკის ბრძანებით. ამ ძვირფას დავითნის შესახებ გვექნება საუბარი ცალკე წერილში, რომელშიაც განვიხილავთ ყველა დავითნს ერთად, ხოლო ეხლა უნდა შევნიშნოთ, რომ ერთ სხვა ხელნაწერში ჩვენ შეგვხვდა ფილოსოფოსის ი. პეტრიწის თქმული იამბიკოები და სხვა წიგნში კიდევ ძვირფასი ცნობა მე–VI საუკუნის მთარგმნელთა დავითისა და სტეფანეს შესახებ.

ქვათახევიდგან მოტანილ წიგნთა უმეტესი ნაწილი ყოფილა კუთვნილება ცნობილის ტარასი არქიმანდრიტისა და აგრეთვე ნიკონისა (ჯობინაშვილისა).

კირიონისაგანვე მუზეის გადმოეცა აგრეთვე დიდი სურათი ანტონ I–ისა (ზოგნი ამბობენ, ანტონ მეორეაო). კარგი იქნება, რომ ჩვენმა მესურათხატემ გადიღონ ამ სურათის პირი და გაავრცელონ.

ივერია - 1898. – N181. – 23 აგვისტო. - გვ.1-2-3.

ახალი ამბავი: – გუშინ, შუადღის 12 საათზე, საქართველოს ექსარხოსის სადგომში სახელ–დებულ იქმნა ეპისკოპოსად არქიმანდრიტი მამა კირიონი.

არქიმანდრიტის მამა კირიონის ეპისკოპოსად სახელდება

22 აგვისტოს, შაბათს, შუადღისას, საქართველოს საექსარხოსოს დარბაზში მოხდა სახელდება ეპისკოპოსად არქიმანდრიტის კირიონისა, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნა ალავერდის მღვდელ–მთავრად, ქართლ–კახეთის ეპარქიის მეორე ქორ–ეპისკოპოსად... სახელდების წესრიგს მრავალი ხალხი დაესწრო. სახელდება მოხდა საქართველოს ექსარხოსის მაღალ–ყოვლად სამღვდელო

ფლაბიანეს, გურია–სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს, იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის, გორის ეპისკოპოსის ლეონიდეს და სინოდის საქართველოს კანტორის პროკურორის თანადასწრებით. ეპისკოპოსად სახელდებას დაესწრო, დიდის საზოგადოების გარდა, რამდენიმე არქიმანდრიტი, დეკანოზი და მღვდელ–მონაზონი და მათ შორის ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გერმოგენი და ამავე სემინარიის ინსპექტორი მღვდელ–მონაზონი დიმიტრი...

სახელწოდების წეს–რიგის შესრულება დაიწყო სინოდის საქართველოს კანტო–რის მდივნის ბატონ სოფრომ მგალობლიშვილის მიერ წაკითხულის უმაღლესის ბრძანებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფემ და თვით მპყრო–ბელმა ნიკოლოზ მეორემ ყოვლად–უმოწყალესად დაამტკიცა უწმიდესის სინოდის განაჩენი, რათა არქიმანდრიტი კირიონი, წინამძღვარი ქვაბთახევის მონასტრისა, იქმნას ალავერდის ეპისკოპოსად, ქართლ–კახეთის ეპარქიის მეორე ქორ–ეპისკოპოსადაო...

ამ ბრძანების წაკითხვის შემდეგ მისმა მაღალ–ღირსებამ არქიმანდრიტმა კირიონმა გამოაცხადა თავისი თანხმობა წესისამებრ ეპისკოპოსის ხარისხის მიღების შესახებ... ამის შემდეგ დაიწყო მაღალ–ყოვლად–უსამღვდელოესმა ფლაბიანემ მშვიდობიანი, წმიდა ეკკლესიის მიერ წარმოსათქმელად დაწესებული, ეპისკოპოსად სახელდების დროს.

შემდეგ ახლად ეპისკოპოსად სახელდებულმა არქიმანდრიტმა კირიონმა წარმო–სთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა. დაახლოვებით ამ სიტყვის შინაარსი შემდეგია:

„მე სრულიადაც არ წარმოვიდგენდიო ამ თვრამეტის წლის წინად, როცა კურსი შევასრულე კიევის სასულიერო აკადემიაში, თუ ეს ჩემთვის ბედნიერი და დიდ–მნიშვნელოვანი დღე დადგებოდაო... მე კურსის შესრულების შემდეგ დავიწყე სამსახური სასულიერო წოდების ახალ თაობის აღმზრდელის ასპარეზზედ. მას უკან ბევრს რასმეს ვფიქრობდი, ბევრს გეგმას ვაწყობდი ჩემის მომავლის მოღვაწეობისას, ბევრს ადგილს ვირჩევდი სამსახურისას, მაგრამ უფლის განგებულებამ დღეს ნაჩვენებ გზაზედ დამაყენა: სხვებსავით მეც ვფიქრობდი მომეპოვებინა მყუდროება და ბედნიერება ოჯახურს ცხოვრებაში, მაგრამ ბედმა აქაც მიმუხთლა და ამის გამო სამსახური ეკკლესიის მიმართ მონოზნის წოდებაში ჩემთვის აუცილებელ აუშორებელი შეიქმნა. სწორედ ოცის თთვის წინად ამავე ადგილს, სადაც ეხლა ვდგევარ, ვიდექი მონაზონის მარტივსა და უბრალო ტან–საცმელში და ვაძლევდი აღთქმას მონაზონურის ცხოვრებისას... დიდი მადლობელი ვარ იმ ჩემის მოძღვრისა, რომელმაც ამ ჭეშმარიტს გზაზედ დამაყენა. დღეს უმაღლესის ბრძანებით უნდა ვიტვირთო მძიმე მოვალეობანი მწყემს–მთავრისა და ვიქმნე ალავერდის ეპის–კოპოსად – იმ ალავერდისა, სადაც ჰმოღვაწეობდა, სადაც ქადაგებდა და სადაც განსვენებულ არს წმიდა მამა აბბა იოსებ ალავერდელი... ალავერდის კათედრაზედ მოღვაწეობდა მრავალი ღირსი მღვდელ–მთავარი, რომელთ მის წიაღშივე იგემეს საუკუნო განსასვენებელი. ალავერდის ტაძარი ისეთი სიწმინდეა, რომელსაც დიდს პატივსა სცემენ არა თუ მხოლოდ მართლ–მადიდებელნი, არამედ არა–მართლ–მადიდებელნიც, და თვით მთიანის დაღესტნის მკვიდრნი: ლეკები და მაჰმადიანნიც–კი, რომელთაც ჩვენში წინაპრები ხმლით ხელში ეომებოდნენ თვისთა სარწმუნოებრივ

სიწმიდეთა დასაცველად და ბოლოს ქედი მოადრეკინეს თვისის სიწმიდის წინაშე საღმრთო განგებამ მარგუნა ძველი მართლ–მადიდებლობით განთქმულ ალბანიაში ალავერდის ეპისკოპოსს სამსახური წმიდა ეკკლესიის სასარგებლოდ. ვმადლობ საღმრთო განგებას ამ ხვედრისათვის მით უმეტეს, რომ მე ხელმძღვანელად მეყოლება ეკკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობის საქმეში გამოცდილი და ბრძენი მღვდელ–მთავარი... დასასრულს გთხოვთ, წმიდანო მღვდელ–მთავარნო, წარმომადგენელნო ივერიის ეკკლესიისანო, ილოცოთ ჩემთვის, რათა თქვენის მწყემს–მთავრულის ლოცვის მეოხებით უფალმან მომცეს შეძლება, ძალი და სიმხნე მისის ეკკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობისა."

ამ სიტყვების გათავების შემდეგ მთავარ–დიაკონმა მამა კარგარეთელმა ესოდენ განთქმულმა თვისის მშვენიერის ხმით, წარმოსთქვა „მრავალჟამიერი" ხელმწიფე იმპერატორის, მისის უავგუსტოესის მეუღლისა, და დისა და მემკვიდრისა, აგრეთვე უწმიდესისა სინოდისა და ეპისკოპოსის ახლად სახელდებულისა არქიმანდრიტის კირიონისა, რასაც თან მოჰყვა „მრავალჟამიერი," ექსარხოსის მგალობელთა გუნდის მიერ მწყობრად წარმოთქმული."

ამით გათავდა არქიმანდრიტის კირიონის ეპისკოპოსად სახელდება დღეს, 23 აგვისტოს, აკურთხებენ ეპისკოპოსად სიონის მიძინების საკათედრო საკრებულო ტაძარში. ამის შემდეგ მისის მოღვაწეობის ასპარეზად იქნება კახეთი, რომლის მართლ–მადიდებელნი მკვიდრნი მოელიან თვის შორის მართლ–მადიდებლობის, კეთილ–ზნეობის და კეთილ–დღეობის განსამტკიცებლად... ამ ქვეყანაში, რომელსაც სპარსელები „ოქროს ფოთოლს" ეძახდნენ, ძლევა მოსილის მეფეების წმიდა დავით აღმაშენებლის და თამარის დროს ღირსეულ მღვდელ–მთავრებისა და მღვდლების თანადახმარებით მართლ–მადიდებლობამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი. ამ ქვეყანაში დღეს მრავალი ტაძარია დანგრეული და აოხრებული, მრავალი სიმდიდრე ინახება, ფრიად ძვირფასი ჩვენის წარსულის შესასწავლად, გასათვალის–წინებლად, ბევრი რამ სჭირდება მას ხალხში სარწმუნოებისა და ზნეობის გასამტკიცებლად, სასულიერო განათლების დასანერგად და აღსაყვავებლად... სრული იმედია, რომ ყოვლად–სამღვდელო კირიონი, კარგად ცნობილი საქართველოში, როგორც გვამი, განმაახლებელი მრავალთა ნაშთთა ჩვენის ძველის ხუროთ–მოძღვრებისა და სასულიერო განათლების თანა–მგრძნობელი, შეძლებისა დაგვარად იმოღვაწებს კახეთის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ასპარეზზედ. იქაც აღადგენს ნანგრევთაგან რამდენსამე ტაძარს, დაუფასებელს ძეგლს კახეთის ძველის მართლ–მადიდებლობისას, რომლის განსა–მტკიცებელად იღვწოდნენ წმიდა იოსებ ალავერდელი და მრავალრიცხოვანი გუნდი ღირსეულ მღვდელ–მთავართა, მწყემსთა, მეუდაბნოეთა და მონაზონთა... საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ მოღვაწეობისათვის ყოვლად–სამღვდელო კირიონს ცოდნაც შესწევს, ძალაცა და გამოცდილებაც.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა მოღვაწეთა შორის სარწმუნოების და ზნეობის განმტკიცების ასპარეზზე მოღვაწე უფრო ძვირფასია, უფრო თანაგრძნობისა და სიყვარულის ღირსია, ვინაიდგან სარწმუნოება–ზნეობა „ქვეყნის მარილია," „საღმრთო

ცეცხლია“ და თუ ეს ცეცხლი ჩაქრება, კაცობრიობის ცხოვრებაც ერთს წერტილზედ შეჩერდება და მისი წინსვლა შეუძლებელი იქმნება.

ი–ძე.

ყოვლად–უსამღვდელოესი კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა

აღიღე კვერთხი სამღვდელმთავროი და წარუძეღ ერსა ჩვენსა გზასა სიმართლისა, სარწმუნოების და სათნოებისასა.

ქვეყნის ძალ–ღონეს ნივთიერი სიმდიდრე და ქონება–კი არ შეადგენს, გარნა სიმრავლე მაღალ–ზნეობიან, მორწმუნე და სათნოებიან ადამიანთა.

ესენი არიან ციხე–სიმაგრენი ხალხის ცხოვრებისა, შემნახველნი და განმადიდებელნი ერის კეთილდღეობისა; მძლეთა–მძლე ბურჯნი, რომელთ წყალო–ბით ქართველმა ერმა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მტკიცედ შეინახა სარწმუნოება და ეკკლესია, განაძლიერა თვისი საზოგადოებრივი ცხოვრება, დაიცვა ეროვნული თვისი არსებობა და სხვანი.

ორი წმიდათა–წმიდაა ქვეყნიერობაზედ: სარწმუნოება და სამშობლო. ეჭვი არ არის, რომ ძალას სახელმწიფოსას, ქვითკირს ცხოვრებისას შეადგენს მორწმუნე ზნეობიანი ხალხი. არასოდეს არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი ერი არ განვითარებულა და აღყვავებულა, მოქალაქობრივ ურწმუნოების ნიადაგზედ. ასე ყოფილა და ასე იქნება ყველგან და მუდამ. კაცს, დარწმუნებულს, რომ სიკვდილით ისპობა სრულიად და სავსებით მისი არსებობა; რომ სიკვდილის შემდეგ იგი აღარაფერს აზროვნებს, აღარაფერსა ჰგრძნობს, ვერა რა აიძულებს უკუ აგდოს პირადი თვისი სარგებლობა, სიამოვნება და ისწრაფოდეს საზოგადო სარგებლობისაკენ, პატივის–ცემით ეპყრობოდეს სხვის პიროვნებასა. ერთად–ერთს ლოღიკურს მსჯელობას, საზომს ამ ნაირის ადამიანებისას შეადგენს სამოქმედო კანონი, რომლის შესახებაც იტყვის პავლე მოციქული: – „უკეთუ მკვდარნი არა აღსდგნენ, ვსჭამოთ და ვსვათ, რამეთუ ხვალ დავიხოცნეთ“ (1–კორ. 15,32). ანუ, როგორც უფრო ვრცლად ასე უცხოთ არის აღნიშნული წიგნსა „სიბრძნისა სოლომონისასა:“ – „შემთხვევით ვშობილვართ და შემდგომად ამათსა ვიქმნებით, ვითარცა არა მყოფნი... მოვედით უკვე და დავიტკბნეთ მდგომარეთა ამათ კეთილთა და გავასახმაროთ მოსაგებელი, ვითარცა სიჭაბუკისა მოსწრაფება. ღვინითა მრავალ სასყიდლისა და მირონისა კეთილ სულნელითა აღვივსნეთ, რათამცა არა წრგუხდეს ჩვენი ყვავილი ჟამოვანი. გვირგვინოსან ვიქმნეთ ვარდითა ნარგისითა პირველ ვიდრე დაჭნობადმდე. ნურცა ერთი ჩვენთაგანი უნაწილო რათა იქმნების ჩვენისა მეტკბობისა ჩვენის, ყველგან დაუტეოთ ნიში სიხარულისა, რამეთუ ესე წილი ჩვენი და ნაწილი ესე. ვმძლავრობდეთ გლახაკსა მართალსა და ნუ შევიწყალებთ ქვრივსა, ნუცა მოხუცებულისა გურცხვენის მხცოვნისა მრავალ წლოვანთა.“ (სიბრძნე სოლომონისა, თავი 2–10).

ურწმუნნო ადამიანნი არამც თუ უსარგებლონი არიან ქვეყნისა და ხალხისა–თვის, არამედ მავნენიც. იმიტომ, რომ მხნეობა ძალა ხასიათისა და ნებისა, ეს კაცის თვისებანი, საჭირონი სამოქმედოდ კაცთათვის ყოველ გვარ სარბიელზედ, განვითარდება მხოლოდ რწმენის ნიადაგზედ.

ყოველ ერს, რაგინდ მცირე–რიცხოვანი იყოს, აქვს თავისი დიდებული რამ: ღირს სახსოვარნი ისტორიულნი მოვლენანი, სასარგებლო დაწესებულებანი, ხელმწიფენი და მმართველნი, რომელთაც იგი გაუძლიერებიათ, მეცნიერნი, მამულისშვილნი, რომელთაც თავისის მოქმედებით რაიმე ღვაწლი მიუძღვით ხალხის, ერის წინაშე ამ ბრძოლის დროს, ან მეცნიერებაში, ან ხელოვნებაში და სხვანი. ყველა ეს მოვალედ ჰხდის თითოეულს წევრს საზოგადოებისას უყვარდეს თავისი სამშობლო და ჰქონდეს თავი გადადებული მისის კეთილდღეობისათვის.

საქართველოს ერი და ეკკლესია, იმიტომ იყო ბედნიერი, რომ განგება უგზავნიდა მას ისეთს მოღვაწეებს, რომელნიც თავ–განწირულად იბრძოდნენ მისდა საკეთილდღეოდ, მისის გონებითისა და ზნეობითის განვითარებისთვის. ასეთის ზნეობისანი იყვნენ ჩვენნი ძველნი მეფენი, მღვდელ–მთავარნი და ეპისკოპოსნი. იმათი ფიქრი, აზრი და მზრუნველობა მუდამ თავის ერისა და ქრისტეს სარწმუნოებისადმი იყო მიმართული. იმათი სიქველე, მაღალი ზნეობა, მოძმეთა სიყვარული, ჩაგრულთა შებრალება, დაუღალავი შრომა, მტკიცე და შეურყეველი ხასიათი დიდხანს ექმნება ქართველ ხალხს საიდეალოდ. დიდი ღვაწლი მიუძღვით მათ, სამშობლოს და ქრისტეს ეკკლესიის წინაშე.

ასეთისავე მაღალის ღირსებით იყვნენ შემკულნი უწინდელნი ქართველნი. ქართველთ, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ჯვარითა და იარაღით ხელში, დაიცვეს უმწიკვლოდ ეკკლესია და სარწმუნოება.

დრონი იცვალნენ. სამწუხაროდ, ულმობელმა ჟამთა ბრუნვამ სრულიად შესცვა–ლა ის მაღალი ზნე, ის მთავარი აზრი და წმიდა გრძნობა, რომელიც ამკობდა ძველის ერის და ბერის, მეფეთა და მთავართა ღვაწლს სამშობლოს წინაშე. ამ მხრივ აწინდე–ლი ჩვენი ქართველი აჩრდილსაც აღარ წარმოადგენს უწინდელის ქართველისას. დღეს ქართულს ოჯახს თავისებური ხასიათი აღარა აქვს. მისი სარწმუნოება და ზნეობა საძირკვლიდგან დაძრულია. საკმაოა მცირე ქარ–ბუქი ცხოვრებისა, რომ ეს ორი დედა–ბოძი სამკვიდრო სათნოებისა დასცეს ძირს და მისი მაგიერობა საიჭიროს ყოველგვარმა ქვენა გრძნობამ, უსინდისობამ, უადამიანობამ, ოღონდ–კი შემკულ იყოს გარედან ყვავილებითა და თვალის ამხვევ მორთულ–მოკმაზულობით.

სადღა არიან აღმშენებელნი დიდებულის მცხეთის, ალავერდის, გელათის, ბაგრატის, სამთავროს, ხირსის და მრავალ სხვათა მონასტერთა და ეკკლესიათა? ჩვენთვის მითი განახლებაც–კი დიდი და დიდი გასაჭირი გამხდარა.

აღარ არიან საზოგადო საქმისათვის თავდადებულნი, მამულისა და რჯულისათვის თავ–განწირულნი დიმიტრი თავდადებულნი, ქეთევან და ლუარსაბ მეფენი, თევდორე მღვდელნი და სხვა. ყველა ესენი საარაკონი შექმნილან ჩვენის დროისათვის. ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენს დროში შეიძლებოდეს და შევხვდეთ დედათა შორის იმისთანა ქალს, რომელსაც მიუცია ხელში ფარი თავისის შვილისათვის და უთქვამს: – „დაბრუნდი ან ამით, ან ამაზედაო.“ ან იმისთანა დედას, რომელისაც

ხუთი ვაჟი შვილი ყოფილა წასული ომში და როდესაც მონას მოუტანია ამბავი: „ხუთივე შენი შვილი დაიხოცა ბრძოლაშიო,“ მან უთხრა გაჯავრებით: – „განა მე მაგას გკითხავდი, საძაგელო მონავ?! შენ მითხარ, თუ როგორ გათავდა ომის საქმეო.“ „ჩვენ გავიმარჯვეთო.“ – მიუგო მონამ. დედა მხიარული გაიქცა ტაძარში ღვთისა მიმართ მადლობის შესაწირავად. ერთის შეხედვით თითქოს ზნეობრივად წარმატების გზას დავსდგომოდეთ. მაგრამ ეს ერთობ შემცდარი შეხედულებაა. პირიქით, ყველა ჩვენგანი მაგრად ჩაკეტილა, მაგარის ციხე–გალავანით შემოზღუდვილა, ჰფიქრობს მხოლოდ თავისის თავისათვის და დარდი არა აქვს სხვისა. არიან ამ ჩვენს კურ–თხეულ სამშობლოში ისეთნი ბედნიერნი, რომელნიც ქვა ქვაზედაც რომ დადუღე–ბულიყოს, მაინც „ჰარალო–ჰარიალალეს“ იმღერიან და დიდების საფეხურზედ ოჩაფეხით ასვლას ჰლამობენ, დროშას აფრიალებენ და თამამად გაიძახიან „ჩვენ ვართ დიდება და სხივი ჩვენის ერისაო,“ „თუ გინდ დაიქცეს ქვეყანა, რა გვენაღვლება ჩვენაო.“ ისინი ჰფიქრობენ, რომ თავიანთი თავი უზრუნველ ჰყონ და მერე თავისს სოროში მიეცნენ განცხრომას და იმეორონ ნამუსის დასამშვიდებლად რომაული ანდაზა: – „სადაც თავს კარგად ვგრძნობ, ჩემი სამშობლო იქ არისო.“

დიდის სიხარულით მიეგებება ქიზიყ–კახეთი ყოვლად სამღვდელო კირიონის დანიშვნას ეპისკოპოსად კახეთ–ქიზიყში: ბედნიერად სთვლის თავისს თავს, რომ იგი წილად ჰხვდა იმ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის მისი ავი და კარგი, რომელსაც მისი ტკივილი ზედ–მიწევნით შეგნებული აქვს. ხოლო სადაც მიზეზი ჭირისა შეგნებულია, იქ მკურნალობაც ერთი ორად გაადვილებულია.

ბევრის საქმის შესრულება მოელის ყოვლად სამღვდელოს ქიზიყ–კახეთში.

ქართველი ხალხი, რომლის ხელით გაშენებულა აუარებელი რიცხვი ეკკლესია–მონასტრებისა თვალ–უწვდენელ მთებზედ, ტყეებში, ხევ–ღელეებში, სოფელ–დაბებში, ქალაქებში და სხვა. დღეს ისეთი გულ–გრილი გამხდარა თავის ეკკლესიისა, რომ 100–მდე ეკკლესია ქიზიყ–კახეთში უპატრონოთ დატოვებულია, ნადირთა და გველთა საბუნაგოდ ან საბუდარად გადაქცეულა. ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენს თვალ–წინ ინგრევა, იბღალება, თითქმის ისპობა დიდებულნი ნაშთნი ქრისტიანო–ბისა, რომელნიც ძველად განათლების შუქს ჰფენდა საქართველოს არე–მარეს. თვით ეკკლესიათა და მონასტერთა ნანგრევნი იდუმალ ჰგლოვობენ თავისს აოხრებას, განადგურებას, უშემწეობას, უპატრონობას და თანაც თითქოს დასტირიან ქართველთა გულ–გრილობას სამშობლოს სიძველეთა მიმართ.

საჭიროა მიექციოს ყურადღება უპირველესად ქრისტიანობის დიდებულ ძეგლთა ძეგლს წმიდა ალავერდისა და ხირსის მონასტრების განახლებასა და გამშვენიერებას. დიდი ღვაწლი დასდო უკანასკნელს ჩვენმა სასიქადულო მღვდელ–მთავარმა, ეპისკოპოსმა გორისამ ლეონიდმა, მაგრამ კიდევ ბევრი რამ ესაჭიროება.

აგრეთვე საჭიროა აღდგენა და განახლება დიდებულისა წმიდა ამაღლების მონასტრისა, რომელიც ჯერ კიდევ მთლადა სდგას. ეს მშვენიერის ხელოვნების მონასტერი, ჯერედ არ ცნობილი ჩვენისა და უცხო მწერლობაში, მდებარეობს ქიზიყში, სოფელ ოზაანის ახლოს, ტყეში. აქ ჯერ კიდევ კარგად დაცულია თამარ დედოფლისა და დავით სოსლანის სურათები კედელზედ.

იმასაც უნდა მიექციოს ყურადღება, რომ ქიზიყ–კახეთი გაღმა–მხრითურთ დიდ–განსაცდელსა და გაჭირვებაში არის ჩაცვივნული დღეს. ჩვენ ვამბობთ ეკონომიურად გაჭირვების მხრივ კი არა, სწორედ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ განსაცდელის შესახებ. გარედგან არტყიან მაჰმადიანნი: ლეკნი და თათარნი, ხოლო შინ გაბმული აქვს ქსელი მწვალებელთ. იმათის ზედგავლენით არა ერთი და ორი გაგარეწარებულა და შექმნილა ქრისტეს ეკკლესიის ურჩ შვილად. მღვდელნი გარდაქცეულან დაქირავებულ დღიურ მუშებად, რომ ჰკრიჭონ და ჰპარსონ ცხოვარნი. არამც თუ ვერ შევხვდებით ეკკლესიებში ცხოველს სიტყვა–ქადაგებას მწყემსისას თავისს სამწყსოს მიმართ, თითქმის წირვა–ლოცვაც–კი არა ყველგან სრულდება ეკკლესიებში იმისთანა დროსაც–კი, როგორც მარიამობის მარხვის დღეებია.

ამისათვის უნდა გაძლიერდეს ცხოველი ქადაგება ეკკლესიებში, იმართებოდეს კვირა–უქმეში საუბარნი–კითხვანი ზნეობრივ და სარწმუნოებრივ საგნების შესახებ.

ძალიან საჭიროა გამრავლდეს საეკკლესიო–სამრევლო სკოლები, რომელთა რიცხვი დიდად და დიდად მცირეა ქიზიყ–კახეთში.

აი, ეს რამდენიმე წელიწადია გვპირდებიან მეორე კლასიანის სკოლების დაარსებას ქიზიყსა და კახეთში, მაგრამ არ იქმნა, არა ეშველა რა საქმეს. ეს იმითი–კი არ აიხსნება, რომ ვითომც არ თანაუგრძნობდნენ ამ სკოლების დაარსებას მკვიდრნი, გარნა იმით, რომ არ მოიპოვებიან ამ საქმის მეთაურნი და სულითა და გულით ხალხის სიკეთეს მოწადინებულნი. ქართული ანდაზაა: „ხალხი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო.“

საეკკლესიო–სამრევლო სკოლები ახალი ხილი არ არის ჩვენში. ქართველის კაცის თვალში სწავლა იმ თავიდგანვე შეადგენდა დიდსა და წმიდა საქმეს, რომლის საფუძვლად იგი მუდამ ჰხადდა ღვთისა სიტყვას და საღმრთომსახურების წიგნებს. ეს წიგნები წარმოადგენდა, მისის შეხედულობით, ერთად ერთს წყაროს დაუშრეტელის ღვთაებრივის სიბრძნისასა და გზასა ცხოვრებისასა. ამათის მეოხებით ქართველმა ერმა ათასი წელიწადი შეინახა შეუცვლელად თავისი რჯული და ენა. მშვენიერის ენით თარგმნილი: „დავითნი,“ „სახარება,“ „სამოციქულო,“ „დაბადება,“ „წმიდათა მამათა ცხოვრება“ და სხვა. წმიდა წიგნები, აგრეთვე მათი განმარტება იმათთვის ისტორიაც იყო, კატეხიზმოც, ღვთის მეტყველებაც, კანონმდებლობაც და სხვა. „სამრევლო სკოლა ჰყოფდა საეკკლესიო მსახურსაც და სახელმწიფო მმართველსაც, მღვდელსაც და ერსაც.“ ერთს საუკეთესო მხარეს მაშინდელის ჩვენის სკოლისას შეადგენდა მათი ზნეობრივი ხასიათი და მიმართულება, რომლითაც იყო აღბეჭდი–ლი მთელი ცხოვრება და წეს წყობილება სკოლისა. ამას დიახაც, რომ დიადი ზნეობის ამამაღლებელი, განმაპატიოსნებელი და განმასპეტაკებელი გავლენა ჰქონდა ბავშვის სულიერად განვითარებისა და აღზრდა განათლებისათვის. ასეთი ხასიათი ჩვენის სკოლებისა ზედ–გავლენა იყო ძველის აღმოსავლეთისა და საბერძნეთის განათლების სისტემისა.

ჩვენის ძველის დროის სწავლა–აღზრდის ასეთის მნიშვნელობის მიუხედავათ, დროთა ვითარებამ გამოიწვია ახალი განათლების მოთხოვნილების სკოლები. როგორც სხვაგან, ჩვენშიც დაარსდა ესრედ წოდებული საერო სკოლები, რომელთაც

დიდი, ძალიან დიდი ცვლილება მისცეს იმ ათასის წლის მოხუცს, ამ ჟამად უსულოდ მდებარეს, რომელსაც ეწოდება „ქართული განათლება.“ სწავლა–განათლებას საზოგადოდ ის განსაკუთრებული თვისება აქვს, რომ აუცილებლად დაიმორჩილებს ადამიანს, თუ რომ იგი შეთანხმებული იქმნება იმის ენისა და ბუნების მოთხოვნილებასთან, მისს გულის ნაღვაწის და სულის სწრაფვასთან, ექმნება კავშირი მისს წარსულ ცხოვრებასთან. ამისთვის საჭირო იყო, რომ ახალი წეს–წყობილება ძველზედ აღმოცენებულიყო, მკვიდრად მასთან დაკავშირებული ყოფილიყო.

სამწუხაროდ, ძველის სწავლა–განათლების საძირკველი შეირყა ძირიანად, მისი წეს–წყობილება მოიშალა, არავინ დააცალა, რომ დროთა მიხედვით ახალი სწავლა–განათლება ძველზედ დამყარებულიყო. შედეგი ერთი იყო: სკოლამ თავისებურება დაჰკარგა: ძველი უარყოფილ იქმნა, ახალი ვერ შევითვისეთ, დავრჩით „ძუძუთა ბავშვივით“ ძიძის ანაბარად. დღეს ეს ნაკლულევანება სკოლებისა ცხადად და ნათლად გამორკვეულია უწმიდესის სინოდის მიერ, ამიტომ იმის უვარგისობის დამტკიცებას დიდი ჩიჩინ–ჭიჭინი აღარ ეჭირვება. ვისურვებთ სულით და გულით მხოლოდ, რომ ყოვლად სამღვდელო კირიონი თავისებურის გულ–მხურვალებითა და თავ–გამოდებით შესდგომოდეს საეკკლესიო–სამრევლო სკოლების გამრავლების საქმეს თავისს სამწყსოში.

მოვედ ღირსო მეუფეო და ღირსეულად დაიმკვიდრე სამღვდელ–მთავრო კათედრა ამბროსი ნეკრესელის, იოსებ აბბა ალავერდელის და ბოდბელისა. „ხე ხი–ლისაგან იცნობებისო, ნათქვამია, ხილი ხისაგან.“

აღიჭურვე სრულის ძალ–ღონითა და მხნეობითა, „ვინაიდგან აქ სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად მცირე.“

ა. ნ.

ივერია - 1898. – N182. – 25 აგვისტო. - გვ.1.

ახალი ამბავი: – გუშინ წინ, 23 აგვისტოს, სიონის საკათედრო ტაძარში ეპისკოპოსად აკურთხეს ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი, არხიმანდრიტი კირიონი. მწირველად იყო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე და მანვე შეასრულა წესი კურთხევისა. ექსარხოსს ეხმარებოდნენ ყოვლად უსამღვდელოესნი ეპისკოპოსნი გურია–სამეგრელოსი ალექსანდრე, იმერეთისა – ბესარიონი და გორისა – ლეონიდე; არხიმანდრიტნი ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჰერმოგენი და შემოქმედის მონასტრის წინამძღვარი იონა; საკათედრო ტაძრის დეკანოზი მ. ელიევი, სემინარიის ინსპექტორი მღვდელ–მონაზონი დიმიტრი, კანდელაკი სიონის ტაძრისა მ. თოთიბაძე და სხვ. მთელი სიონის ტაძარი და ეზო სავსე იყო ხალხით, რომელმაც დილიდგანვე მოიყარა თავი. საკურთხეველი აევსოთ სასულიერო წოდების კაცთა, რომელთა შორის ბევრნი სხვა ადგილებიდგან იყვნენ ჩამოსულნი. ტაძარში ექსარხოსის ხორო ჰგალობდა. კურთხევის წესის შესრულების შემდეგ, წირვის დროს თვით ახლად ნაკურთხმა ეპისკოპოსმა მღვდლად აკურთხა მ. იაკიმოვიჩი, კიევის სასულიერო აკადემიის კანდიდატი. წირვის შემდეგ, გარდასცა რა ეპისკოპოსს კირიონს კვერთხი,

მისმა მეუფებამ ექსარხოსმა მცირე სიტყვით მიჰმართა. – „აღიღე ესე კვერთხიო, სთქვა მან, და ჰმწყემსე სამწყსო ქრისტესი, აკურთხე სამწყსო შენი და წარიყვანე იგი გზასა სიმართლისასა, სამართლიანობისასა და ჭეშმარიტ სარწმუნოებისასა.“

ღვთის–მსახურების შემდეგ კურთხევაზედ დამსწრე ეპისკოპოსები და აგრეთვე ეპისკოპოსი კირიონი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანესთან იყვნენ სადილად მიწვეულნი.

ივერია - 1898. – N187. – 1 სექტემბერი. - გვ.1-2.

ფელეტონი

ბიოგრაფიულნი ცნობანი ყოვლად უსამღვდელოესის ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის შესახებ

უმაღლესის ბრძანებით ახლად დანიშნული ალავერდის მღვდელ–მთავრად, ქართლ–კახეთის მეორე ქორ–ეპისკოპოსად, ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, ერის კაცობაში სტატსკი სოვეტნიკი გიორგი საძაგლიშვილი, არის მღვდლის იერონიმეს შვილი. მამა მისი იყო მისიონერად მთიულეთში. პაპის–პაპა გაბრიელ საძაგლიშვილი წარმოადგენს ისტორიულ ადამიანს. იგი მოხსენებულია, როგორც მხნე მისიონერი საქართველოს ეპარქიის ისტორიაში (უწმიდესი სინოდის გამოცემა, 1826 წ., გვერდი 85). პაპის–პაპის–პაპა ბესარიონი მე–18 საუკუნეში იყო მისიონერად დიდოელებსა, ინგუშებსა და ქისტებს შორის.

ყოვლად სამღვდელო არის გორის მაზრიდგან, შთამომავლობით ქართველი და ქართლელი. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო გორის სასწავლებელში, შემდეგ სწავლა დაამთავრა ტფილისის სემინარიაში (1876 წ.) და შევიდა, უმაღლესის სწავლის მისაღებად, კიევის აკადემიაში. აქ დაასრულა მან სწავლა ღვთის–მეტყველების კანდიდატობის ხარისხით 1880 წ. და იმავე წელს, უწმიდესის სინოდის ობერ–პროკურორის განკარგულებით, განმწესებულ იქმნა ინსპექტორის თანაშემწედ ოდესის სემინარიაში, 1883 წელს იგი განსვენებულის, საქართველოში ექსარხოსად ყოფილის, ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს მიერ გადმოყვანილ იქმნა კახეთში თელავის სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ და საღმრთო რჯულის მასწავლებლად.

ამ დროიდან ყოვლად სამღვდელო არ განშორებია საქართველოს არე–მარეს: მასა ვხედავთ ჩვენ ხან კახეთში, ხან ქართლში, ხან იმერეთში. მისი მოქმედების ასპარეზი რთული და მრავალ–ფეროვანია. თუმცა პატარა ჭიქა უპყრია ხელში, მაგრამ მუდამ სავსეა იგი „მირონითა კეთილ სუნნელოვანითა და თაფლითა ტკბილითა გემოვნებით.“ 1883–ის წლიდგან ვიდრე 1890 წლადმდე იგი აღასრულებდა არა ერთხელ ზედამხედველის და მის თანაშემწის თანამდებობას ქართლ–კახეთში: ჯერ თელავის, მერე გორის სასწავლებელებში. ხოლო 1890 წლიდგან ვიდრე 1896 წ. იგი მასწავლებლობს იმერეთ–ამერეთში: ჯერ ქუთაისის, მერე ტფილისის სასწავლებ–ლებში. არ დარჩა თითქმის საგანი, რომელიც არ ესწავლებინოს, ამ ხნის განმავლო–

ბაში, ყოვლად სამღვდელოს: იგი ასწავლიდა კატეხიზმოს, საღმრთო ისტორიას, რუსულს სამოქალაქო ისტორიას, გეოგრაფიას, რუსულს ენას, ქართულს ენას ან სხვა.

თუ რომ გავითვალისწინებთ, რა ჯაფას თხოულობს რიგიანად თუნდა ერთის საგანის შესწავლა, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რა დიდი შრომა და მხნეობა უნდა დასჭირებოდა ყოვლად სამღვდელოს, მით უფრო, რომ ყოველს საგანს იგი ეძლეოდა სრულის გულითა და სულით.

ყოვლად სამღვდელო არ ეკუთვნის იმ მასწავლებელთა გუნდს, რომელნიც, რაკი აუხსნიან მოსწავლეს გაკვეთილს, სრულიად შესრულებულად სთვლიან თავის მოვალეობას. არა, მას აგრე როდი ესმის თავის თანამდებობის მაღალი დანიშნულება. პირიქით, სრულს თავის ძალ–ღონეს ანდომებდა, რომ გაეხალისებინა მოსწავლე, გაეხსნა მისთვის თვითცნობიერების სურვილი და შეეყვარებინა მისთვის საგანი. ამ აზრის მისაღწევად ხშირად ძალიან მცირე დროს უთმობდა გაკვეთილის გამოკითხვა გამოძიებას. წინააღმდეგ, საკვირველის ხელოვნებით უკითხავდა იგი მოსწავლეთ წიგნებს, უამბობდა ყურადღების მიმზიდველსა და მომხიბვლელს ამბებს, ავარჯიშებდა, ახელოვნებდა მათ საგნების გათვალისწინება–აღწერისა და მის დასურათხატების საქმეში და სხვა.

აი მიზეზი, რადაც უყვარდათ ასე გატაცებით ყოვლად სამღვდელო კირიონი (გ. საძაგლიშვილი) თავისს მასწავლეებს, განურჩევლად ქალთა და ვაჟთა ყველგან, სადაც კი მას მოხდომია მასწავლებლობა.

თავისის პირდაპირის მოვალეობის გარდა, ყოვლად–სამღვდელო ასრულებდა ამ ხნის განმავლობაში, ბევრს სხვა საქმესაც. 1883 წ. თელავის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოთა კრება ირჩევს მას სარევიზიო კომიტეტის წევრად უწყებულის სასწავლებლის ანგარიშების გასარჩევ–შესამოწმებლად, 1875 წლიდგან ვიდრე 1884 წელიწადამდე.

ამავე დროს იგი ასწავლიდა რუსულს სამოქალაქო ისტორიას თელავის საქალებო წმიდა ნინოს სასწავლებელში. იყო წევრად კომისიისა, არჩეულის უწყებულის სასწავლებლის წიგნთ–საცავის წესრიგის შესამუშავებლად და გორის მაზრის ზემო ნიქოზის და წმიდა მიხაილ მთავარანგელოზის ეკკლესიის კომიტეტის წევრად. ამ მხრივ გულმოდგინე ზრუნველობისათვის მიეცა მას ლოცვა–კურთხევა წყალობის წერილითურთ უწმიდესის სინოდისაგან.

სინოდის საქართველოს კანტორის 24 სექტემბრის 1896 წ. განკარგულებით იგი დანიშნულ იქმნა ქართულ დაბადების ტექსტის შემასწორებელ კომიტეტის წევრად.

ნოემბერს 1896 წ., როგორც ვთქვით, გიორგი საძაგლიშვილი აღიკვეცა ბერ–მონა–ზონად კირიონის სახელით. ძალიან მალე და ადრე განვლო მან მონაზონობის საფეხური, – ხარისხნი. 3 ნოემბერს იგი აღკვეცილ იქმნა მღვდელ–დიაკვნად; რამდენისამე დღის შემდეგ – მღვდელ–მონაზონად. ერთის თვის შემდეგ (9 დეკემბერს 1896 წ.) ყოვლად–უსამღვდელოესის, ექსარხოსად ყოფილის საქართველო–ში, აწ მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტის ვლადიმირის შუამდგომლობის თანახმად, განწესებულ იქმნა, უწმიდესის სინოდის ბრძანებით, წინამძღვრად ქვა–ბთახევის მიძინების მონასტრისა, იგუმენობის ხარისხზედ აღყვანით. 31 დეკემბერს

1896 წ. დაინიშნა საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინად და ინსპექტორად კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა.

როგორც ქართველმა, კარგად მცოდნემ თავისის ერისა და ხალხის სულიერის საჭიროების და მოთხოვნილებისამ, ყოვლად სამღვდელომ კირიონმა უპირველესად მიაქცია ყურადღება სკოლების გამრავლება–გაუმჯობესებას. ინსპექტორად ყოფნის სულ მცირე ხანს ახლად დააარსა: ერთი აცერისხევის ერთ–კლასიანი სამრევლო–საეკ–კლესიო სკოლა, – სამი სკოლა გადააკეთა ერთ–კლასიან სკოლიდგან ორ–კლასიან სკოლად ახალციხისა, გორისა და ტფილისის მაზრებში. ამას გარდა აღაშენა: სამი ეკკლესია საზოგადოების საბჭოს ხარჯით, 19 სამრევლო სახლი; სადგომები სკო–ლებისათვის აცერისხევში, ვანათში და თიანეთში.

განსაკუთრებით ყურადღება ყოვლად–სამღვდელო კირიონისა, მის ინსპექტო–რად ყოფნის დროს, იყო მიქცეული იმაზედ, რომ უზრუნველეყო ნივთიერად და განეუკეთესებინა მასწავლებელ ქალთა და ვაჟთა მდგომარეობა, მათი ყოფა–ცხოვრე–ბა. კიდეც მოიყვანა აღსრულებაში ეს თვისი დანაპირები. ძნელად შევხვდებით აწ უწყებულს სკოლებში იმისთანა მასწავლებელებს, რომელნიც იღებდნენ 350 მან. ნალ–ლებ ჯამაგირს წელიწადში, ხოლო არიან ისეთებიც, რომელთა წლიური ჯამაგირი მიაღწევს 500 მანათამდე. თითქმის ყოველ სასწავლებელსა აქვს თავისი საკუთარი წიგნთ–საცავი და სამკითხველო. ამ ხელ–შემწყობის გარემოებით, სხვათა შორის, აიხსნება ის მოვლენა, რომ ამ სკოლის მოსწავლენი თავისუფლად გადადიან ხშირად აქედგან არდონის სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე სხვა სასულიერო და სამინისტროს სასწავლებლებში.

თავის მრავალ ნაყოფიერის და მრავალ სასარგებლო მოქმედებით ყოველ ამა სარბიელზედ მღვდელ–მთავარმა კირიონმა, დიახ რომ სამართლიანად, დაიმსახურა საზოგადო სიყვარული და პატივისცემა.

იმ ღვაწლის გამო, რომელიც მიუძღვის ყოვლად–სამღვდელო კირიონს ქრისტიანობის უძველეს ნაშთთა ხატვასა და სამეცნიერო მის შესწავლა–გაცნობაში, საიმპერატორო მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან იგი ამორჩეულია წევრად კორესპონდენტად ამა საზოგადოებისა.

წმიდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ძმობის დადგენილების თანა–ხმად ყოვლად–სამღვდელო არჩეულ და დამტკიცებულ იქმნა ამ საზოგადოების სამუდამო წევრად.

ამავე ხანს (1896 წ. აპრილს) აღრჩეულ და დამტკიცებულ იქმნა იგი ტფილისის სიძველეთა საცავის კომიტეტის წევრად.

ამ ნაირი სასარგებლო მოქმედება ყოვლად–სამღვდელო კირიონის, რასაკვირ–ველია, არ დარჩა უყურადღებოდ უწმიდესის სინოდის მხრივ. 10 მაისს 1898 წ. იგი აღყვანილ იქმნა არხიმანდრიტის ხარისხზედ, ხოლო ერთის თვის შემდეგ (17 ივნისს 1898 წ.) უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ ალავერდის მღვდელ–მთავრად, ქართლ–კახეთის მეორე ქორ–ეპისკოპოსად.

ყოვლად–სამღვდელო დიდის ხნიდგან ჰმოღვაწეობს სამშობლო და რუსულ მწერლობაში. მას აქვს ნაწერები დაბეჭდილი გაზეთებში: „ივერია“–სა, „მწყემს“–სა,

„კავკას“–სა, „ახალ მიმოხილვა“–სა, „მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების შრომაში“ და სხვა.

უმთავრესი მისი წერილები, წიგნები და წიგნაკები შემდეგია:

1). Св. Равно-апостольная Нина, просветительница Грузии; 2). Св. царь Мирианъ Хосроианъ, первый христианский венценосецъ Грузии; 3). Переводъ священно-богослужебныхъ книгъ на груз. языке и значение его для грузинской церкви; 4). Описание метехскаго четвероевангелия; 5). Историко-археологический очеркъ метехскаго храма; 6). Двадцативековая религиозная борьба православной грузии съ исламомъ; 7). О грузинскомъ пении; 8). Речь о заслугахъ грузинскаго монашества и монастырей для отечественной церкви и общества; 9). Последний эпизодъ изъ вековой борьбы православной грузии съ мусульманами – шиитами; 10). История и древности цромскаго Вознесенскаго храма; 11). Ананурский богородичный саборъ и его окрестныя достопримечательности; 12). Обозрение карталинскихъ церквей Высокопре-освященнымъ Владимиромъ, экзархомъ грузии съ историко-археологическими замечаниями; 13). Давидъ III, Возобновитель, царь грузии; 14). О святыхъ отцахъ грузинской церкви: Антоние отдиночке; 15). Св. Або, мученике; 16). Лозовый крестъ св. Нины, просветительницы грузии въ связи съ вопросомъ о значении креста какъ знамения въ языческомъ мире; 17). О Храмахъ: цромскомъ, никозскомъ и Оконскомъ; 18). Теория словесности и история грузинской литературы (лекции, читанныя въ Епархиальномъ училище); 19). გიორგი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პოლიტიკოსი; [ასე წერია, მაგრამ უნდა იყოს: გიორგი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პიიტიკოსი.] 20). თამარ დიდი და მისი სახელწოდება; 21). Характеръ грузинской (Иверской) церкви и ея значение для православия; 22). Иуда, въ древней Иверии и проч.

აქვს რა მდიდარი წიგნთ–საცავი მან არა ერთი და ორი ჩვენის ისტორიისა და წარსულის ცხოვრების შესწავლისათვის ძვირფასი ნივთი შესწირა „წერა–კითხვის საზოდაგოების წიგნთ–საცავს“ და სიონის სობოროსთან დაარსებულს მუზეუმს.

ერთს მაღალ თვისებას მისი სულისა და ხასიათისას შეადგენს კიდევ ის, რომ მისი სალარო შეადგენს საზოგადო კუთვნილებას. ვითომ დაგიჭიროთ რაიმე წიგნი. ან სამეცნიერო მასალა, როდესაც მიმართავთ. პირიქით, თვითონ რომ სჭირდებოდეს, ჯერ თქვენ დაგაკმაყოფილებთ და შემდეგ თვითონ მოიხმარებს.

ამ ჩვენს მცირე შენიშვნას, ახლად განმწესებულის, ყოვლად–სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის შესახებ, დავაბოლოვებთ ჩვენის მწერალ–მგოსანის შემდეგის სიტყვებით: – „კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილოდ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავ–დადებით.“

ა. ნ.

ივერია - 1898. – N205. – 24 სექტემბერი. - გვ.2-3.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში

13 სექტემბერს, ნაშუადღევს, ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, რომელსაც ახლდნენ თან თავად აზნაურობის წინამძღოლი თავადი მაყაშვილი, მაზრის უფროსი ბატონი განსევიჩი, ბლაღოჩინი დეკანოზი მ. ხელაშვილი, სამრევლო საეკკლესიო სკოლების ზედამხედველი მამა ნიკოლოოზ ჯაჯანიძე და სხვა სასულიერო და საერო წოდებისანი გაემგზავრა ალავერდისკენ. პირველსავე სოფელში - ვარდისუბანში დაათვალიერა სამრევლო ეკკლესია და სკოლა. გამოსცადა მოსწავლენი, კმაყოფილი დარჩა საღმრთო სჯულის მასწავლებლისა მღვდელ ტაბლიევისა და სხვა საგნების მასწავლებელისა და მადლობა გარდაუხადა. აქედგან რუისპირის ეკკლესია დაათვალიერა და საღამოს ლოცვის დროს მიბრძანდა ალავერდს. იქ, ტაძრის დათვალიერების შემდეგ, დაიწყო დაუჯდომლით ლოცვა. მლოცველი ბრძანდებოდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი. ჰგალობდა თელავის სასულიერო სასწავლებლის ქართულ-რუსული მგალობელთა გუნდი ბატონ ნიკოლოოზ სულხანიშვილის ლოტბარობით. ალავერდის ტაძრის ხმის მოცემა აორკეცებდა და ამშვენებდა გალობასაც, მშვიდობიანის და ასამაღლებელის წარმოთქმასაც.

14 სექტემბერს მათმა მეუფებამ ფლაბიანემ და ეპისკოპოსმა კირიონმა სწირეს. წირვაცა და ლოცვაც დიდებული იყო. თითქოს განგებას ამ ტაძრის დასამშვენებლად შეუქმნია, მთავარ-დიაკონი კ. გარგარეთელი, ისე უხდებოდა მისი სასიამოვნო მაღალი ხმა ამ ტაძრის სიდიადეს. აგრეთვე მშვენივრად იგალობა ქართულადაც და რუსულადაც სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდმა. წირვაზედ წინა დღეს მთავრად ნაკურთხი აკურთხეს მღვდლად და ერთს ახალგაზრდა მღვდელს ირიდიონ შავლისშვილს უკურთხეს სამღვდელო ენქერი.

ალავერდს მრავალი ხალხი იყო მოსული. მრავალი ყველი და თუშური ქუდი იყო გასასყიდად მოტანილი, აგრეთვე ერბო, შინაური პირუტყვი და სხვა სოფლის ნაწარმოები. მთიდამ ჩამოსულიყვნენ ფშავ-ხევსურნი, თუშები და ქისტები, ინგილოდგან ინგილონი და კახელ-ქიზიყელნი. ყველას თავისის ნაწარმოების სხვაზედ გადაცვლა უნდოდა. აქავე იყვნენ უცხო ქვეყნის შვილები სამეცნიერო აზრით მოგზაურნი ბარონი დე ბაი და სხვანი, რომელნიც სურათებს იღებდნენ მთიელებისას, სწერდნენ ჩაცმულობას და ყიდულობდნენ კიდეც მთიელ ქალების ზოგიერთ მოსართავს.

აქ განზრახ მოვიხსენიე მოკლედ ალავერდობას შეკრებილ ხალხის ვინაობა და მოსვლის საგანი. ხშირად სცდებიან ჩვენებიც და უცხონიც, როცა ალავერდობას შეკრებილ ხალხს სარწმუნოებრივ გრძნობის ნაკლებულობას უზრახავენ. უნდა იცოდნენ, რომ ალავერდობა ჯერ ბაზრობაა და არა შეკრება მლოცავებისა სატაძრო დღესასწაულ დღეს. ეს მნიშვნელობა ჰქონია წინადაც და ექმნება იმ დრომდე, ვიდრე

მთებში კარგი გზები არ იქმნება გაყვანილი და იქაც არ გაიდგამს ვაჭრობა ფესვს. სწორედ ალავერდობა ის დროა, როცა ყველა ნაწარმოები ხელში აქვს სოფლელს ბარელსაც და მთიელსაც და როცა ამ ნაწარმოების გარდაცვლა შესაძლებელია. ბარელს უნდა: ერბო, ყველი, საკლავი, მატყლი, ქუდი და სხვა. მთიელს უნდა: ხახვი, ნიორი, ჭრელი წინდა-პაჭიჭი, ჩახსაკრავი, ღვინო, არაყი, საფართლო, ჭურჭელი და სხვა. ყველა ამის გასაღებ-შეძენაშია ხალხი. ამისათვის ზრუნვა შიგ ტაძარშიაც შეაქვს, თუკი შევიდა. ამიტომ ის მოწიწება არ ეტყობა არც ტაძარში და არც ტაძრის გარეთ, როგორის მოწიწებითაც ის სხვა დროს არის. ვინც ამ მხრივ არ დაუკვირდება, იგი ბევრს ნაკლს შესწამებს აქ მოსულთ მთიელ-ბარელებს.

წირვის შემდეგ მათი მეუფების ალავერდის ეპისკოპოსის სადილზედ ბრძანდებოდა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, მათთან თელავიდგან წამოსულები და აქავე დაესწრო ბატონი აკაკი და თავადი ბაგრატიონი. წირვის შემდეგ ზოგნი გამოეთხოვნენ, მიიღეს მღვდელ-მთავრული ლოცვა-კურთხევა და წავიდნენ. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ძალიან კმაყოფილი დარჩა მგალობელთა გუნდისა, გამოსთქვა აზრი, რომ სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდი არაფრით არ ჩამორჩება ჩემს მგალობელს გუნდსაო. ლოტბარს ბატონ ნიკოლოოზ სულხანიშვილს დიდი მადლობა უბრძანა.

საღამოს 5 საათზედ მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გაემგზავრა სოფელ ქისტაურისაკენ, გზა და გზა ეკკლესიები დაათვალიერა და მიბრძანდა თავად კიაზო ერისთავისას, რომელმაც წინათვე სთხოვა, მისას დარჩენილიყო ერთს ღამეს. აქ კნეინა ანნა ერისთავისა შეეგება მათ ყოვლად უსამღვდელოესობას დაახლოვებით შემდეგი მოკლე სიტყვით ქართულს ენაზედ: „კახეთის თავად-აზნაურობა დიდის სიხარულით და სასოებით მოგელოდდით, თქვენო მეუფებავ, და ეს მოლოდინი იყო არა ჩვეულებრივი: ჩვენ მოგელოდდით, როგორც ვასილი დიდსა და იოანე ოქროპირსა. დარწმუნებულნი ვართ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ისევე განაახლებთ და ააღორძინებთ ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს სწავლას, როგორც ვასილი დიდი და იოანე ოქროპირი და ისევე განამტკიცებთ სარწმუნოებას, როგორც ანდრია პირველწოდებულმა დაამკვიდრა და განამტკიცა იგი საქართველოსა და რუსეთში.“

15 სექტემბერს, დილით, დიდად ნასიამოვნები თავად ერისთავის მასპინძლობით მისი მეუფება წამობრძანდა ქისტაურიდგან აწყურისაკენ. ხოდაშენში დაათვალიერა ეკკლესია, რომელშიაც მშვენიერის სიტყვით შეეგება მამა სპირიდონ მთვარელიშვილი. 9 საათზედ მობრძანდა სოფელ აწყურის სამრევლო ეკკლესიაში, სადაც მღვდელმა ალადაშვილმა შესაგებებელი სიტყვა მოახსენა. აქ განიხილა დეკანოზის პეტრე კონჭოშვილისაგან შეწირული სახარება, რომლის მდიდარმა, მშვენიერმა შეჭედულობამ მათის მეუფების ყურადღება მიიქცია. აქედგან აბრძანდა თეთრ-გიორგში, სადაც დაჰხვდა წინამძღვარი ამ ეკკლესიისა, ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე და ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი სხვა თანა-მგზავრებით წაბრძანდნენ აწყურის ორ-კლასიან სკოლის დასათვალიერებლად.

გამოსცადეს მოსწავლენი ორივე განყოფილებისა სუყველა საგნებში და აღმოჩნდა, რომ საღმრთო სჯულის ცოდნით სუსტნი იყვნენ.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, როგორც სხვა სასწავლებლებში, აქაც თავისის ხელით ჯვრები დაურიგა მოსწავლეთ. შემდეგ იგემოვნა ამ სკოლასთან არსებულ საბაღოსნო განყოფილების ნაყოფი: ნესვი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი და სხვა. და წაბრძანდა სოფელ იყალთოს პირდაპირ ღვთაების ტაძრისაკენ, რომელიც დაარსებულია ზენონ იყალთოელისაგან და სადაც ერთს დროს არსებობდა აკადემია.

(დასასრული იქნება)

ნადიკვრელი.

ივერია - 1898. – N206. – 25 სექტემბერი. - გვ.3.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში

(დასასრული)

სოფელ იყალთოს მისაბრუნში დაჰხვდა მათ მეუფებათ მთელი რაზმი ცხენოსანთა თავად მაყაშვილებისა, რომელთაც მათი მეუფებანი მიაცილეს ღვთაების ტაძრამდის. გალავანში იდგა თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა. წინ მიეგება მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას თავადი ვლადიმირ მაყაშვილი და მიჰმართა სიტყვით, რომელშიაც დახატა წარსული დიდება ამ ტაძრისა, დაასახელა შესანიშნავი მღვდელ-მთავრები თვით თავად მაყაშვილთაგან და რა მოიხსენია აწინდელი მდგომარეობა ტაძრისა, სთხოვა, ყურადღება მიექცია მისთვის. თვით ტაძარში მამა მაისურაძე შეეგება მათ მეუფებას მგრძნობიარე სიტყვით. მერე მათმა მეუფებათ დაათვალიერეს ამავე სოფლის სამრევლო ეკკლესია, სადაც სიტყვითვე შეეგება ადგილობრივი მღვდელი და მიბრძანდნენ თავად ვლადიმირ მაყაშვილისას, რომელსაც მიწვეულნი ჰყავდნენ მათი მეუფებანი სადილად.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ სადილის დროს ის აზრი გამოსთქვა, რომ ალავერდის განახლების საქმე უნდა გადაიდოს მომავლისათვის, რადგანაც მართლმადიდებელთა ყოველი ძალ-ღონე ჯერ მცხეთის ტაძრისაკენ უნდა იყოს მიქცეული. ალავერდს, როგორც გარდაწყვეტილია, ჯერ-ჯერობით ოთხი სამხრე დაეხურება, რომ წვეთი შეიკაოს და მერე გვმართებს იმისთვისაც ფიქრი და მეცადინეობაო.

სადილის შემდეგ მათნი მეუფებანი წაბრძანდნენ შუამთის მონასტერში. აქ დაათვალიერეს ტაძარი, საწინამძღვრო სახლი, თითოეული სენაკი და სამონასტრო ბაღი თვისის აუზითა და თევზებით. აქ საღამოზედ გამოეთხოვნენ მათ მეუფებას ზოგნი და სხვათა შორის თელავისა და თიანეთის მაზრების საეკკლესიო სამრევლო სკოლების ზედამხედველი მამა ნიკოლოოზ ჯაჯანიძე, რომელიც სოფელ ურიათუბნიდგან დაწყებული, ვიდრე შუამთამდის თან ახლდა და რომელმაც

შემდეგის სიტყვით დაუხატა თვისი საზედამხედველო სკოლები, როცა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პირველს სამრევლო სკოლაში შებრძანდა:

„მათის უდიდებულესობის დაუფასებელი საჩუქარი ჩვენის ქვეყნისათვის იყო თქვენი საქართველოს ექსარხოსად დანიშვნა. თქვენ ხართ დაუშრეტელი წყარო სიყვარულისა და შებრალებისა, რომლის საერთო მოქმედებისა და მეცადინეობის ერთადერთი საგანი არის დავრდომილის ზე წამოყენება, ღირს ყოფა მისი ბედნიერებისა და იმ წყვდიადის განათება, რომელსა შინა იტანჯვის დავრდომილი. ამისათვის მოვახსენებ-რა თქვენს სიყვარულით აღსავსე ყურადღებას, რომ ჩემსა საზედამხედველოში არის 14 საეკკლესიო სამრევლო სკოლა, რომელთაგან ერთი ორ-კლასიანია, სამი ერთ-კლასიანი და 10 საანბანო, რომლებშიაც სწავლობს 457 მოსწავლე ორისავე სქესისა; სკოლებ შორის 9 საკუთარს შენობაშია მოთავსებული, დანარჩენი - დაქირავებულში; სუყველა სკოლებში 14 საღმრთო სჯულის მასწავლებელია, 20 მასწავლებელი ქალი და კაცი, რომელთაგან 5 მარტო მასწავლებლად არის და სხვები-კი მასწავლებლობას სხვა თანამდებობასთან ასრულებენ. არ შემიძლიან დავუმალო თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, რომ ერთის მხრივ, მოხსენებული სკოლები მრავალს განკარგებას თხოულობს, ხოლო მეორეს მხრივ, სუყველა ამ სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი და თუნდა ამას ზედ მივუმატოთ თითქმის ერთი ამოდენავე რიცხვი სამინისტრო სკოლების მოსწავლეებისა, შეადგენს ერთს და მხოლოდ ერთს წვეთს იმ აუარებელი სასკოლო წლოვანების ბავშვებისას, რომელნიც უსკოლოდ არიან დატოვებულნი. ამისათვის, სამღვდელოების მიერ ბეჯითობის და ერთგულების გარდა, საჭიროა შესაფერისი განკარგულებანი და გამხნევებანი თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მხრივ. ვითხოვ-რა მღვდელ-მთავრულს ლოცვა-კურთხევას ჩემს საზედამხედველო მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის, ვარ ღრმად მსასოებელი, რომ ბევრი რამ საუკეთესოდ შეიცვლება აქ სახალხო განათლების საქმეში და ყველა ამ წარმატების მიზეზი შეიქმნებით თქვენ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ.“

მისმა მეუფებამ საეკკლესიო სამრევლო სკოლების ზედამხედველთან ისაუბრა, მისცა ჯეროვანი დარიგებანი, გარდაუხადა მადლობა და ლოცვა-კურთხევით დაითხოვა. აგრეთვე გამოეთხოვა თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი მაყაშვილი, რომლისაც განსაკუთრებით დიდი მადლობელი დარჩა ექსარხოსი.

დარჩნენ შუამთის მონასტერში მაზრის უფროსი ბატონი განსევიჩი, ბლაღოჩინი დეკანოზი მამა ხელაშვილი, თავადი ი. ანდრონიკაშვილი და ამალა. ყველანი ვახშმად მონასტრის წინამძღვარ კირიონთან ბრძანდებოდნენ.

16 სექტემბერს, დილით ადრე წაბრძანდა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე ტფილისისაკენ. გასაცილებლად გაჰყვნენ მისი მეუფება ყოვლად სამღვდელო კირიონი, დეკანოზი ხელაშვილი, ბატონი მაზრის უფროსი და გზის ინჟინერი თავადი ი. ანდრონიკაშვილი. პირველმა ორმა თეთრ-წყლებამდის გააცილეს, ე. ი. თელავის მაზრის მიჯნამდის და გამოეთხოვნენ. ბლაღოჩინს დეკანოზს ხელაშვილს მათმა მეუფებამ დიდი მადლობა უბრძანა. მაზრის უფროსმა ბატონმა განსევიჩმა და თავადმა ანდრონიკაშვილმა სოფელ გომბორამდის ჩააცილეს. იქ მიიღეს ლოცვა-კურთხევასთან მადლობა მისის მაღალ ყოვლად

უსამღვდელოსეობისა და მაშინ-ღა დაბრუნდნენ უკან, როცა ექსარხოსის ეტლი გაისტუმრეს გომბორიდგან ტფილისისაკენ.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის მოგზაურობიდგან, სხვათა შორის, ნათლად გამოირკვა, რომ მისი მეუფება მღვდლობასთან აკავშირებს ხალხის მასწავლებლობას, ე. ი. მღვდლობის თანამდებობას, სხვათა შორის, შეადგენს სკოლებში საღმრთო სჯულის რიგიანად სწავლება მაინც, თუ ყველა საგნებისა არა; მასწავლებლობის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის შეიძლება მღვდელი ადგილდგან ადგილზედ გადაყვანილ იქმნას და იქნება სულაც უადგილოდ დატოვებულ; მდიდარის მრევლის მღვდლები მალე დაჰკარგავენ თავისს მრევლს, თუ სკოლის საქმეში შეეტყობათ სიზარმაცე ან დაუდევნელობა; მრევლი მოვალეა აძლიოს თავისს მოძღვარს და სხვა ეკკლესიის მოსამსახურეს ყველაფერი ისე, როგორც უძლევიათ აქამდე, ვიდრე მღვდლებს ჯამაგირი დაენიშნებათ და როცა დაენიშნებათ, ეს გარემოება საყოველთაოდ იქმნებაო გამოცხადებული.

ნადიკვრელი.

ივერია - 1898. – N211. – 3 ოქტომბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - 1 ოქტომბერს მცხეთის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, ყოვლად სამღვდელოთა გორის ეპისკოპოსის ლეონიდისა და ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის თანამწირველობით. წირვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გადახდილი. შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა დაათვალიერა სამთავროს დედათა მონასტერი და სკოლა. სადილათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მიწვეულ იქმნა სობოროს სამღვდელოებისაგან. ღამის მთეველნი ცოტანი იყვნენ, რადგანაც წინა ღამეს საშინელი წვიმა იყო. დღეობასაც უამინდობისავე გამო ხალხი ნაკლებად დაესწრო.

ივერია - 1898. – N226. – 23 ოქტომბერი. - გვ.3-4.

ძვირფასი განძი

ყოვლად სამღვდელო კირიონმა კახეთიდგან ჩამოიტანა 68 ხელნაწერი და გადმოსცა ტფილისის საეკკლესიო მუზეის. მოსალოდნელი იყო, რომ კახეთი, ეს კურთხეული მხარე, სადაც უწინ ლამპრად განათლებისა ჰყვაოდა აკადემიები, და იცავდა ჩვენ უბადრუკთათვის ბევრს ძვირფასს წიგნს. მართლაც, შემოწირულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა რამდენიმე შესანიშნავი წიგნი. ამ წიგნების შესახებ ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგში, ხოლო აწ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმ ტყავზედ ნაწერ ხელნაწერის შესახებ, რომელსაც „ძვირფასი განძი“ ვუწოდეთ.

ეს დიდი და უჩინებულესად დასურათხატებული წიგნი არის სახარება, რომლის გადაწერა დასრულებულა 1059 წელს.

წიგნში მრავალი საყურადღებო ცნობებია სახარების თარგმნისა, თეიმურაზ I-ისა და სხვათა შესახებ. ყველა ამას ჩვენ განვუზიარებთ მკითხველებს ჩვენს „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილებში," ხოლო ამ მცირე შენიშვნის ბოლოს ჩავურთავთ იმას, რაც წიგნის უკანასკნელს ორს გვერდზედ სწერია.

ქ. ადიდენ ღმერთმან ძლიერსა და უძლეველსა! ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოელისიმოსმან გამოიყვანა კონსტანტინოპოვლით იოვანე პროიდროსი: ძე ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა: პროიდროსისა და პროტარხონისა და მოვიდეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა აპრილსა: ია: დღესა ახალკვირიაკესა: სრულმცა არს ღუთისა მიერ დიდებაი მათი ჟამთა უკუნისამდე: ესე წყალობაი მოიწია ღუთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა მამასახლისობასა გლახაკისა ქარდილაისასა: ქრონიკონი იყო: სოთ: (=1059 წ.).

შემდეგ ასო მთავრულით:

ქ:. არის:. დიდის:. კაცხის:. მონასტრის:. გლეხი:. ჯუმლად:. ასი:. გაღმაგამოღმა:. ზვარი:. და:. სარეწე:. (?):. კახბერიძის:. მზღვრამდე:. კაცხს:. სანადირო:. ხელ:. შეოალად:. სათევზე:. ხელ:. შეოალად:. ამენ:.

სხვა ხელით და ხვეულის ჩინებულის მხედრულით აქვე ცალკე სტრიქონად:

ქ:. მეფეთ:. მეფე:. ბაგრატ:. ვამტკიცებ:. ... (ერთი სიტყვა გადალეულია) ვმატკიცებ.

ჩვენ „პალეოგრაფიულ ნიმუშებს," რომლის გამოცემა ითავა პატივცემულმა აკაკიმ, აკლდა ხელი გელათის განმაახლებელის ბაგრატ მეფისა და დღეიდგან მას დაამშვენებს ნაწერი იმ წარჩინებულ ხელმწიფისაც, რომელიც მარად იღვწოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

მ. ჯანაშვილი.

ივერია - 1898. – N236. – 4 ნოემბერი. – გვ.1.

ახალი ამბავი: - მცხეთის ტაძრის განმაახლებელმა კომიტეტმა უკანასკნელი კრების დროს დაადგინა ამიერ-კავკასიაში შემოწირულების შესაკრებად, მღვდელ ბერიძის გარდა, აარჩიოს ერთი ან ორი კაცი კიდევ და გაჰგზავნოს ისინი იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიებში. ამას გარდა კომიტეტმა გადასწყვიტა მიიწვიოს წევრებად ყოვლად სამღვდელო კირიონი და დ. ზ. ბარათაშვილი. იმავე კრებაზედ კომიტეტმა, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის წინადადების თანახმად, დაადგინა მიიწვიოს კომიტეტის საქმის-მწარმოებლად ა. ი. ნატროშვილი.

ივერია - 1898. – N241. – 10 ნოემბერი. - გვ.1-2.

ახალი ამბავი: - კვირას, 8 ნოემბერს ტფილისმა იდღესასწაულა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელმწიფო მოღვაწეობის ორმოცდაათის წლის შესრულება.

ამ დღეს ალექსანდრე ნეველის ტაძარში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოე-სობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე მწირველი ბრძანდებოდა, ყოვლად სამღვდელო კირიონისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გარდახდილი, რომლის დროსაც წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა, მათის მეუღლის დედოფალის იმპერატრიცის ალექსანდრა

თეოდორეს ასულისა, მათის დედის - დედოფლის იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულისა, მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრის ძისა, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა, დიდის მთავრის მიხეილ მიხეილის ძისა და სრულიად სამეფო სახლეულობის სადღეგრძელოდ. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავადი ი. ა. ამილახვარი, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ე. ე. ზეზემანი, გენერლობა, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ეგერ-მეისტერი თავადი კ. ი. მუხრან-ბატონი მაზრის წინამძღოლებითურთ, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი, ტფილისის ქალაქის მოურავი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და მრავალი ხალხი.

ამავე დღეს ყოვლად-სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი მწირველი ბრძანდებოდა მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში ავლაბარს. წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისი გარდახდილ იქმნა აგრეთვე ტფილისის სხვა ეკკლესიებშიაც. ამ დღეს მრავალი სახლი ბაირაღებით იყო მორთული.

ივერია - 1898. – N254. – 28 ნოემბერი. - გვ.2.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფელი ქვემო–ნიქოზი. თვისის მდებარეობითა და კარგის ჰავით ეს სოფელი წარჩინებულია გორის მაზრის სოფლებ შორის, მაგრამ ასზე მეტი კომლი აქაურ გლეხთა მხოლოდ ხვნა–თესვას მისდევს და იმდენად ღარიბნი და ხელ–მოკლენი არიან, რომ აქამდე ერთის სკოლის დაარსება ვერ მოუხერხებიათ. ამ გვარ არა–სანატრელს მდგომარეობას თვისის სამშობლო სოფლისას მიაქცია ყურადღება ყოვლად უსამღვდელოესმა ალავერდის ეპისკოპოსმა კირიონმა, შესწირა საკმაოდ ფული სკოლის შენობის შესაკეთებლად, ავეჯის სასყიდლად და სხვა. და, გარდა ამისა, სამუდამოდ აღუთქვა დახმარება – წელიწადში შეჰპირდა არა ნაკლებ 5 თუმნისა. მისს მეუფებას მიჰბაძეს ამა სოფლის მემამულეთ და სამღვდელოებამაც და თვისის მხრივაც დახმარება აღუთქვეს სკოლას. ამ წლის ზაფხულს მისის მეუფების თხოვნით, ქვემო–ნიქოზის მცხოვრებლებმა ერთხმად დაადგინეს დააარსონ თავიანთ სოფელში სამრევლო–საეკკლესიო ერთ–კლასიანი სკოლა და გადიხადონ ამ სკოლისა–თვის წელიწადში ათი თუმანი, აგრეთვე მისცენ სკოლას საჭირო შეშა და დაუყენონ მოსამსახურე.

18 ნოემბერს სკოლის დამაარსებლის ყოვლად უსამღვდელოესის ეპისკოპოსის კირიონის, მახლობელ სოფლების მემამულეთა და მთელის სოფლის მცხოვრებთა თანადასწრებით აკურთხეს ახალი სკოლა, რომელიც დროებით მოთავსებულია საეკკლესიო შენობის ორს ოთახში. სკოლის კურთხევის შემდეგ სამრევლო სკოლების სამაზრო ზედამხედველის მღვდლის ბენიამინე კონტრიძის მიერ, წარმოთქმულ იქმნა მრავალჟამიერი სამეფო სახლისა, უწმიდესის სინოდისა, მაღალ–ყოვლად უსამღვდე–ლოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესი, ყოვლად უსამღვდელოესის ეპისკოპოსის კირიონისა და იმპერიის სამრევლო–საეკკლესიო სკოლების მფარველის, უწმიდესი სინოდის ობერ–პროკურორის კ. პ. პობედონოსცევის სადღეგრძელოდ. ახლად დაარსებულს სკოლაში ეხლავე მიღებულ იქმნა 40 მოსწავლე ორისავე სქესისა. ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა დალოცა ახლად მიღებულნი მოსწავლენი და ჯვრებითა და ტკბილეულით დაასაჩუქრა. შემდეგ მისმა მეუფებამ წარმოსთქვა სიტყვა, და აუხსნა ხალხს, რამდენად საჭიროა და სასარგებლო ყოველ კეთილ მორწმუნე ქრისტეანესათვის შესწავლა საღმრთო სჯულისა. სკოლაში მიღებულ მოსწავლეთა მშობლებს სთხოვა – ნუ დაიზარებთ ყმაწვილების გაგზავნას სკოლაში და სწავლას ნუ მოაკლებთ ხოლმეო. ხოლო ის მშობლები, რომელთა შვილნი ჯერ–ჯერობით არ იქმნენ სასწავლებელში მიღებულნი უადგილობის გამო, ანუგეშა, რომ ვეცდები მომავალ წელს უფრო ბევრი მოსწავლე იქმნეს მიღებული სასწავლებელშიო და საზოგადოდ სკოლას არ მოვაკლებ ჩემს ყურადღებასა და მფარველობასაო. ადგილობრივმა მემამულემ თავ. ზ. ფავლენიშვილმა მთელის სოფელის მაგიერად მადლობა შესწირა ყოვლად უსამღვდელოესს კირიონს სკოლის დაარსებისათვის და თვითონ იკისრა სკოლის მზრუნველობა... სკოლის მასწავლებლად დანიშნულ იქმნა მცხეთის წმიდა ნინოს დედათა სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ქ–ნი საძაგლიშვილი და საღმრთო სჯულის მასწავლებლად ადგილობრივი მღვდელი დ. კაპანაძე.

ივერია - 1898. – N257. – 2 დეკემბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - კვირას, 30 ნოემბერს, ტფილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში, ამ ეკკლესიის დღეობას, მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ალავერდის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო კირიონისა, სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის ჰერმოგენის და სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის დროს სემინარიის რექტორმა სიტყვა წარმოსთქვა. ეკკლესიაში სემინარიის ორი ხორო გალობდა - ქართული და რუსული.

ივერია - 1898. – N272. – 19 დეკემბერი. - გვ.3.

ნარკვევი

(ჟურნალ–გაზეთებიდგან)

გაზეთ „კავკას“–ში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „საქართველოს ძველ ეკკლესიის ნაშთთა შესახებ.“ ავტორი ამბობს, რომ ამ ძველ ნაშთებს ცუდი დრო დაუდგათო: ზოგი მათგანი ქრისტიანობის მტერთაგან განადგურებულ იქმნა, ზოგი კიდევ ქრისტიან მეზობელთაგან შენახულ და მითვისებულ იქმნაო.

„მართალია, ამ ბოლოს დროს, განაგრძობს ავტორი, კომიტეტები შესდგა, რომელთაც აზრად ამ ძველ ეკკლესიების განახლება და აღდგენა აქვთ, მაგრამ მაინც უმრავლესობა უყურადღებოდ და ღვთის ანაბარაა მიტოვებული. საუბედუროდ, ამ უკანასკნელმა გარემოებამ სხვათა გაუმაძღარ მადას ხელი შეუწყო: მათ მიითვისეს ძველი საეკკლესიო შენობანი, საეკკლესიო მიწები, სასაფლაოები და სხვანი. განსაკუთრებით ასეთი შემთხვევები ხშირია იქ, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხი სცხოვრობს.

არა ერთხელ და ორჯერ აღუძრავთ ლაპარაკი როგორც ადგილობრივ, აგრეთვე სატახტო ქალაქების ჟურნალ–გაზეთებში იმის შესახებ, რომ სომხები ხშირად ითვისებენ ქართველთა ძველ საეკკლესიო ნაშთებს. ჯერ ისევ შარშან ადგილობრივი გაზეთები სწერდნენ, რომ სომეხთა სამღვდელოებამ მიითვისა დუშეთის მაზრაში ქართველ მართლ–მადიდებელთა ბოდავის წმიდა გიორგის ნიშიო.

ამ ჟამად ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაქცია ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსმა კირიონმა. რათა შემდეგშიაც სომხებს არ შეეძლოთ მართლ–მადიდებელთა ეკკლესიის საკუთრების მითვისება, ყოვლად სამღვდელო კირიონმა მოხსენება წარუდგინა მაღალ–ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოსს, რომელშიაც საჭიროდ სცნობს შემდეგის ზომების მიღებას: 1). შემოერტყას გალავანი, ან არხი შემოევლოს იმ მიწებსა და შენობებს, რომელიც მართლ–მადიდებელთა ეკკლესიებს ეკუთვნის; 2). შეტანილ იქმნას ეს მიწები და შენობანი საეკკლესიო დავთარში, ამასთან აღნიშნულ უნდა იქმნას მათი რაოდენობა და საზღვრები; 3). დაე–ვალოს მღვდლებს, რომ ყველა მიწერილ ეკკლესიას დაენიშნოს მრევლისაგან სანდო მზრუნველი, რომელმაც თვალ–ყური უნდა ადევნოს, რათა ეკკლესია წესიერად იქმნას შენახული; 4). რადგანაც საექსარხოსოში ისეთი მღვდლები არ მოიპოვებიან, რომელთაც იცოდნენ კანონმდებლობა, დაარსებულ იქმნას სინოდის კანტორასთან იურისკონსულტის თანამდებობა. ამ იურისკონსულტმა უნდა აწარმოოს სასამართ–ლოებში ყველა ის საქმე, რომელიც სომეხთა მიერ მართლ–მადიდებელთა ეკკლე–სიების საკუთრებათა მითვისებას შეეხება.

იმედია, დასძენს ავტორი, ყოვლად სამღვდელო კირიონის ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ბოლო მოეღება სხვათაგან საეკკლესიო ქონების მითვისე–ბას. ამასთან, რაკი იურისკონსულტის თანამდებობა იქმნება დაწესებული, ეჭვი არ

არის, იმის შესახებაც აღიძვრება ლაპარაკი, რომ მართლ–მადიდებელთა ეკკლესიებს დაებრუნოს ის, რის მითვისებაც უკვე მოასწრეს სომხებმაო.

ივერია - 1898. – N275. – 23 დეკემბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: - ტფილისის საეკკლესიო მუზეის კომიტეტის თავმჯდომარედ მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნა ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი.

ივერია - 1899. – N7. – 12 იანვარი. - გვ.2-3.

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოფელი ვანათი, (გორის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს გორიდგან 30 ვერსის სიშორეზედ, ჩრდილოეთის მხარეს. იგი მშვენიერი სააგარაკო ადგილია ზაფხულო–ბით. ვანათს რამდენისამე ნაბიჯის გადადგმაზედ ჩამოუდის კამკამა პატარა ლიახვი, რომელიც სავსეა ჭრელის კალმახით. აღმოსავლეთით წყლის მარცხენა ნაპირიდგან იწყება კლდიანი მთა; ამ მთაზედ სდგას ვანათის ციხე, რომელიც დიდი ხნის აშენებულია, მხოლოდ უკანასკნელ დროს შეუკეთებია ბატონიშვილს იულიონს, რისთვისაც ამ ციხეს აქ იულიონის ციხეს ეძახიან.

ვანათში სახელმწიფო გლეხები სცხოვრობენ. თუმცა აქაური მდებარეობა კარგია, მაგრამ სახნავი მიწები ძალიან ნაკლებად არის. თითქმის ყველა აქაური გლეხი, გაზაფხულდება თუ არა, მიდის ახლო–მახლო მდებარე სოფლებში, სადაც იღებს ხოლმე ვენახებს შესამუშავებლად. ერთის სიტყვით, თუ აქაური გლეხი გარეთ არ გავიდა სამუშაოდ, მარტო ვანათის მამულით კუჭს ვერ გაიძღობს.

ვანათში დიდი ხანია არსებობდა ერთ–კლასიანი სკოლა მართლ–მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით. ეს სკოლა წარსულ წლის ენკე–ნისთვიდგან გადაკეთებულ იქმნა ხსენებულ საზოგადოების მიერ ორ–კლასიან სასწა–ვლებლად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის მეცადინეობით. სასწავლებ–ლისთვის აგებულია ორ–სართულიანი ქვითკირის შენობა, სადაც მოთავსებულია: სასწავლო ოთახები, შორითგან მოსიარულე მოსწავლეებისათვის ღამე სადგომი ოთახი, ორი მასწავლებლისა, მღვდლისა და დიაკვნისათვის სადგომი და სხვა. პირ–ველი მაგალითია ჩვენს მაზრაში ამნაირი გემოვნებით აგებული შენობა სკოლისა და საეკკლესიო კრებულისათვის.

აქაურ ბლაღოჩინის იოანე კაპანაძის გულმოდგინე მეცადინეობით და ჩაგონე–ბით ვანათელებმა ააშენეს პატარა, მაგრამ მეტის–მეტად კოხტა ეკკლესია. გაზა–ფხულისთვის ეს ეკკლესია სრულიად მზად იქნება. ბლაღოჩინმა მამა იოანემ კაპანაძემ ფულადაც საკმარისი დახმარება აღმოუჩინა ვანათელებს. ახალი ეკლესია სულ რამდენიმე ნაბიჯის საშორეზედ არის ახალ აშენებულისავე ორ–კლასიან სასწა–ვლებლიდგან.

მარტო ვანათელები–კი არ გაბედნიერდნენ ორ–კლასიანი სკოლის დაარსებით, არამედ მთელი პატარა ლიახვის ვანათ ზემოდ ხეობაც. რადგან ამ სკოლაში ყველას თანასწორი უფლება აქვს შვილების აღზრდისა.

დეკემბრის პირველ რიცხვებში სკოლის ახალის შენობის დასათვალიერებლად მობრძანდნენ აქ ყოვლად სამღვდელო კირიონი, გენერალი კამაროვი, რომელიც მართლ–მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების წევრად ითვლება და საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის გამგე ბატონი პეტრეპავლოვსკი. სოფ–ლელებმა გაიგეს–რა, მობრძანდებიანო, მადლობის გამოსაცხადებლად თავი მოიყა–რეს ახალ აგებულ სკოლის აივანზედ.

ძვირფასი სტუმრები, მოსვლისთანავე, სასწავლო ოთახში შებრძანდნენ, სადაც 68 მოსწავლე დახვდათ. ძალიან მოიწონეს სტუმრებმა სკოლის შენობა. რადგან მოიჯარადრე სოლომონ კასრაძემ იზარალა შენობაში, დაჰპირდნენ მას შემწეობის აღმოჩენას და კიდეც აღასრულეს დანაპირები. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ დაადგინა – მიეცეს დამატებითი ფული კასრაძეს 300 მან. საჩუქარივითაო. ამნაირად, კეთილად დაწყებული საქმე კეთილადვე დაბოლოვდა. საპატიო სტუმრებმა სკოლის მოწაფეებისთვის შობის ხის მოსართავად რამდენიმე მანეთი დასტოვეს, რითაც ერთი–ორად გაორკეცდა მათის მოსვლით გამოწვეული სიხარული ბავშვებისა და მათის მშობლებისა.

აქეთ ქურდობა ძალიან გახშირებულია; ისე ღამე არ გავა, რომ ზოგ სოფელში ცხენები, ძროხები, ხარები, ქათმები და ინდაურები არ დაიკარგოს. ერთის სიტყვით, რაზედაც–კი ხელი მიუწვდებათ ქურდებს, აღარას ჰზოგავენ. ასე გათამამებული ქურდობა ჯერ არ მოგვსწრებია ჩვენში.

26–ს ქრისტეშობისთვეს სოფელ მერეთში ეწვივნენ ქურდები ერთს გლეხს, რომელსაც მოჰპარეს უღელი ხარი. რა წამს გაიგეს მერეთელებმა, ყველა ფეხზედ დადგა და აზ. ფურცელაძეების მეთაურობით გამოუდგნენ ქურდებს. კვალი მიიტანეს სოფელ ელტურაში, სადაც ორ ხართან იპოვნეს ნაქურდლები. უთუოდ, მერეთს გვიანობამდე ქურდები ვეღარ მიეკარებიან.

წრომელი.

ივერია - 1899. – N46. – 3 მარტი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – ქართლ–კახეთ–იმერეთის სინოდის კანტორის განკარგულებით იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც ქართულის დაბადების შესწორება აქვს მინ–დობილი, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ლეონიდის ნაცვლად, დანიშნულ იქმნა ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა.

ივერია - 1899. – N56. – 14 მარტი. - გვ.3-4.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით“
(შედგენილი არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ ტფ., 1898 წ.)

კარგა ხანია ჩვენი სკოლები და საზოგადოებაც მოელოდა ამ წიგნის დაბეჭდვას. ლოდინი აღგვისრულდა და ეხლა წიგნი წინ გვიდევს, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვსთქვათ, შეძლებისა დაგვარად, ჩვენი აზრი მისის ღირსების შესახებ.

ყველა ჩვენთაგანი, ცხადია, სიხარულით უნდა მიეგებოს ისეთი დარგის წიგნის გამოცემას, როგორითაც ღარიბია ჩვენი ახალი ლიტერატურა. სიტყვიერების თეორიის შედგენა და გამოცემა ქრისტომატიის ზედ დართვით, როგორც ვიცით, პირველი მაგალითია ჩვენში და ამიტომ ჩვენც დიდის სიხარულით მივეგებეთ ასეთის საჭირო წიგნის დაბეჭდვას. რაც უნდა იყოს, იგი ცოტად მაინც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებასა და საჭიროებას. ამიტომ კმაყოფილი უნდა ვიყოთ მოხსენებულის „სიტყვიერების თეორიით“ და მადლობაც უნდა განვუცხადოთ შრომისთვის მის შემდგენელებს, მით უმეტეს, რომ ისინი თითონ გვთხოვენ ნაკლულევანების ჩვენებას და გვპირდებიან მომავალში მის გაუმჯობესობას.

„სიტყვიერების თეორია,“ როგორც ზედ–წარწერა გვიჩვენებს, არის „სახელ–მძღვანელო წიგნი, შედგენილი სათავად–აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საქალებო სკოლებისათვის;“ ეს ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ ამ წიგნზედ მსჯელობის დროს.

წიგნის განხილვას ჩვენ თვით მისი შემდგენლების წინასიტყვაობიდგან დავიწყებთ.

„ამ ჟამად უკვე საჭიროა,“ ბრძანებენ ისინი, „არსებობდეს ისეთი სახელმძღვანე–ლო, რომლის შემწეობით შეიძლებოდეს შესწავლა ქართულის ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიისა. ამ აზრით ჩვენ შევადგინეთ ჯერ–ჯერობით ეს მოკლე სახელმძღვანელო სიტყვიერების თეორიისა და ზედ დავურთეთ ცალკე დამატებად საქრისტომატიო ნაწილიცა, ანუ კრებული იმისთანა სალიტერატურო ნიმუშებისა, რომელთა განხილვა და შესწავლა საჭიროა თეორიის შესათვისებლად.“

როგორც სჩანს ამ სიტყვებიდგან, განსახილველი წიგნი შესდგება ორის ნაწილისაგან. პირველს ნაწილში მოთავსებულია სიტყვიერების მოკლე თეორია, ხოლო მეორე ნაწილს შეადგენს კრებული სალიტერატურო ნიმუშებისა.

ჩვენი შენიშვნები შეეხება მხოლოდ პირველს ნაწილს, ესე იგი, სიტყვიერების თეორიას, რადგანაც მეორე ნაწილი წარმოადგენს მხოლოდ კრებულს სალიტერატუ–რო ნიმუშებისას და აქ შემდგენელების შრომა მარტო იმითი გამოიხატება, რომ მათ შეუკრებიათ და გადმოუბეჭდიათ ისეთი ნიმუშები ჩვენის ძველისა და ახალის სიტყვიერების ნაწარმოებიდგან, რომლებიც საჭიროდ დაუნახავთ თეორიის გასამართლებლად. ამას გარდა აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ მოხსენებულ ორ ნაწილს შორის არავითარი არსებითი კავშირი არ არსებობს, ასე რომ თქვენ

შეგიძლიათ ერთი ნაწილი მეორეს მოაშოროთ, ცალ–ცალკე შეკაზმოთ და ერთის წიგნის ნაცვლად დაგრჩებათ ხელში ორი წიგნი.

მართლაც, ერთიცა და მეორეც მოუცილებლად საჭიროა სიტყვიერების თეორიის შესასწავლად, მხოლოდ ისიც უეჭველია, რომ ამისთვის საჭიროა მათ შორის რაიმე კავშირი არსებობდეს. ამ კავშირის საჭიროებას თვით წიგნის შემდგენელები გვიჩვენებენ, როცა ჰბრძანებენ: „სალიტერატურო ნიმუშების განხილვა და შესწავლა საჭიროა თეორიის შეთვისებისათვის.“ სრულიად თანახმა ვართ, მხოლოდ უნდა ვკითხოთ წიგნის შემდგენლებს: როგორა სჯობს, ნიმუშების განხილვასა და შესწავლაზედ უნდა იყოს დამყარებული სიტყვიერების თეორიის შესწავლა და შეთვისება, თუ ჯერ ცალკე სიტყვიერების მოკლე და დოღმატიური თეორია და მერე ბოლოში სალიტერატურო ნიმუშების მოქცევა?

ყველა უკეთესის ახალ სახელმძღვანელოების დამწერნი და სიტყვიერების საუკეთესო მასწავლებლებიც პირველ გზას ადგანან და ჩვენც ასე ვფიქრობთ. მაგრამ ჩვენს „სიტყვიერების თეორიის“ შემდგენლებს მეორესათვის მიუციათ უპირატესობა. უწინ რუსეთშიაც ამ გზას ადგნენ „სიტყვიერების თეორიის“ შემდგენლები, მაგრამ დღეს იმათი სახელმძღვანელოები წეს–აგებულია და სასწავლებლების არხივში განისვენებს ხელუხლებლად.

ჩვენი „სიტყვიერების თეორიის“ შემდგენლებს მიუბაძავთ, როგორც თვითონ ამბობენ წინასიტყვაობაში, რუსის მწერლებისათვის, როგორც მაგალითად: ბელორუსოვისა, სლუჩევსკისა, სმირნოვისა და სხვათათვის, მაგრამ მათგან მარტო სიტყვიერების თეორია უსესხნიათ და გადმოუთარგმნიათ, ის–კი რაც უფრო საჭირო იყო, უყურადღებოდ დაუტოვებიათ. სლუჩევსკის, მაგალითად, თვისი სიტყვიერების თეორიები სალიტერატურო ნიმუშების გარჩევისა და განხილვისაგან გამოჰყავს, როგორც შედეგი მათი დახასიათებისა. ასე იქცევა რუსულის საუკეთესო სახელმძღვა–ნელოს შემდგენელი ბატონი ვოდოვოზოვი და სხვა. ყველანი იმ გზას ადგანან, რომ ჯერ ნიმუში მოიყვანონ, გააჩინონ და მისგან გამოიყვანონ თეორია. ჩვენის სიტყვიერების თეორიის შემდგენელებს კი არც ერთი სალიტერატურო ნიმუში არა აქვთ მოყვანილი და გარჩეული წინდაწინ. ისინი პირიქით, ჯერ თეორიას განმარტე–ბენ დოღმატიურად და მერე უთითებენ დამატებაში მოქცეულ ნიმუშებზედ. ხოლო მათი განხილვა და გარჩევა თვით მოწაფეებისთვის მიუნდვიათ.

მართალია, ჩვენის სახელმძღვანელოს შემდგენელებისთვის ძნელი იქნებოდა ყველა თეორიის ნიმუშების მონახვა, არჩევა, განხილვა და მათგან თეორიების გამონასკვა, რადგანაც ეს უფრო დიდს შრომას, დროსა და ცოდნასაც მოითხოვდა. მაგრამ სამაგალითოდ ზოგიერთი ნიმუშები მაინც უნდა გაერჩიათ და დანარჩენნი, უკეთუ უიმისობა არ შეიძლებოდა, მოწაფეებისთვისა და მათის მასწავლებლები–თვის მიენდოთ.

ერთად–ერთი ადგილი, სადაც ისე მოქცეულან, როგორც საჭირო იყო, ის ადგი–ლია, სადაც ისინი პოეზიასა და პროზას ადარებენ ერთმანერთს და მათს განსხვავებას გვიჩვენებენ. აქ მათ ჯერ გადმოუბეჭდიათ სანიმუშოდ ჩვენის მატიანიდგან ერთი ადგილი მეფის დიმიტრი თავდადებულის შესახებ და ადარებენ ი. ჭავჭავაძის პოემას „დიმიტრი თავდადებული.“ მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც შეზარებიათ, ანუ იქნება

საჭიროდ არ დაინახეს, იქვე დაებეჭდათ თვით პოემა ანუ რამდენიმე თავი მაინც. უკეთუ ეს პოემა მოზრდილია და იმიტომ ვერ დაჰბეჭდეს, შეიძლებოდა სხვა უფრო მოკლე ნიმუშები დაებეჭდათ. მათ–კი, ამის ნაცვლად, დაუბეჭდიათ ამ პოემის შინაარსი და ისე ადარებენ მატიანესაგან მოყვანილ ადგილს. ამ შედარებიდგან გამოჰყავთ, რა განსხვავება პროზასა და პოეზიას შორის. შეიძლება ეს შეცდომა კიდევ ვაპატიოთ ჩვენის სიტყვიერების თეორიის შემდგენელებს, რადგანაც ი. ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებული“ ჩართული აქვთ დამატებაში და უფიქრიათ, იქ წაიკითხავენ შეგირდებიო. მაგრამ სხვაგან–კი ისე მოქცეულან, რომ ვერაფრით ვერ გავამართლებთ. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი, მაგალითად: ნიმუშებისთვის „კრებულისა,“ „ივერიისა“ და „ჯეჯილის“ საძებნელად ჰგზავნიან მოწაფეებს. მაგალითად: როცა საგმირო თქმულებათ განმარტავენ, ნიმუშის შესახებ აი რას სწერენ: „იხილე კრებული აკაკისა;“ „ივერია“ 1888წ. ზღაპრების ნიმუშების შესახებაც ასე ჰბრძანებენ: „იხილე „ჯეჯილი“ 1898 წ. IV. „ჯეჯილი“ 1890 წ. I. იხილე აკაკის „კრებული“ 1898 წ. N.IV და სხვა. – ეს კი, სწორედ მოგახსენოთ სახელმძღვანელოში სრულიად შეუსაბამოა და ვგონებთ, პირველი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანაზედ!

გვიკვირს: უკეთუ თვით სიტყვიერების თეორიის შემდგენელები ვერ მიხვდნენ ამ იშვიათ ნაკლულევანებას, რატომ ქართულის იმ მასწავლებლებმა მაინც არ მიაქცი– ეს ამას მათი ყურადღება, რომელთაც თავიდამ ბოლომდის მოუსმენიათ სახელმძღვა– ნელო და რომელთაც შემდგენელები მადლობას უძღვნიან წინასიტყვაობაში!

წყალტუბელი

(დასასრული იქნება)

ივერია - 1899. – N57. – 16 მარტი. - გვ.3-4.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით“

(შედგენილი არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ ტფ., 1898 წ.)

(დასასრული)

როცა მე–17 გვერდზედ სიტყვის შეწყვეტა ანუ შეკვეცა არის ახსნილი, საბუთად თავიანთ განმარტებისა, ნიმუშების მოყვანის ნაცვლად აი რას ამბობენ ჩვენი სიტყვიერების თეორიის შემდგენლები: „ასეთი ნაწყვეტ–ნაწყვეტი ლაპარაკი და ფრთა შეკვეცილი საუბარი ხშირია დრამებში.“ ეს მართალია, მაგრამ ჯერ ხომ მოწაფეებს შესწავლილი არა აქვთ „დრამა“ და შეიძლება არც წაეკითხოთ. ნუ თუ შეწყვეტილის საუბარის ნიმუშის პოვნა და იქვე მოყვანა ისე ძნელი იყო, რომ დრამებზედ მიუთი– თეს შემდგენელებმა. შეწყვეტილ საუბრის ნიმუშად ხომ გრძელი ნაწარმოების დაბეჭდვა არ იყო საჭირო, რომ ვერ მოუხერხებიათ მაგალითის პოვნა და მოყვანა!

ნაკვეთ ნაწერის ნიმუშის მოყვანის ნაცვლად, სიტყიერების თეორიის შემდგე–ნელები ჰბრძანებენ: „ნაკვეთის ნაწერის მაგალითს ხშირად შეხვდებით საბა სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუვეს“ წიგნში, ვახუშტის გეოგრაფიაში, ვისრამიანში.“ ვახუშტის გეოგრაფიისა და ვისრამიანის საძებნელად გაგზავნას, ის არ ემჯობინე–ბოდა, რომ ორიოდე მაგალითი მოეყვანათ, თუნდაც „სიბრძნე სიცრუვეს“ წიგნიდგან? ჩვენ იძულებულნი ვართ კიდევ მოვაგონოთ მკითხველს, რომ „სიტყვიერების თეორია“ მოსწავლე ყმაწვილებისათვის არის შედგენილი, რომლებისთვისაც ადვილი არ არის ვახუშტის გეოგრაფიისა და ვისრამიანის ძებნა, წაკითხვა და მაგალითების ანუ ნიმუშების პოვნა.

პირველი მოთხოვნილება ყოველ გვარ ახსნისა და განმარტებისა სახელმძღვანე–ლო წიგნში ის არის, რომ შემდგენელმა და მასწავლებელმაც გაუგებარი სიტყვა ანუ აზრი გასაგების სიტყვებით განმარტოს და შეუსწავლელი ნასწავლისაგან გამონას–კვოს. მაგრამ ჩვენი სიტყვიერების თეორიის შემდგენელები ამ მოთხოვნილებასაც არ იცავენ ყველგან მტკიცედ. აი ამისი მაგალითი. „სტილისტიკით კანონიერისა და შნოიანის წერისა და საუბრისთვის საჭიროა: 1, სისწორე ენისა ანუ მტკიცედ დაცვა ეტიმოლოგიისა და სინტაქსის წეს–კანონებისა.“ ორივე ეს სიტყვები–კი ქვემოთ აქვთ ახსნილი. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი მათი განმარტება გაუგებრად უნდა ჩაითვალოს. ეს შეცდომა უთუოდ იმიტომ მოსვლიათ, რომ უფიქრიათ, რაკი მოწაფეები სიტყვიერების თეორიის შესწავლას შეუდგებიან, უეჭველად ეტიმოლოგია და სინტაქსისიც ეცოდინებათო. მაგრამ შემცდარნი ბრძანდებიან: განა არ მოეხსენე–ბათ, რომ სათავად–აზნაურო სკოლებს გარდა, არც ერთს სასწავლებელში ქართულს გრამატიკას არ ასწავლიან.

დამატების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ საკმაოდ შეუკრებიათ „სიტყვიერების თეორიის“ ავტორებს სანიმუშო მასალა ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურიდგან სიტყვიერების ყოველ გვარისა და სახის თეორიის დასახასიათებლად და რიგზედაც დაუწყვიათ; მხოლოდ ძლიერ ღარიბია კრებული სადრამო ნიმუშებით. ასე გასინჯეთ, სადრამო პოეზიის ყველა დარგის ნიმუშად ერთად–ერთი პატარა დრამა, სახედობრ „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა ჩაურთავთ დამატებაში. საჭირო–კი იყო თითო ნიმუში მაინც იყოს დაბეჭდილი კლასიკური ტრაგედიისა, საკუთრად დრამისა და კომედიისა. მართალია, სიტყვიერების თეორიაში მოჰყავთ შემდგენელებს თავიანთის სიტყვით შინაარსი შექსპირის ერთის ტრაგედიისა (მაგბეტი) და სოფოკლის ოთხის ტრაგედიისა, მაგრამ სიტყვიერების სამაგალითო ნაწარმოების გასაცნობად თვით მისი წაკითხვაა საჭირო და არა მარტო შინაარსის გაგება. ვისაც არ წაუკითხავს და არ გაუცვნია, რა არის კლასიკური ტრაგედია, შექსპირის დრამა და გინდ კომედია, მას შინაარსის მოთხრობით სრულიად ვერასოდეს ვერ გაუჩენთ გონებაში ცხად წარმოდგენას მათ შესახებ.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ „სიტყვიერების თეორია,“ თავისის დამატებით, თავიდანბოლომდის უფრო საკითხავ წიგნს ჩამოჰგავს, ვიდრე ნამდვილს სახელ–მძღვანელოს.

წყალტუბელი.

ივერია - 1899. – N58. – 17 მარტი. - გვ.3-4.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სიტყვიერების თეორია, სალიტერატურო ნიმუშების დამატებით
სახელმძღვანელო წიგნი სათავად–აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საეპარქიო საქალებო სკოლებისათვის
(შედგენილი არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ ტფ., 1898 წ.)

წიგნი, რომლის სათაურიც ჩვენ ამოვწერეთ, ვებერთელაა, შესდგება 640 გვერ–დისაგან, რომელთაგან პირველი 118 გვერდი შეიცავს თეორიას სიტყვიერებისას და დანარჩენი 119–640 გვერდი წარმოადგენს დამატებას, ესე იგი ჩვენის მწერლობისა და ხალხურის ზეპირ–თქმულების სხვადასხვა საუკეთესო ნიმუშებს, თავთავის დარგებ–ად დაყოფილს.

პირველს ნაწილს, ანუ თეორიას, მიუძღვის წინ შესავალი, სადაც განმარტებუ–ლია, თუ რა არის სიტყვიერება და მისი თეორია, ან რა გარჩევაა მათ შორის, რა არის ბუნება და ხელოვნება და რამდენ ნაირია ეს უკანასკნელი. შემდეგ თეორია გაყოფი–ლია სამ ნაწილად: სტილისტიკად, პროზისა და პოეზიის თეორიად.

პირველს ნაწილში ახსნილია, თუ რა არის სტილისტიკა, მარცვალი ანუ ენა, სისწორე მისი, სიწმინდე, ნიშანდობილობა, ანუ მკაფიოდ გამოთქმა სიტყვისა, (точность), სურათიანობა და კეთილ–ხმოვანობა; ამასთანავე ნაჩვენებია ისიც, თუ რა არღვევს ენაში ამაებს (არხაიზმი, ნეოლოგიზმი, ბარბარიზმი, პროვინციალიზმი, პლეონიზმი, ტავტოლოგია, სინონიმი, ამონიმი, პარალელიზმი), განმარტებულია სხვადასხვა პერიოდები, ლექსთწყობამეტრული, სილლაბიური და ტონური. ამ თეორიულს განმარტებას მისდევს თან სხვადასხვა მაგალითები, დამასაბუთებელი გამოთქმულის აზრისა. შემდეგ განსაზღვრულია სხვაობა პროზასა და პოეზიას შორის. პროზის დარგნი დაყოფილია მოთხრობებად, საისტორიო წერილებად, ანუ მემუარებად, აღწერით თხზულებად, მსჯელობით ნაწერებად და საორატორო პროზად. პოეზია დაყოფილია ჯერ ეროვნულად და ხელოვნურად, მერე საეპიკოდ, საგმიროდ, საისტორიოდ, ზღაპრებად და ანდაზებ–გამოცანებად. ხელოვნური ეპოსი არის დაყოფილი პოემად, მოთხრობად და რომანად, იდილიად, არაკად, ბალადად, ლირიკად, (ოდა, ელეგია, სატირა); დასასრულ, ლაპარაკია დრამის შესახებ. ამით სრულდება პირველი ნაწილი წიგნისა – თეორია.

დამატება დაყოფილია თავებად – თეორიის მიხედვით: აღწერანი მარტივნი და მხატვრობითნი, მგზავრის წერილები, მოთხრობა, ბიოგრაფია და დახასიათება, მსჯელობითნი თხზულებანი, საორატორო პროზა და ასე ქვევით.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ჩვენ წინ დევს თხზულება, პირველი ჩვენს ისედაც არა მდიდარს მწერლობაში. მისი საგანი ფრიად საინტერესო, საგულისხმი–ერო, მაგრამ ამასთანავე ძნელი და ჯერ სრულიად ხელ–უხლებელია ჩვენში. აზრი, რომლითაც დაწერილია ეს თხზულება, ფრიად მოსაწონია – ყმაწვილობას გაუადვილოს ჩვენის სიტყვიერების შესწავლა და ამით რუსულისაც. ერთის სიტყვით,

ეს თხზულება ფრიად სასიამოვნო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში და იწყებს აქ ახალს ხანას, თუმცა იგი უმეტეს ნაწილად თარგმანია რუსულის სახელმძღვანელოებისა, როგორც ეს აღიარებულია წიგნის წინასიტყვაობაშიაც. მაგრამ ამასთან არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ წიგნში რამდენიმე წვრილმანი ნაკლი, რომ მით მკითხველი ახალ–თაობა, რომლისათვისაც დანიშნულია ეს წიგნი, ავაცდინოთ გადამეტებულს, ანუ ერთმხრივს აზრს ამ წიგნის შესახებ. პირველ ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს მაგალითების ხშირად შეთხზვა, ანუ პირდაპირი გარდმოთარგმანება რუსულიდგან, იმის მიუხედავად, შეეფერება თუ არა ეს ქართულის ენის კანონებს და ცოცხალს საუბარს და არა ამოღება საჭირო მაგალითებისა ჩვენის მწერლობის (უმეტეს ნაწილად ძველის) კლასიკურ ნიმუშებიდგან. მაგალითად, რაც უნდა მართალი იყოს რომელისამე მქადაგებელის სიტყვა, მორწმუნე მსმენელი ამ სიტყვაზედ უფრო აფასებს საღმრთო წერილიდგან ამოღებულს ტექსტს და ძალა მისი უნებლიედ ჰგმირავს მისს გულს. ამის მსგავსად, რაც უნდა მართალი იყოს, ანუ ლამაზი სიტყვა და აზრი ამ ახალის წიგნის პატივცემულ შემდგენელთა, ჩვენ მაინც უფრო კმაყოფილი დავრჩებოდით და უკეთაც დავრწმუნდებოდით, ამ სიტყვებს და აზრებს, რომ გამო–ათქმევინებდნენ შოთა რუსთაველს, ბესიკს, შავთელს, ჩახრუხაძეს, ანტონ კათალი–კოზს, დავით რექტორს, ვახტანგ მეექვსეს, ი. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, აკაკის, ბარათაშვილს და ამათს მსგავსს ავტორიტეტებს ქართულის მწერლობისას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამათი ნაწერებიდგან ძალიან ცოტა მაგალითია მოყვანილი. ჩვენის აზრით, სიტყვიერების თეორია საზოგადოდ უფრო იმას იკვლევს, როგორ დაუცვია დღემდის მწერლობას სიტყვის კანონები, ვიდრე იმას, თუ როგორ დაიცავს, ანუ დაარღვევს მათ შემდეგში.

მღ. მ. კელ–ძე.

(დასასრული იქნება)

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები
(წერილი: ᲘᲑ)

ქაღალდზედ ნუსხურად ნაწერი წიგნი (in quarto, ფურცელი 607, თავი და ბოლო აკლია), არის კურთხევანი და ეკუთვნის ალავერდის ტაძარს, საიდგანაც იგი მრავალ საყურადღებო ხელნაწერთან ერთად ჩამოიტანა ყოვლად სამღვდელო კირიონმა...

მ. ჯანაშვილი.

ივერია - 1899. – N59. – 18 მარტი. - გვ.3.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სიტყვიერების თეორია, სალიტერატურო ნიმუშების დამატებით
სახელმძღვანელო წიგნი სათავად–აზნაურო სკოლებისა, სასულიერო და
საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საეპარქიო საქალებო სკოლებისათვის
(შედგენილი არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ ტფ., 1898 წ.)

(დასასრული)

მეორე ნაკლად უნდა ჩავთვალოთ ბევრს ალაგას საჭირო მაგალითის სრულიად მოუყვანლობა. დაუსაბუთებელს თქმას არა თქმა სჯობია. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი დრო ურწმუნო დროა: თუ მაგალითებით არ აუბნიე მკითხველს თვალი, ისე ვერ დაარწმუნებ. მაგალითად, როცა ენის სისწორეზეა ლაპარაკი წიგნში, (правильность слога), მაგალითი სრულიად არ მოჰყავთ შემდგენელთ, რის გამოც აზრი ყრუდ რჩება, სულ სხვა იქნებოდა, მაგალითად, შემდგენელთ აზრის დასასაბუთებლად ასეთი მაგალითები რომ მოეყვანათ: „განხეთქნა რა ხელის წერილი (ქრისტემ), ესმის ყოველთა მიერ ალლილუია“ (ღვთის–მშობლის დაუჯდომელი), სადაც დამოკიდებული წინადადება შეცდომით არის შემოკლებული და შეკავშირე–ბული უმთავრესთან, ან მეორე მაგალითი: „ახლად არჩეული ხელოსანთა მოურავი სერობიანცი ბატონმა გუბერნატორმა არ დაამტკიცა თავის (?) თანამდებობაზედ“ (ერთს ქართულს გაზეთშია). აბა თავის თანამდებობაზედ, ესე იგი გუბერნატორობა–ზედ როგორ დაამტკიცებდა! უნდა თქმულიყო: მისს თანამდებობაზედ; ანუ კიდევ „შეუდექი (მე) კითხვას (ყაზბეგისას).“ – ამბობს ფურცელაძე; უნდა თქმულიყო „შევუდექი“ ესე იგი მეორე პირი იხმარა პირველის მაგიერ და გამოვიდა ბრძანება წარსულის დროის მაგიერ.

მესამე ნაკლია ძალიან ბუნდ და უფერულ მაგალითების მოყვანა. ორაზროვნო–ბის ნიმუშად არის მოყვანილი მაგალითი: „და უთხრა პატრონს, ის მიდის იქ, სადაც და სხვ.“ აქედგან არაფერი არა სჩანს, რადგან სრული სიტყვა არ არის და მერე ისიც საჩქაროდ შეთხზულია. უკეთესი იქნებოდა ამისთანა მაგალითი: „ნაფიცს ვექილს სტაროსელსკის... თავს დასხმიან ბოროტ განმზრახველნი და ორს ადგილას დაუჭრიათ ტყვიით, რომელიც (ვინ: ტყვია, თუ კაცი?) იქვე გარდაიცვალა.“

უმგვანო მაგალითებია კიდევ მოყვანილი მიზეზითის და ზედ მიყოლებითის პერიოდებისა, ბევრგან წიგნში ტყუილი აზრებიც შეპარულა, ანუ მაგალითი ერთს ამბობს და თეორია მეორეს. მაგალითად, მეტაფორის ნიმუშად მოყვანილია ვაჟა–ფშაველას ლექსი.

„არწივთა მაღლის მთისათა (ჯარს)
ნეტავ რად უნდა მქებარი!“
–
უხდება ბებერს არწივსა (ერეკლეს)
შეჭმუხვნით შუბლი მკვახეა.“

აქ არის უბრალო შედარება და არა მარტო მეტაფორი. შემცდარია აზრი ქართულს ლექს–წყობაში ცეზურის ხმარების შესახებაც. ავტორის აზრით, შოთას თექვსმეტ მარცვლოვანს ლექსს უნდა ერთი ცეზურა ასე:

„იყო არაბეთს როსტევან | მეფე ღვთისაგან სვიანი.“

ჩვენის აზრით–კი შოთას ლექსს სჭირდება სამი ცეზურა ხმის ასატოკებლად და ლექსის ჰარმონიულად წასაკითხავად, მაგალითად ასე:

„იყო არაბეთს | როსტევან | მეფე ღვთისაგან | სვიანი,
მაღალი, უხვი, | მდაბალი, | ლაშქართ მრავალი, | ყმიანი.“

ხშირად წიგნში შეგხვდებათ მაგალითები, მოყვანილი სხვადასხვა მწერლის ნაწერებიდგან (თუმცა არც იმდენად, რამდენადაც საჭიროა), მაგრამ ნაჩვენები არ არის, თუ რომელი მაგალითი რომელს მწერალს ეკუთვნის. სახელმძღვანელო წიგნში ამისთანა საიდუმლოებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და მოსწავლეებისათვის ყველაფერი ცხადი უნდა იყოს.

ამას გარდა, ხშირად შემდგენელნი თვითონვე არღვევენ თავისს თეორიას. მეშვიდზე გვერდზე ჰკიცხავენ წინადადებაში სიტყვების უალაგო ალაგას ხმარებას („ყოველს საზოგადოების საქმეს იმას ვაკეთებინებდი“), მე–63–ე გვერდზე–კი თვითვე მოსდით ასეთი შეცდომა, როცა ამბობენ, „რომელშიაც (ზღაპრებში) ერთი ერთმანეთზე მისდევს ჯაჭვივით გადაქცევა კაცისა ცხენად.“ აქ ძნელი გასაგებია, რას ეკუთვნის სიტყვა „ჯაჭვივით,“ – სიტყვას – მისდევს, თუ სიტყვას – გადაქცევა, ესე იგი როგორ უნდა: ჯაჭვივით გადაქცევა, თუ ჯაჭვივით მისდევს?

შეუფერებლად და უადგილოდ მიგვაჩნია სახელმძღვანელოში აგრეთვე ხმარება ასეთის სიტყვებისა: „მაშ“ (41გვ.) „შესამჩნევია, რომ“ (29გვ.) [ესე იგი რუსულად რომ ვთქვათ „замечательно что“ ა. მ.].

„ჩვენ ვიცით, რა არის პოეზია და რით განირჩევა პოეზია პროზისაგან, ვიცით აგრეთვე“ (50გვ.), „ესეც–კი უნდა ვთქვათ, რომ“ (54გვ.) „ტრაგედიაში უმთავრესი ის არის, რომ მისნი გმირნი მტკიცე ხასიათის კაცები არიან“ (97გვ.) და სხვა... ამ უკანასკნელს ჩვენ ასე ვიტყოდით: „ტრაგედიაში გმირნი მტკიცე ხასიათისანი არიან.“ დასასრულ, წიგნის პირველ ნაწილის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ აქ ანტონ I კათალი–კოსი სამაგალითო ორატორად არის დასახელებული, თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ იგი კაბინეტის მეცნიერი იყო, საზოგადო მოღვაწეც და მჭერ–მეტყველება არც არავის უთქვამს მისი და არც უყვარდა ქადაგება. (ან კი მის ენას ვინ გაიგებდა კათედრიდ–გან). მეორედ, კრილოვის შესახებ ნათქვამია, ვითომც ის იყოს იგავ–არაკის საუცხოვო მთხზველი, ისე რომ ბოლოში იგავ–არაკს მეტ ბარგად თავისს დასკვნას არ აკერებდეს დედა–აზრის განსამარტებლად, მაგრამ ესეც ტყუილია. კრილოვის თითქმის ყველა არაკს ბოლოში მაჩანჩალასავით მისდევს დედა აზრის ახსნა, ვითომც უნდა გითხრას: „იცი, რის შესახებ გელაპარაკებოდი? ეს მინდოდა მეთქვაო!“ მაგალითად:

Невежды судятъ точно такъ
(ვითომ როგორც ჩემი მამალიო):
Въ чемъ толку не поймутъ,
То всё у нихъ пустякъ.“
(Петухъ и жемчужное зерно).

რაც შეეხება დამატებას წიგნისას, აქ ბევრი უფერული ნიმუშები გვხვდება, როგორც მაგალითად: „ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში," „ტფილისის აოხრება," რომელიც არა ჰგავს ხეირიანს მემუარს, „ქართული ანბანი" კარგი არხეოლოგიური გამოკვლევაა, მაგრამ ვერაფერი ნიმუშია მსჯელობისა. მსჯელობა ჰქვიან (трактатъ), როცა მას განყენებული, ფილოსოფიური, ანუ ლოღიკური ხასიათი აქვს, და არა ისტორიული ნაშთებიდგან ფაქტების ჩამოთვლას. ასეთია აგრეთვე „ქართლის ცხოვრების სინამდვილე," „ქართული მწიგნობრობა" და სხვანი.

ამ ნაკლულევანებათა მიუხედავად, ვიმეორებთ, „სიტყვიერების თეორია" დიდი განძია ჩვენს მწერლობაში და დიდად სასიხარულო მოვლენა, მით უმეტეს, რომ მას ჰქვიან სახელი იმისა, ვინც სათავეში უდგია საზოგადოებას და მაშასადამე, მაგალითი მისის მაღალის აზრებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, საზოგადოებისათვის შრომისა, ხალხში მოწინაობისა და ლამპარივით წინ გაძღოლა დაქვეითებულის ერისა, ჭეშმარიტად თითოეულის ჩვენგანისათვის უნდა იყოს აღმაფრთოვანებელი გრძნობებისა, განმამტკიცებელი სულისა, განმხნევებელი გულისა და განმაორკეცებელი აზრებისა.

მღ. მ. კელ–ძე.

ივერია - 1899. – N62. – 21 მარტი. - გვ.3.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სიტყვიერების თეორია. სალიტერატურო ნიმუშების დამატებითურთ, სახელმძღვანელო წიგნი.

(შედგენილი არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ ტფილისი. 1898 წ.)

მკითხველს უნდა მივულოცოთ ისეთის წიგნის აღბეჭდვა, როგორიც არის „სიტყვიერების თეორია" არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი. ამგვარის სახელმძღვანელოს გამოცემა პირველი მაგალითია ჩვენში და ამიტომაც შემდგენელნი გულითადის მადლობის ღირსნი არიან. წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან: პირველში მოქცეულია „სიტყვიერების თეორია," ხოლო მეორე შეიცავს ქრისტომატიას, სალიტერატურო ნიმუშებს თეორიის შესაგნებლად. წიგნს მიუძღვის მოკლე წინასიტყვაობა, რომელზედაც პატარა ხანს უნდა შევჩერდე.

წინასიტყვაობაში აღნიშნულია საჭიროება ამგვარი სახელმძღვანელოსი, როგორიც „თეორია სიტყიერებისაა," სააზნაურო, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისათვის, დასახელებულია სიძნელე რამდენსამე ტერმინის ქართულად გადმოღებისა შეუცვლელად მართლ–აღწერისა, მოყვანილია რუსული სახელმძღვანელოები, რომელთა წაბაძვით დაწყობილია მასალა ქართულს „სიტყვიერების თეორიაში." სამწუხაროდ, გამოცდილებით, როგორც ქალების გიმნაზიის მასწავლებელმა, კარგად ვიცი, რომ რუსული სახელმძღვანელოები „სიტყიერების თეორიის" შესახებ დაძველებულის სისტემით არის შედგენილი და მეტადრე ის წიგნები, რომელნიც მიუღიათ მხედველობაში არხიმანდრიტ კირიონს და გრ.ყიფშიძეს. ერთი ამათ მიერ

მოხსენებული „სიტყვიერების თეორია“ – გალახოვისა, ვგონებ, არც არსებობს, ჩვენ არსად შეგვხვედრია; ვიცით, გალახოვს აქვს „სიტყვიერების ისტორია“ სამს ნაწილად და ერთ წიგნად. არც წინასიტყვაობაში და არც თეორიის განხილვაში არსად არის ახსნილი საგანი „სიტყვიერების თეორიისა.“ გადაშალეთ „სიტყვიერების ისტორია“ რა ენაზედაც გნებავთ და პირველს გვერდზედვე შეხვდებით ახსნას, რას ასწავლის „სიტყვიერების ისტორია.“ ესევე არ ითქმის „თეორიაზედ; ამის შესახებ იშვიათად მოჰკრავთ თვალს რაიმე ახსნას სახელმძღვანელოში და ეს ნაკლი „ქართულს თეორიასაც“ დაეტყო. „სიტყვიერებას“ აქამდის არ გამოუკვლევია თავისი ფილოსოფია, როგორც არსებობს, მაგალითად, ფილოსოფია ისტორიისა, ფილოსოფია სარწმუნოებისა, ფილოსოფია სამართლისა და სხვა. სიტყიერებას ჯერ იმდენადაც ვერ შეუმუშავებია თავისის შექმნისა და განვითარების პროცესიის ახსნა, რამდენადაც შეიძლო ისტორიამ, სარწმუნოებამ და სამართალმა. ამიტომაც სიტყვიერების სფეროში არსებობს თეორია და არა ფილოსოფია, ანუ, სხვა სიტყვებით რომ მოგახსენოთ, სიტყვიერებას არა აქვს მტკიცე კანონები, რომელზედაც დამყარებული უნდა იქმნას მისი შექმნა. ერთად ერთი ნაწილი სიტყვიერებისა – ლექსთა წყობა – ემორჩილება კანონებს გარეგანის ტეხნიკურ მხრივ და დანარჩენი მრავალ ფეროვნობა შექმნისა მწერლობაში თავისუფალია და შეუზღუდველი. წინასიტყვაობაში–კი შეჰპარვიათ ასეთი წინადადება: „პირდაპირი თარგმანია რუსული სახელმძღვანელო–ებიდგან განყენებული... განმარტებანი... სათეორიო წესისა და სიტყვიერების კანონისა.“ ჩვენ არ გვახსოვს, რომ რუსულს სახელმძღვანელოებში სადმე ნახმარი იყოს „სიტყვიერების კანონი,“ რადგან ეს სიტყვა ეწინააღმდეგება თვით სახელმძღვა–ნელოს საგანს: თეორიას სიტყვიერებისას.

სისტემა ქართულის „სიტყვიერების თეორიაში“ არ არის მტკიცედ გატარებული დასაწყისიდგან დაბოლოებამდის. ზოგან თეორიული ახსნა წინ უძღვის სალიტე–რატურო ნიმუშს და ზოგან–კი უკანასკნელი წინ მიურბის. მაგალითად: „მოთხრობით თხზულებათა“ გასარჩევად დასახელებულია გ. წერეთლის „საქართველოს ნათელღება ქრისტეს სარწმუნოებით“ (იხ. დამატება) და შემდეგ მისდევს ნიმუშის განმარტება. თვით თოერიული განმარტება – რა არის „მოთხრობითი თხზულება,“ ნიმუშის წინად არის მოყვანილი. ახლა გადაშალეთ ტრაგედიის გარჩევა. ჯერ მოჰყავს (ნახე, Белорусовъ, Теория слов. გვ.74–76, Нежинъ, 1885) შექსპირის „მაკბეტის“ შინაარსი და შემდეგ გამორკვეულია, რა არის ტრაგედია („სიტყვიერების თეორია“ გვ.99–100). ასეთის სისტემის შერყევა აიხსნება იმით, რომ ავტორები მისდევენ ხან ერთს რუსულს სახელმძღვანელოს მაგალითს და ხან მეორისას. რუსულს სახელმძღვანელოებში ორგვარს სისტემას შევხვდებით: ან ჯერ მოყვანილია სალიტერატურო ნიმუში და მის გარჩევის შემდეგ განმარტებულია დასკვნა, მითვისებული აქვს რომელიმე სახელი და დასაბუთებულია, რა არის ამა თუ იმ ნაწერის სახელწოდება, ან ჯერ თეორიული განმარტებაა და შემდეგ ნიმუშების დასახელება და გარჩევა. ქართულს „სიტყვიერების თეორიაში“ ჩვენ ვერ შევხვდებით მტკიცედ გატარებულს ამ ორში ერთს სისტემას.

ამ საერთო შენიშვნების შემდეგ რამდენიმე შეცდომაც განიხილოთ. პლეონაზმის მაგალითები: ერთი უღელი ხარი, ირგვლივ გარეშემოვერტყით ქალაქს – ვერ არის

ხერხიანად მოყვანილი: პირველში პლეონაზმს ვერა ვხედავთ, მეორე კი პირდაპირ ნათარგმნია რუსულიდგან. პლეონაზმის მაგალითს ბევრს შეხვდებით ახლანდელს მწერლობაში რუსულის ენის გავლენით: „მიუტანა მას," (უკანასკნელი სიტყვა მეტია, რადგანაც იგი ჩართულია ნაცვალსახელის ნაწევარით „უ"–თი). სინონიმებში შეცდომით მოხსენებულია: ნამუსი (სპარსული სიტყვა) და სვინიდისი (ბერძნული), ბულბული (სპარსულია) და იადონი (ბერძნულია). პერიოდების განხილვა არ შეეფერება ეხლანდელს აზრს მათ შესახებ. რადგანაც შესაძლებელია, რომ მეორედ გამოიცეს „სიტყვიერების თეორია," ამისათვის ავტორებს დავუსახელებ წიგნს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ პერიოდების შემუშავების დროს: „Учение о периодахъ В. Андреева." გამოკვლევა ბატონ ანდრეევისა დაიბეჭდა სამინისტრო ჟურნალში (Журн. Мин. Нар. Пр. 1898 წ.) და შარშანვე გამოვიდა ცალკე წიგნად. სამაგალითოდ არის შემუშავებული ქართულს „სიტყვიერების თეორიაში" – ლექსთწყობა. წინასიტყვაობაში შემდგენელნი აღიარებენ, რომ ორნაირი აზრი არსებობს ჩვენი ლექსთწყობის შესახებ: ერთია აზრით იგი არის ტონური და მეორე აზრით, სილაბიური. შემდგენელნი საბუთიანად დაადგნენ მეორე აზრს, თუმცა უნდა მოვაგონოთ, რომ არსებობს მესამე აზრიც, იგი ეკუთვნის ნ. გულაკს, – რომ ჩვენი ლექსთწყობა სილაბიურია, მაგრამ ხმის აწევით და მახვილის მოძრაობით ტონურთან დაკავშირებულიაო. ეს აზრი ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია.

ქრისტომატიის შესახებაც უნდა გვეთქვა რამე, მაგრამ წერილი გაგვიგრძელდა. იქნება კიდევ დაუბრუნდეთ ამ საგანს.

ა. ხახანაშვილი.

ივერია - 1899. – N69. – 31 მარტი. - გვ.3-4.

პასუხად ბატონს წყალტუბელს

„უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ,
უკეთუ ურთიერთარს იჭამებოდეთ,
იხილეთ, რათა არა განილინეთ."
(ეპისტოლე პავლე მოციქულისა
გალატელთა მიმართ 5,15)

გაგვაკვირვა ბატონ წყალტუბელის წერილმა ჩვენის „სიტყვიერების თეორიის" შესახებ თვისის უცნაურობით, თვისის კილოთი და ხასიათით. მისი რეცენზია, თითქო განგებ, ისეა დაწერილი, რომ ჩვენს სახელმძღვანელო წიგნს ყოველივე ღირსება ჩამოართვას. დიდი ხანია ველოდით მაგ წიგნის დაბეჭდვასა და ახლა ძლივს ველღირსეთო. მაგ დარგის წიგნებით ღარიბია (?) ჩვენი ახალი ლიტერატურაო. მაგისთანა წიგნის დაბეჭდვა პირველი მაგალითია ჩვენშიო. როგორ? თუ ღარიბია მაგისთანა წიგნებით (ამ რუსიციზმს თავს ვანებებთ) ჩვენი ლიტერატურა, „პირველი მაგალითი როგორღაა ჩვენში?" როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის. კარგა ხანია მოველოდითო, ამბობს რეცენზენტი, თითქო იმიტომ, რომ აგულისხმებინოს მკითხველს, მოველოდით, მაგრამ იმედი–კი ვერ გაგვიმართლაო, შიგ არაფერი ჰყრიაო. აგულისხმებინოს–კი არა, დაარწმუნოს კიდეცა შემდეგ, რომ დიახ, ეს

სწორედ ასეაო. მეთოდი წიგნისა არ ვარგაო, სხვადასხვა ნაკლულევანებაც მრავალია, მაგალითები და ნიმუშები ყველგან არ არის მოყვანილიო. ქრისტომატია მხოლოდ კრებულია სალიტერატურო ნიმუშებისა და აქ შემდგენელთა შრომა მარტო იმითი გამოიხატება (?) რომ მათ შეუკრებიათ და გადმოუბეჭდიათ იგინიო. ეგ წიგნი, რაც უნდა იყოს, ცოტად მაინც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას და საჭიროებასაო“ და სხვა.

განვიხილოთ გულ–დამშვიდებით რეცენზია ბატონის წყალტუბელისა.

ჩვენ წინასიტყვაობაშიაც არა ვმალავდით და ახლაც არა ვმალავთ, რომ ჩვენს წიგნს, რომელიც პირველი ცდაა, ბევრი სხვადასხვა ნაკლულევანება აქვს. ეს ასეც უნდა იყოს: სხვა რა არის უნაკლულო და სრული, რომ ჩვენი წიგნი ყოფილიყო? რომელს სახელმძღვანელოს მიჩვენებთ, რომ დროს განმავლობაში მრავალი ნაკლულევანება არ აეცილებინოს თავიდან მეორ–მესამედ და მეათედ დაბეჭდვის შემდეგ და მხოლოდ ხანგრძლივის შემუშავებით არ მიიღოს ის ცოტად თუ ბევრად სრული, დამთავრებული სახე, რომელიც დღესა აქვს?

ამ მხრივ ჩვენ დიდი მადლობელნიც ვიქნებით იმათი, ვინც კერძოდ ანუ გაზეთ–ჟურნალის შემწეობით, გვიჩვენებს ჩვენს შეცდომას, ჩვენის წიგნის ნაკლულევანებას, რომ მეორედ დაბეჭდვის დროს იგი შეცდომა და ნაკლულევანება თავიდან ავიცილოთ.

ხოლო რაც შეეხება ბატონ წყალტუბლის საკრიტიკო შენიშვნებსა, სამწუხაროდ, მათ შორის ჩვენ თითქმის ერთიც ვერ ვიპოვეთ ღირსი ყურადღებისა, ერთიც ვერ ვიპოვეთ ისეთი, რომ გამოვიყენოთ და მით ჩვენი სახელმძღვანელო განვაკარგოთ შემდეგში.

აი ეს შენიშვნებიცა, რომელსაც წინ უძღვის ორიოდე ცარიელი ფრაზაც, ორიოდე ლიტონი სიტყვაც, რომ „ყოველი ჩვენგანი სიხარულით უნდა მიეგებოსო ამ წიგნს... მადლობაც უნდა განვუცხადოთ შრომისთვის მის შემდგენელებსო.“ ცარიელ ფრაზას, ლიტონ სიტყვას იმიტომ უწოდებთ ამ თქმას, რომ წერილი რეცენზენტისა არავითარს საბუთს არ იძლევა შემდეგ, რისთვის უნდა მიეგებოს ყოველი ჩვენგანი სიხარულით ჩვენს სახელმძღვანელოს ან მადლობა რისთვის უნდა გამოვუცხადოთ შრომისათვის, როდესაც იგი შრომა, რეცენზენტის აზრით, ამაო შრომაა, ნაკლულევანებით სავსე.

ბატონი რეცენზენტი უპირველეს ყოვლისა მეთოდს გვიწუნებს. მეთოდია სული და გული ყოველის სახელმძღვანელო წიგნისა, ეგ არის უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც აგებულია მთელი შენობა. თუ მეთოდი არ ვარგა, სახელმძღვანელოც უვარგისია. თქვენვე ამბობთ წინასიტყვაობაშიო, – გვისაყვედურებს რეცენზენტი, – რომ „სალიტერატურო ნიმუშების განხილვა და შესწავლა საჭიროა თეორიის შეთვი–სებისათვისაო,“ ხოლო თეორია წინ მოგიქცევიათ, ნიმუში–კი ბოლოშიო. ვითომ რაო მერე? განა არ შეიძლება ბოლოში მოქცეული ნიმუში წააკითხოს მასწავლებელმა შეგირდებს, განიხილოს და გაარჩიოს მათთან ერთად და მერე სათეორიო განმარტება შეასწავლოს? მრავალია რუსეთში ისეთი სახელმძღვანელო სიტყვიერების თეორიისა, რომელსაც სრულიად არავითარი ნიმუში არა აქვს დართული და ეგ ნიმუშები უნდა მოჰნახონ მასწავლებელმა და შეგირდებმა სხვათა მიერ დაბეჭდილ ქრისტომატიებში. მართალია, ამისთანა სახელმძღვანელოებში თითო–ოროლა მაგალითია შიგ ტექსტში

მოყვანილი, ისიც არა ყოველთვის, მაგრამ ეგ თითო–ოროლა მაგალითი და ნიმუში ხომ ჩვენს სახელმძღვანელოშიაც არის მოთავსებული და თან განხილულიც. მხოლოდ თქვენ თხოულობთ, რომ უთუოდ საჭიროა ჯერ ნიმუში იყოს განხილული და მერე ამ განხილვაზედ იყოს დამყარებული სათეორიო განმარტებაო.

აი თქვენი სიტყვები: – „როგორა სჯობს, ნიმუშების განხილვასა და შესწავლა–ზედ უნდა იყოს დამყარებული სიტყვიერების თეორიის შესწავლა და შეთვისება, თუ ჯერ ცალკე სიტყვიერების მოკლე და დოგმატიური თეორია და მერე ბოლოში (ვითომ ქრისტომატიაში არა?) სალიტერატურო ნიმუშების მოქცევა?“

ამ ტირადაში ორი შეცდომაა. პირველი ისა, რომ, როგორც მოგახსენეთ, ჩვენს სახელმძღვანელოს ტექსტშივე აქვს ჩართული უმეტეს ნაწილად ნიმუშები და მაგალითები, რომლებიც ამტკიცებს თეორიას. მეორე ისა, რომ თქვენ უკანონობად მიგაჩნიათ, თუ ჯერ სათეორიო განმარტებაა წიგნში და მხოლოდ მას შემდეგ იქმნა შესწავლილი და შეთვისებული ნიმუში. ჩვენის აზრით–კი აქ არავითარი უკანონობა არ არის. სახელმძღვანელო წიგნმა მასალა უნდა მისცეს ხელთ მასწავლებელს და მერე თვითონ იმან იცის, როგორ მოიხმაროს ეგ მასალა. მასწავლებლის შეზღუდვა ამ შემთხვევაში სრულიად მეტია. იმისი საქმეა, რა გზა აირჩიოს, რომელს მეთოდს დაადგეს: ჯერ აუხსნას შეგირდებს თეორია ამა თუ იმ სალიტერატურო მოვლენისა, თუ გააცნოს ჯერ თვით მოვლენა და მერე თეორია გამონასკვოს. ორივე გზა სრულიად მის ხელთ არის და მის ნება–ყოფლობაზედაა დამოკიდებული, რადგან ორივე გზა ყოვლად კანონიერია. პირველს გზას სწავლებისას უწოდებენ სადედუქციო მეთოდს, ხოლო მეორეს – საინდუქციოს, ანუ ანალიზსა და სინტეზს. სახელმძღვანელოს შემდგენელნიც სწორედ ასე იქცევიან: ზოგნი ერთს გზას ადგანან, ზოგნი მეორეს, ზოგნი კიდევ, როგორც ჩვენ, ორივეს ხმარობენ: თეორიას განმარტავენ დოღმატი–ურად, ნიმუშს მოიყვანენ და განიხილავენ მის შინაარსს და ბოლოს დაასკვნიან ინდუქციით, ანუ სინტეზით სათეორიო აზრს.

ამ აზრის სიმართლის დასამტკიცებლად ავიღოთ ორი რუსული სახელმძღვა–ნელო, თქვენ მიერ მოწონებული, სლუჩევსკისა და ბელორუსოვისა, რომელი წიგნე–ბიც ბევრ სხვადასხვა სასწავლებელშია ამ ჟამად მიღებული. ბელორუსოვი სწერს:

Путешествие. Путешествие есть описание странъ и народовъ, виденныхъ авторомъ.

Прочитать изъ путешествия въ Арзерумъ Пушкина (хр. Галахова, т.1. стр.23). გვ.30.

სლუჩევსკი:

Прочитать биографию Крылова (полн. хр. Галахова) და მერე პირდაპირ ასე იწყებს:

Сочинение, излагающее въ порядке времени события, изъ которыхъ сложилась жизнь известнаго человека, отъ его рождения до смерти, называется биографиею, или жизнеописаниемъ და სხვა. სულ ასე დოღმატიურად. (გვ.69).

ახლა ვითომ რა დაშავდა, რომ ბელორუსოვმა ჯერ განმარტება დაბეჭდა და მერე სთქვა: წაიკითხეთ მოგზაურობა არზრუმში პუშკინისაო, ხოლო სლუჩევსკიმ ჯერ დაჰბეჭდა, წაიკითხეთ ბიოგრაფია კრილოვისაო და მერე სათეორიო განმარტება დაჰბეჭდა ბიოგრაფიისა?

არაფერი. მაშ რას ჰნიშნავს თქვენი სიტყვები: შემდგენელნი ისე არ მოქცეულან, როგორც იქცევიან ყველა უკეთასის სახელმძღვანელოების დამწერნიო? რომ სიტყვიერების საუკეთესო მასწავლებლებიც პირველს გზას ადგანანო, (ესე იგი სასინ–ტეტიკო მეთოდს ჰხმარობენო)? უწინ რუსეთშიც მეორე გზას ადგნენ (ბელორუსოვი–სას – საანალიტიკო) სიტყვიერების შემდგენლებიო, ბრძანებთ თქვენ შემდეგ, – მაგრამ დღეს იმათი სახელმძღვანელოები წეს–აგებულია და სასწავლებლების არხივში განისვენებენო.

იმედია, მკითხველი დარწმუნდა, რომ ჩვენი რეცენზენტი უსამართლოდ გვიწუნებს მეთოდს და რომ მისი ზემორე თქმული სიტყვები ამაო სურვილია მხოლოდ ჩვენის წიგნების არხივში გასტუმრებისა.

სიტყვიერების თეორიის შემდგენელნი.

(დასასრული იქნება)

ივერია - 1899. – N70. – 1 აპრილი. - გვ.3-4.

პასუხად ბატონს წყალტუბელს

„უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ,
უკეთუ ურთიერთარს იჭამებოდეთ,
იხილეთ, რათა არა განილინეთ.“
(ეპისტოლე პავლე მოციქულისა
გალატელთა მიმართ 5,15)

(დასასრული)

ასეთი უზარ–მაზარი ყუმბარა ესროლა ჩვენს წიგნს კრიტიკოსმა, მაგრამ თავადვე კი დაიჭრა მისის ნატეხებით; სარმა გამოსდო ჩვენს სახელმძღვანელოს, მაგრამ თვითონვე–კი ძირს დაეცა. დავით წინასწარმეტყველისა არ იყოს, „მახეი განმზადა ფერხთა ჩვენთათვის... მთხრებლი სთხარა წინაშე ჩვენსა და თვით–კი შთაითხინა.“

დანარჩენი შენიშვნები განხილვადაც არა ჰღირს.

რეცენზენტი ჰბრძანებს, საცა შედარებულია მატიანეს მოთხრობა დიმიტრი თავდადებულის შესახებ და ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებული,“ რატომ იქვე არ დაჰბეჭდეთ ეს პოემა, ან რამდენიმე მისი კარი და მხოლოდ შინაარსი გაქვთ ნაამბობი პოემისაო. პოემა დაბეჭდილია დამატებაში და ვგონებთ, სულ ერთია, წიგნის 38 გვერდზედ იქმნებოდა იგი დაბეჭდილი, თუ 308–ზედ. არა გვგონია, ისეთი გაუგებელი, მიუხვედრელი მასწავლებელი იყოს სადმე, რომ ვერ მოიფიქროს და არ წააკითხოს აქ შეგირდებს თვით პოემა. აკი იმიტომაც დიდ–სულოვნობით მოგვიტევეთ ეს შეცდომა, როცა ბრძანეთ: „შეიძლება ეს შეცდომა (?) ვაპატიოთ ჩვენის სიტყვიერების შემდგენლებს, რადგანაც ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავ–

დადებული“ ჩართული აქვთ დამატებაში და უფიქრიათ, იქ წაიკითხავენ შეგირდე–ბიო.“ დიახ, სწორედ აგრე გახლავთ. გამოცანა გერგებათ.

მაგრამ დიდი მანძილი კი არა ჰქონია თქვენს დიდ–სულოვნებას. პატარა ხანს უკან ისევ გვიწყრებით სწორედ ზემოხსენებულისთანა შეცდომისათვისვე, რომელიც ისეთის დიდ–სულოვნობით მოგვიტევეთ. თქვენა ბრძანებთ:

„მაგრამ სხვაგან–კი ისე მოქცეულან, რომ ვერაფრით ვერ გავამართლებთ, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი, მაგ., ნიმუშებისათვის „კრებულისა,“ „ივერიისა,“ და „ჯეჯილის“ საძებნელად ჰგზავნიან მოწაფეებს. მაგალითად, როცა საგმირო თქმულებათ განმარტავენ, ნიმუშის შესახებ აი რასა სწერენ: იხილე „კრებული“ აკაკისა, „ივერია“ 1888 წლ. ზღაპრების ნიმუშების შესახებაც ასე ბრძანებენ: იხილე „ჯეჯილი“ 1898 წლ. IV. „ჯეჯილი“ 1890 წლ. წ. I. აკაკის „კრებული“ 1898 წლ. N. VI. და სხვა.“

მოჰყავს რეცენზენტს ეს ადგილები ჩვენის სახელმძღვანელო წიგნისა და ასე გვისაყვედურებს:

„ეს–კი, სწორედ მოგახსენოთ, სახელმძღვანელოში სრულიად შეუსაბამოა და გვონებთ, პირველი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანაზედ!“

ერთი ვკითხოთ კრიტიკოსს, ის კი შესაბამი საქმეა, რომ რეცენზენტმა მთლად წიგნი არ გადაათვალიეროს და ისე აიღოს კალამი ხელში რეცენზიის დასაწერად?! თქვენ კი სწორედ ასე მოქცეულხართ. თქვენ, რომ წიგნი თავიდან ბოლომდე გადაგეთვალიერებინათ, ყველა ზემოხსენებულს ნიმუშს დამატებაში ჰნახავდით და მაშასადამე, მიხვდებოდით კიდეცა, რომ არც შეგირდებსა და არც მასწავლებელს შორს წასვლა აღარ ეჭირვებათ ჯეჯილ–ივერიისა და აკაკის კრებულის საძებნელად.

ახლა მოგახსენებთ, ეგ, თქვენის სიტყვით, „იშვიათი შეცდომა“ როგორ მოგვივი–და: სახელმძღვანელოს ბეჭდვა რომ დავიწყეთ, ავნუსხეთ ის ნიმუშებიც, რომელიც დამატებაში უნდა მოგვეთავსებინა, მაგრამ რადგან ნიმუშების რიცხვი ბევრი იყო და არ ვიცოდით, სახელდობრ, რომელს მოვათავსებდით დამატებაში და რომელს არა, იქვე ვაჩვენეთ წყარო, საცა უნდა მოეძებნა მასწავლებელს ესა თუ ის ნიმუშები, ვინიცობაა დამატებაში არა ყოფილიყო; მოენახა ის წყარო, თუ დასჭირდებოდა, მიეტანა კლასში და წაეკითხებინებინა შეგირდებისათვის. მაგრამ მერე განვსაჯეთ, რომ სჯობია ბლომად იყოს ნიმუშებიო; მართალია წიგნი გაიზრდება, მეტად ბევრი დაჯდება, მაგრამ გავუძლოთ ამ ხარჯს, ხოლო წიგნის ფასს, რაც უნდა იყოს, მანეთს ნუ გადავაცილებთო.

შემდეგ თქვენა ბრძანებთ, რომ ნაკვეთის ნაწერის მაგალითები არა აქვთ სახელმძღვანელოში ჩართულიო და ასე ამბობენო: ნაკვეთის ნაწერის მაგალითებს ხშირად შეხვდებით ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე–სიცრუის“ წიგნში, ვახუშტის გეო–გრაფიაში, ვისრამიანშიო. ვახუშტის გეოგრაფიისა და ვისრამიანის საძებნელად გაგზავნას ის არ ემჯობინებოდა, რომ ორიოდე მაგალითი მოეყვანათ თუნდაც „სიბრძნე–სიცრუის“ წიგნიდგანაო?!

იქნება, მართლა ეგ უფრო სამჯობინარო ყოფილიყო და იქნება აგრეც მოვიქცეთ, თუ მეორედ დაბეჭდვა ეღირსა ჩვენს წიგნს, მაგრამ ისიც–კი სათქმელია, რომ მაგ მაგალითების მოძებნა ფრიად ადვილია თვით მოსწავლეთათვის დამატებაში, სადაც დაბეჭდილია სრული თოთხმეტი იგავ–არაკი საბა–სულხან ორბელიანისა და

ნაწყვეტი „ვისრამიანისა.“ ვინ იცის, იქნება ხან და ხან ისა სჯობდეს, რომ თვით შეგირდებმაც გასძრან გონება და თვისის ჭკუით იმოქმედონ, თვისით მოსძებნონ ადვილი მაგალითები ამა თუ იმ სალიტერატურო სასტილისტიკო მოვლენისა.

ესევე ითქმის ნაწყვეტ–ნაწყვეტის ლაპარაკისა და ფრთა შეკვეცილის საუბარის შესახებ.

მართალს არ ამბობს კრიტიკოსი, როდესაც ამტკიცებს, რომ ვითომ ქართულს გრამატიკას მარტო სათავად–აზნაურო სკოლებში ასწავლიანო. ამ საგანს ასწავლიან აგრეთვე სასულიერო სემინარიებში, სასულიერო და დედათა საეპარქიო სასწავლებ–ლებში, მეორე კლასიან საეკკლესიო სამრევლო და სამინისტრო სკოლებში და თუ არა ვსცდებით, გორისა და ხონის საოსტატო სასწავლებლებში, აგრეთვე ტფილისის სახელოსნო და წინამძღვარიანი–კარის სამეურნეო სასწავლებელში. ნუთუ თქვენა გგონიათ, რომ შესაძლოა, თუ მოწაფეთ ქართული გრამატიკა არ უსწავლიათ, თუ იმათ არ იციან, რა არის ეტიმოლოგია და სინტაქსისი, სიტყვიერების თეორია ასწავლოთ?!

სხვა თქვენს შენიშვნებს უყურადღებოდა ვსტოვებთ, რადგან მეტისმეტად წვრილმანია და ყოვლად უმნიშვნელოა. არა ღირს კაცი მოსცდეს იმათის უარყოფის დასასაბუთებლად. ვგონებ, თვით მკითხველიც ღირსეულად დააფასებდა იმ თქვენის შენიშვნების სიღრმე–სიმძიმეს. ეს ის შენიშვნებია, რომ რატომ ნიმუშები არა გაქვთ დრამისა, ტრაგედიისა და კომედიისაო. ქრისტომატიის შედგენა რა შრომაა, მხოლოდ ნიმუშები შეგიგროვებიათ და გადმოგიბეჭდიათო. ეს იმასა ჰგავს სწორედ, სომეხმა რომ უთხრა გლეხ–კაცს: – „დიდი საქმეა ეგ თქვენი ხვნა–თესვაო: მოხან–მოთესე, მომკე–მოლეწე, მორჩა და გათავდაო.“ თქვენც აგრე მოგდით ბატონო კრიტიკოსო. სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ახლა თქვენი სჯობია. ახლა დიახაც რომ უფრო ადვილია ქრისტომატიის შედგენა: პირველი ცდა თვალწინ გიდევთ და უვალი გზა ასე თუ ისე გაკაფულია. აბა, თქვენ გეძებნათ პირველი მაგალითები და ნიმუშები, მერე ისიც ჩვენში, საცა მწერალთა თხზულებათა სრული კრებულები არ არის დაბეჭდილი და ყოველივე მძიმედა სძევს დიდის ხნის ჟურნალ–გაზეთებში და მაშინ ვნახავდით, ამასვე იტყოდი თუ არა.

დასასრულ–კი ერთი რამ უნდა გკითხოთ: გვიკვირს, რატომ კეთილ არ ინებეთ და თქვენი მოწყალე ყურადღება არ მიაქციეთ ჩვენის წიგნის მთელს განყოფილებას – ქართულ ლექსთ–წყობას. ეს განყოფილება უმეტესად დამოუკიდებელი შრომაა, თითქმის საკუთარი ჩვენი გამოკვლევაა... შეცდომას თუ ეძებდით, აქ უფრო ბევრს არ იპოვიდით. გაგვისწორებდით ამ შეცდომებს და მით ჩვენც დიდად დაგვავალებდით და ჩვენს სკოლებსაც. აგერ თქვენს შემდეგ მეორე რეცენზენტმა აკი კიდეც დაგვისახელა ჩვენი შეცდომა ამ მხრივ, მღვ. მ. კელ–ძემ. დიდი მადლობელიცა ვართ პატივცემულის რეცენზენტისა მაგ შეცდომის ჩვენებისათვის, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ეგ შეცდომა პირველ გვაჩვენა ჩვენ წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, კერძოდ რასაკვირველია, ჩვენმა მკვლევარმა ბატონმა თ. ჟორდანიამ.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ რეცენზენტს სრულიად არ მიუღია მხედველობაში ყოველივე ის სიძნელე, რომელიც არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ყოველს სხვასაც, გადაეღობება წინ ამისთანა სახელმძღვანელოს შედგენის დროს ჩვენში.

მაგალითად, ტერმინების შემუშავება, სტილისტიკისთვის შესაფერის მაგალითების მოძებნა, ქართულ ლექსთ–წყობის გარკვევა და მისი კანონების დამყარება, მოძებნა მაგალითებისა და ნიმუშებისა თეორიის მეორე ნაწილში ზეპირ–სიტყვაობიდგან და სხვა.

ერთი შენიშვნაც. რა მიზეზია, ნეტავ ვიცოდეთ, რომ რეცენზენტს ასე არ უნდა, ჩვენი წიგნი სახელმძღვანელოდ იყოს ცნობილი? აქ რაღაცა არის! ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინიან!

ჩვენი წერილის დასასკვნელად ორიოდე სიტყვაც ჩვენებური კრიტიკის შესახებ.

ჩვენში კრიტიკა ან ცამდე აყვანაა მწერლობაში მოღვაწისა ან დედამიწასთან გასწორებაა. სწორედ ისე, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე ასეთს კრიტიკაზედ: или зубы выколочу или ручку пожалуйте-ო ნუ იყოფინ ესე ასრედ! კრიტიკამ უნდა გულ–დასმით განიხილოს და გაარჩიოს ნაწერი და ნაშრომი, ჩაუფიქრდეს მის ყოველს კერძოობას, მიიღოს მხედველობაში ყოველი გარემოება, ყოველივე წვლილი და ისე დასდოს თავისი მსჯავრი ნაწერს. სხვა პირობათა გარდა, უმეტესად ყოვლისა აქ პირველი საქმე კილოა, კილო გულწრფელობისა, კეთილ–სურვილობისა, მოკეთობისა და არა მრისხანებისა, ძაგებისა, ყვედრებისა. პირველი საქმეა არა სურვილი ნაწერის გაწბილებისა, სიტყვების გადაკვრა–ნართაულობისა, გაბოროტებისა. რომელ ოქროს წვიმას აწვიმებს ჩვენში სალიტერატურო შრომა, რომ მის მტვირთველს ზედ შევასქდეთ, დავუწყოთ ლანძღვა გინება, წუნი დავდოთ ხელ–აღებით მის ნაწერს, მის ნაჭირნახულევს და გული მოუკლათ, სიცოცხლე ჩაუშხამოთ. მერე რისთვის? იმისთვის, რომ იშრომა, როგორც შეეძლო და თან იმდენი ფულიც დაჰხარჯა თვისივე საკუთარი, რომ იქნება ნახევარიც ვერ ამოიგოს. განა აგრე ბევრია ჩვენში მუშაკი სალიტერატურო სახელისა, რომ უდიერად ვექცეოდეთ მშრომელს?! მოვიგონოთ სიტყვები დიდებულის მოციქულისა:

„უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ, უკეთუ ურთიერთარს იჭამებოდეთ, იხილეთ, რათა არა განილინეთ.“

სიტყვიერების თეორიის შემდგენელნი.

ივერია - 1899. – N82. – 15 აპრილი. - გვ.2.

კახეთი. ცნობილია საზოგადოდ, რომ ქართველების ტაძარ–მონასტრები ფრიად სამწუხარო მდგომარეობაშია ჟამთა ბრუნვისაგან, უწყალო დროსაგან. მათი განახლე–ბა და შეკეთება აუცილებლად საჭიროა, თუ რომ გვინდა მათი შერჩენა და შემდეგის თაობისათვის უვნებლად გარდაცემა, მსგავსად ჩვენთა ძველთა, რომელთაც ჩვენ გადმოგვცეს ისინი.

ძველთაგან დატოვებული ტაძარ–მონასტრები, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე კახეთშიაც მოიპოვება, რომელთაც მიხედვა და პატრონობა სჭირია.

როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ყოვლად სამღვდელო კირიონს, ეპისკოპოსს ალავერდისას, განუზრახავს შესანიშნავის ალავერდის ტაძრის შეკეთება და განახლე–ბა და 4 ამა აპრილს ოსტატებიც მოუწვევია. ამ სიძველის შესაკეთებლად საჭირო მასალა შუამთის მონასტრიდგან იგზავნება. ყოვლად სამღვდელო კირიონს აგრეთვე

აზრად ჰქონია შეაკეთებინოს შუამთის მონასტერი და ამ მონასტრის ეკკლესიას დაუფინოს მარმარილო იატაკად.

წინაზედაც ხშირად ყოფილა ჩვენს ჟურნალ–გაზეთებში და ეხლაც უნდა მოვი–ხსენიოთ, რომ კახეთს დიდად აბრკოლებს სკოლების სიცოტავე. სკოლაში შესასვლელ ბავშვთა რიცხვი აუარებელია, ხოლო სკოლების რიცხვი ფრიად მცირე. ამ გარემოებას სასულიერო მთავრობამ ყურადღება მიაქცია ბოლო ხანებში და ყოველის ღონითა სცდილობს სამრევლო სკოლების გამრავლებას. ამ ბოლოს დროს ქალაქ თელავში დეკანოზ ხელაშვილის თაოსნობით კიდევ ერთი სამრევლო სკოლა დაარსდა, სადაც სამოცამდე მოსწავლე შეიკრიბა. სკოლაში მასწავლებლობს ონისიმე ჭიკაძე. სასწავლებლის დამაარსებელთ გაუმარნიათ სკოლა ზ. ჩხიკვაძის სახლებში, შეუ–ძენიათ ხელმწიფე იმპერატორის სურათი, დეკანოზს ხელაშვილს შეუწირავს ხატი, შეუძენიათ შკაფი სასწავლო ნივთებისათვის და სხვა.

ყოველი ადამიანი პატივისა და სიყვარულის ღირსია, რომელიც–კი სწავლა–განათლებისთვის რასმე მოიღვაწებს, მეტადრე ჩვენს ჩამორჩენილს ქვეყანაში, სადაც ასე საჭიროა სკოლები.

ივერია - 1899. – N102. – 18 მაისი. - გვ.1.

ახალი ამბავი – მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის წევრს ალავერდის ეპისკოპოსს, ყოვლად სამღვდელო კირიონს შეუწირავს ხსენებულ ტაძრის განსაახლებლად 100 მან.

ივერია – 1899. – N154. – 21 ივლისი. – გვ.1.

ახალი ამბავი. – ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, გუშინ, 20 ივლისს, საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა დუშეთს, სადაც, ქართლ–კახეთ–იმერეთის სინოდალურ კანტორის მინდობილებით, უნდა დაათვალიეროს ბოდავის წმიდა გიორგის საჯვარე, რომელიც დუშეთის შტატის ეკკლესიასთან ზედმიწერილად ითვლება, ხოლო დღეს–კი სომეხთ გრიგორიანთა საეკლესიო უწყებას მიუთვისებია.

ივერია – 1899. – N157. – 25 ივლისი. – გვ.1.

ახალი ამბავი. – ალავერდის ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, რომელიც დუშეთის მაზრაში იყო წასული ბოდავის წმიდა გიორგის საჯვარის დასათვალიერებლად, უკვე დაბრუნდა ტფილისში.

ივერია - 1899. – N158. – 27 ივლისი. - გვ.1-2.

ახალი ამბავი: – როგორც ისმის, ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად–სამღვდელო კირიონი ამ დღეებში გორის მაზრაში გაემგზავრება ეკკლესიების სარევიზიოდ.

დუშეთი. 20 ივლისს აქ მობრძანდა ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო კირიონი. ადგილობრივს ეკკლესიაში დაუხვდა ლოცვა–კურთხევის მისაღებად მრავალი ხალხი და აგრეთვე ახლად შემდგარი ქალთა და კაცთაგან

მგალობელთა გუნდი ბატონის დ. ს. პავლიაშვილის ლოტბარობით, რომელმაც საკმაოდ მწყობრად იგალობა შესაფერი საგალობლები მისის მეუფების ეკკლესიაში მისვლის დროს. ყოვლად სამღვდელოს ამ მხარეში მობრძანება და აქაურების შეხვედრა მით უფრო გულითადი და სასიამოვნო იყო, რომ იგი ამ მხარესათვის უცხო არა ბრძანდება, აქ დაბადებულა და დრო თვისის სიყმაწვილისა აქ გაუტარებია, რადგან მისს მამას აქ უმსახურნია. მისმა მეუფებამ დუშეთში სულ მცირე ხანი დაჰყო და შემდეგ გაემგზავრა ანანურისკენ, ხოლო გზად გავლით ადგილობრივ დაათვალიერა ქართველთა და სომეხთა შორის სადაოდ გამხდარი ბოდავის წმინდა გიორგის ნიში, რომელიც ახლა სომხებისგან მონათლულია სურბ–გეურქად. აქ ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ნიშში და მის გარშემო არსადა სჩანდა ის ვითომდა დიდი შენობები და ხელოვნურად გაშენებული მრავალი ცხელის ქვეყნის ხეხილი, რომლის შესახებაც ამ ორიოდე წლის წინად ბევრი მელანი, ქაღალდი და უფრო ბევრი ტკაცუნა სიტყვები დახარჯეს სომხებმა. თითქმის ყველას ახსოვს, ვინც–კი ამ ნიშში როდესმე ყოფილა, რომ აქ ერთი საფლავი იყო ქართულის ზედ წარწერით და, როგორც ხალხი ამბობს, იქ დამარხული იყო ვიღაც დიდებაშვილი, იქვე მახლობელი სოფლელი ქართველი, რაიცა, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა, თუ კი იქ იმ თავიდგანვე სომხების ნიში ყოფილიყო და არა ქართველებისა; მას შემდეგ–კი, რაც ამ ნიშის შესახებ დავა დაიწყო, საფლავი აღარა სჩანს და მისი ქვაც თვისის ზედ წარწერით დაჰფარა და უჩინარ–ჰყო ცბიერებამა, შურმან და შიშმან ჭეშმარიტებისამან.

ივერია - 1899. – N177. – 19 აგვისტო. - გვ.2-3.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი: ქვემო ნიქოზი. (გორის მაზრა). – აქაური ხალხის ცხოვრების უმთავრესი სახსარი პურია. სამწუხაროდ, პურის მოსავალი ამ წინა წლებში ვერ იყო ხეირიანი და გლეხ–კაცობამ ბევრი გაჭირვება გამოიარა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, წელს–კი პურის მოსავალს გლეხნი არ ემდურიან. მიზეზი წლევანდელი ხეირიანი მოსავლისა ის არის, რომ სეტყვა – ეს სოფლის მეურნეობის სრულიად გამანადგუ–რებელი რისხვა – ასცდა ქვემო–ნიქოზს და ამიტომაც ჭირნახულიც, ვენახებიც, და ხეხილიც გადურჩა განადგურებას.

პურები კაი ხანია დაიმკო აქ; კალოობაც აგერ ერთი თვეა, რაც დაიწყო და ჯერაც არ გათავებულა.

აქაურებს პური გასასყიდად გააქვთ ხოლმე ცხინვალის, გორის და ზოგჯერ ტფილისის ბაზარში. სოფელს, მკისა და კალოობის დროს, ესტუმრებიან ხოლმე ცხინვალიდგან ურიები და გორიდგან სომხები და ცდილობენ ჩალის ფასად ხელში ჩაიგდონ ჭირნახული.

ქვემო–ნიქოზში ხარობს ყოველ–გვარი ხილი, ლეღვის გარდა. ნამეტურ გან–თქმულია აქაური მსხალი, ვაშლი და ალუბალი. ყოვლად უსამღვდელოესს,

ალავერდის ეპისკოპოსს კირიონს თავისს ერის კაცობაში მყოფობის დროს, გაუშენებია აქ შესანიშნავი ბაღი, სადაც შეხვდებით უცხოეთიდგან გამოწერილს ხეხილებს: მსხალს, ვაშლს, ბალს, ატამს, ქლიავს და სხვა. ამ ბაღიდგან ნერგები და თესლები სხვებსაც წაუღიათ, და ამნაირად ხეხილთა გაშენების საქმე თანდათან მიდის წინ, თუ სისწრაფით არა, კუს ნაბიჯით მაინც. ზემოდ დასახელებული ბაღი, ხილნარი და ვენახი თავ–თავის დროზე იწამლება ხოლმე ეს რამდენიმე წელიწადია და ამის მიხედვით სხვათაც, ზოგიერთ შეძლებულ თავად–აზნაურთაც შემოუღიათ ვენახების წამლობა. საზოგადოდ–კი აქ და სხვაგანაც ქართლში ვენახების წამლობას არ მისდევენ არა თუ გლეხები, არც თავად აზნაურნი. ქართლი ამ მხრით იმერეთსაც და კახეთსაც გაცილებით ჩამორჩა.

სამწუხაროდ, გაზაფხულის ცივმა ტაროსებმა და მერე თითქმის ორი თვის გვალვამ ძალიან დააზარალა ვენახებიც და ხეხილის ბაღებიც. ძლივს 27 და 29 მკათათვეს მოსულმა წვიმებმა ფერი უცვალა ვაზსა და ხილს, მარცვალი დაუმსხვილა და ხალხს მოსავლის იმედი გაუღვიძა.

დადგა თუ არა აგვისტო, სოფელში გაჩნდა ავადმყოფობა: ციებ ცხელება, ფაღარათობა და მუცლის ტკივილი. ეს უკანასკნელი სენი უფრო ბავშვებს დაერია. საკვირველია, ცხინვალში, რომელიც ორს ნაბიჯზეა აქედგან, ექიმიც არის, ფერშალიც, აფთიაქიც, მაგრამ ქვემო–ნიქოზელები იმათ არ ეკარებიან. აქაური ხალხი ძალიან ჩამოქვეითებულია ჭკუა–გონებით, უმეცრებით არის დაყურსული და ამიტომაც ხშირია ისეთი მოვლენა. მხოლოდ ეს ერთი წელიწადი იქნება, რაც აქ ყოვლად–სამღვდელო კირიონის მეოხებით დაარსდა ერთ–კლასიანი სამრევლო სკოლა და მასწავლებლად მოწვეულია ტფილისის საეპარქიო სასწავლებელში კურს–დასრულებული ქალიშვილი, რომელიც თავისს წმინდა საქმეს ბეჯითად და გულიანად ეკიდება. ამ ჟამად სკოლას შესაფერი შენობა არა აქვს და ყოვლად სამღვდელო ამ მხრივაც ზრუნავს. სამწუხაროდ, ზოგიერთი საკმაოდ შეძლებული გლეხ–კაცი და თავად–აზნაურები ნაკლებად ზრუნავენ ამ ნათელ და გამაკეთილშო–ბილებელ ლამპრის წარმატებისათვის.

27 მკათათვეს, საღამოს ჟამზე, ქვემო–ნიქოზში მობრძანდა თვის ნათესავებში და თავის მშობელ სოფელში ყოვლად სამღვდელო კირიონი. მეორე დღიდგანვე, დილით, ქვემო–ნიქოზის და სხვა ახლო–მახლო სოფლების საზოგადოებამ დაიწყო დენა მღვდელმთავართან ლოცვა–კურთხევის მისაღებად. ეპისკოპოსი ყველას სიყვარულით, თავაზიანად, მამაშვილურად ესაუბრებოდა ადგილობრივ მცხოვრებ–თა საჭიროებაზე და განსაკუთრებით, სწავლა–განათლების შესახებ. მისი მეუფება 30 მკათათვეს წაბრძანდა ტფილისში.

ამ დღეებში აქ დიდი წვიმები იყო და ჰაერიც შესამჩნევად გაგრილდა.

ამ ჟამად სოფელ ფხვენისში მამულების გამმიჯვნელი კომისია მუშაობს და ადგილობრივ მემამულეთა შორის დიდი მოძრაობა და ფაცა–ფუცია.

გულკეთილი.

ივერია - 1899. – N208. – 28 სექტემბერი. - გვ.2.

ახალი ამბავი: – ჩვენ შევიტყეთ, რომ ყოვლად სამღვდელო კირიონს, ალავერდის ეპისკოპოზს, აღმოუჩენია კახეთის ერთ ძველ და გაუქმებულ პატარა ეკკლესიაში თამარის ხატი. თამარი არის დახატული ტილოზედ. მხატვრობა ძალიან ძველია, მაგრამ საყურადღებო აქ ის არის, რომ თამარის თავზედ სული წმიდაა გამოსახული და წარწერაცა აქვს. ეს ფრიად შესანიშნავი ხატი ამ ცოტა ხანში გამოეგზავნება ტფილისში ქართულ საეკკლესიო მუზეუმს და მისი ფოტოგრაფიული სურათებიც იქმნება გადაღებული მსურველთათვის შესაძენად.

ივერია - 1899. – N231. – 28 ოქტომბერი. - გვ.2.

ახალი ამბავი: – 22 ოქტომბერს ქართლიდგან დაბრუნდა ალავერდის ეპისკოპო–სი კირიონი, რომელიც წასული იყო იქ ეკკლესიების დასათვალიერებლად. ქართლი–დგან ეპისკოპოსმა მოიტანა: 1). XIII საუკუნის ხუცური ხელ–ნაწერი სახარება, ტყავ–ზედ ნაწერი; 2). უმთავრესად საქართველოს ეკკლესიის 1707 წლის წმიდანების ცხოვრების წიგნი; 3). თამარ–მეფის ხატი ქართულის წარწერით: „წმ. თამარ მეფე;“ 4). ხუთი ხატი: ორი – ნიკოლოზ სასწაულ–მომქმედისა, ორი – მაცხოვრისა და ერთიც – წმიდა ნინოსი; 5). წრომის ტაძრის მოზაიკის ნიმუში და 6). რამდენიმე ვერცხლისა და ოქროს ფული. ყველა ეს საგნები გარდაეცემა საქართველოს საეკკლესიო სიძველეთ–საცავში.

ივერია - 1899. – N251. – 20 ნოემბერი. - გვ.3-4.

ბიბლიოგრაფია

„Двенадцативековая религиозная борьба православной Грузии съ Исламом, Е. К. 1899 г.“

დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთათვის რუსულს ენაზედ ისეთის წიგნების გავრცელებას საქართველოს შესახებ, რომელიც ამ მრავალ წამებულის ქვეყნის დიდებულს წარსულს შეეხება... ამ წიგნთა საშუალებით ქართველობას და მის წარსულს გმირულს ცხოვრებას გაიცნობს რუსეთის მკითხველი საზოგადოება და ყველა ის, რომელმაც–კი იცის ეს ენა და თანაც აქვს წყურვილი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლისა... ამ გაცნობას ის შედეგი მოჰყვება ქართველთათვის, რომ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელნი დააფასებენ ქართველს ერს იმ დიადის ღვაწლის მიხედვით, რომელიც მას მიუძღვის ქრისტიანობისა და თვით დასავლეთ ევროპის განათლების წინაშე... სასურველია, რომ წიგნები ასეთის შინაარსისა ბევრი იბეჭდებოდეს და ვრცელდებოდეს რუსთა შორის, რომელთ საუკეთესო შვილებს, როგორც ნამდვილად ვიცით, თვისი თანაერთმორწმუნე ქართველის ხალხის ისტორიის გაცნობის დიდი წყურვილი აქვთ. ასეთს წიგნებს უნდა ადგენდნენ მხოლოდ ის მცოდნე ქართველები, რომელთაც შესწავლილი აქვთ საფუძვლიანად საქართველოს ისტორია, რამდენადაც შესაძლებელია ეს შესწავლა აწინდელს დროს და თანაც ხალისი, უნარი მოსდევთ ისტორიულის შინაარსის

წერილების წერისა. ამასთანავე საჭიროა ამ მწერალთათვის საზოგადო განათლება და საფუძვლიანადვე შესწავლა მსოფლიო ისტორიისა და ამ ისტორიის ფილოსოფიისა. ჩვენმა მეზობელმა სომხებმა თავისი თავი მთელს ქვეყანას გააცნეს უცხო ენებზედ ისეთის წიგნების გავრცელებით, რომელიც მათს ისტორიას და საზოგადოდ მათს ეროვნულს კულტურას შეეხება... სომხებზედ უმეტესი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის და ხალხოსნობის წინაშე საქართველოს სამეფოს, რომელიც საბერძნეთის თათართაგან დამორჩილების შემდეგ (მე–15 საუკ.) ერთად–ერთი ქრისტეს მოსავი სამეფო იყო მთელს აზიაში თითქმის ოთხის საუკუნის განმავლობაში. ამისდა მიუხედავად, მან, გარეშემორტყმულმა მაჰმადიანებით, იესოს ჯვარს არ უღალატა და ქრისტიანობის დროშა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე შეუმწიკვლელად მოიტანა.

ჩვენ დიდის სიამოვნებით გადავიკითხეთ თავიდან ბოლომდის ის წიგნი, რომლის სათაური ზემოდ ამოვწერეთ. ეს წიგნი დაწერილია ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის მიერ და შეეხება საქართველოს ბრძოლას მაჰმადიანობასთან თორმეტის საუკუნის განმავლობაში. ამ წიგნის შედგენის დროს ყოვლად–სამღვდე–ლო ავქსონს ხელთ–ქვეშ ჰქონია საკმაოდ ბევრი წყარო მსოფლიო და საქართველოს ისტორიისა, რომლითაც მას უსარგებლნია საქმის ცოდნით და დაკვირვებით. საზოგადო სურათი საქართველოს ბრძოლისა მაჰმადიანობასთან მთელის თორმეტის საუკუნის განმავლობაში ამ წიგნში ნათლად დახატული და დასაბუთებულია... მკითხველი იმის წაკითხვის შემდეგ შეიგნებს, თუ რამდენი სისხლი და ცრემლი დაუღვრია ქართველს ერს მაჰმადიანობასთან ბრძოლაში, რა სამაგალითო გაუტეხელი მხნეობა და ხასიათის სიმტკიცე გამოუჩენია. რა თავ–განწირულად ჰყვარებია თვისი „სიწმიდით მშობელი ეკკლესია და თვისი სიქადული მართლმადი–დებლობა.“ და რა ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე საზოგადოდ... ასეთის მამაცის და მაღალ–ზნეობიანის და მტკიცე სარწმუნოების მქონებელ ხალხის ცხოვრების გაცნობა, თუნდაც კაცობრიობის წინაშე თითქმის არავითარი ღვაწლიც არ მიუძღოდეს, თავის თავად საინტერესო, სასიამოვნო და სასარგებლოა...

წიგნში სულ ხუთი თავია; უფრო დაკვირვებით შემუშავებულია უკანასკნელი ოთხი თავი, რომელთაგან მესამე და მეოთხე თავი დიდად საყურადღებოა თვისის შინაარსის მხრით. წიგნი დაწერილია ადვილად გასაგების რუსულის ენით. ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ყოვლად–სამღვდელო ავქსონს სახეში ჰქონია თვისის შრომის შედგენის დროს პირველ ხანად მოკლედ დაჰხატოს საქართველოს ბრძოლის სურათი მაჰმადიანობასთან თორმეტის საუკუნის განმავლობაში და შემდეგში–კი იგივე საგანი შეიმუშაოს უფრო დაწვრილებით, ვრცლად და საფუძვლიანად. თუ ჩვენი მოლოდინი გამართლდა, ქართულს ღარიბს ისტორიულს მწერლობას დაუფასებელი განძი შეეძინება, განძი, რომელიც ესოდენ შესანიშნავს ხანას ჩვენის ისტორიისას შეეხება. ძლიერ ღარიბია ეს მწერლობა, თითქმის ახლახან დაწესებული, ჯერ ახალგაზრდა, მეცნიერულის ხასიათის ნაწერებით; ასეთის ხასიათის ნაწერი ხუთი ან შვიდი მოიპოვება ამ მწერლობაში... დიდად პატივცემულს ავქსონს ადვილად შეუძლიან თავისს შრომას ასეთი ხასიათი მისცეს: მას მოეპოვება ბევრი მასალა, ბევრი წყაროები, შესწავლილი აქვს ზედ–მიწევნით ყველა ის ცნობა,

რომელიც–კი საქართველოს ისტორიას შეეხება და ქართველების ცხოვრების სხვადა–სხვა საკითხს შუქსა ჰფენს, თანაც ამ გვარი მეცნიერულის შრომის ნიჭი, უნარი და სიყვარული მოსდევს... ღირსიც არის აღებული საკითხი საკუთარის დასაბუთებულის გამოკვლევისა. საქართველოს ბრძოლა მაჰმადიანობასთან თორმეტის საუკუნის განმავლობაში – იგივე ქართველ სამეფო გვარის ბაგრატიონების ისტორიაა. ამ დროის განმავლობაში საქართველო თანდათან გადიდდა, გაიზარდა, გავრცელდა, წელში გაიმართა, შეებრძოლა არაბებს და სელჯუკ–თათრებს და ძირს დასცა მათი მონება და თავისუფლება მოიპოვა... თითქმის ას–ორასის წლის განმავლობაში საქართველო ძლიერს სახელმწიფოდ ითვლებოდა აზიაში და მასთან კავშირს ეძებდნენ მაჰმადიანთა თვით უძლიერესი მბრძანებლები. მაგრამ თორმეტის საუკუნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ ერთის მხრით საქართველოს აღყვავებას, სიხარულს და ბედნიერებას, მეორეს მხრით–კი დაცემას, დანაწილებას, ცრემლსა, მწუხარებას და უბედურებას, – ეს ხანა დიდებული ხანაა, – მთელი დრამაა ქართველის ერისა, – აქ ბევრი რამეა მისაბაძი, თაყვანსაცემი, სალოცავი და ბევრი–კი – სიძულილისა და ზიზღის ღირსი... ამ საუკუნეებს დააგვირგვინებს და განაბრწყინვებს მთელი გუნდი საქართველოს ეკკლესიის მოწამეთა, რომელთა მეოხებით, სხვათა შორის, არ გაჰქრა ქართველთა სახსენებელი დედამიწის ზურგზედ...

ვიდრე ჩვენი მოლოდინი გამართლდებოდეს, ვისურვებთ, რომ ზემოთ ხსენებული წიგნი ყოვლად–სამღვდელო კირიონისა გავრცელებულ იყოს მათ შორის, რომელთაც ჰსურთ გაიცნონ საქართველოს წარსული... ამ წიგნში ისინი ჰნახავენ მრავალს ადგილს, რომელთა გაცნობა აუცილებლად საჭიროა მათთვის, უკეთუ გულით ჰსურთ საქართველოს შესწავლა. ქართველს მოზარდს თაობას კი ამ წიგნის გაცნობა შეაყვარებს მართლ–მადიდებლობითს სჯულს და მხნე მამა პაპებს, რომელ–ნიც მის დასაცველად გმირულად და საარაკოდ მთელს აზიას ეომებოდნენ.

ნ–ძ–ელ.

ივერია - 1899. – N280. – 29 დეკემბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – კიევის სასულიერო აკადემიასთან არსებულ საეკკლესიო საარქეოლოგიო საზოგადოების დადგენილებით, ყოვლად სამღვდელო კირიონი, ალავერდის ეპისკოპოსი, ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად იქმნა არჩეული.

ივერია - 1901. – N37. – 17 თებერვალი. - გვ.3-4.

საქართველოს ეპარქიის სამღვდელოთა საეკკლესიო მუზეუმი

ჩვენის მუზეუმის დიდმა წარმატებამ და გამდიდრებამ, ცოტა არ არის, აგვალაპარაკა. ამ ორის წლის წინად ხელნაწერთა რიცხვი სამას ცალზედ ნაკლები იყო, ახლა შვიდასს ცალს აღემატება და ამ წელში ათასამდე ავა. ასეთმა წარმატებამ დაჰბადა ხელნაწერთა და ძველ ნივთთა აღწერის საჭიროება. ამ ძვირფას საუნჯეთა

ვრცელის კატალოგის შესადგენად ყოვლად სამღვდელო კირიონმა მოიწვია სამეგრელოდგან ჩვენი მეისტორიე–მოღვაწე თ. ჟორდანია, რომელიც აგერ ერთ თვეზედ მეტია თავგამოდებით ჰმუშაობს და მალე დაამთავრებს კიდეც ამ შრომას. ყოვლად სამღვდელო კირიონი არასა ჰზოგავს, რომ ეს შრომა სასურველად დამთავრდეს და მალე მომზადდეს დასაბეჭდად. ხოლო ძველ ნივთთა აღწერა მინდობილი აქვს ანჩისხატის ტაძრის მღვდელს პ. კარბელაშვილს.

ამ ნაირად საეკკლესიო მუზეუმს ექმნება პირველი სრული აღწერა ამ მოკლე ხანში და იმედია, შეძლებისამებრ დააკმაყოფილებს მეცნიერთა მოთხოვნილებას. რაწამს დასრულდება ეს აღწერა, მაშინვე დაიბეჭდება.

ეფთვიმე ათონელის სახარება (ალავერდიდგან), გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიის სვინაქსარი, აუარებელი მინიატურები XII-XIV-XVII საუკ. და სხვა. ახლად შეძენილნი ნივთნი შეადგენს მუზეუმის საუკეთესო სამკაულსა.

წარსულ ზაფხულს აღმოჩნდა მუზეუმის ერთს დიდ ხელნაწერში ქრისტეფორე წილკნელის მემუარი იმპერატრიცა ეკატერინე დიდის ტახტზედ ასვლის შესახებ (1762 წ.), რომელიც გაეგზავნა მოსკოვში პატივცემულს პროფესსორს ა. ს. ხახანაშვილს და რუსულად დაიბეჭდა კიდეც. ამ ცოტა ხანში აღმოჩნდა მემუარი (ჩვენის ფიქრით, ალექსანდრე არჩილის ძე ბატონიშვილისა) პეტრე დიდის და ალექსი პეტრეს ძის მეფობის დროისა, რომელიც გვაძლევს ძვირფასს ცნობებს მათის ცხოვრებიდგან.

ყოვლად–სამღვდელო კირიონი გულიანად შეუდგა ძველ ხელნაწერთა ბეჭდვის საქმეს. უკვე დაიბეჭდა – ათონის ივერიის ლავრის შესანიშნავი ხელნაწერი (1074 წ.) აღაპებით, დაუჯდომელი წმიდა ნინოსი. ეხლა იბეჭდება წმიდა ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა, აღწერილი X საუკ. დიდის არსენ კათალიკოზის მიერ, XII საუკ. ხელნაწერიდგან. მალე შეუდგებიან „დიდი სჯულის კანონის“ (საკათალიკოზო ნომოკანონი) და მეექვსე–მეშვიდე კრებათა დადგენილების ბეჭდვასა.

როგორც ძველად, ეხლაც საქართველოს სამღვდელოებამ იტვირთა ეს დიადი საქმე. წარსულის 1899 წ. ნოემბერში ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებამ სანთლის ქარხნის შემოსავლიდგან გადასდო ყოველ წლივ ასი თუმანი ფული; ამ ბოლო დროს, როგორც ვიცით, ყოვლად–სამღვდელო ალექსანდრემ შესაწირა ამავე საქმეს 2,240 მანეთი.

იმედია, რომ ყოვლად–სამღვდელო კირიონის წყალობით მუზეუმის ზრდა და ძველ ხელნაწერთა ბეჭდვა არ შეფერხდება და წარმატების გზას არ გადაუხვევს. მნიშვნელობა ძველ ხელნაწერთა ბეჭდვისა დიადია: ძველი მწერლობის სინიდისიანმა შესწავლამ უნდა მოსწმიდოს, უნდა გადარეცხოს სამშობლო ენის წმიდა ტაძარს მოცხობილი განმხრწნელი ჩირქი.

სიამოვნებით წავიკითხეთ ბატონის ე. ვაშაკიძის წერილი („ივერიის“ N35). უდიდესი საშუალება სამშობლო ენის სიწმიდით დაცვისა შთამომავლობისათვის, რასაკვირველია, არის შესწავლა ძველის მწერლობისა, სადაც დაცულია ყოველივე სიმდიდრე და ღირსება ენისა. მაგრამ დღეს რომ უმეცარნი მეცნიერნი მეცნიერობენ და საკუთარს მეცნიერებას საზოგადოებას ამცნებენ, მათთვის ჩვენ არა გვეთქმის–რა, გარდა მაცხოვრის მცნებისა, რათა „უტევოთ მკვდართა დაფლვად თავი თვისი.“ ბატონებო, ჩვენს სამშობლო ენას, შემუშავება–კი არა, შესწავლა უნდა. იგი საუკუნეთა

განმავლობაში შემუშავებულია და გაცხრილული, ვითარცა ცეცხლში შვიდჯერ დადუღებული ოქრო! მისს სიმდიდრეს დიდი ღაღადი არ უნდა: იგი თავისის გრამმატიკულის ფორმებით უმდიდრესი და საუკეთესო ენაა დედამიწის ზურგზედ. ქართულის ენის კვალი დღესაც წმინდად არის დაცული მთელს აფრიკასა და აზიაში. რომელისამე აზრის გამომხატველი სიტყვა, რომელისამე საგნის წოდება დღეს თუ ხმარებაში არ არის, ჩვენ არ ვიცით და უცხო ენებიდგან ვსესხულობთ, ეს განა ქართულის ენის სიღარიბეს აღნიშნავს? არა, ეს სამწუხარო მოვლენა, ეს „სამშობლო ენის წახდება, ერის დაცემა, ჩირქის მოცხება ტაძრისა წმიდის“ საქვეყნოდ მღაღადებელია ჩვენ უმეცარ მეცნიერთა უმეცრებისა, ჩვენის განხრწნილობისა, ჩვენის უღირსებისა. ჩვენნი უმეცარნი მეცნიერნი ცხვირაშვერილნი მრისხანებით უყურებენ ძველს ენასა, ძველს მწერლობასა, ძველს კულტურას. მდიდარის ენის, მწერლობის შექმნას ძლიერი ერი ნდომებია ყოველთვის. ენის წახდენა, მდიდარი სამკვიდრებლის გაფლანგვა მხოლოდ უძლურ უმეცართა ხვედრი ყოფილა ყოველთვის.

დღეს ვისაც–კი კალმის აღება შეუძლიან, თითქოს ყველას თავის საკუთარი სამწერლო ენა აქვს. ხშირად, ძალიან ხშირად შეგვხვდება ხოლმე ჩვენს მწერლობაში როგორც მე, ისე ყველას, ისეთი სიტყვები, რომელნიც დასახიჩრებულია. ჩემი გულითადი სურვილია განხორციელდეს ბატონ ვაშაკიძის წინადადება და ჩემის მხრივ მხოლოდ დავამატებ, რომ ფრიად საჭიროა: ა). შესდგეს სამშობლო ენის მცოდნეთა კრება და მან შეამუშაოს ჩვენის ენის ლექსთა კონა; ბ). მოსპოს ისრეთი შეუფერებლად წერა–ხმარება სიტყვათა, როგორც ეხლა მოგახსენეთ, და გ). ამ კრების ნაშრომის თანახმად იბეჭდებოდეს სამშობლო ენაზედ ერთ–ერთი დროგამოშვებითი გამოცემა. ძველი მწერლობა, რომელმაც გამოზარდა X, XI და XII საუკ. მწერალ–მწიგნობარნი, უნდა შეიქმნეს საფუძვლად სამშობლო ენის აღირძინებისა და მტკიცედ შემუშავებულ გრამატიკულ ფორმებზედ დამყარებისა.

თანახმანი ვართ, რომ ძველის ენით წერა და ლაპარაკი დღეს მოუხერხებელია, მაგრამ ამასთანავე გვრწამს, რომ სინიდისიანი შესწავლა ძველის მწერლობისა შეგვაძლებინებს შევადგინოთ სრული ლექსთაკონა, მოვიშოროთ თავიდგან სხვა და სხვაობა ერთის საგნის გამომხატველ სიტყვათა მწერლობაში და შევქმნათ საერთო სამწერლო ენა.

პ. ცხვილოელი.

ივერია – 1901. – N102. – 12 მაისი. – გვ.1-2.

ახალი ამბავი: - ხუთშაბათს, 9 მაისს, შიო მღვიმის მონასტერში მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, იმერეთისამ - ლეონიდემ და გორისამ - კირიონმა ადგილობრივ სამღვდელოების თანამწირველობით აკურთხეს იქ ახლად აშენებული ეკკლესია. ეკკლესიის კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო.

ივერია - 1902. – N61. – 20 მარტი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – ჩუღურეთის საკვირაო სკოლის გამგე მარიამ ვახ. მაჩაბელი და ნაძალადევის საკვირაო სკოლის გამგე თამარ ჩიჯავაძე გულითადს მადლობას სწირავენ ყოვლად–სამღვდელო ეპისკოპოსს კირიონს და იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს, რომელთაც ზემო დასახელებულ სკოლებს შემოსწირეს: პირველმა ოთხი თუმნისა და მეორემ ხუთი თუმნის წიგნები.

ივერია – 1902 – N64 – 23 მარტი. – გვ.4.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 მარტი.

პეტერბურგი. – პირველი ვიკარი ქართლ–კახეთის ეპარქიისა, გორის ეპისკოპო–სი კირიონი დაინიშნა ბალტის ეპისკოპოსად ვოლინის ეპარქიის ვიკარად.

ივერია - 1902. – N65. – 24 მარტი. - გვ.1.

გორის ეპისკოპოსის ყოვლად–სამღვდელო კირიონის რუსეთში გადაყვანა

ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილმა დაპეშამ მკითხველს აუწყა სამწუხარო ამბავი გორის ეპისკოპოსის ყოვლად–სამღვდელო კირიონის რუსეთში გადაყვანის შესახებ. ყოვლად–სამღვდელოს გადაყვანა რუსეთში მოჰხდა მათის მეუფებისავე თხოვნის თანახმად... ჩვენ მოვალენი ვართ გამოვსთქვათ ის გრძნობა მწუხარებისა, რომელიც ქართველ საზოგადოების უფროს ერთის გულში გამოიწვია ამ გარემოებამ...

საქართველოს ეკკლესიისათვის ყოვლად–სამღვდელო კირიონის რუსეთში გადაყვანა დიდ დასაკლისად მიგვაჩნია... მართალია, ყოვლად–სამღვდელო კირიონი, სადაც უნდა იმყოფებოდეს, სულით და გულით მოყვარული იქმნება თვისის მშობელის და აღმზრდელის ეკკლესიისა, მაგრამ მათის მეუფების სამშობლო ცის ქვეშ ყოფნა, მის სიწმიდეთა შორის მიმოქცევა დიდს სულიერს ნუგეშს ჰფენდა ყოველს ქართველს, ვისაც–კი გული შესტკივა საქართველოს სასულიერო განათლებისთვის...

ყოვლად–სამღვდელო კირიონი თავისს ძალ–ღონეს, თვისს ნიჭს, ქონებას უანგაროდ სწირავდა თვისის მშობელის ქვეყნის სასულიერო განათლების საქმესა... მან დაბეჭდა რუსულსა და ქართულს ენაზედ მრავალი წერილი და წიგნი საქართველოს ისტორიის შესახებ, – რომლის საშუალებით რუსულის ენის მცოდნეთ გაიცნეს დაახლოვებით საქართველოს ისტორია... იმისი ნაწერები ღირსეულად დაფასებულ იქმნა შემდეგს რუსთა ჟურნალ–გაზეთებში: „Церковныя Ведомости,“ „Исторический Вестникъ,“ „Странникъ,“ „Кавказский Вестникъ“ და სხვა...

სალიტერატურო შრომა ყოვლად–სამღვდელოს ძლიერ უყვარს, – მთელს თვისს თავისუფალს დროს ამ შრომას ანდომებს... ამ შრომაში ხელს უწყობს საკუთარი მდიდარი წიგნთ–საცავი, რომელშიაც მოიპოვება თითქმის ყოველივე ნაწერი საქართველოს ისტორიის შესახებ. ბევრი ქართველი თვისის საისტორიო კვლევა–ძიების დროს სარგებლობდა ყოვლად–სამღვდელოს წიგნთ–საცავიდგან წამოღებულ წიგნებით...

სალიტერატურო შრომასთან მტკიცედ შეკავშირებულია მათის მეუფების შრომა გასამდიდრებლად ქართლ–კახეთის სამღვდელოების სიძველეთ–საცავისა, რომელ–შიაც მათის მეუფების დაუღალავ მეცადინეობის წყალობით დღეს ათას ორასამდის ძველი შესანიშნავი ქართული ხელთ–ნაწერია და რომელთა განხილვა და დაფასება დიდს სამსახურს გაუწევს არა თუ მარტო საქართველოს, არამედ მთელის ქვეყნის ისტორიის შესწავლასაც. ყოვლად–სამღვდელომ უკვე ხელი მიჰყო ბეჭდვას მთელ ხელთ–ნაწერებისას, სიძველთ–საცავის სამეცნიერო აღწერისას, რომელიც ბატონმა თ. ჟორდანიამ შეადგინა მათის მეუფების მინდობილობით, მოიპოვა ადგილი სიძველეთ–საცავის ახალის შენობისათვის, შეადგინა ახალი წესდება სიძველის–საცავის მართვა–გამგეობისა, შესძინა მრავალი წევრი ქართველთაგან და მოუპოვა თანაგრძნობა მთელის განათლებულის კაცობრიობის იმ ნაწილისა, რომელიც საისტორიო კვლევა–ძიების სარბიელზედ მოღვაწეობს...

მცხეთის დიდებულის ტაძრის განახლების მოთავედაც ბრძანდებოდა მათი მეუფება და ყოველივე დამზადდა მისის განახლებისათვის. დიდი ამაგი დასდო მან შუამთის, ქვაბთახევის და ალავერდის და თეთრი გიორგის მონასტრებსა, რომელთა წინამძღვრადაც მსახურობდა.

მათი მეუფება უმაღლესს სასწავლებლებში რამდენსამე ქართველს ზრდის თავისის საფასით, კერძო ქველ–მოქმედებას მათის მეუფებისას საზღვარი არა აქვს.

იგი გულ–წრფელად თანაუგრძნობდა ყოველსავე კეთილს საქმეს, რომელიც–კი საქართველოს სასულიერო განათლებას შეეხება... დღე და ღამ, ყოველს ჟამს და ყოველს წუთს მათი მეუფება საზოგადო საქმეთათვის ჰფიქრობდა და ზრუნავდა... ქართველი ერიც ისე შესცქეროდა, როგორც თვისს მოძღვარს და მისგან ბევრს რასმე მოელოდა...

ქართველს საზოგადოებას დღესაც არ სჯერა, თუ მას განშორდება თვისი საყვარელი მწყემსთ–მთავარი ყოვლად–სამღვდელო კირიონი, არ სჯერა და არც სურს დაიჯეროს, რომ იგი აპირებს შორს წასვლას იმ მიწა–წყალის წიაღიდგან, რომელსაც თავს დასტრიალებს საქართველოს ეკკლესიის საღმრთო მადლი.

ი...ა – რ...ძე.

ივერია – 1902. – N94. – 4 მაისი. – გვ.2–3.

პანკისი (თიანეთის მაზრა). - კაი ხანია, რაც ბედმა ცოტა არ იყოს პანკისსაც გაუღიმა. 1892 წელს იანვრიდამ იმერეთის ეპისკოპოსმა ყოვლად-სამღვდელო

ლეონიდემ, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორად ყოფნის დროს, დააარსა ერთ-კლასიანი სკოლა ხსენებულ საზოგადოების ხარჯზედ, გარდა მასწავლებლისათვის მოსამსახურისა და საჭირო შეშისა, რომელსაც სოფლის საზოგადოება შეჰპირდა განაჩენით. სკოლის შენობა იყო ფიცრული, სოფლის საზოგადოებისავე ხარჯით აშენებული, რომელიც ასე თუ ისე ასრულებდა დრომდე თავის დანიშნულებას. შემდგომ 1897 წელს, როცა ყოვლად-სამღვდელო კირიონი იყო ინსპექტორად, საჭიროდ იქმნა ცნობილი სკოლის აშენება. მისმა მეუფებამ, მაშინ მხოლოდ იღუმენმა, იშუამდგომლა „საზოგადოების“ წინაშე, რომ ქვით-კირის შენობისათვის სამყოფი ფული გადადებულიყო და შენობისათვის სახელმწიფო ტყიდამ ხის მასალა უფასოდ დაეთმოთ; იმავე წელს ეს შუამავლობა შეწყნარებულ იქმნა: კავკასიაში ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოებამ გადასდო ამისთვის 1.400 მანეთი ფულად, ხოლო ხის მასალა შენობისათვის უმაღლესად დათმობილ იქმნა უფასოდ. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სკოლის აშენების საქმე შეფერხდა 1898 წლამდე: „ობლის კვერი ცხვაო, ვეღარ გამოცხვაო.“ 1898 წელს ინსპექტორად დაინიშნა ბატონი ე. მამინაიშვილი, რომელმაც დააგვირგვინა ჩვენის სკოლის საქმე. მოვიდა ჩვენსა 1898 წელს ღვინობისთვის პირველში, მოახდინა საზოგადოების ყრილობა და გამოუცხადა ხალხს უმაღლესად ნაბოძები შემწეობა და საზოგადოების მოწყალება. და თან შეეკითხა, თუ რა შემწეობას ჰპირდება სოფელი თავის მხრივ ამ კეთილ საქმესაო... სოფლის საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება ამ სასიხარულო ამბავს და თავის მხრივაც შეჰპირდა 300 მანეთს ფულად ამაზედ დაადგინეს მაშინვე განაჩენი და მოაწერა ყველამ ხელი.

ძველი სკოლის აშენება უნდა იჯარით გაცემულიყო, მაგრამ ფულის სიცოტავის გამო დამტკიცებულ გეგმაზედ მისი აშენება არავინ იკისრა მოიჯარეთაგან. მაშინ შესდგა კომიტეტი. კომიტეტში იყვნენ: მღვდელი, მასწავლებელი, ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი, დ. ვ. როსტომაშვილისა და ორიც სოფლისაგან ამორჩეული კაცი. ბატონი ინსპექტორი თავმჯდომარე იყო კომიტეტისა, ახსენეს ღმერთი და შეუდგნენ მეორე წლის თებერვლიდამ საქმეს და იმავე წლის ღვინობისთვის პირველისთვის შენობა მზად იყო და კურთხევის შემდეგ სწავლაც დაიწყო ახალს შენობაში.

შენობა გამოვიდა მშვენიერი, ფართო და მკვიდრი, ორ-პირია, კრამიტით დახურული; - ინსპექტორს არც შემდგომისთვის მოუკლია ჩვენის სკოლისათვის თავისი მზრუნველობა; როგორც სხვა სკოლებში, ჩვენს სკოლაშიაც დააარსა ბიბლიოთეკა, რომელსაც შესძინა 900-მდე რუსულ-ქართული წიგნი იმავე ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯით. როგორც ნამყოფი შეგირდები, აგრეთვე სხვა წერა-კითხვის მცოდნე ხალხიც სკოლის რაიონისა, დიდის ხალისით ეტანება ქართულს წიგნებს საკითხავად და მათ ცოდნის შესაფერისად ურიგებს წიგნებს მღვდელი, რომლის გამგეობაშიაც იმყოფება ხსენებული ბიბლიოთეკა. ამავე მღვდლის მეცადინეობით ახალ სკოლის შენობაში დაარსდა შარშან საკვირაო სკოლა თექვსმეტამდე მსურველიც დაიარებოდა, მაგრამ სოფლების სიშორისა გამო ვეღარ შესძლეს სიარული და ორის თვის შემდეგ ისევ თავი დაანებეს. სკოლის შენობის სათანადოდ მოწყობამ მოიზიდა შეგირდებიც საკმარისად, ასე რომ ახალს შენობაში

სწავლის დაწყებიდამ აქამომდე დაიარება ორმოცამდე მოსწავლე ვაჟი და მათ შორის წრეულ 4 ქალიც, სულ ქისტები-მაჰმადიანები და ქრისტიანები. ბავშვები საკლასო ოთახში თბილად და თავისუფლად სხედან მეცადინეობის დროს და პირზედ ღიმილი მოსდით, როდესაც იგონებენ წინანდელს შენობაში სიცივისაგან კანკალ-ძაგძაგსა. მასწავლებელსაც ცხოვრება შედარებით გაუუმჯობესდა, რისთვისაც სწავლა წინანდელზედ წესიერია. ახლად აყვანილმა შეგირდებმა სრულებით არ იციან ხოლმე და არც ეყურებათ, გარდა ქისტურისა, სხვა ენა, და ვიდრე ისინი ცოტ-ცოტათი მიეჩვეოდნენ სკოლის წესსა და გაიგებდნენ რასმე მასწავლებლისას, მღვდელი უხსნის მათ ყოველსავე თავიანთ, ქისტურს ენაზედ. იგივე მღვდელი ასწავლის სკოლაში ქართულ-რუსულს გალობას ეს მეცხრე წელია უსასყიდლოდ, ჯამაგირად ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ საგნების მასწავლებელს აქვს 360 მანეთი წელიწადში, ხოლო მოსამსახურე და სკოლისათვის საჭირო შეშა სოფლის საზოგადოებისაა; საღმრთო სჯულის მასწავლებელს აქვს 100 მანეთი წელიწადში; სწავლას იწყებენ ყოველ წლის ღვინობისთვის პირველიდამ და ათავებენ აპრილის გასულს. ამ ათის წლის არსებობის ნაყოფი სკოლისა შემდეგია: სამი დიაკვანია (მედავითნე), ერთი ეპარქიისა და ორიც ამავე საზოგადოების უწყებაში; ერთი ადგილობრივ სოფლის მწერალია და ერთიც თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობს; ორმა შარშან გაათავა და ისინიც აპირებენ სადმე სწავლის გაგრძობას, თუ მშობლებმა შემწეობა აღმოუჩინეს.

ქისტი ჩობანი.

ივერია - 1902. – N97. – 9 მაისი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – ყოვლად–სამღვდელო კირიონისაგან მივიღეთ 40 წიგნი სასულიერო და ისტორიული შინაარსისა. ეს წიგნები ყოვლად–სამღვდელომ ალაგირის ქართული სკოლის წიგნთ–საცავს შესწირა.

ყოვლად–სამღვდელო კირიონი შაბათს, 4 მაისს, წავიდა ბეთანიის მონასტერში. მეორე დღეს გადაიხადა შანაშვიდი განსვენებულის დავით ზაალის ძის ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად, იმ ბარათაშვილისა, რომელმაც საკმაოდ მიწა–ადგილი შესწირა ამ შესანიშნავს მონასტერს.

ივერია - 1902. – N98. – 11 მაისი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – ჩვენ გავიგეთ, რომ ყოვლად–სამღვდელო კირიონი ამ თვის გასულს აპირებს რუსეთში გამგზავრებას, სადაც იგი ამას წინად იქმნა გადაყვანილი ეპისკოპოსად.

ბეთანიის მონასტრის დათვალიერება ეპისკოპოს კირიონის მიერ

შაბათს, 4 მაისს, წაბრძანდა ყოვლად–სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი დასათვალიერებლად ბეთანიის მონასტრისა, რომელიც მათ მეუფების მფარველობის ქვეშ იმყოფება. ეტლით მიბრძანდა სადგურ სამადლომდის და შემდეგ წვიმასა და ავდარში ფეხით გაიარა მონასტრამდის მთელი გზა, თითქმის ათი ვერსი, რადგან ეტლით მისვლა მონასტამდე უგზოობის გამო შეუძლებელია. მონასტერში დაჰხვდა კრებული ჯვრითა და აიაზმით და „ღირს–არს"–ის გალობით. კვირას, შემდეგ წირვისა, ეპისკოპოსმა გარდაიხადა პანაშვიდი თანადასწრებით მონასტრის კრებულისა, განსვენებულ დავით ზაალის ძის ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად, რომელმაც მონასტერი უზრუნველ–ჰყო მშვენიერის მამულის შეწირვით. განსვენებული მუდამ დახმარებასა და შემწეობას უწევდა მღვდელ–მონაზონს სპირიდონს ეკკლესიის განახლების საქმეში. შემდეგ ყოვლად–სამღვდელომ დაათვალიერა დიდი განახლებული ეკკლესია და აგრეთვე კრებულის მიერ გაშენებული ვენახი და ხილის ბაღი. მისმა მეუფებამ ყოველივე მოიწონა, მადლობა უბრძანა მღვდელ–მონაზონს სპირიდონს ასეთის ერთგულის შრომისათვის და დაჰპირდა შემწეობასა და დახმარებას.

ორშაბათს ეპისკოპოსი წამობრძანდა ფეხით ვერის ხეობისკენ, გამოიარა ბარონ ნიკოლას ბაღები და იქიდგან ცხენით ჩამობრძანდა ტფილისში.

ის დიდი მონასტერი, სადაც დაცულია ჩრდილოეთის კედელზედ მშვენიერი სურათი წმიდა თამარ დედოფლისა, კარგად არის გადახურული შავის თუნუქით, გუმბათს–კი თეთრი თუნუქა ჰხურავს. წმიდა თამარ დედოფლის სურათის გარდა, აქვეა სურათი დავით სოსლანისა და ლაშა გიორგისა.

ბეთანიის მონასტერი, თუმცა წმიდა თამარ დედოფლის მიერ აღშენებულად არის ცნობილი, მაგრამ სამხრეთის კედელზედ დარჩენილი მხატვრობა საბუთს გვაძლევს უფრო ადრე დროს მივაწეროთ მისი აღშენება. ეს მხატვრობა წარმოადგენს უცნობს მამა–კაცს, რომელიც ეკკლესიის მოდელს უძღვნის ღვთის–მშობელს. მონასტერი მთლად ყოფილა დახატული, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგან შერჩენილა მხატვრობა. ამ მონასტრის კედლიდგან არის გადაღებული ცნობილ მხატვარ თ. გაგარინისაგან ის თამარის სურათი, რომელიც ეხლა ხალხშია გავრცელებული. განახლების დროს დიდის მონასტრის სამწირველოში უპოვნიათ ვერცხლის ბარძიმი, რომელიც ყოფილა შეწირული ბეთანიის ღვთის–მშობლის მონასტრისთვის გოსტაშაბ ბარათაშვილისაგან 1677 წელს. წირვა–ლოცვა სრულდება პატარა ეკკლესიაში, რომელიც ამ ოთხი წლის წინად აკურთხეს.

მონასტრის მდებარეობა მშვენიერია, მხოლოდ მისავალი გზა ჯერ არ არის გაკეთებული. მონასტრის განახლებას დიდი დახმარება გაუწია ნივთიერად თ. კონსტანტინე ივანეს ძემ მუხრან–ბატონმა. ბევრი შრომა მიუძღვის ამ საქმეში არ. ქუთათელაძესაც.

სასურველია, რომ დიდის მონასტრის კურთხევის დღისთვის დაბრუნებულ იქმნას ძვირფასი საუნჯე ამ მონასტრისა – ბეთანიის ღვთის–მშობლის ხატი, რომელიც დროებით არის გადმოსვენებული თავ. ბარათაშვილების მიერ ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში.

შუა–მთის მონასტრის მღვდელ–მონაზონი ტარასი.

ივერია - 1902. – N99. – 12 მაისი. - გვ.2.

ახალი ამბავი: ტფილისი – ცნობილ მეცნიერს, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს ჰარნაკს, გაუცვნია საიუბილეო წიგნი ყოვლად–სამღვდელო კირიონისა: „История Грузинской церкви XIX столетия“ და ახლა იგი თხოულობს ნება მიეცეს, ქართულ საეკკლესიო გალობის შესახებ იქ მოქცეულ წერილის გერმანულად გადათარგმნისა თავისს ჟურნალში დასაბეჭდად; ამასთანავე ატყობინებს ეპისკოპოზს კირიონს, რომ თუ იგი ისურვებს რისამე დამატებას მოხსენებულს წერილში, სიამოვნებით დავბეჭდავთო.

... გუშინ, 11 მაისს, რამდენმამე ევროპიელმა დაათვალიერა საეკკლესიო მუზეუმი, ყოვლად–სამღვდელო კირიონის თანადასწრებით. ყოვლად–სამღდელო დაწვრილებით უხსნიდა ნივთების შინაარსს და მნიშვნელობას. უცხოელებს ძლიერ მოეწონათ ტყავზე ხელთ–ნაწერები, ძველი შესანიშნავი ჩუქურთმები და მხატვრობა, მაგრამ ყველაზე უფრო განაცვიფრა ევროპიელნი დავით კურატპალატის ჯვარმა, რომელიც წარსულს წელს იპოვნეს თავად დიასამიძეების მამულში.

ივერია - 1902. – N101. – 16 მაისი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – ყოვლად–სამღვდელო კირიონს შეუძენია ერთი ქართული ხელნაწერი კრებული, რომელშიაც მოქცეულია მომეტებულ ნაწილად ჩვენს ლიტერატურაში ჯერ უცნობი თხზულებანი, სახელდობრ: წიგნი თიმსასი, საამ ფალავანისა, როსტომ გმირისა, ბაამან ხელმწიფისა, ზააქიანი, წიგნი ფრიდონ მეფისა, წიგნი ყარამან ლომისა, მცირე ბარამ ჭაბუკისა, ბარამ ჩინელთ ჭაბუკისა, ბარამ და გულიჯანისა, დიდი ბარამიანი, ჩარ–დავრიშიანი, ქეთევან დედოფლის წამება, მაჯამა ურჯულოს მამადისა, ქრისტიანეთა გაბაასება, იაკობ შემოქმედელისა, ბაასი დღისა და ღამისა, თათართ ბაასი, ანბანთ ქებისა, ნათქვამი დიდის მეფის თეიმურაზისა, ხეთა და ხილთა ქება, დიდის თეიმურაზისა, ანბანთ ქება, ვრად–ბულბულისა, შემოდგომა გაზაფხულისა და სიბრძნე სიცრუისა.

მე 316 გვერდზედ შემდეგი წარწერაა: „აღიწერა წიგნი ესე ხელითა ჩაჩიკას შვილისა მღვდლისა ნიკოლოზისათა – ღმერთო, მშვიდობაში ახმარე ძეთა ჩემთა. ამად აღვწერე, შეწუხებული ვიყავ და სხვა ნუგეში არა მქონდა და ეს მოვიგონე და ამით შევექეცი. აღვწერე ნოემბრის კ^{ბ} [28], ქორონიკონსა უ^{ბ} [465] წელსა.“

ივერია - 1902. – N107. – 23 მაისი. - გვ.1.

მთავრობის განკარგულებანი

II

უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნა 6 მაისს, 1902 წელსა:

ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით პოდოლის ქორ–ეპისკოპოსი კირიონი.

ივერია - 1902. – N123. – 14 ივნისი. - გვ.1.

ახალი ამბავი: – გუშინ, დილის 9 საათზედ, ქართლ–კახეთის სამღვდელოების საეკკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრნი შეიკრიბნენ ამავე მუზეუმის შენობაში, რადგან სასინოდო კანტორის უქაზის თანახმად ალავერდის ეპისკოპოსს დიმიტრის უნდა მიეღო მუზეუმი ეპისკოპოსის კირიონისაგან კომიტეტის წევრთა თანადასწრებით. აღმოჩნდა, რომ სამის წლის განმავლობაში მუზეუმს ჰქონია შემოსავალი 6,400 მანეთზედ მეტი, დახარჯულა 4,800 მანეთზედ მეტი. დანარჩენი ნაღდი ფული 1,634 მანეთი ყოვლად–სამღვდელო კირიონმა ჩააბარა ეპისკოპოსს დიმიტრის. კრებამ ამოირჩია კომისსია – მღვდელ–მონაზონი ნიკოლოზი (ნამორაძე), მღვდელი პ. კარბელაშვილი, ილია ფერაძე და მ. ჯანაშვილი – რომელმაც უნდა შეამოწმოს მუზეუმის ხელ–ნაწერნი და სხვა ქონება და ჩაიბაროს. ამისათვის კომისია შეიკრიბა ორშაბათს, 17 ივნისს.

ივერია - 1902. – N136. – 29 ივნისი. - გვ4.

სხვა–და–სხვა წერილები

ზოგიერთ ჩვენის მწერლისა და კორესპონდენტის საყურადღებოდ.

დღემდის ვერ შეგვიგნია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირადობის პატივის–ცემას, ზრდილობიანს და თავაზიანს სიტყვა–პასუხს, სხვის ღირსებისა და „მე“–ს შეწყნარებას. მწერალმა სხვის სამხილებლად საწერილს წერილსა და შენიშვნაში ერთს წამსაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ის სხვაც კაცია, იმასაც აქვს თავმოყვარეობა, იმასაც თავზედ ქუდი ჰხურავს, იმასაც შეუძლია მსჯელობა და ნება აქვს იქონიოს საკუთარი აზრი და შეხედულობა ამა თუ იმ საგნის შესახებ.

ზოგიერთი ჩვენებური კორესპონდენტები–კი, რაკი ხელში კალამს აიღებენ და ვისმეს მიზანში ამოიღებენ, მუდამ და მარად ცდილობენ „დაამტკიცონ“ მოპირდაპირეთა არარაობა: სრულიად არა იცის–რაო, ყველაფერში დამნაშავეა, ცუდი ხასიათი აქვს, მისი ზნე ჩვენ ვიცითო და სხვა.

საზოგადოებისთვის ეს–კი არ არის საგულისხმო, არამედ ის, თუ ვინ რა საქვეყნო საქმეს მოჰკიდა ხელი და როგორ შეასრულა ეს საქმე. მხოლოდ საქმიანობით ფასდება კაცი და არა მით, ვინ რა ხასიათისაა, ვინ ფიცხია ანუ წყნარი, ვინ სად რას სჭამს და სვამს. აღნუსხეთ ყოველივე მიუდგომელად მიუკერძავად, გაუშმაგებლად და მიაწოდეთ საზოგადოებას და იგი ყველაზე უკეთ დააფასებს, რაა მოსაწონი და რა დასაგმობი, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

საზოგადოება უკეთესი მსაჯულია ყველა ნაფიც მსაჯულებზედაც–კი. მისი ალღო სამართლი სასწორის ლარია და ყოველთვის სწორედ სწონავს. მისი გამჭრიახობა ისე შორს მხედველია, რომ საწყაოდ სამოთხესა და ჯოჯოხეთში დასაბინავებლად იგივე სასწორი მიუჩნევია, სასწორი, რომელზედაც უნდა იწონებოდეს აქედგან საიქიოს მიმსვლელთა საქმენი, მხოლოდ საქმენი ავნიცა და კეთილნიცა.

ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინენ. ვისაც პატივისცემა გაქვს შენი, პატივი ეც შენს მოყვასსაც.

ბერი.

ივერია - 1902. – N139. – 4 ივლისი. - გვ.3.

სხვა–და–სხვა წერილები

[პიესა] 4 ივლისს, 1492 წ.

ტფილისი. ისნის სასახლე განათებულია და მისი სარკმლები გალამპრებული. მეფე მოელის კათალიკოზს, ეპისკოპოსებს, დიდებულთ – სულხანს, მერაბს, ქავთარს, ჯავახს, ბარათაშვილებს.

მოვიდნენ წვეულნი და რჩეულნი. დარბაზს დასხდნენ პატრონ–ყმანი. დაიწყეს ბჭობა და იმის ძიება, თუ ქართლს ვით მოჰხდა განდგომილება.

მეფე:

[კონსტანტინე III გიორგის–ძე (1464–1505). ამან „შემოიკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი ტფილისს და განიზრახვიდა: თუ რაი ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა!“ (ქ. ცხ. ტ.II. გვ.15).]

– **კათალიკოზო და ჩვენო მამათ–მთავარო, გვაკურთხე და დაგვლოცე.**

კათალიკოზი აბრამ:

– **გაკურთხოსთ ღმერთმან, ქრისტე უფალმან, მისმა ჯვარმან და სვეტიცხოველმან.**

მეფე:

– **მამათ–მთავარო მშვიდო და ბრძენო, სასაუბრო მსურს მოგახსენო, ხელის უფალნო, თქვენც ისმინეთ, სიტყვა ჩემი განსაჯეთ, ქართლი უნუგეშო და უკუღმართს ყოფაშია, განდგა იმერი და კახ–ჰერეთი. აღარ გვმორჩილობს სამცხის მთავარი. იქმნა თავადად მეგრელთ დადიან და სვანთა პატრონად დადეშქელიან. შარვაშიძეც განშორდა ქართლს, მეფობა ჰსურდა გურიელს, რაღა ვარ დღეს მე, ქართველთა მეფე?! დიდი ხანი არ არის, ზარი და ზათქი ჩვენი გაისმოდა დასავლეთიდგან ჩრდილოეთამდის. ვმუსრავდით მოსეულს მტრებს გმირულად და ვიცავდით ჩვენს თავისუფლებას. აწ–ღა დავკნინდით ბრიყვთ ორგულობით და დავუძლურდით მთავართ განდგომილებით. რა ეშველება საქართველოს, რით ეწამლება ჩვენს სამშობლოს? განვბჭოთ ეს კითხვა ერთად, ძმურადა.**

კათალიკოზი:

– საქართველოს მაკურთხეველი მოგახსენებს შენ, მეფევ რჩეულო, და შენც, ბრწყინვალე კრებულო. მეფეო, სჩივით თქვენს დაკნინებას, მწყემსნიც ვჩივით საყდრის დამცრებას. დედა საყდარს ძირი ეთხრება, ცისა სადარს საჭე ეხრება. მოგეხსენებათ იმერთ ნაქმარი: ნინოს დროითგან მაკურთხეველი, მცხეთის ტახტი ჩვენში უფლობდა და კვართის ძალი გვფარავდა. აწ–ღა იმერთა <u>იძმაცვეს ბაგრატ მეფემ იხმო</u> – მღვდელნი, შეიყარნენ ქუთაისს სვანნი, ოდიშარნი, აფხაზ–გურულნი, კვართი უარყვეს, საკუთარი კათალიკოზი დაისვეს. განდგნენ თვით მესხნიც და თვისი საყდარი დაუმორჩილეს მაწყვერელს და ეს–კი ანტიოქიის პატრიარქს. კახნიც გაგვიორგულდნენ, ჩვენს ნაკურთხს ალავერდელს დაემორჩილნენ. ყველა ამას ზრუნვა უნდების. ესრეთი განდგომილება უსახიერო შვილს მაგონებს: ვინც გაზარდა, იმის მგმობელს, ვინც არჩენდა, იმის მწყეველს. ვგლოვობ ჩვენს ყოფას, მეფევ ძლიერო და ბჭევ მართლიერო.

მეფე:

– მრავალ არს ჭირი, მამავ ხცოვანო, მწყემსნო და ძმანო. ბარათაშვილო, მოგვასმინე სიტყვა შენი.

სულხან ბარათაშვილი:

– მრავალ ჟამიერ სუფევდეს ტახტი. წმიდას ყანას ღვარძლი მორევია. სძებნეთ ამ ღვარძლის მთესველი, დათრგუნეთ და გასრისეთ განზე განმდგომი და ქვეყნის მაშფოთებელი; მადლს მოაკლდება ბოროტი მტერი და გაძლიერდება ჩვენი ივერი.

ჯავარი ჯავახიშვილი:

– მოსაწონია, სულხან, შენი ბრძანება. ხმალმა უნდა გასჭრას დღეს სამართალი და ბოლო მოუღოს სამშობლოს მაშფოთარს და მოღალატეს.

ქავთარ ჯავახიშვილი:

– მართალს იტყვის ქავთარი. ხმალი გაარჩევს, ვინ ადგას სწორს გზას. შევკრიბოთ ჯარი, მივესხნეთ მტერს და ამოვჟლიტოთ, ვით ჭიანჭველთა გროი.

ერთი ეპისკოპოსთაგანი:

– ქრისტეს მსახური ბრძოლას ვერ გირჩევთ. ვინ არის მტერი, ვის ხოცვა–ჟლეტას გვახარებთ? იგი უსჯულო არ არის, ჩვენი ღვიძლი ძმაა, ქართლოსის შვილი!

ქაიხოსრო თურმანიძე:

– მწყემსო კეთილო, გვახსოვს ბრწყინვალე, მეფე გიორგი, რომელმაც საშვილიშვილო საქმე ჰქმნა: ცივის მთაზედ ურჩნი და ორგულნი შეჰყარა და ანაზდაზედ თავები გააყრევინა. ქვეყანას მისცა შვება და ლხენა. ამ ნეტარს მეფეს ჩვენ ყველანი ვაქებ–ვადიდებთ. და ჩვენც იმასავით უნდა მოვიქცეთ, რომ ქვეყანა გაძლიერდეს.

ამოსაწყვეტ–ამოსაგდები ბევრი არ არის, ქვეყნის ამრევი მხოლოდ მთავრობაა. ბატონი არის ტახტის ორგული, მგმობელი საყდრის, ლაღი, ავგული. რაკი გასუქდება ბატონი, ხევზედ ერისთაობას აღარ კადრულობს, გამთავრებასა და გამეფებას ელმის.

ერთი მთავართაგანი: (რისხვით)

– შესდეგ, უგვარო თურმანიძეო. მეფევ, განაძე ეგ თავხედი, ჩვენს აღწყვეტას აქ ქადაგებს.

ქაიხოსრო თურმანიძე:

– გლეხთ ნუ დასცინი, ბრწყინვალე მთავარო, უგვარობა დასაცინი სულაც არ არის. ყველა კაცი გლეხად გაჩენილა და თუ გაბრწყინვებულა, გაბრწყინვებულა იმავ გლეხებისაგან. კაცი თიხაა ხრწნადი, გინდა იყოს გლახა, გინდა მთავარი. ქრისტეს გაჩენილი ყველა სწორია. მე არ ვამხილებ ყველა მთავრებს, მათშიაც ურევიან ქვეყნისა და მეფის ერთგულნი. შეურაცხყოფას არვის ვაყენებ, ჩამომავლობას ნურც შენ მიგინებ.

მეფე:

– გვარიშვილობის ხსენება ნუ იქმნების?!

უპირველესი მთავარი:

– ბევრიც იუბნოს თურმანიძემ, მე არ ვინაღვლი. დღეს ჩვენ არ გვარგებს ბრძოლა. ვინც განდგენ, საკუთარი მთავრები და მფლობელები დაიყენეს, მათ ჰმორჩილობენ და ერთგულობენ. [„მაშინ დიდებულნი იტყოდნენ: ვინაიდგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგირ სამცხელნი, ამისათვის არა გაგიზრახავთ ბრძოლასა. რამეთუ თუმცა მერე ვექმნნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა.“ (იქვე).] თუ ვიწყებთ ბრძოლას, უმეტესად ავრევთ ქვეყანას. ეს არის სიტყვა ჩემი, მეფის უერთგულეს მონისა.

მეფე:

– შინაურს მტერს მოვერეოდით, თუ გარეშე მტერიც არ გვაწუხებდეს. აქეთ გამძლავრდა სპარსი, იქით ოსმალი, ამათ ააოხრეს სომხეთი, იმათ კლარჯეთი. მტერი გვაწვება ორივე მხრიდგან. მტკიცე ერთობა ორივეს შეგვამურვინებდა, გარნა ვის ესმის ეს, ვინ დაგიდევს, გარდა პირად სარგებლობისა, საქვეყნო სარგებლობას!

კათალიკოზი:

– ჭეშმარიტად, ძმობა მადლია ძლევის მნიჭველი.

მეფე:

– სპარსი რომ შემოგვება, გავგზავნე კაცნი და მოვიწვიე შველად კახნი და მოუწოდე იმერთა, გარნა უარ–ჰყვეს ჩვენი თხოვნა და ვედრება.

–

ბევრი არჩიეს, იუბნეს და გადასწყვიტეს: რადგან იმერნი ამერს მოშორდნენ, კახნი, სამცხელნიც გაეყარნენ და აირჩიეს საკუთარი მეფე–მთავარნი, ამიტომ მათთან ბრძოლას დღეს ჩვენ უარ–ვყოფთ, მათთან კრტიმლვას საჭიროდ არ ვსცნობთ, ვინაიდგან მრე თუ ვიქმნეთ ერთსა, განა მეორე მოგვცემს ნებასა? ვუცადოთ ჟამს, კვლავ, ეგების, ვიხილოთ საქართველოს გაერთიანება. [„ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა!“ (იქვე). ასრე არიგებდნენ მეფეს გაონავრებული მთავრები და მანც, „იხილა–რა ესე ვითარება თვისთაგანცა, აღირჩია

მშვიდობა.“ მძლავრი და თვითმპყრობელი მეფე რა ხელსაყრელი იყო მათთვის, ვინც იყო არა თუ მარტო თავადი, არამედ მთავარიც!]

410 წელმა განვლო მას აქეთ და დღეს მხოლოდ გვეღირსა ძმათა გაერთიანება. ღმერთმა ქმნას, რომ ეს ძმობა აღარ ყოფილიყოს დარღვეული, ამიერიდგან მიუკუნისამდე.

ბერი.

ივერია - 1902. – N143. – 9 ივლისი. - გვ.1.

ახალი ამბავი: ტფილისი - ეპისკოპოსი კირიონი გუშინ-წინ, 6 ივლისს, გაემართა კისლავოდსკს, საცა იმყოფება ამ ჟამად მიტროპოლიტი პეტერბურგისა და უწმიდესი სინოდის თავმჯდომარე ანტონი.

ივერია - 1902. – N151. – 18 ივლისი. - გვ.2.

ფელეტონი

ჩვენი მხსნელი ჩვენი თაოსნობაა...

კანდეევის წიგნში „Очерки Закавказской жизни“ ქართველი დ. ასახელებს მიზეზებს, რომლებმაც, მისის აზრით, ძირი გამოუთხარეს ქართველთა კეთილ–დღეობას. ამ გვარ მიზეზებად იგი სთვლის სომეხ ვაჭართა „ვერაგობას,“ უგზოობას, დიდ–გამოჩინებით მეჯლიშების მართვას (თ. ვარანცოვის დროს), ძვირს კრედიტს, მამულების გაუმიჯვნელობას.

არც ერთი ამ მიზეზთაგანი, ჩვენის შეხედულობით, შესაწყნარებელი არ არის.

უწინ ქართველები უფრო შესატყვისს წვეულებებს ჰმართავდნენ და ამან არ გააღარიბა იგინი.

უწინაც ვაჭრობდნენ დღევანდელ სოვდაგართა წინაპარნი და ამან ვერ შეაფერხა ჩვენი მამა–პაპათა მეურნეობა.

უწინაც გამიჯნული არ იყო ჩვენი მამულები, გარნა ეს არ უშლიდა ჩვენს მამებსა და პაპებს ჰყოლოდათ ცხვრის ფარები, ნახირი, ჯოგი, ფუტკარი, ღორთა კოლტები, აბრეშუმის ჭია, პური, ღვინო და სხვა.

ვახუშტი, რომელიც სცხოვრებდა მე–XVIII საუკუნის პირველ ნახევარს, ამბობს, რომ კახეთში, პანკისს, თითო მეკომურ გლეხს 2,000 სულამდე ღორი ჰყავსო. რა ჯამს შეადგენდა, თუ ვისმე დღეს ჰყოლოდა ამდენი ღორი?

არჩილ მეფე († 1710 წ.) მოწმობს, რომ თეიმურაზ 1, კაკში მისულს, სოფლელებმა მოართვეს რამდენიმე აქლემის საპანე აბრეშუმიო და მეფემ მით დააჯილდოვა უქონელნიო.

არც რკინის გზა მიგვაჩნია სახსრად გადოვლათიანებისა, მეტადრე იქ, საცა ერი უმეცარია, მემამულე უმაქნისი, შრომის მოძულე. თუ ეს ასრე არ ყოფილიყო, გვერწმუნეთ, ქართლსა და იმერეთში რკინის გზის ნაპირას მაინც აქამდის აღყვავდე–

ბოდა მრავალი სოფელი და მემამულე დიდს ქონებასა და სიმდიდრეს შეიძენდა. გარნა რას ვხედავთ დღეს? იმას, რომ რკინის გზიანი ქართლ–იმერეთი, მეტადრე ქართლი, ეკონომიურად უფრო დაეცა და ურკინის–გზო კახეთ–ქიზიყზედაც უფრო მეტად დავალიანდა. უმეცარს რომ დანა მისცე ხელში, ყელს გამოიჭრისო. რკინის გზაც დანაა მათთვის, ვინც შრომას გაურბის, ვინც დღე–ღამეს უმაქნისად ხეტიალს ანდომებს. რაც ფული დაიხარჯა მარტო ჩვენებურ ბანკების ორატორების მჭევრმეტყველობის მოსასმენად ქალაქში ჩამოსულ მემამულეთაგან, ის რომ დაზოგვილიყო, შეადგენდა ჯამს, რომლითაც მთელი უნივერსიტეტი მოეწყობოდა.

არც სომეხ–ვაჭრების „გაუმაძღარობა“ და „ვერაგობა“ მიგვაჩნია მიზეზად ჩვენის გაღარიბებისა. ეს რომ ესრე ყოფილიყო, მთელი იმერეთი, საცა სომხის ვაჭრობა არ არის, სიმდიდრით ყელთამდე აივსებოდა.

იტყვიან: მიტომ არის ვეშაპი ზღვაში, რომ ორაგული ფხიზლობდესო. ამისი არ იყოს, ვაჭრისა რა ბრალია, რომ შენ ბევრის ჭამა გინდა და მცირესაც არ იგებ, დიდი მამული გიჭირავს და მოვლა–კი არ იცი, მოწყობილი კარ–მიდამო, სალოცავები და ზვრები გაბადია და მას ჰყიდი ანუ აგირავებ, აღებულს ფულს უთავბოლოდ ჰფანტავ, აბნევ.

ვიცნობდით ერთს დიდს მემამულეს, რომელმაც თავისი მიწები დააგირავა, ბანკიდგან გამოტანილი 30,000 მანეთი ორს დღე–ღამეში მთლად გაფლანგა ვერის ბაღებში, თანაც საზიზღარი სენი აიკიდა და მალე ჩაჰბარდა გამჩენს, მისი 200,000 მანეთის საღირალი მამული–კი გაიყიდა საჯარო ვაჭრობით.

ვინმე თავმომწონედ გვიამბობდა „მოგებით გავყიდეო ჩემი მამულები, მაგრამ რისგან რა გამოვიდაო. სულ ავიღე 10,000 მანეთი, ჩამოველ ქალაქში, მიმიწვიეს ორთაჭალას „კარტის“ სათამაშოდ. წაველ. დილამდის ვითამაშეთ, წავაგე 9,990 მანეთი, უკვე გარიჟრაჟდა, რომ ავიშალენით, ჩავჯექ ეტლში და შინ მოველ, ეტლიდგან ჩამოხდომისას ის 10 მანეთიც მეეტლეს თავში ვათხლიშე და დაძმარებული სახლში შევედი და ის დღე ძილს მოვანდომეო...“

საცა მამულს ასეთი თათქარიძისებური ნიმუშები და მარგალიტები ჰყავს, და ისიც ათასობით, იქ რას უშველის რკინის გზა, მამულის გამიჯვნა, ანუ სვინიდისიანი ვაჭარი! ვინც ნებსით თავისს თავს წყალს აძლევს, ხსნა განა–ღა სანუკვარი და ჯერია?

ბ. დ. იმასაც სწერს, რომ კახელს ჯ–ს დიდი მამული აქვსო, მარტო მისი ატეხილი ტყე 1,200 დესიატინის სივრცისაა, გარნა ყარაულობაზე დანახარჯსაც ეს სამთავროს ტოლი მამული არ აძლევსო, რკინის გზა–კი რომ ყოფილიყო, 500,000 მანეთად დააგირავებდაო.

ჩვენს მემამულეებს პირზე მხოლოდ დაგირავება და გაყიდვა აკერიათ!

იმერეთსა და კახეთში გვინახავს 1–2 დესიატინა სივრცის მამულები, რომელნიც პატრონებს 1,000 მანეთამდე შემოსავალს აძლევენ. მაშასადამე, 10,000 დესეტინა მამულის მფლობელმა, რომ თავისი მიწა ჩააბაროს მშრომელს გლეხებს, თუ გინდ სანახევროდ, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ყოველ წლივ მიიღებს 25,000–30,000 მანეთამდე.

ზაქათალის, ნუხის, აღდაშისა და სხვა მაზრებში ისეთი მცირე მამულიანი მეკომური არ არის, რომ 5–100–200 ძირი თხილის ბუჩქი არ ედგას. თხილმა

მოუცდენელი ნაყოფი იცის და არც სეტყვისა ეშინიან. ზაფხულის თვეებში თითო–ოროლა ჯერ მორწყვა უნდება. ყოველი ბუჩქი იძლევა 1–2 ფუთამდე თხილს. ფუთი ადგილობრივ იყიდება 2–3 მანეთამდე. შარშან თუ შარშან–წინ ბაქოს მხრიდგან გატანილ იქმნა რამდენისამე მილიონის თხილი.

დიდს მამულში რომ მოშენდეს 1000–5000 თხილის ბუჩქი, სულ ცოტა, პატრონს მისცემს 5,000–20,000 მანეთამდე. ამოტელა [ანუ ამოდენა] ნაშენობას მხოლოდ ერთი კაცი ეყოფა მომვლელად; ამას გარდა, თვით ბუჩქების ქვეშ ანუ მათ შუა შეიძლება კარგი ბოსტანიც მოიყვანოს პატრონმა, ანუ ფეტვი, ქერი და სიმინდი დათესოს.

ოღონდ მოსავალი უხვი იყოს, თორემ მისი გაყიდვა და გასაღება ყოველთვის მოგვარდება. ბელაქნისა და ჭარის ლეკებს ჩამოაქვთ თავისი ნესვი, საზამთრო, ვაშლი, წაბლი და სხვა და მოგებით ჰყიდიან ტფილისში, განჯას, სიღნაღს, თელავს და ნუხას. რაღა კახელს ხეირს არ მისცემს თავის მოგებულის გადანამეტის გადმოტანა დიდს ბაზრებზე! უწინდელი პანკისელებივით, თუ ღორის კოლტებს გაიმრავლებენ, მათ ხომ უგზატკეცილოდაც ადვილად ჩამორეკენ ქალაქებში.

ოღონდ გვქონდეს, თორემ, თუ დავიზარებთ, ოქრო თვითონვე მოაწევს ჩვენამდე ჩვენის **პახტის** (მთელის თემის მონაგარის) გადასაზიდავად.

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იქნებიო,“ თქმულა ძველად. მართალიც არის, თუ შენს მარჯვენას დაენდობი, ჭკუასა და ხერხსაც მოიშველებ, ყოველს დამაბრკოლებელს მიზეზებს დასძლევ და დღეს თუ ხარ მონა „ვერაგ“ ვაჭრისა, ხვალ შეიქმნები თავისუფალ და ლაღ ბატონად საგრილსა ნერგთა შენთასა.

ბერი.

ივერია - 1902. – N157. – 26 ივლისი. - გვ.2-3.

წინაპართა ნაშთთა მნიშვნელობა

არმაზს დაასაფლავესო პირველი ქართველი, ქართლოსი. მისი საფლავი შეიქმნა პირველ ხატად და საფიცრად.

ხატი გვპატრონობდა.

ხატი გვიცავდა, გვიფარავდა.

ხატი გვაგროვებდა და გმირულ სულს გვიდგამდა.

ხატი გვანიჭებდა თავისუფლებას.

ხატი გვავიწყებდა გადახდილ ჭირ–ვარამს, გვამხიარულებდა, გვატკბობდა.

ხატი თავის შვილებად გვსახავდა ყველას, განურჩევლად წოდებისა, სისხლისა და გვარისა.

ჩვენი ხატი ძლიერება და უძლურება მტკიცედ გვწამდა, მით გამხნევებულნი ლომებრ ვიბრძოდით თავისუფლებისთვის; აუარებელ მტრებს, ველურებს თუ განათლებით განთქმულებს, მამაცად ვუხვდებოდით, ჩვენის ხატისთვის თავს ვსდებდით, მის გამარჯვებისთვის განწირულად ვმხნეობდით.

არც ხატი იყო უქმად.

საცა დაფუძნდებოდა ხატი, იქ და მის გარშემო, თუ გაველურებულ–დაბურული ტყე და ბარდანი იყო, ვენახი, წალკოტი და ყანობირი შენდებოდა, თუ ხაშმიანი ჭაობი და უწყლო ველობი იყო, კეთილ–ამო სათესები და საცხოვრებელი იმართებოდა. ხატის ძალით გამოითხრებოდა არხები, აღმოტყდებოდა კამკამა წყლები, უხვად ირწყვებოდა მინდვრები და მორწმუნე ერი ღიღინით იწყებდა მუშაობას, არ აკლებდა სწრაფვას, გარჯილობას.

თვით ხატის უწმიდეს კარსაც გაჩაღებული იყო დაუღალავი შრომა, შრომა სულიერი. აქ, ვითარცა ფუტკარნი თაფლს, სასულიერონი უმზადებდნენ ერს გონებრივ საზრდოს.

ზოგი სთხუზავდნენ ანუ სთარგმნიდნენ წიგნებს. ზოგნი ამზადებდნენ მელანსა, უხუნო და ფერად წამლებს. ზოგნი ამზადებდნენ ნაირ–ნაირ ეტრატს, რომელიც გამოიქნებოდა ხოლმე კრავისა, ცხვრის ანუ ხბოს ტყავისაგან. ზოგნი (მკაზმავნი) გამოქნილს ეტრატს რვეულებად და წიგნებად ჰკაზმავდნენ.

ზოგნი ისხდნენ სამწერლო სენაკებში და დედნებიდან გადმოჰქონდათ პირი ახალს წიგნებში. ეს მწერლები დიდს შრომაში იყვნენ. იგინი სცდილობდნენ უნაკლოდ შეესრულებინათ მათდა მინდობილი ღვთიური საქმე: არსად გამოეკლოთ ასო, არსად გაეთხუპნათ ეტრატი, არსად შეშლოდათ ასო, არსად გაევლოთ მეტი ხაზი, იგინი ძრწოდნენ, არსად არ შეგვეშალოს, რომ ხატმა არ გვიწყინოსო. ხშირად ითმენდნენ წყურვილსაც, ხშირად არ ჰქონდათ, როგორც იტყვის მეცხრე საუკუნის სვანურ ხელნაწერის გადამწერი, „პურაი საჭმელი და ღვინოი სასმელი.“

ზოგნი (მხატვარნი) შემოსხდომოდნენ მაგიდას, რომელზედაც იყო რვეულები, ფერადი წამლები, სახაზავები, კალმები, ფარგლები და მოწიწებით ხატავდნენ, ხაზავდნენ, ასომთავრულს აჭრელებდნენ.

დამზადებული წიგნები ეფინებოდა ერს, იგზავნებოდა სხვა სახატოებში, ეკკლესიებსა და საყდრებში.

ხატი ამითაც არ კმაყოფილდებოდა. მის დავალებით მღვდელი მრავალგვარ საქმეს აკეთებდა:

მღვდელი ხუცობდა,
მღვდელი მკერვლობდა,
მღვდელი ხუროობდა,
მღვდელი ხარაზობდა,
მღვდელი ხნავდა, სთესავდა,
მღვდელი ასწავლიდა ერს წიგნს, ლოცვას.

ხატი თხოულობდა, რომ მისი სადგური დიდებულათ აღეგოთ, შეემკოთ, დაეხატნათ, სადგურის გარშემო მკვიდრი ზღუდე გაევლოთ, შემოემაგრებინათ, რათა მტრის თავდასხმის დროს მისი ეზო და ციხე უძლეველ ბანაკად ყოფილიყო.

ხატის ნებას ფიცხლავ ასრულებდნენ. მის სადგურად ირჩევდნენ მიუვალ ადგილებს, მთის მწვერვალებს, მაღალ კონცხებს, ფრიალო და უღაღ ბორცვებს, მწვერვალზე აშენებდნენ საყდრებს, საყდრების კარმიდამოს ზღუდავდნენ ციხით, ეზოდგან ძირამდის გაჰყვანდათ კიბე–კიბე სასვლელები, თუ მწვერვალზე წყარო არ

იყო, შორიდგან მილით გამოჰყვანდათ წყალი. საყდრების სიმტკიცისათვის, ხშირად, მათ აშენებდნენ რძე–კირით და აგურით და ხურავდნენ კოწიწით.

ასეთი იყო ჩვენი მამების საქმე უწინ. მათ მიერ, გაკეთებული საქმე, არხია იგი, თუ ხიდი, ციხე ანუ ტაძარი, თავის სიმკვიდრით და დიდებულობით გვაოცებს ჩვენ დღესაც, როდესაც ხუროთ–მოძღვრულ ხელოვნებას უმაღლეს წერტილამდე განვითარებულად სთვლიან, აგრეთვე გვაოცებს ჩვენ მათ მიერ უხუნო ფერადებით ცხოვლად დახატული 1000–1200 წლის წიგნები.

ყოველივე ეს გვაოცებს და მხოლოდ გვაოცებს, თორემ თვით ეს საოცარი ნაშთები ობლად, უპატრონოდ, მოუვლელად, უპატიოდ დაშთენილან და ნაღვლი–ანად გადმოიცქირებიან მწვერვალებიდგან.

მათში აღარ ისმის ღვთიური ხმები და გალობანი.

მათში ვეღარ ვხედავთ გამრჯე ძმათა და მამათ რუდუნებას, სწრაფვას.

მათში აღარ ჰქუხს თავისუფალ ერთა მხნეობა. სიბინძურე დასდებია სქლად წმიდათა უწმიდესს. გველი და ღრიანკალი დაბუდებულა ერის სალოცავში. ნარი და ეკალი აღმოცენებულა მამა–პაპათა განსასვენებელში.

ბუკიოტი ჭყივის იქ, საცა წმინდა მამები ღმერთს უგალობდნენ, დავრდომილსა და მშრომელს ზენას ავედრებდნენ.

არ არის მეორე დავით აღმაშენებელი, რომ აღადგინოს იგინი, ვერ ვხედავთ ჩვენ შორის ბევრ ალექსანდრეებს, რომ გულუხვად იზრუნონ მათთვის, განამშვენონ, შეამკონ და შემუსვრისაგან დაიცვან. არა თუ ესრე, ზოგიერთი, მაგალითად: გელოვნები (იხ. ქვემო ქაიხოსრო გელოვანის წერილი), თვით თავიანთ საკუთარ საგვარეულო ძეგლსაც უგულოდ ექცევიან, მის მოსამზადებელს უკანასკნელს ნატამალსაც იყოფენ...

ყველა ერი თავის ნაშთებით ამაყოფს, ყველას თავი მოაქვს თავის უძველეს ძეგლებით, მათ იცავენ, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან; ზოგნი, თუ ძეგლებით ხელ–ნაკლები არიან, მათ გასამრავლებლად მეზობელ ერის ნაშთებსაც–კი იპარავენ, იჩემებენ... მხოლოდ მარტო ჩვენა ვართ, რომ ფასი არ ვიცით მამა–პაპათა, ნაშთებისა, ხატებისა, სალოცავებისა, სიწმიდეთა. იქამდისაც–კი მიდის ჩვენი დასაგმობი გულ–ზვიადობა და გამბედაობა, რომ ხშირად კიდეც ვძარცვავთ მათ, კიდეც ვიპარავთ მათდა დაზოგვილს შემოწირულობას, კიდეც ვყიდით მამულებთან ერთად...

მომავალი თაობა დაგვგმობს, რომ პატივის–ცემა არ ვიცით იმისა, რაც უნდა შეადგენდეს უსაღვთოესს საზრუნავს ყოველის შთამომავლობისას.

ბერი.

ივერია - 1902. – N170. – 11 აგვისტო. - გვ.3-4.

ბიბლიოგრაფია

როგორც ვიცით, შარშან ყოვლად სამღვდელო კირიონმა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილეს გამო დაჰბეჭდა თვის მიერ შედგენილი დიდის ტანის წიგნი „История Грузинской церкви и Экзархата за XIX столетие“...

ყოვლად სამღვდელომ ეს შრომა სიჩქარით შეადგინა და ამის გამო წიგნში აქა–იქ შეცდომები იყო, რომელსაც ვერც ერთი მკვლევარი ისტორიისა და მეცნიერბის სხვა დარგისა ვერ ასცდება...

მაინც ამ შრომამ მიიქცია ყურადღება რუსული მწერლობისა. ეპისკოპოს კირიონის წიგნის შესახებ დაიბეჭდა ვრცელი წერილები სხვადასხვა ავქსონებისა შემდეგს რუსულს ჟურნალ–გაზეთებში: „Церковыя Ведомости," „Странникъ," „Исторический Вестникъ," „Кавказский Вестникъ," „Кавказъ"–ში და სხვა... შრომის დამფასებლები მეტად კარგის აზრისანი არიან ყოვლად სამღვდელოს ნაწარმოების შესახებ. მართლა–ცა და, წიგნის გეგმა მეტად ვრცელია და შეეხება საქართველოს ეკკლესიის ცხოვრებას ყოვლის მხრივ... ყოვლად–სამღვდელოს თხზულებას ამ ხანად ჯერ ბადალი არ მოეპოვება იმ სხვა ამ გვარ თხზულებათა შორის, რომელნიც–კი საქართველოს ისტორიას შეეხება.

რაიცა შეეხება ამ წიგნის ზოგიერთს ნაკლულევანებას, თვით ყოვლად–სამღვდელო კარგად ჰგრძნობს, რომ მისს შრომას ბევრი რამ აკლია (კათედრების დაუქმების ისტორია და სხვა.) და ამიტომ ამ ჟამად ამზადებს იგი ამ წიგნის მეორე გამოცემას, შევსებულსა და შესწორებულს.

მეორე გამოცემა წიგნისა დაიბეჭდება 1903 წლის იანვრისთვის, უკეთუ ნივთიერი ღონის–ძიება აღმოჩნდება და უსახსრობა მოულოდნელად არ დააბრკოლებს წიგნის ბეჭდვის საქმესა.

ამ თხზულებამა და მასთან შეკავშირებულმა ყოვლად სამღვდელო კირიონის სხვა ნაწერებმა მიაქცევინეს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ყურადღება რუსეთის სასულიერო აკადემიების პროფესორებსა (პოკროვსკის, ბერდნიკოვს, იუნგეროვსა). ეს პროფესორები დიდად აფასებენ საქართველოს წარსულის გამოკვლევას და სცდილობენ საქართველოს საეკკლესიო ისტორიის შესასწავლად რუსეთის ერთ–ერთს სასულიერო აკადემიაში დაარსებულ იქმნას კათედრა, სავალდებულო საისტორიო განყოფილებაზე მოსწავლე სტუდენტებისთვის...

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ყოველს ერს აწმყოში არსებობის და ეროვნულ განვითარების უფლება აქვს, სხვათა–შორის, იმის მიხედვით თუ რა ღვაწლი მიუძღვის წარსულში, როგორ იცავდა საერო–საკაცობრიო და კულტურით მოსილს იდეალებს, უნდა აღვიაროთ, რომ ყოველივე კეთილ–სინდისიერი გამოკვლევა, რომელიც–კი საქართველოს წარსულს შეეხება, დიდ მნიშვნელოვანი საქმეა; ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ყოვლად სამღვდელო კირიონის თხზულებას, რომელიც, მართალია, დაწერილია რუსულად, მაგრამ სწორედ ამ გარემოების წყალობით ამ შესანიშნავის წიგნის წაკითხვა და გაცნობა არ გაუჭირდებათ რუსეთისა და დასავლეთის ევროპის მეცნიერებს. ეს გარემოება–კი მცირე საქმე არ არის ჩვენთვის...

ყოვლად სამღვდელო კირიონივე ყაზანის სასულიერო აკადემიის საეკკლესიო უფლების პროფესორის ბერდნიკოვის თხოვნით ადგენს ამ ჟამად „საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო ცხოვრების ისტორიას"... საქართველოს საექსარხოსო საქართველოში კათოლიკოსობის მოსპობის შემდეგ (1811 წელს) არსებობს რუსეთის უწმიდესის სინოდზედ დამოკიდებულობით, მაგრამ იგი განსხვავებულია, როგორც

ეროვნული საეკკლესიო ისტორიული ერთეული; ამ განსხვავებულ ვითარებისა და მდგომარეობის მიხედვით დაარსებულ იქმნა თანამდებობა ექსარხოსისა. ექსარხოსი ძველს ეკკლესიაში ეწოდებოდა იმ მღვდელმთავარს, რომელიც განაგებდა ცალკე ეკკლესიას, იმ ცალკე ეკკლესიას, რომელსაც ძველად დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდა...

ექსარხოსებს ეძახდნენ იმ მღვდელ–მთავართაც, რომელნიც განაგებდნენ სახელმწიფოს განაპირა ადგილების ეკკლესიას, პატრიარქისგან თითქმის დამოუკიდებლად...

ბევრი საინტერესო საკითხია განსახილველი საქართველოს საექსარხოსოს ისტორიაში... მათი კეთილსინდისიერი დაბეჯითებული განხილვა, რასაკვირველია, უმნიშვნელო არ იქმნება ჩვენის ერის ცხოვრებისა და არსებობისათვის.

ივერია - 1902. – N198. – 18 სექტემბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: ტფილისი – ყოვლად–სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ბალტიისა დღეს–ხვალ გაემგზავრება რუსეთს კამენეც–პოდოლსკში, საცა იგი გადაყვანილ იქმნა ამას წინად ვიკარად. ყოვლად–სამღვდელომ თვისი ბარგი და, სხვათა შორის, თვისი ძვირფასი ბიბლიოთეკა, უკვე გაგზავნა ამ სამის დღის წინად რუსეთსა.

ივერია - 1902. – N206. - 28 სექტემბერი. - გვ.3.

ფელეტონი

ვარაზვაჩე ვარაზვაჩეს ძე

(ბერძენ–რომაელ მწერლების ნაამბობიდამ)

ვარაზვაჩე ბრძენი და ქველი განაგებდა ქალაქ ედესას. დიდი ერთგული იყო იმპერატორისა, რომელიც მას სწყალობდა და თავის პროტოსფათარად (მეჭურჭლეთ–უხუცესად) ჩაერიცხა.

მორჭმით სცხოვრებდა ვარაზვაჩე, მოქალაქეთ შვილებივით უვლიდა და ჰპატრონობდა.

არაბთ მთავრები ბევრჯერ შეჰბმოდნენ, ბევრჯერ იერიში მიეტანათ ქალაქის ასაღებად, მაგრამ ამაოდ. დიდის მარცხით უკან გაბრუნებულიყვნენ: ვარაზვაჩეს ყოველთვის შეემუსრა იგინი.

მტრები სიბრაზით იხერხებოდნენ. მრავალგვარ ღონეს იძიებდნენ ჯავრის ამოსაყრელად, ვარაზვაჩე–ქართველის შესამუსრავად.

იყო სეკდემბერი 1038 წლისა. ედესას მოვიდა ვაჭართა ქარავანი. ხუთასი დატვირთული აქლემი მოჰყვანდა ხუთასს ვაჭარს. მათ უძღოდნენ არაბთ მთავრები.

ქალაქის შორი–ახლოს შეჩერდნენ და ვარაზვაჩეს აცნობეს თვისი მოსვლა.

– ვინ ხართ და რა მოგაქვთო, ჰკითხა ელჩს ვარაზვაჩემ.

– არაბთ მთავარნი ვართ, გზა მოგვეც, ძღვენი მიგვაქვს იმპერატორისათვისო, მიუგო ელჩმა.
– ჩვენში სტუმარს უპურ–მარილოდ არ გაუშვებენ, მეტადრე თუ მეგობრადაც მოდის. გვეწვიეთ, მობრძანდით ჩვენსა, ილხინეთ, დაისვენეთ და მერე გაგაცილებთ.

ელჩმა ეს სიტყვა მოუტანა არაბთ უფროსებს.

მოვიდნენ. გაიმართა დიდი ნადიმი. არაბნი ლხინობენ. ედესის თავი კაცები აქვე არიან. ციხის საცავებზე აქა–იქღა დაშთენილა დარაჯი. იგინიც ვარაზვაჩეს სწვევიან.

გახშირდა ნადიმი. ვარაზვაჩე სუფრის თავს ზის. ისმის საკრავის ხმა, სიმღერა. არაბნი აქებენ ვარაზვაჩეს: მის მკლავს, ჭკუას, ძალ–გულოვნობას, ჰფიცვენ ძმობას, მეგობრობას, საცაა, კიდეც აიშლებიან...

გარნა... აგერ მოვიდა ვიღაცა ღარიბი, ვიღაცა გლახა.

– ბატონის ნახვა მინდაო, უთხრა გლახამ მეკარეს.

მოჰხსენდა ვარაზვაჩეს. სტუმრებთან ბოდიში მოითხოვა და გლახასთან გამოვიდა.

– რას მეტყვი, მეგობარო, დაეკითხა ვარაზვაჩე.
– ქალაქი გეღუპება...
– როგორ, გამაგებინე?
– ეგენი მეგობრად არ მოსულან. შენი დამხობა უნდათ, ქალაქის დალეწვა.
– რას ამბობ, როგორ?
– საღამო ჟამს მაგათ ბინაზე მივედი, მოწყალების სათხოვნელად.
– მერე?
– იქ ყური მოვკარ, რისთვისაც მოსულან ეგენი.
– რისთვის?
– ხუთასის აქლემით ათასი კასრი მოუტანიათ. ყოველს კასრში თითო მეომარი ჰყოლიათ დამალული. აზრათ ისა ჰქონიათ, რომ მეგობრობით მოვაღორებთ ვარაზვაჩესო და ქალაქს ავიღებთო. საცაა, კასრებს დალეწავენ, მეომრებს გამოუშვებენ და შემოარტყამენ ქალაქს ისინი გარედგან, ეგენი შინადგან მოგვესევიან, ზოგი კასრიდგან კიდეც გამოიყვანეს მეომრები.
– გმადლობ, ძმაო, სამსახურისთვის, დიდ წყალობას მიიღებ. ხვალ მნახე, – ამ სიტყვით ვარაზვაჩემ გაისტუმრა გლახაკი, თვითონ ისევ მხიარულის ღიმილით მონადიმეთ დაუბრუნდა და უთხრა:
– ძმანო, განაგრძეთ ნადიმი, საქმე–რამ გამომიჩნდა, ერთს წუთს შევასრულებ და ისევ მალე გეახლებითო.

წავიდა ვარაზვაჩე. ციხის დარაჯნი წაიყვანა, გრდემლითა და ცულის ყუით დალეწა და დაფქვა 1000 კასრი მეომრიანად, მერე დაბრუნდა და თავები დააყრევინა „მეგობრებსაც.“

ედესამ კვლავ შეინარჩუნა თავისუფლება.

ბერი.

ივერია - 1902. – N259. – 3 დეკემბერი. - გვ.2-3.

ფელეტონი

ქართველი ქალი

ქართველი ქალი – დიდებული ქართველების დედები – მასწავლებელი ქალი – საოსტატო – დიასახლისობა – მისი ნაშთი – სიზარმაცე და სიბნძურე – მზითევი და ქრთამი და მისი მნიშვნელობა – გადაგვარებული დიასახლისი – ხიდის გამდებელი ვინ იყო – როგორი შეიქმნა ქალი – ენას აჭრელებენ – უვიცს და უმაქნისს ვინ წაიყვანს – დროის და დაუდევრობის ბრალია.

ძველად ქართველი ქალი დედაც იყო, დიასახლისიც და მასწავლებელიც. ქმარი მხედრობდა, ლაშქრობდა, ომობდა სარწმუნოებისა და მამულის დასაცველად. ცოლი შრომობდა შინ, უვლიდა სახლს, კარმიდამოს და, თუ საჭირო შეიქმნებოდა, ხმალსა და ხანჯალსაც ირტყამდა და ქმრის შინ არ ყოფნის დროს, ავაზაკად და საძარცვავად მოსულს ავკაცს, მტერს გმირულად უხვდებოდა, არ აკლებინებდა სახლ–კარს. საქართველოს ისტორიას გმირი ქალების სახელიც დაუხსოვნია. ამ გვარი გმირი ქალები არ აკლდა სოფელს. იგინი იბადებოდნენ გლეხის სახლშიაც, კეთილშობილთა დარბაზებშიაც და მეფეთა სასახლეშიაც.

სანდუხტმა აღზარდა ვახტანგ გორგასლანი. მარიამმა – ბაგრატ IV, რუსუდანმა – თამარ მეფე, ნათელამ – გიორგი ბრწყინვალე, თამარმა – ერეკლე მეორე, თეკლემ – გიორგი მთაწმინდელი... თვით ამირან–გმირის სულის ჩამდგმელი, გადმოცემით, იყო გმირივე ქალი დარეჯანი.

სოფელი არ კმაყოფილდებოდა მარტო მით, რომ დედა ზრდიდა და ასწავლიდა თავისს შვილებს, მას ჰყვანდა აგრეთვე სასოფლო ოსტატი ქალი. მასთან იკრიბებოდნენ სოფლის ბავშვები. იგი ასწავლიდა მათ წერა–კითხვას, აკითხებდა დავითნს, სახარებას, წირვის წესებს, ვეფხის–ტყაოსანს, აგალობებდა, წეს–ჩვეულებას უხსნიდა, უნერგავდა გულში კაცთმოყვარეობას, სიგმირეს, ზრდილობიანს ლაპარაკს. და ყველა ამ შრომისათვის სწავლების დროს იღებდა ზოგისაგან ხელადა ღვინოს, ზოგისაგან გამომცხვარს პურს, ზოგისაგან ლობიოს, ბრინჯს, ხილს და სხვა. ეს იყო და ეს მისი საოსტატო და გასამრჯელო და აგრეთვე ღრმა პატივისცემა სოფლისა, ხეობისა. ზოგი ასეთი ოსტატი – ქალი ფრიად განთქმულ იყო და დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა გარეშემო მცხოვრებ მკვიდრთა შორის.

ერთი სიტყვით, სახლი ებარა დედაკაცს, იგი აქ დიასახლისობდა. ოდნავი მსგავსება ამ გვარ დიასახლისობისა დღესაც დაშთენილია საქართველოს განაპირა კუთხეებში – ფშავ–ხევსურეთს, მთიულეთს, იმერეთის ზოგიერთ ყურეში, საინგილოს და სხვა.

ამ გვარს ადგილებში დიასახლისი, მრავალ წვრილმან საოჯახო საქმეებს გარდა, სწველს, სდღვებავს, სთესავს და უვლის ბოსტნეულს, მოჰყავს აბრეშუმი, ჰქსოვს შალს საჩოხე საშარვლედ და აგრეთვე ჯეჯიმებს, ხურჯინებს, აბგებს, უვლის ფრთოსანს, ჰმარგლის, რწყავს ბაღ–ვენახს, ეზოს, ჰკერავს, აცხობს და სხვა.

ბარში ამაებს ჩვენ ხშირად ვეღარ ვხედავთ, აქ ძველინდელი ყაიდის დია–სახლისობა ამოვარდნილა. ძველი დიასახლისი გადაგვარებულა, გადაშენებულა.

აქაური დიასახლისი, ისიც არა თუ კეთილშობილთა ოჯახისა, თვით გლეხისაც, ზოგან (იხ. ბატონ მ–ლის აღწერა ტფილისის მაზრისა) ისე დაძაბუნებულა, ისე დამახინჯებულა, რომ თურმე, ცომის მოსაზელად წყალზედ აღარ კადრულობს წასვლას და ვიდრე ქმარი არ მოუტანს წყალს, ცომს ვერ ზელავს და პურს ვერ აცხობს!

ჩვენ გვინახავს ქართლის ზოგი სოფლები. სახლები ერთმანეთზე მიყრილია და მიწაში ჩათხრილი, კარ–მიდამოზედ საშინელი სიბინძურეა. სახლში შრომისა და სიმყრალის სუნი ტრიალებს. წივილისა, კივილისა და ყაყანისაგან ყურთა–სმენა არ არის. ქათამი, ძაღლი, ღორი, ხარი... ირევიან ერთ ბეწო ბუდრუგანაში. კარის პირზე არა დგას არც ერთი საჩრდილობელი ხე, მთელს სოფლის არემარეზედაც, ხშირად თვალს ვერ მოჰკრავთ ამგვარს ხეს.

ყმაწვილები ტიტლიკანა, დაუბანელი, სიასახლისი წვირიანი, ჭუჭყიანი. ყველანი და ყოველნი დაგლეჯილი, მოუვლელი...

ამისთანა დიასახლისის გამოზრდილს ვიღა წაიყვანს მეუღლედ და ვისთვის რა მაქნისია?!.

სულ სხვაა იქ, საცა ქალი ისევ დიასახლისობს, ისევ ირჯება, შრომობს დაუღალავად. ინგილო პატარძალში დიდ–ძალ ფულს ხარჯავს (იხ. ივერიაში ბ. ფ–ძეს წერილი); აქ ქალის მამა კი არ ათხოვებს შვილს მზითვით, ქრთამით, არამედ თვით ვაჟის მამა რძალს უმზადებს მზითევს, სამკაულს და მის მშობელს ქრთამად უგზავნის 100–200 და ხან 400–500 მანეთსაც. რად? იმიტომ, რომ ვაჟის მამა პატარძლის მოყვანით იძენს მუშა ხელს, იძენს საიმედო დიასახლისს თავის ვაჟისათვის, თავის კერიისათვის.

ეს ჩვეულება ინგილოებს თათრებისაგან არ მიუთვისებიათ, არამედ დაუცავთ ვითარცა ნაშთი ძველი დროის დიასახლისობისა. ეს წესი უწინ ჩვეულებად ჰქონია მთელს ჩვენს ერს, ყველა ქართლოსიანთ.

ედ. გიბბონი გვარწმუნებს, **ქართველებს ნაციონალური წესი ასეთი ჰქონდათო ძველადგანვე, რომ ქალის მამას სიძისაგან ეძლეოდა ქრთამი და არა ქალის მამა აძლევდა ქრთამსა და მზითევსაო** და ამიტომ ძლიერ გაიკვირვეს კონსტანტინე იმპერატორის (+1453 წ.) ელჩებმა, როდესაც თავის მეფისათვის საცოლეს დასა–ნიშნავად მოვიდნენ საქართველოში და ჩვენმა მეფემ თავის ასულს აღუთქვა ქრთამად 56,000 დუკატი და ყოველ წლიურ ჯამაგირად 5,000 დუკატი.

ამიტომ არის, რომ საცა ქალი ისევ დიასახლისობს, იქ იგი არა თუ არ „მჟავდება," არამედ 14–15 წლისა რომ შეიქმნება, მრავალი ტარიელი უჩნდება და ეს ტარიელები, ხშირად, ერთმანეთს თავ–პირს ამტვრევენ ჯერ ისევ მცირე წლოვან „სადიასახლისოს" გულისათვის და იქ–კი, საცა დიასახლისობა გადაგვარებულია, ქალი ქრთამითაც ხშირად ვეღარ თხოვდება.

ან და ვის ეპრიანება ესეთი ცოლი და ესეთი დიასახლისი, როგორც ამ სახალხო ლექსშია გამოხატული:

ჩემი ძმა მეხვეწებოდა –
უნდა შეირთო ცოლიაა

იმან რომ ცოლი მომგვარა,
ყვითელი კომშის ფერია.
ორი სარტყელი ვუყიდე,
მესამე ჭია–ფერია;
სამივ ერთურთს გადავაბი,
ძლივს დაუჭირა წელია.
იმ ხანებში მოვიყვანე,
რომ იყო ყველიერია,
ერთი ქილა ერბო მქონდა,
ყვითელი კომშის ფერია,
სამ დღეზე ისე შეჭამა,
ძირზედ მოუსვა ხელია!
მეზობლებში დაეკვეხა –
ნიგოზსაც მივაგენია...
ორი რძალი გამილახა,
მესამე დედაჩემია;
ეხლა მე დამემუქრა –
შენ დამრჩი უცემელია.
ამისა მაყურებელსა
აღარ მომეცა ფერია!

ვიმეორებთ, ამოვარდა დაბა–სოფლად დიასახლისობა, ოსტატი ქალი, რომ აღარსად არის საოსტატოც მიივიწყა ხალხმა. ქსოვის მაგივრად ნაქსოვს ყიდულობენ, კერვის ბადლად შეკერილს იძენენ, ბოსტნეული რა არის, ისიც–კი ზოგიერთ სოფლელებს ქალაქიდგან მოაქვთ.

სადღაა ის დედაკაცი, ის დიასახლისი, რომლის შესახებ გვეთქმოდეს: „ქალი რომ გაიწევს, ცხრა–უღელი ხარ–კამეჩი ვეღარ გაწუევსო! ცხრა–უღელი ხარ–კამეჩი–კი არა, დღევანდელს ჩვენს დიასახლისს ცალ–უღელიც გადაამეტებს გაწევაში.“

კარგი რამ ყოფილა ხვარამზე, აი, ის ხვარამზე, რომლის შესახებ უთქვამსთ:

ქალობა დაიკვეხოდეს
ქალმა ხავარამზისთანამა:
ვერც გასჭრა ხმალმა ფრანგულმა,
ვერც შეაშინა დანამა!

ამისთანა არსებაზე ამბობს ხმა ერისა:

ზღვაზედ ხიდსა ვერვინ გასდებს,
ვერც ვინ დაუდებს დირესა,
ვინა თქვა, რომე ჩვენშია
სულ დედა არ ზრდის შვილებსა?!

ახლანდელი ქალი–კი აი როგორია ხშირად:

ქართლიდანა გამოვთხოვდი
კოხტა ქალი მეო;
ჩავიცვი და დავიხურე,

კარგა მოვირთეო:
წავიგლისე უმარილი,
ფერი ვიჭარბეო.
ცივწყაროზე რომ მოვედით,
სადილი ვჭამეო;
შუა გზაზედ რომ მოვედით,
ცხენს ავუჩქარეო;
მაყრიონი მომძახოდა, –
ქალ, დაგვიცადეო!
მე იმათ ლაყაფ–ლუყაფსა
ყური არ ვუგდეო...
სოფლის პირში რომ მივედი,
ვარდი ავკონეო;
სანთლის შუქი დავინახე,
იქ მივიტანეო.
მულები გამომეგებნენ,
არ მივესალმეო.
ცხენს აღვირი წამოვყარე,
შინ შევიწიეო;
კარებშია რომ მივედი,
თაფლი შევლოკეო;
სამჯერ კერას მოვუარე,
ჯამი გავტეხეო;
მივიხედე–მოვიხედე,
საჯდომს დავხედეო;
ბალიში რომ არსად იდვა,
ჯეჯიმზედ დავჯეო.
იქით–აქეთ პურსა სჭამენ,
პური მშია მეო;
ცალკე რომ მიმიპატიჟეს,
ის მიამა მეო;
ტაფა რომ დააჩხარუნეს,
ის მიამა მეო;
ათი კვერცხის ერბოკვერცხი
მარტომ შევჭამეო;
დიდი ლუკმა ამოვიღე,
სხვას მოვეფარეო,
სტაქნით ღვინო მომაწოდეს,
ის მეწყინა მეო!
ნახე, ლიტრა მომაწოდეს,
ის მიამა მეო;

დავლიე და გამოვცალე,
გამოვაგორეო!
მამამთილს წვერი ვაგლიჯე,
კალთას ვუყარეო;
დედამთილი გავმუგზურე,
მული გავჯოხეო;
მაზლი კარს ეფარებოდა,
აგებ გადავრჩეო.
ქმარი სამკალზედ გავგზავნე,
მჭადი ვუსესხეო;
მაწონსა თავი მოვხადე,
დო შევუნახეო;
საღამოზედ რო მოვიდა,
დო მივუტანეო!

ამ გვარი დიასახლისები დღეს ყველგან ბევრია, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ. და ეს ცოტაა კიდევ. ამ გვარი არსება რაღაც აჭრელებულს ენაზე ლაპარაკს შეჩვეულა ანუ ეჩვევა; მამა „პაპა“–დ უქცევია, დედა „მამა“–დ, დეიდა „ტოტა“–დ, მღვდლის ცოლი ფოფოდიად გამხდარა, კეთილშობილის ქალი კნიაჟნად, კნეინად... სტუმრობაა თუ სოფლობა – ყველგან გესმის რაღაც აჭრელებული, ნებროთის დროისებური ენათა შერევნა...

აი ამიტომაც არის, რომ ამ გვარ „სადიასახლისოს“ წაყვანას ისევ უცოლოდ დაშთენას არჩევენ ჩვენებური ახლანდელი ჭაბუკები და ვაშკაცები. დედა თუ შვილს ვერ ასწავლის ღვიძლს ენას და სამშობლოს სიყვარულს, წიგნს და წერა–კითხვას, ვერ შეიკერავს, ვერ მოიქსოვს, ვერ მოუვლის სახლს, – აბა ამისთანა არსებას ვინ წაიყვანს კანონიერ ცოლად თავის გულის გასასიებლად!...

დრო–ჟამმა და უფრო–კი ჩვენმა დაუდევრობამ ასრე დასცა და დააქვეითა ჭეშმარიტი დიასახლისობა, მაგრამ დღეს ჩნდება მთელი გუნდი მოწაღმართე და ფრიად მომჭირნე ქალებისა და უკვე ბევრნიც კეთილად მოღვაწეობენ...

ბერი.

ივერია - 1902. – N261. – 5 დეკემბერი. - გვ.2-3.

ცივზედ დარბაზობა

(ისტორიული ცნობა)

[1.]

1334 წლის ივნისი იყო. მეფე გიორგიმ მოინდომა დიდი წვეულება გაემართა ცივის მთაზე. სამეფოს ყველა მხარეს გაგზავნა სანდო კაცნი დიდებულთა და მთავართა მოსაწვევად.

მალე მოგროვდნენ ტფილისში საქართველოს ყველა მთავარნი, ერისთავნი, ხეობათა და ქალაქთა გამგენი. ძლიერი მთავრები გულ–ზვიადად უცქეროდნენ

ერთმანეთს, ამაყობდნენ. თითოეულს მტკიცედ სწამდა, რომ ყველა დანაშთენზე იგი მეტი იყო ძლიერებით, ახოვნებით; თითოეულს ცა ქუდათ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

ამოდენა ბრწყინვალე მხედრობა დაიძრა ქალაქიდგან და გაუდგა კახეთის გზას მეფის მოთავეობით.

***

გომბორისა და ცივის მთა ჰყოფს ალაზნისა და იორის ხეობებს. თან–და თან ეს მთა დაბლდება და ამ დადაბლებულ მთის ღელე–ყურეებში შეფენილია ქიზიყის სოფლები: ლაგოდეხის, ჭარის, საინგილოს და ნუხის გადასახედავამდე. საკუთრად „ცივი“ ეწოდება ამ მთის იმ ველობიანს მწვერვალს, რომელიც აქეთ გადმოჰყურებს საგარეჯოს, ყარაიაზს და იქით თელავს, შიგნით კახეთს და კავკასიონს.

ამ ცივზედ მოჰყავდა სტუმრები გიორგი მე–V ბრწყინვალეს.

მათ გამოვლეს ვაზიანი, აზანბური, სართიჭალა, საგარეჯო და ავიდნენ ცივზედ.

მეფის ბრძანებით მისს ერთგულ მოხელეებს, მეცხვარეებს და სოფლელებს მოე–მზადებინათ სამეფო სუფრა; დაეკლათ ცხვარი, ძროხა, მოეტანათ ღვინო და დიდებულთა სუფრის საკადრისი სანოვაგე.

***

ცივზედ საამოდ გრილოდა, ათასგვარი ყვავილებით შეჭრელებული ბალახი თვალ–წარმტაცად ბიბინებდა. მრავლად მოჩანდა მწყემსების ფარდულები და მათ შორი–ახლოს სძოვდა დიდ–ძალი საქონელი, ცხვარი, ცხენი.

დიდებული სტუმრები მოვიდნენ. მეფეს მიეგებნენ მისნი მოხელენი, მწყემსნი, სოფლელი ვაჟკაცები. მიესალმა–რა ყველა ამათ ხელმწიფე, ჩამოხტა ცხენიდგან და ფართოდ გაბარჯღულ მუხების ჩრდილს მიაშურა. დიდებულნიც მასთანვე შეიკრიბნენ. აქვე გაშლილი იყო სუფრა, ქართული სუფრა.

***

გახშირებული სტუმრობა იყო, „სმა–ჭამა დიდად შესარგი“ მეფემ ანიშნა ერთგულთ. მწყემსებმა და ვაჟკაც–ჭაბუკებმა ელვის სისწრაფით გათიბეს... მეფის მიერ მოწვეულნი სტუმარნი...

***

თამარ მეფის სიკვდილს მოჰყვა შფოთი, ღელვა, ლევა ქვეყნისა. გარეშე მტრებს გარდა, სამეფოს აოხრებდნენ თვით ქართველი დიდებულები. ძმა აჰსეოდა ძმას, ყმა – პატრონს. ჯაყელებს და ათაბაგებს თავის თავს გარდა კაცად აღარვინ მიაჩნდათ,

მეფეს თავს აღარ უკრავდნენ. დავით მეფის გამეფებას სარგისი არ დაესწრო და გამეფება არ მიულოცა. რაჭის ერისთავი მეფედ აღიარებდა თავის თავს. ეგარსლან ბაკურციხელი ერთხანად მეფობდა იმერეთში. ჯიქურს ებარა გამგეობა ქვეყნისა და პატრონობა მეფის ოჯახისა. სადუნ მანკიბერდელი ითვლებოდა მეფედ თელავისა, ბელაქნისა და მთიულთა, რომ უმეტესი რიხი მიეცა თავის უფლებისათვის, ამ სადუნმა შეირთო ცოლად მეფის შთამომავალი. ამის შემდეგ იგი უმეტესად გადიდდა, გამძლავრდა, გაონავრდა. ამგვარადვე გაძლიერდა პანკისის ერისთავი თორღული, რომელიც მეფეს განუდგა. ერისთავნი სვანეთისა, ოდიშისა, აფხაზეთისა და გურიისა აგრედვე აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს.

ამის გამო მეფის ძალა მთლად დაკნინებულიყო. გაიძვერა ერისთავნი და მთავარნი მონგოლთა ნოინების შემწეობით მეფეს არ ასვენებდნენ, წყალს არ უწმენდავდნენ. იგინი ეკრტიმლებოდნენ არა თუ მეფეს, არამედ მეზობელს მთავრებსაც, ხოლო მთავრად ითვლებოდნენ მაშინ თავადიშვილების ყველა გვარეულობათა წარმომადგენელნი.

ეს ცოტაა კიდევ. მონგოლთა ნოინებისა და ამ ქართველ მთავრების შეთანხმებით საქართველოს ტახტზე ხშირად ერთსა და იმავე დროს, ორ–ორი და სამ–სამი მეფე იჯდა.

ამ წეწვა–გლეჯამ მშვენიერად აყვავებული მეფობა თამარ ნეტარისა პირქვე დასცა, გააოხრა, გაანადგურა, დაასუსტა, დააკნინა.

***

გიორგი ბრწყინვალე რომ გამეფდა (1318–1346 წ.), დაიწყო მთიებმან (ცისკრის ნათელმა) აღმოჭვირვებად: დაფანტული სამეფო ნიკოფსიდგან დარუბანდამდე და ტრაპიზუნტედგან კასპიამდე შემოჰკრიბა და „ვითარცა აღმაშენებელმან დაიმონა, განავსნა და აღაშენა ქვეყანა, სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა.“ და ყველა ეს–კი შესძლო მხოლოდ მაშინ, ოდეს „მოიყვანა ყოველნი ამის ქვეყნის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა წერეთისასა და მოსწყვიტა მუნ ურჩნი თვისნი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა თვისნი მორჩილნი.“

***

შორს განუჭვრეტელი მეფეები–კი არა–თუ „ცივზედ დარბაზობას“ არ ჰმართავდ–ნენ, არამედ ისეც დაფანტულ ქვეყანას საუფლისწულოებად ჰყოფდნენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს შორის.

ბერი.

ივერია - 1902. – N263. – 8 დეკემბერი. - გვ.2-3.

ისტორიული ცნობა
2.
ქართველი მთიელები
(გიორგი ბრწყინვალის წერილი)

წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, მეფემან გიორგიმ, ძემან სახელოვანის მეფეთ მეფის დიმიტრისამან, დავადგინეთ სამართალი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიელ ხალხთა სანახებში, ჩვენის მეფობის უცილობელს საკუთრებაში.

გავედით–რა ჩვენის სატახტო ქალაქიდგან, მივედით ჩვენს ჟინვნის სასახლეში, იქიდგან ხადა–ცხაოტს, საცა მოვიწვიეთ ურჩნი ხევის ბერნი და ერნი, მოვისმინეთ მათი აჯა, ვცანით მათი საქმე და მივედით დარიალას... დაბრუნებისას თაყვანის ვეცით ლომისის გიორგის, განვმართეთ ცხრაზმის ხეობის საქმენი და მივედით მუხრანს ჩვენს საზამთრო სასახლეში და იქიდგან სატახტო ქალაქს (ტფილისს) სხვა–და–სხვა სოფელთა უფროსებით, ხეობათა თავკაცებით, მამასახლისებით და ჰაეროვ–ნებით. შემდეგ მოვიწვიეთ მისი მეუფება საქართველოს კათალიკოსი ეფთვიმე, მეფის ბჭენი, ეპისკოპოსნი და ქვეყანათა მმართველნი და გამოვიძიეთ და ვცანით, რომ მრავალი უწესობა ხდებოდა ქვეშევრდომთა ჩვენთა შორის: ერთი–ერთმანეთზე მიხტომ–მოხტომა, ციხეთა აკლება, კვლა, სხვათა ცოლთა ტაცება ანუ საკუთარ ცოლთა განტევება უმიზეზოდ და სხვა შეუფერებლობანი, ასე რომ სამართალი აღარ იყო. მიზეზისა ამის გამო დავადგინეთ ესე...

ამას მიჰყვება 46 მუხლი გიორგი ბრწყინვალის კანონებისა. მე–19 მუხლი შეეხება ლაშქრობის წესებს. თუ რომელიმე ხეობა ანუ სოფელი მოწოდებისამებრ ერისთავისა ანუ მმართველისა არ გამოვა სალაშქროდ, მისი მამული ერთის წლით სახაზინოდ ჩაირიცხება და ყოველს მეკომურს გამოერთმის თითო ხარი. გარნა წლის დასასრულს უკანვე დაუბრუნდებათ ყოველივე, რაც ჩამოერთოთ. ეს დადგენილება შეეხება ჰაეროვანთა და გლეხთ. თუ ხევის ბერი არ გამოვიდა სალაშქროდ, აღეხადოს ღირსება და ჩამოერთოს მამული თუ დამსახურებული კაცია და სხვა დანაშაული არ ჩაუდე–ნია, წლის დასასრულს დაუბრუნდეს მამული.

მუხლი 46: საქართველოს და სხვათა კანონებით ფულის **სარგებლით** გაცემა აღკრძალულია [„მწერლობა მეათე საუკუნემდე“–ში მოყვანილია მთელი სწავლა, რომ სარგებლით ფულის გაცემა ცოდვაა]. გარნა თუ ვინმე ვერცხლმოყვარეა და სარგებლის აღებას ინდომებს, მიეცეს მას ათს თეთრზედ არა უმეტეს ორისა, **რავდენი** ხანიც უნდა იყოს გავალებული ფული.

ამ მთიელთაგან დიდოთა და ფხოელთ იწყეს ღელვა თამარ მეფის დროს, გარნა დამორჩილებულ იქმნენ. ასე:

...დიდონი მშთვარსა და უხარშავსა სჭამენ და მრავალი ძმანი ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლად და რომელნიმე უჩინარს რასმე ეშმაკს თაყვანის სცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა. ხოლო ფხოელნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრის–

ტიანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად, ხოცად და ტყვეობად, ცხადად და ღამით. მაშინ მოუწოდა თამარ მეფემან ყოველთა მთიულთა, – დვალთა, ცხრაზმელთა, ხეველთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა და ერწო–თიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა...

წავიდნენ, ავიდნენ დიდოს, დაჰყვეს იქ სამი თვე – ივნისი, ივლისი და აგვისტო, დაიმორჩილეს, გამოართვეს მძევლები და დაბრუნდნენ. გამდგართ აღუთქვეს მსახურება, ხარაჯა და მისცეს პირი სიმტკიცისა...

აი, აქ მოხსენებულს მთიელებს მისცა სამართალი გიორგი ბრწყინვალემ.

შემდეგ, მთიულები და ხეველები ეპყრათ არაგვის ერისთავებს, ცხრაზმელები და მათი მეზობელი მთიელები ქსნის ერისთავებს; ერეკლე მეორის დროს ფშავ–ხევსურთ განაგებდა მეფის მოხელე და „ფრიად ერთგულ იყვნენ თვისთა მეპატრონე–თა.“ კახეთის მხრის დიდონი, ამბობს ვახუშტი: „ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა,“ თუშნიც „მორჩილებენ კახთა და არიან სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა და მწყსის მათ, ხარჭაშნელის წილ, ალავერდელი.“

საზოგადოდ, ამ მთიელებივით ერთგული საქართველოისა და მის ტახტისა არც ერთი თემი არ იყო ჩვენში. თვით დამოუკიდებელ სამეფოს უკანასკნელს წუთებშიაც ეს მთიელები აფრიალებდნენ თავისუფლების დროშას და, დედოფლების რუსეთში გადასახლების ამბავი რომ მიუვიდათ, ჩამოგზავნეს ვაჟკაცი ბელადები მათ გასატაცებლად ტფილისიდამ.

ბერი.

ივერია - 1902. – N269. – 15 დეკემბერი. - გვ.2.

ისტორიული ცნობა

3.

„წელთა აღმწერელობა თვალხმა არ არის“

–

– ვინ შეჰქმნა ჩვენში კულტურა, – თავადმა?

– არა.

– აზნაურმა?

– არა.

– გლეხმა?

– არა.

– მღვდელმა?

– არა.

– მაშ ვინ?

– ქართველმა, ქართველის გენიოსობამ.

– რა არის კულტურა?

– კულტურა წარმოსდგება სიტყვიდამ cultiver და Culture ჰნიშვანს ხვნას, შემუშავებას (მიწისას), გაშენებას (მცენარეთა), წარმატებას (მეცნიერებასა და ხელოვნებაში), საქმეს, ხელობას, სწავლას, განვითარებას (ჭკუისას).

–ვინ დაიწყო კულტურა ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვინ უდგა სათავეში კულტურას?

–ყველა: მუშაკი, მხვნელი, ხელოსანი, მხედარი, მღვდელი...

ასრე იყო ყველა კულტუროსანს ხალხებში და ჩვენშიაც.

პირვანდელ უვიც და ყოვლად უსუსურ კაცმა თანდათან მოიგონა იარაღები, ისწავლა ქოხების აშენება, სატანისამოსო ნივთების კეთება, საქონლის მოშენება, მთლიანის ხეებისაგან ნავის გამოჭრა. შემდეგ ნელ–ნელა ყველა ეს გააუმჯობესა, კიდევ ბევრი რამ ახალი შესძინა თავის პირვანდელს ყოფა–ვითარებას, და კაცობრიობის დღევანდელი კულტურული შეძენილობა – ელექტრონი, ფონოგრაფი, ორთქლ–მავალები, ჰაეროსტატი, ზღვის ძირში მცურავი ხომალდები აღარც–კი გვაკვირვებენ, საცაა, ცაში რკინის გზასაც გაჰმართავენ!

–ვინ შეჰქმნა ქართული ყაიდის ხელოვნება – ქანდაკება, მხატვრობა?

–ქართველმა ხურომ, ხუროთ–მოძღვარმა და მხატვარმა.

–ვინ აღაგო ცამდის აღმართული სვეტიცხოველი?

–მთელმა საქართველომ.

–ვინ გააშენა ტფილისი, მცხეთა, ქუთაისი?

–მთელმა ქართველმა ერმა.

–ვინ შეასწავლა და შეაყვარა უცხოეთიდგან გადმოსახლებულ თავადიშვილობას ქართული ენა, ზნე, ჩვეულება და საზოგადოდ, ქართული კულტურა, მაგალითებრ, ინდოელ ორბელიანებს, ლეკეთიდგან მოსულ წერეთლებს, ურიასტანელ ციციშვი–ლებს, ბერძენ მიქელაძეებს, ქურთისტანელ მხარგრძელებს, ოს–ფალავანდიშვილებს, ურია ბაგრატიონებს, ბერძენ ანდრონიკაშვილებს, აბაშელ აბაშიძეებს და სხვა–და–სხვა?

–ისევ და ისევ ქართველობამ, იმ ერმა, რომელმაც შეჰქმნა თავისებური კულტურა, დაამყარა თავისუფლება ენისა, სვინიდისისა, გვარტომ–მოდგმისა, იმ ერმა, რომლის კულტურის არსება გამოიხატება, ერის გენიოსობის შენიშვნითვე, ამ სიტყვებით:

პირველ თქმულია ძველთაგან
სიდარბაისლე მესხისა,
პურადობა და ვაჭრობა
ქართველს არ ეზრახვისა,
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა მიმცემი რისხვისა,
ომი და ლხინი კახისა
მოსაწონია კაცისა.

აქ მთელის ერის მოწოდებასა და კულტურაზეა ლაპარაკი, მთელი ერი კულტუ–რულ ერად დასახულია იმ განსხვავებით, რომ თემსა და თემში კულტურის რომელიმე დარგი უმეტესად ყოფილა ფესვებ გადგმული.

ვიმეორებთ, ქართული კულტურა არ შეუქმნია ერთს რომელსამე წოდებას, არ შეუქმნია გლეხს, აზნაურს, თავადს, მღვდელს, არამედ მხოლოდ ქართველს, ქართველის ჭკუას.

ეს მხოლოდ დღეს არ ესმისთ ჩვენში ზოგიერთებს, თორემ ქართველის გენიოსობას მე–XII საუკუნეშივე შეგნებული ჰქონდა და თავის ეროვნულ მისწრაფებათა სავალზე ამით ხელმძღვანელობდა:

ათასად გვარი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა!

– ვინ დაიცვა ესრეთი საწადიერი ანდერძი და ქართული კულტურა?

– რასაკვირველია, იმავ ქართლოსიანმა, იმავ ქართველმა ერმა, ნიჭით და ძალ–ღონით აღსავსე ამერ–იმერმა.

– ვინ შეუწყო ხელი ამ ანდერძის და ქართულ თავისუფალ კულტურის დამხობას?

– უმთავრესად ქართველ დიდკაცობის დუხჭირ და უკეთურ წარმომადგენლებ–მა. ესენი, ვითარცა მოგვითხრობს მატიანე: **გასუქდებოდნენ–რა, გალაღდებოდნენ, გაამაყდებოდნენ, აღარ რიდებდნენ აღარც მამულს და აღარც საკუთარს მეფეს. არ თაკილობდნენ ჯაშუშობას, ძმათა გაცემას, თანამოძმეთა გაყიდვას მთელის გუნდობით, დასობით, სოფლობით.**

– ვინ უღალატა მეათე საუკუნეში საქართველოს მიწების შემკრებელს და სამეფოს გამაერთიანებელს ბაგრატ III-ეს?

– რატი ორბელიანმა, კახეთის თავად–აზნაურობამ.

– ვინ უღალატა საქართველოს გამაერთიანებელს დავით მეფეს?

– ჩოლაყაშვილმა.

– ვინ უღალატა დავითს და ვინ წამოუძღვა მთიულეთს თათრის ხანებს?

– შალვა ქვენაფლაველმა, ლარგველმა.

– ვის ვერაგობით მოსწყდა სამცხე და კლარჯეთი ქართლის ტახტს?

– გაიძვერა ათაბაგის ვერაგობით.

– ვის მტარვალობით გამაჰმადიანდა მესხეთი?

– იმავე ათაბაგებისა.

–ვის ბელადობით დააარსა შაჰაბაზ I-მა კაკ–ელისენის (საინგილოს) სასულთნო?

– თავად ვახახიშვილისა, რომელიც სულთანადვე დაიდგინა.

– ვინ უღალატა ქართლ–კახეთის გამაერთიანებელს ერეკლე II-ეს?

– ალექსანდრე ამილახვარმა და მასთან იმ კაცებმა, რომელნიც შიშიანობის დროს სამშობლოდგან გაიქცნენ, გავარდნენ და ახლა, მშვიდობიანობის დროს, დაბრუნება და ბატონობა მოინდომეს.

– ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც „არღარა აქუნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თვისთა ერთგულება, ვინაიდგან მცირედითა ნიჭითა (საჩუქრით) გამაჰმადი–ანდებოდნენ და აქვნდათ როქი (ჯამაგირი) ყეენისაგან, შემყვარე იყნეს უფროს სოფლის დიდებისა, ვიდრეღა სუფევისათვის ჩვენთვის დაკლულისა ქრისტესა?“

– ესენი იყვნენ ქართლის თავადნი; იასონ არაგვის ერისთავი, ქამარბეგ მელიქი, ერეკლეს, რომელსა ზრდიდა მეფე ვითარცა ძესა, ძმანი მაჩაბელნი... „ესენი უდგებოდნენ ღალატად მეფესა.“

– ვინ უღალატა ლუარსაბს, სვიმონს, ერეკლეს აღა–მაჰმადხანის შემოსევის დროს? ვინ გაყიდა ერთ გუდა ბაჯაღლოდ თავისი სიძე–მეფე და სამეფო? ვინ გაყიდა შვიდ გუდა ოქროდ ლუარსაბ მეორე და საქართველო? ვინ გაყიდა... მაგრამ კმარა.

– ვინ ღალატობდა მე–XV საუკუნიდგან დედაქალაქ მცხეთის საყდარს?

– სხვა–და–სხვა კუთხის ეპისკოპოსები...

ვერაგ კაცთა ამბავის თხრობას მემატიანე ამ სიტყვებით იწყებს: **„ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არათუ თვალხმა ვისთვისმე.“**

ჩვენც ამგვარ თვალთა საზრისით დავიწყეთ „ისტორიული ცნობის“ წერა, და შემდეგაც მოვიყვანთ ცნობებს იმ უკეთურ ძალთა შესახებ, რომელთაც, ვიმეორებთ, ხელი შეუწყეს საქართველოსა და მასთან მის კულტურის დამხობას და თვით ქვეყნის დაკნინებას, მისი მიწა–წყლის გაყიდვითა და გაფლანგვით.

ბერი.

ივერია - 1902. – N272. – 19 დეკემბერი. - გვ.2.

ისტორიული ცნობა

4.

უკეთურ ძალთა დამხობა

მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდგან, ნამდვილ ხელმწიფეს გარდა, ყველა ხელჯოხიანიც მეფობას ჩემულობდა. აფხაზეთს იჯდა მეფე. არტანუჯს განაგებდა საკუთარი მეფე. კლარჯეთს იყო სხვა მეფე. ტაოს ხელმწიფობდა დავით დიდი – მეფე–კურატპალატი, კახეთს იჯდა თავისი მეფე. შუღლი, კრტიმლვა, დავიდარაბა განუწყვეტელი იყო ქართველ თავად–აზნაურთა შორის.

–

მეფეთა შორის ყველაზედ შესანიშნავი და სახელოვანი იყო ტაოს პატრონი, ხელმწიფე – კურატპალატი – დავით დიდი, კაცი მშვიდი. ტკბილი, უხვი, კაცთ–მოყვარე, ქვეყნის და ეკკლესიების მაშენებელი, ძლიერი, სამშობლოს მტკიცედ დამცველი, მწიგნობრობის და განათლების მფარველი, აღმაყვავებელი. მისმა მხედრობამ, სკლიაროსის განდგომილების დროს (978 წ.), თორნიკეს წინამძღოლო–ბით, კონსტანტინეპოლის ტახტი იხსნა მოსალოდნელი განსაცდელისაგან.

დავითი იყო უშვილო და შვილად აღეზარდა ბაგრატი. ამ ბაგრატის მამა იყო გურგენი, ხოლო დედა გურანდუხტი, ასული აფხაზეთის მეფის გიორგი II-სა.

დავით დიდისაგან ბაგრატს შეეძინა ყოველი კეთილი ზნე–ჩვეულებანი.

–

კახეთისა და აფხაზთა უნიჭო მეფეებისა და აზნაურთა ვერაგობის გამო ქართლი ბრძოლის ველად შექმნილიყო. იჟლიტებოდა უცოდველი ხალხი. კვნესა–ვაება გაისმოდა საქართველოს არემარეზე.

–

ქართლს ერისთაობდა იოანე მარუშიძე, კაცი სახელოვანი, პატივცემული დიდთა და მდაბიოთაგან. ერის ტირილი მასაც ატირებდა, ხალხის კვნესა გულს უგმერდა. მოიწვია დიდნი და წვრილნი და ურჩია, გაეგზავნათ კაცი ტაოს წინაშე დავით დიდისა და მეფედ გამოეთხოვათ მისი შვილობილი ბაგრატ.

–

ეს ბაგრატ ჯერ მცირე წლოვანი იყო, რომ მისს მამობილს მეფედ გამოეცხადე–ბინა.

„ბაგრატ ჯერეთ ჰასაკსა ზედა უსრულ იყო, ოდეს ამან დავით დიდმან შემოკრიბნა ყოველნი ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: – „ესე არს მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი.“

–

გამეფდა ბაგრატ III აფხაზეთს 980 წელს და ქართლსა და აფხაზეთს 985 წელს. გარნა „იწყეს მედგრობით ზაკულება, ვითარცა არს ჩვეულება, ქართლისა აზნაურთა, შეეუბნეს, ნაქურდეველთა და საბოტარელთა, მოიყვანეს ლაშქარი კახეთით, გასცეს უფლისციხე და შეიპყრეს ბაგრატ III, მისი მამა გურგენ და დედა გურანდუხტ და წაასხეს კახეთად.“

სცვნა დავით დიდმა, მრავლის ძალით თრიალეთს გადმოდგა. კახელთ შეეშინდათ. განუტევეს ტყვენი, დასთმეს უფლისციხე და სხვა სიმაგრენი, გარდა წისქვლისციხისა და გრუისა.

–

ბაგრატი შეუდგა ხელმწიფურს მუშაკობას, სამშობლოს გადიდებისა და გაერთიანებისათვის მედგრად ზრუნავს. საცა ვინ ურჩი და დუხჭირი პოვა, დაამხვა, საცა ვინ ერთგული და მოწაღმართე იყო, დაიახლოვა, საქმე მიუჩინა.

–

ბაგრატს თავს არ უხრიდა მძლავრი რატი ორაელიანი, ერისთავი კლდეკარისა და მპყრობელი ატენისა თრიალეთისა, მანგლისისა და სვირეთისა.

ბაგრატმა შეჰყარა ლაშქარი ამ ურჩის დასასჯელად, შესაპყრობად. გარნა მტრებ–მა მიუტანეს ამბავი დავით დიდს, შენი შვილობილი შენ დასამხობად მოდისო და არა რატისაო. დავითს მართალი ეგონა და დიდის ჯარით გამოსწია თრიალეთისკენ.

ბაგრატმა აუხსნა თავის მამობილს, რისთვისაც შეეკრიბა ლაშქარი. დავითი უკანვე დაბრუნდა.

ბაგრატი შემოერტყა კლდეკარს. ამაყმა რატიმ იკადრა ციხიდგან გამოსვლა, შეევედრა მეფეს არ მოესპო მისთვის უბადრუკი სიცოცხლე. მეფემ შეიწყალა და რატი და მისი შვილი ლიპარიტ წარგზავნა არგვეთს.

–

ბაგრატმა კახთ მეფეს დავითს მოსთხოვა ქართლის ციხენი. დავითმა შემოუთვალა: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენ შორის დამჯარებელ მკლავი და ომი; ხოლო მე წინამოგეგებო ქსანსა ზედა.“

კახეთის მეფის ძალა მისს ქადილს არ შესწევდა. ბაგრატმა დაიპყრა მთელი კახეთი და ერეთი და კვირიკე, ძე დავით მეფისა, რომელიც მოკვდა ამ კრტიმლვაში, ტყვედ წამოიყვანა.

–

განჯის ამირა ფადლონი არ ასვენებდა კახეთს. ფადლონს ეჯავრებოდა ქრისტიანები და სჩაგრავდა მათ. ბაგრატის შიში არ ჰქონდა. დიდის ლაშქრით ბაგრატი მივიდა რანს, მოადგა ქალაქსა შანქორს, დაუდგინა ფილაკავანი და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი... ფადლონმა მხოლოდ ახლა „შეჰხედა ღმერთს," ითხოვა შენდობა, მონურად მსახურება თავს იდვა, ზურგი ხარკით დაიმძიმა...

–

მძლავრი მთავრები მეფეს ან სულ ამოეგდო, ან და ქედი მოეხრეინებინა ქვესკნე–ლამდის. გადარჩენილიყვნენ მხოლოდ თითო–ოროლა ხელმწიფენი არტანუჯ–კლარჯეთის. მათმა უკანასკნელმა წუთმაც მოაწია.

–

მეფე ფანისკერტს იყო. გამართა დარბაზობა, მოიწვია მეფეთა ნატამალნი, უდარბაზა, ალხინა და მერე... შეიპყრა იგინი, წარმოგზავნა და თმოგვის ციხეში შეამწყვდია, და ამ ციხეშივე განუტევეს დიდების მოყვარე სული თვისი კლარჯ–არტანუჯის ხელმწიფეთ.

–

„ვითარ ხელოვანმან მენავეთ–მოძღვარმან, ეგრეთ გააგო საქმე." შეიქმნა ბაგრატ თვითმპყრობელად ყოვლისა საქართველოისა და კავკასიისა. ვახტანგ გორგასალს აქეთ ამისებრი დიდი მეფე არავინ გამოჩენილიყო, ამისებრი „სიმართლის მართლიად მომქმედი," „ქვრივთა და ობოლთა შემწყნარებელი," „გლახაკთა და დავრდომილთ მოწყალე," ეკლესიათა და ქვეყანათა მაშენებელი.

მან ჩაჰყარა საძირკველი ქუთაისის ტაძრისა. მან ააგო საყდარი ბედიისა და დაუდგინა ეპისკოპოსი. „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის და დიდებისა მეფობისა მისისასა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის საყდრისა და მისგან გულის–ხმა ჰყოს და ცნას, რომელ არავინ ყოფილობს სხვა მეფე მსგავსი მისსა ქვეყანისა ქართლისა და აფხაზეთისა."

ბაგრატის ძე ბასილი ბრწყინავდა საქართველოს მაშინდელს აკადემიაში – ხახულს და მანვე დალოცა ხახულს მისული მნათობი ქართველთა, გიორგი მთაწმინ–დელი.

ბაგრატის ასულის წული ცოლად ჰყვანდა ფერის ჯოჯიკისძეს და ამათ სახლში აღიზარდა ზემოხსენებული გიორგი მთაწმინდელი. თავისივე ბიძის, დავით დიდის მწერალი უხუცესის, გიორგის ხელმძღვანელობით, და მერე უმაღლესი სწავლაც მათვე მიაღებინეს კოსტანტინეპოლში.

გარდაიცვალა ბაგრატ მეფე 1014 წელს, მაისის 7–ს, პარასკევს.

ბაგრატის მიერ განმტკიცებულს ბალავარზე აღეგო აღმაშენებლობა, თამარ მეფობა და რუსთველობა. ბოროტ ძალთა დამხობით ქვეყანა ამაღლდა, გაბრწყინდა.

ბერი.

ივერია - 1902. – N275. – 22 დეკემბერი. - გვ.2.

ისტორიული ცნობა

5.

სვეტი თავისუფლებისა

ბაგრატ IV სულ 11–ის წლისა იყო. ცხრა წლისა–კი გამეფდა (1027 წელს). მამა მისის გიორგი 1–ის მეფობა ფრიად მღელვარე იყო. ბერძენთ იმპერატორი ბასილი, რომელიც ორმოციოდე წლის წინად დავით მეფის ლაშქარმა დიდს განსაცდელს გადაარჩინა, ურცხვად შემოებრძოლა ქართველებს. დიდის ჯარით შემოვიდა კლარჯეთს, ბასიონს, ტაოს, შეება გიორგის, დაამარცხა, წაართვა ციხეები, მძევლად წაიყვანა მეფის მემკვიდრე ბაგრატი, ჯერ ისევ სამის წლის ყრმა და წავიდა საბერძნეთს.

ქართველი თავად–აზნაურნი, ალბათ ისინი, რომელთაც მუხრუჭი მოუჭირა გიორგის მშობელმა, ბაგრატ III-ემ, მეფეს არა თუ არ იშველებოდნენ, არამედ ბერძენთ იმპერატორს მხარს უმშვენებდნენ და „რომელნიმე ციხენი პირველვე გაეცნეს ამ აზნაურთა.“

–

დაჯდა თუ არა ბაგრატ IV მეფედ, მაშინათვე ზოგიერთნი თავად–აზნაურნი განუდგნენ მას და მიემხრნენ ბასილი იმპერატორის ძმას კონსტანტინე მეფეს. ეს უკეთურნი და წინდაუხედავნი იყვნენ ვაჩე კარიჭის ძე, ბანელი ეპისკოპოსი იოანე და „მათთანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა.“ კოსტანტინე იმპერატორსაც იამა. შეჰყარა დიდი ლაშქარი და გამოგზავნა.

ბერძნებმა ხელახლა აიკლეს ის ადგილები, რომელიც ამას წინად აეკლო ბასილი იმპერატორს. ააოხრეს გზა–და–გზა ყოველივე და თრიალეთს ჩამოდგნენ. ლიპარიტ ორბელიანი ჩაიკეტა მიუდგომელს ციხეს კლდეკარს. მეფეს განუდგნენ „კვალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი, და ერისთავმან შავშეთისამან მისცა (ბერძენთ) ციხე წეფთისა. ჩანჩუხი ფალელი წავიდა საბერძნეთს და მისცა ციხე გარყლობისა, არჯევან ოლოლისძემაც გასცა ციხე.

–

ბაგრატ III-ის მიერ შემოკრებილი და გაერთიანებული სამეფო ინგრეოდა. თავად–აზნაურნი ხელს უწყობდნენ და აჩქარებდნენ სამშობლოს თავისუფლების დამხობას.

–

ამ დროს გამოჩნდა დიდებული კაცი აჭარაში. ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ თავს იდვა სამშობლოს თავისუფლების დაცვა. აღიმაღლა ხმა ძლიერი, მოუწოდა აჭარის ერს და ტბეთის ახლოს, მიუდგომელს ახლოს ააშენა ციხე ხსნისა და სიმტკიცისა და სახელსდვა მას **სვეტი.**

ამ დიდებულს ციხეში შემოკრიბა ბაგრატ მეფის ერთგულნი აჭარელნი, შავშნი. მასვე მიემხრო სახელგანთქმული, წარჩინებული და ბრწყინვალედ განათლებული ეზრა ანჩელ ეპისკოპოზი, ის ეზრა, რომელიც შემდეგ მაკურთხეველობდა შემოქმედს

და რომლის ლოცვა–კურთხევით იოანე ჯიბისძემ დაგვიტოვა შესანიშნავი დავითნი ამგვარ წარწერებით: „ღმერთმან მზე და მთოვარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩვენთა განმანათლებელად მოგუმადლნა...“

ბერძენთა დიდი ლაშქარი შემოადგა სვეტს თავისუფლებისას. ცბიერ მტრებმა აჭარელების მოსაცრუებლად თავიანთ ჯარს გამოაყოლეს აგრეთვე დემეტრე კლარჯი სუმბატის ძე. ამან ბევრი იშრომა ბერძენთა სასარგებლოდ და თავის მლიქვნელობით შეაცდინა ზოგნი უგუნურნი და უსუსურნი. გარნა სვეტი იდგა ანდამატის ციხესავით. ბრძოდნენ მას ძლიერად, სხვა–და–სხვა სახსარს ხმარობდნენ მის ასაღებად. ამაოდ.

„ღმერთმან განაძლიერა მყოფნი სვეტსა. ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი თავთა თვისთა სიკვდილად გასწირვიდეს, სისხლთა დასთხევდეს“ და ასრე ამხნევებდნენ ერთურთს: „მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გვირგვინი ახოვნებისა.“

„გარემოდგომილნი ლიქნიდეს აღთქმითა და ქადებითა კეთილთა და საფასეთა.“

მათ სიტყვამ ვერ გასჭრა, სვეტი. უმეტესად გაძლიერდა. მტერს სასოება დაეკარგა და დაბრუნდა. სვეტს ბრწყინვალების შარავანდედი გადაეკრა, დიდების გვირგვინი დაედგა.

ამ ჟამად საქართველოს დასავლეთიდამ ამოუვიდა მზე.

კოსტანტინე იმპერატორი მოკვდა. 1031 წელს ბაგრატის დედა მარიამ წავიდა საბერძნეთს, ითხოვა მშვიდობა აღმოსავლეთისათვის და თავის შვილისთვის ცოლად ელენე ბატონიშვილი.

–

დიდის დიდებით მარიამ დედოფალმა მოიყვანა რძალი ტაოს. ბაგრატ მეფემ ჯვარი დაიწერა, ქორწილი გადაიხადა და წავიდა ქუთაისს. დიდების მოყვარე ლიპარიტ ორბელიანი იხერხებოდა მეფის გაძლიერების გამო...

ბერი.

ივერია - 1902. – N280. - 31 დეკემბერი. - გვ.2.

ისტორიული ცნობა

6.

მოეწყინათ მისი მთავრობა

განდგა ლიპარიტ ორბელიანი, გამოიყვანა ბაგრატ მეფის ძმა დიმიტრი სპითა ბერძნისათა და მიერთვნენ აზნაურნიცა ვიეთნიმე და კახნი, მოვიდნენ, არე–მარე მოწვნეს, ააოხრეს ქვეყანანი და მოადგნენ ატენს. მეციხოვნენი მხნედ დაუხვდნენ. მეფე ბაგრატ ახალქალაქს ჩამოდგა. ლიპარიტი დაბრუნდა. მას მოჰყვნენ ბერძნის ჯარი და დიმიტრი.

–

დიმიტრი, ბაგრატის ძმა, ანაკოპიის მფლობელად სთვლიდა თავის თავს. მისი ერთგული მომხრე ლიპარიტი იყო. და ბერძნები ამ ლიპარიტის შემწენი იყვნენ.

–

1045–1047 წლებში ასტყდა ომი საბერძნეთსა და ოსმალთ შორის. ეს ოსმალნი შეერივნენ ბასიანსა და ვესპურაკონს თავრიზის მხრიდამ. იმპერატორმა მისწერა ლიპარიტს, თუ, როგორ გვარწმუნებ, ჩვენი ერთგული ხარ, ყოვლის შენის ძალით მიეხმარე ჩვენს ლაშქარსაო. ლიპარიტი დიდის ჯარით შეუერთდა ბერძნებს. მტერი ახლო ჰყვანდათ. ბერძენთ სპასალარმა სთხოვა ლიპარიტს, შევებნეთო. მან მიუგო: დღეს ოთხშაბათია და ეს დღე–კი ჩვენში უბედურ დღედ ითვლება. მანამ ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, თურქნი დაესხნენ მათ ლაშქარს. ბრძოლამ შუაღამემდის გასტანა. ლიპარიტს ცხენი მოუკლეს. შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს ქალაქ რეს.

იბრაიმმა აცნობა თავის ძმას სულთანს ლიპარიტი შევიპყარითო. სულთანს იამა ამგვარ კაცის დატყვევება, გარნა შეშურდა, რომ იგი შეეპყრო არა თვითონ, სულთანს, არამედ მისს ძმას იბრაიმს. ამ დროს იმპერატორისაგან მოუვიდა დიდი სასყიდელი და ვედრება – ლიპარიტი დაგვითმეო. სულთანმა, რომ დიდსულოვნობა გამოეჩინა, ლიპარიტი ძღვნად გაუგზავნა იმპერატორს და ლიპარიტსვე მისცა იმპერატორისაგან მის სასყიდლად გამოგზავნილი საფასე და უთხრა: „წადი და კვლავ აღარ ებრძოლო ოსმალებს.“

–

აი, ეს ლიპარიტი იყო ბაგრატ მეფის მტერი. მას მომხრეობდნენ აგრეთვე აბაზაძენი და სხვა აზნაურნი.

–

1059 წელს გიორგი მთაწმინდელი მოვიდა ფოთს, ქუთაისს და ქართლს შემოვი–და. ბაგრატმა მიაგება მღვდელთ–მოძღვარნი და დიდებულნი, ხოლო თვით მეფე „კართა თანა კახვისათა მიეგება, მოწლედ მოიკითხა, იკურთხა მისგან და ხელ–აღპყრობით კარვად, ინახით დაისვა და უთხრა: „კურთხეულ არს ღმერთი! აჰა, დღეს ცხოვრებაი არს ყოველსა სამეფოსა ჩემისა, რამეთუ ვიხილე ახალი ოქროპირი.“ დიდებულნიც ხარობდნენ და შეიქმნა სიხარული ყოველსა სამეფოსა.“

რისთვის ხარობდნენ? ამისთვის:

–

მას ჟამსა იქმნა დიდი გამარჯვება. მეფემ წინააღმდგომნი მეფობისა თვისისა აბაზაისძენი შეიპყრა. ყოველთა უწყიო, ვითარმედ შეპყრობა მეფისა ეგულებოდათ. ესე კაცნი ძლიერნი და ახოვანნი, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზევებულნი, ხუთნი ერთობით, ვითარცა უძლურნი რაიმე და ყრმანი ჩჩვილნი, ეგრეთ შეიპყრა.

ჩვენი მოსვლის ერთის წლის წინად ასრე გაემარჯვა ბაგრატ მეფესაო, სწერს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერელი გიორგივე.

ამავე წელს ბოლო მოეღო ლიპარიტის ძლიერებას.

–

1045 წელს სასირეთში შეიყარა დიდი ლაშქარი, ორ–წყებად. ერთს მხარეს იდგა ბაგრატ მეფე და მეორეს – ლიპარიტი, სომხის მეფე დავითი, კახნი და სხვა. ასტყდა საშინელი ბრძოლა. სასირეთის ჭალა ძმათა სისხლით მოირწყა. ლიპარიტმა ბევრნი დედები დაატყვევა, გაიმარჯვა...

–

იგივე ჭალა ა. მოჩანს კარვები, ლაშქარი. ქართველთა სისხლი ჯერ არ შემშრალა და ისევ აწითლებს არე–მარეს. აგერ მოდის ვიღაც დიდებული კაცი. იგი თვით ბაგრატ მეფეა. მას ჰსურს მოელაპარაკოს თავის „ყმას“ ლიპარიტს მშვიდობიანობის შესახებ, სთხოვოს თუ, კმა არს, ამდენი ღელვა, შფოთი, ძმათა ხოცვა, დაწყნარდეს, მოასვენოს ქვეყანა. გარნა... კარვის უკანა მხრიდგან გადის ამაყი ლიპარიტ, მიდის, მეფის დახვედრას, მასთან მოლაპარაკებას საჭიროდ არ სცნობს...

–

ტყვეობიდგან განთავისუფლებულმა ლიპარიტ, ნახა–რა განდიდება ბაგრატ მეფისა, წავიდა კონსტანტინეპოლს, დიდი ძლიერებით დაბრუნდა საქართველოს, შეება მოწინააღმდეგეთ, დაამარცხა. ბაგრატმა ამჯობინა წასულიყო კონსტანტინე–პოლს და ლიპარიტის მომხრე იმპერატორისთვის აეხსნა აღმოსავლეთის ნამდვილი მდგომარეობა. თავის შვილს გიორგის სამეფო ჩააბარა და თვითონ წავიდა.

–

ლიპარიტი შეიქმნა სამეფოს ნამდვილ ბატონად და მოურავად. რუის მოიყვანა გიორგი ბაგრატის ძე; მეფედ აკურთხა. ყრმა გიორგის მეფობის მხოლოდ სახელი ჰქონდა; თორემ ყოველივე მძლავრს ლიპარიტს ეკითხებოდა.

–

კონსტანტინეპოლს მისულმა მეფემ დიდად უსაყვედურა იმპერატორს, რომ იგი უსამართლოდ ეპყრობა აღმოსავლეთს, ემხრობა მეამბოხეს. გარნა მან, ხელის მო–მართვის მაგიერ, ბაგრატი სამს წლამდის არ გამოისტუმრა.

–

ბაგრატი დაბრუნდა. ლიპარიტი ონავრობდა. მაგრამ საუკუნო ამ ქვეყანას არა არის–რა. საქართველოს თავადებს მოეწყინათ ლიპარიტის მთავრობა, მისი უფროსო–ბა. შეითქვნენ სულა კალმახელი და მესხნი, შეიპყრეს ლიპარიტი და ძე მისი იოანე (1059 წ.) და მიართვეს მეფეს. გულჩვილმა მეფემ მიანიჭათ სიცოცხლე და მით სამეფოს მარად მაშფოთარ გვარეულობის ამოწყვეტა ას წლამდე შეაჩერა.

ბერი.

ივერია - 1903. – N14. – 18 იანვარი. - გვ.1-2.

ისტორიული ცნობა

7.

განმათავისუფლებელსაც მტრობდნენ

ისეთი დიდი მეფეც, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი, აგრეთვე ვერ გადურ–ჩა მაშინდელ დიდებულთა და დიდგვარ თავადთა შუღლს, მტრობას.

ამ მეფის ცხოვრების აღმწერელი, თანამედროვე, შენიშნავს: „ნათესავი ქართველ–თა ორგულ ბუნება არს პირველიდგანვე თვისთა უფალთა: რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად

ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი.“

–

დუხჭირნი დასდევდნენ მოსაკლავად აღმაშენებელსაც, ორგულნი მოწინააღმდეგენი იყვნენ მისი გაძლიერებისა.

–

აღმაშენებელი შემოერტყა ქართლის ერთს ციხეს, რომელშიაც გამაგრებულ იყვნენ მისი მოწინააღმდეგე „ციდამტკაველა“ კაცები. მეფე იდგა თავის კარვის წინ პერანგის ამარა. შუა დღე იყო. ამ დროს ვიღაცა ბოროტ სულმა ციხიდგან შემოსტყორცნა ისარი და მოახვედრა შიგ გულში. მეფე იქვე დალევდა სულს, რომ გულზედ ოქროს ხატი არ ჰკიდებოდა და ამ ხატს არ მოხვედროდა ორგულის ისარი.

–

მოღალატეებს დაექირავათ მხნე და გამბედავი კაცები მეფის მოსაკლავად და იგინიც დასდევდნენ ზოგი ხმლით, ზოგი შუბით და ზოგი ისრით და ეძებდნენ მარჯვე შემთხვევას სისრულეში მოეყვანათ ბოროტი განზრახვა. გარნა ღმერთი ჰფარავდა თავისს ცხებულს.

მეფემ ყველა ეს კარგად იცოდა და საჭირო ზომებს ხმარობდა. არ იშორებდა ერთგულთ, ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა წილ ამ ერთგულთა ჰმატებდა დიდებას.

უღირსნი თავიანთ უბედობას მეფეს ნუ აბრალებენო, – ამბობს მემატიანე, – არამედ თავთა თვისთა: ნუ–თუ დუხჭირმანცა უნდა აბრალოს სარკესა, რამეთუ მისს სახეს ცხადად უჩვენებსო!

ვიმეორებთ, გალაღებული მებატონეები, რომელნიც გააბედნიერა ძლიერმა მარჯვენამ, გაათავისუფლა არაბთა უღლისაგან და მოუპოვა პატივი და მყუდროება, არ ემორჩილებოდნენ თვით მათს გამბედნიერებელს დიდ მეფეს.

–

ყველაზედ მეტად აღმაშენებელს საქმე გაუჭირა ძაგანმა. ეს ძლიერი თავადი ძაგან და ძე მისი მოდისტოს წინააღუდგნენ მეფეს.

ძაგანმაო, – „ღვთისა და მეფის შემაწუხებელმან, პატრონთა თვისთა წყალობაი მათ ზედა საისრევად აღმახვა, ხოლო მისმა ძემ მოდისტმა, წინაუკმო მღვდელ–მოძღვარმა ეკლესიები საზეზთ–მჩენოდ თვისად მიიტაცა.“ ეს მოდისტოს ჭეშმარიტ–თა მწყემსთა მიერ დაემხვა, ხოლო ძაგანი, შიო–მღვიმეს შელტოლვილი, შეიპყრა მეფემ.

ამ მონასტრის ბერებმა დიდი ერთგულება აღმოუჩინეს აღმაშენებელს ამ ამბოხის დროს. ამათი ერთგულობის ნიშნად მონასტრის საშუალს მეფემ ააგო ახალი საყდარი სახელსა ზედა ყოვლად წმიდა მარიამისა, შეამკო იგი ძვირფასად, შესწირა მას მამულები, საძოვრები, საქონელი, მონასტრის 3,000 ცხვარს 2,000–იც თავისი დაუმატა, მღვდელთა და მგალობელთ დაუნიშნა სამარადისო ულუფა...

–

მუშაკნი, მღვდელნი და ბერნი რომ ადიდებდნენ და აღმერთებდნენ მამული–სათვის თავისუფლებისა, დიდებისა და მყუდროების მომნიჭებელს მეფეს, ძაგანის–

თანა გარეწარნი და უმადურნი ცილს სწამებდნენ და ავრცელებდნენ მასზედ ამგვარს ხმებს: „შეიყვარნის (მეფემ) ვინმე, განადიდნის ვინმე, მოიძულის ვინმე, დაამცირის, ეს აღამაღლის და ეს დაამდაბლის. იყო უსამართლო.“

–

ეს უკმაყოფილონი, რასაკვირველია, იმ წრისაგანნი იყვნენ, რომელთა საქმენი საარაკონი განიხილა ურბნისის კრებამ.

–

ეს კრება შესდგა 1103 წელს „ბრძანებითა კეთილმსახურისა და ღვთივ დაცულისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა.“ დიდგვართა შორის ბოროტებას და სამშობლოს მოღალატეობას ღრმად გაედგა ფესვი. გარნა მათ შორისაც კიდევ შერჩენილიყვნენ თითო–ოროლა მოწაღმართენი. ესენი და სხვანი მდაბიონი მიიწვია აღმაშენებელმა ურბნისს და დაავალა გაეწმინდათ საქართველო ნაძირალა კაცთაგან.

და კრებამაც არ დაინდო უღირსად ამაღლებულნი, დაჰგმო იგინი, შეაჩვენა და „ლიტონთა ერისკაცთა თანა ზიარ ჰყო.“ ამ გარდაწყვეტილებამ მყუდროება შეუშფოთა და გაყვინიზებული ცხოვრება გაუმწარა ძაგანსა, მოდისტსა და მისთანა უბადრუკთ. და ღირსეული ჯილდოც მიიღეს დიდებულის მეფისაგან...

ბერი.

ივერია - 1903. – N24. – 30 იანვარი. - გვ.3.

ისტორიული ცნობა

8.

ორბელიანთ ამოწყვეტა

1072 წელს გამეფდა გიორგი II. მალე გამოჩნდა ქვეყანათა მპყრობელი მელიქ–შაჰ. ორბელიანებს გაუხარდათ. ჯერ იყო და ციხე გაგი გამოსტყუეს მეფის მოხელეთ და მიჰყიდეს განჯის პატრონს ფადლონს. მერე მოვიდა მელიქ–შაჰ, „მტერი ყოველთა ქრისტეანეთა.“ მიეგებნენ მას იოანე ორბელიანი და ძე მისი ლიპარიტ. მელიქ–შაჰს იამა, შეიწყნარა იგინი, გარნა... გამოეპარნენ. მათ მოჰყვა მელიქ–შაჰ, აიღო სამშვილდე, მოარბია ქართლი. შემდეგ კიდევ მოვიდნენ თურქნი, მოეფინნენ ქვეყანას, ვითარცა მკალი, მოძოვეს, მოჭამეს საქართველო, მოსრეს და მოაოხრეს კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, ჭყონდიდი.

კვნესა და ტირილი გაისმა საქართველოში, მცირეოდენი–ღა ერი დარჩა კლდეთა და ღრეთა შორის, მიუვალს და მაგარს ადგილებში. ზედაც შეირყა დედამიწა, დაანგრია და დალეწა ბევრი შენობა, დაღუპა მრავალი ხალხი.

–

ამ დროს უკვე მეფობდა გიორგის შვილი დავით (აღმაშენებელი). იგი ჯერ ისევ 16–ის წლის ჭაბუკი იყო. სადგურად ჰქონდა შეუვალი წაღვლისთავი და სამეფოს საზღვრად დაშთენოდა ლიხის მთა (წაღვლისთავი იყო დიდი სიმაგრე წაღვლის წყალზედ, რომელიც ერთვის ფცის–წყალს).

–

ჭაბუკმა მეფემ, ამ წაღვლისთავს მიიწვია ქვეყნის გულშემატკივარნი და აქ ითათბირა, თუ რა გზით და როგორ უნდა ეშველნათ ქვეყნისათვის. ლიპარიტიც აქვე იყო, ძე იოანე ორბელიანისა.

–

ამის შემდეგ გავიდა ორიოდე წელიწადი. და „ლიპარიტ ამირამან (ორბელიანმა) იწყო მათვე მამა–პაპურთა კვალთა სვლა. დაღაცათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულებითა.“ მზაკვარი შეიპყრა მეფემ და წვრთნა დაუწყო. შეინანა... აპატია, „ხოლო იგი, ვითარცა ძაღლი, მიექცა ნათხევარსა. და, ვითარცა ღორი, ინწუბა საგორელსა მწვირისასა; განაცხადა მტერობა.“ იხილა მეფემ, რომ „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვალად შეიპყრა და წარგზავნა“ საბერძნეთს.

მოკვდა ამ ლიპარიტის ძეც, რატი, კაცი „ორგული და ნამდვილვე ნაშობი იქედნესი.“ გარნა ამით არ დასრულდა ორბელიანთა ზღაპარი: კიდევ ერთხელ იფეთქეს და დიდს საშიშროებაში ჩააგდეს მთელი სამეფო.

–

აღმაშენებლის შვილს დიმიტრის ორი ვაჟი ჰყვანდა, დავითი და გიორგი. დავითი იყო კაცი ზვიადი, ამაყი, ურჩი; ამას ხელმძღვანელად ჰყვანდა ორბელიანები, მეტადრე ივანე და თირქაშ ორბელიანები. ეს თირქაშ გაიქცა შაერმანის სამფლო–ბელოში და მაჰმადიანთ ლაშქრით საქართველოს საზღვრების აოხრება იწყო. დიმიტრიმ ტახტი დაულოცა არა მემკვიდრეს, დავითს, არამედ გიორგის. გარნა ორბელიანებმა არ მოუსვენეს დავითს, მიიმხრეს ბევრნი სხვანიც, დიმიტრი ტახტიდგან ჩამოაგდეს, მონასტერში შეამწყვდიეს და გაამეფეს დავითი, რომელმაც მრავალი მოწინააღმდეგენი ამოწყვიტა.

–

საქართველოში მშვიდობიანი ცხოვრება გასჭირდა. დავითმა თირქაშ ორბელი–ანს მიუბოძა ამირსპასალარობა და იწყო სასტიკობა. გარნა უკუღმართებმა დიდხანს ვერ იპარპაშეს. დავით მეფეს იმავე წელს (1156 წ.) შხამი მისცეს. იმეფა სულ ექვსი თვე.

სიკვდილის წინად თავისს ძმას გიორგის, კათალიკოზს, ეპისკოპოზებს და დიდებულებს უანდერძა, – ტახტს ჩემს შვილს დემნას ნუ გამოსწირავთო, როცა ჰასაკად მოვა, იგი გაამეფეთო. თანაც ჩვილი დემნა აიყვანა, აკოცა და აღსაზრდელად გადასცა ივანე ორბელიანს და მოკვდა.

–

იმავე წელიწადს მოკვდა ბერი დიმიტრი მეფეც. გიორგიმ იწყო ხელმწიფობა. ამას ცოლად ჰყვანდა ოსთა მფლობელის ასული ბურდუხან და მისგან ეყოლა ასული თამარ, გვირგვინი საქართველოს მეფე–ხელმწიფეთა.

–

ძლიერმა გიორგი მეფემ დაიპყრა მთელი საქართველო, ანისიც–კი. თუ მტერი აღმოჩნდებოდა სადმე, იგი შესძახებდა თავის ლაშქარს: „ფრთოვანნო ლომნო, ჩვენ–თვის ლახვარ–განწონილისა ქრისტესთვის აღვიხვნეთ ლახვარნი და ოროლნი და უგმიროთ ურწმუნოთა,“ და მიესეოდნენ და თავზე კაკალს გადაამტვრევდნენ...

–

1177 წელს ბნელი ღრუბელი გადაეკრა საქართველოს ცას. ორბელიანებმა წინ წამოაყენეს დავაჟკაცებული დემნა დავითის–ძე. ეს დემნა უკვე ივანე ორბელიანის სიძე იყო და ამ სიძის შემწეობით ორბელიანთ ეწადათ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ქვენა სურვილები, ვინ იცის, ისიც აგონდებოდათ, რომ წინაპარივით შექმნილიყვნენ „მეფედ“ საქართველოს სამხრეთ–დასავლეთის ნაწილისა თრიალეთ–კლდეკარიდგან მოკიდებული.

–

გაიმართა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ორბელიანთ გამარჯვება ბნელ–უკუნის გამარჯვებად მიაჩნდათ და ვისაც ქვეყნის ერთგულობა ედო გულში, გიორგი მეფეს მიემხრო. კეთილმა ბოროტს სძლია. ასე.

–

ორბელიანთ სოფელი დარბაზი. აქ არის დემნა, ივანე ორბელიანი და მრავალი მათი მომხრე დიდკაცობა. მსჯელობენ, თუ როგორ გაამეფონ დემნა და როგორ დაამხონ გიორგი მეფე. დაასკვნეს: იდუმალად შევიპყრათო.

–

გარნა ეს საიდუმლო გამოუმჟღავნდათ. მეფემ დიდი ლაშქარი შეიყვანა სომხეთ–ში. მტრებმა ლორეს მიჰმართეს, მოიწვიეს მეშველი ჯარი ლეკეთიდგან, კახეთიდგან; ქართლის ერისთავი ლიპარიტ ორბელიანი მისის ორის შვილით ელიქურით და ივანეთი, მეჯინიბეთ უხუცესი ქავთარ ორბელიანი და ეპისკოპოსი ანანია დვინელი გაგზავნეს სპარსეთისკენ და ითხოვეს შემწეობა სულთან ელდიგუზისა და შაერმანისაგან. გიორგის „ფრთოვან ლომებმა“ შემუსრეს კახ–ლეკნი და მიუჭირეს ლორის ციხესაც.

–

მაღალი კონცხებია დებედას ხეობაში. ერთს ამ კონცხზე მაღლა აღმართულია ძლიერი ციხე. აი ამ ციხეს შემოუყენა მეფემ ლაშქარი. ციხეში იყო დემნაც. რომ გაუჭირდათ, მეამბოხენი თითო–თითო გადმოეშვნენ ამ ციხიდგან და მეფესთან მივიდნენ და შენდობა ითხოვეს. დემნა ბატონიშვილიც ასრე მოიქცა. მეფემ აიღო ლორე. დემნას თვალები დასწვა, ყველა ორბელიანები ამოსწყვიტა, ამათგან გადარჩნენ მხოლოდ ის მამა–შვილნი, რომელნიც სპარსეთს წავიდნენ მეშველ ჯარის მოსაყვანად და მით გადაარჩინეს ის თესლი, რომელმაც შემდეგ აღმოშობა საბა–სულხან, ვახტანგ, გრიგოლ...

ბერი.

ივერია - 1903. – N33. – 9 თებერვალი. - გვ.2-3.

ისტორიული ცნობა

9.

სანახებსა საგოდებელისასა

1184 წელს, თამარ მეფე აღვიდა ტახტზედ. „აღიმაღლა მაღლა გონება და მდაბლითა სულითა განიცადა სიდიდე საქმისა მისდა ხვედრებულისა: მიაყვნა მყვანებელსა თვისსა ხედვა და ვითარცა ორბმან ფრთემალემან, აღიფრინა ზე და მიმოავლინა გუგანი სახედველთანი და სივრცითა გონებისა თვისისათა შემოიკრიბა ყოველივე საღმრთონი და საერონი წესნი და იწყო განგებად, ვითარ მოჰბერვიდა სული.“

–

ამ ზენას მიერ მობერვილ სულის მეოხებით სცნა, ვინ იყო წრფელი და ერთგულ–ი, ვინ იყო მანკიერი და ორგული. გარნა ყველას ლმობიერად მოექცა. ყველას წყალობა დაასხა: ერთგულებს, რომ უფრო ერთგულ ყოფილიყვნენ, ორგულთ, რომ უსიტყველ ყოფილიყვნენ. ქვრივ–ობლები დაამდიდრა და მათი გასათხოვარ–დასაქო–რწინებელი შვილები თავისს საფასით დააქორწინა. ერთის სიტყვით, „ღონიერ ყვნა გლახაკნი და ღონიერნი მდიდარ, უხვებით მიჰფინა წყალობა და სამართალი შვიდთავე თემთა.“

–

მაგრამ, რა გააძღობდა დიდებულთა გულს, ხარბს თვალს! მათ გულს უსიებდა იმისთანა მეფის ყოლა, რომელიც მზესავით თანაბრად მიაფენდა წყალობას „ვარდთა და ნეხვთა,“ დიდებულთა და მცირებულთ. ამ დიდებულთ–კი წყალობა მარტო თავიანთთვის უნდოდათ...

–

იგინი ჯერ ითმენდნენ და საიდუმლოდ დრტვინავდნენ. თამარ მეფე ყოველივე ამას ხედავდა და რწმუნდებოდა, რომ, თუ ავს კაცებს ფრთები არ შეეკვეცა, სახელმწიფო წესიერად ვერ წარემართებოდა.

–

„იწყო აღლესვად ორპირსა მახვილსა: სამხილებლად უღმრთოთა და მოსასვრელად თესლთა ბოროტთა.“

კონსტანტინე დიდსავით მოიქცა: მოახდინა სახელმწიფო კრება, შეჰყარა სამღვდელონი და მსოფლიონი. მოიწვია იერუსალიმიდგან კათალიკოზად ნამყოფი ნიკოლოოზ გულაბრისძე, კაცი უმანკო, სწავლული, აგრეთვე ჩინებული ანტონ ქუთათელი, და ამ ორს მიანდო კრების ხელმძღვანელობა.

კრება გახსნა თვითონვე თამარ მეფემ ტფილისს ისნის სასახლეში. უბრძანა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად. დაამტკიცეთ მართალი. განხადეთ ყოველი გვლარ–ძნილი. ნუ თვალახვამთ მთავართა სიდიდისათვის, ნუცა გლახაკთა უდებჰყოფთ სიმცირისათვის. თქვენ სიტყვით, მე საქმით. თქვენ სწავლით, მე განსწავლით. თქვენ

წვრთით, მე განწვრთით. ზოგად ხელმივსცეთ ერთურთს, რათა ზოგად არა ვიზღვივნეთ: თქვენ, ვითარცა მღვდელნი, მე, ვითარცა მეფე. თქვენ, ვითარცა მნენი (მოხელენი), მე, ვითარცა ებგური (დარაჯი).

–

თამარი შემდეგ განშორდა კრებას. განიხილეს სწორი და მრუდი. განმართეს მრუდი. დაამხეს უღირსი. ნიჭიერნი და ღირსეულნი წინ წამოაყენეს, საქმეს მიუჩინეს...

–

გარნა კრების დროსვე წინააღმდეგობა და ორგულობა გამოჩნდა. უღირსად ამაღლებული ნაძირალობა შეიძრა, შეშფოთდა, თვისი დამხობა იუკადრისა...

–

კრება რომ ქვეყნის საქმეებს არჩევდა, სახელმწიფოსთვის ზრუნავდა, მაშინდე–ლი კათალიკოზი მიქელ არც კი მიეკარა ამ კრებას. მან არ იკადრა მისულიყო და ბჭობაში მონაწილეობა მიეღო. რად? იმიტომ, რომ „წინა–უკმო იყო წესთაგან საეკლე–სიოთა, ჭყონდიდელ–მაწყვერელობა და მწიგნობართ–უხუცესობაც წაერთმია მის–თვის, ვისაც წინად ეს უფლება ეკავა.“ და რადგან მეფემ მოიწვია წინანდელი კათალიკოზი გულაბრისძე, მიქელი საგონებელში ჩავარდა, შეშინდა, კრებამ არ გამძარცვასო. მისი მოლოდინი გამართლდა. კრებამ მის შესახებ სიტყვა ჩამოაგდო და მალე ზენარმან სასჯელმან განაყენა იგი...

–

შემდეგ ყელყელაობა იწყეს დიდებულთა ვიეთმე. დამხობილი ხელისუფალნი „ძველის ჩვეულებისამებრ კაცთა–დაუდგრომელობის გზას დაადგნენ,“ გაიფიცნენ, არ დავემორჩილებითო მოხელეებს, მათგან დაძრცვილნი ვართო, ჩვენ დიდგვარიანნი უგვაროთა და უაზნაუროთაგან უპატიო ქმნილნი ვართო...

ამ დროს ამირს–სპასალარად და მანდატურთ–უხუცესად ითვლებოდა მეფეთა–გან გაზრდილი ყუბასარი. იგი ძლიერ ავად იყო. ფილენჯის სენისაგან წართმეოდა ენა, ხელი და ფეხი. დიდ გვარიანთ მოითხოვეს მისი გადაყენება, გაძარცვა. მეფემ მოიხსენა ყუბასარის სამსახური, მისი ზრდილობა და, რადგან ხედავდა მალე მოკვდებოდა, არ აწყენინა მას, ჩამოართო მხოლოდ ხელისუფლობა და ლორის ციხე. ლაშქარმა დაამხო აგრეთვე აზნაური აფრიდონ, რომელიც ფრიად განდიდებულიყო, მსახურთ უხუცესობა ებარა და თმოგვისა და სხვა ციხეთა პატრონი შექმნილიყო.

–

ყველაზე მეტად გადააჭარბა „ჯორის სახედ ორგონებამან“ ყუთლუ–ასლანმა. ეს ბევრს ნდომულობდა: თამარი მეფედ ყოფილიყო მხოლოდ სახელით და საქმით თვითონ მას, ყუთლუს, ემართა ქვეყანა. დასდგა კარავი ველსა ისანისასა, სანახებსა საგოდებელისასა. ამ კარავში მსხდომარენიო, ეუბნებოდა იგი თავისს მომხრეებს, „მივცემდეთ და მოვიღებდეთ, ზოგს ვრისხევდეთ და ზოგს ვსწყალობდეთ, და ჩვენს განგებულს თამარ მეფეს ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთო და „მუნღა სრულ იქმნებოდესო.“

აქ რომ შეჩერებულ იყო ყუთლუ, ვიტყოდით მას სდომებია პარლამენტისებური დაწესებულების შემოღება და მისთვის თვითმპყრობელობის დამორჩილებაო. გარნა

მისი „ჯორისებური გონება“ სხვა აზრს ეტრფიალებოდა. ყუთლუს სწადდა და უკვე თავი თვისი „განემზადებინა ამირსპასალარად და სომეხთ მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად.“

–

შეიტყო თამარმა. შეიპყრა ოცნებიანი „სომეხთ მეფე,“ გარნა აღმოჩნდა, რომ მას მისებრივე მომხრეები საკმაოდ ბევრი ჰყოლია. ესენი განუდგნენ თამარ „სახიერს და ბრძენს,“ მოისურვეს განაშვებინონ ყუთლუ, განემზადნენ შემოერტყნენ ისანს...

–

თამარს სისხლის ღვრა ეზარებოდა. მდრტვინავთ მიუგზავნა ორნი საპატიო დიოფალნი – ხვაშაქი ცოქელ, დედა ქართლის ერისთავის რატისა, და კარავ ჯაყელი, დედა სამძივართა. ამ ქალებმა დაამშვიდეს მოღალატენი და დაარწმუნეს, რომ ქვეყნის ძლიერებისთვის საჭიროა ერთობა, ძმობა და სიყვარული. ყველა განდგომილნი მოვიდნენ წინაშე თამარისა, დავრდომით თაყვანისცეს მას და მისცეს პირი ერთგულობისა.

–

თამარის ორგულად დაშთა გუზანი, ძე იმ აბულასონისა, რომლის რჩევით მეფეს ქმრად მოჰგვარეს რუსი.

გუზანი კოლას გაიქცა და მთათა შინა ავაზაკობდა. დავით სოსლანი მისს კვალს დაუდგა. სჩანს, სწყუროდა სისხლი გუზანისა, რომლის მამის რჩევამ მისი ყრმობის დროითგანვე სატრფიალო საყვარელი არსება ჩაუგდო ხელში ვიღაც „სკვითს.“... მცელავებმა შეიპყრეს გუზანი და დავითს მოართვეს, და მან „თვალნი დასწვნა.“ ასე ამოიყარა ჯავრი მეფე სვიანმა.

ჰყვანდა თამარს კიდევ ერთი მოხელეც, რომელიც, თუმცა ძლიერ ამაღლებულ და პატივდებულ იყო, გარნა შემდეგში ამ იუდამ უღალატა სახელმწიფოს...

ბერი.

ივერია - 1903. – N38. – 18 თებერვალი. - გვ.2-3.

„ნორდარს“ ძმური სიტყვა

„ქართველები თავიანთ თავს სთვლიან თავადების, მოდგმით არისტოკრატ ხალხად, ხოლო სომხებს ჩარჩებად, რომელნიც საქართველოში ყმებად ყოფილან... ვალად ვრაცხთ, ცოტა ვიცი წყალი დავასხათ ქართველთა აღგზნებულ საგონებელსა..“

არ ვიცით, რომელმა ქართულმა გაზეთმა და ან რომელმა ქართველმა აუწყა „ნორდარს,“ რომ ქართველებს თავის თავი არისტოკრატად მიაჩნდეთ სისხლით, და სომხები ჩარჩებად. ამ ჭორს იგონებს თვით „ნორდარი,“ თორემ არც „ცნობის ფურცელში,“ არც „ივერია“–ში და არც სხვა ქართულ გამოცემებში ასეთს ცრუ აზრებს არ შევხვედრივართ. ხოლო ის–კი მართალია, რომ ჩრდილოეთი სომხეთი მე–XI საუკუნიდგან საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა. იქნება „ნორდარს“ ეს არ მოსწონს, მაგრამ ისტორიულს სიმართლეს სად გაექცევა კაცი! თუ

ქართულ წყაროების დაჯერება არ ჰსურს „ნორდარს," საკმაოა, ჩაიხედოს ბროსსეს ნაწერებში, რომ დარწმუნდეს, რა გზით მსვლელობდა ქართველ–სომეხთა ისტორია.

„ცოტად სომხებიც იცავენ ქართველებსა, ძმურად ეხმარებიან – მხოლოდ ის გარემოება, რომ ყველა სომხის მოსამსახურეები ქართველები არიან, იმას მოასწავებს, რომ სომხებს ქართველების წინააღმდეგ არაფერი აქვთ, პირიქით, თუ გნებავთ, კიდეც ჰზრუნვენ ქართველებისათვის."

ასე ოხუნჯობს „ნორდარი": წყალობას გიშვრებით, როდესაც მოსამსახურეებად და ბიჭებად გიშვებთ ჩვენს სახლებშიო. და მერე განაგრძობს:

„ქართველობაში თავადები არიან და მათ, რომელთა წინაპრებს არც თავადობა უნახავთ, არც არავითარი ძლიერება ჰქონიათ, შეუძლიანთ თავიც იქონ თავიანთი თავადის გვარიშვილობით და თავიანთი დღენიც დალიონ სხვის კარზედ მოსამსახურეობით."

ამ უკადრისობის შემდეგ კიდევ ამბობს „ნორდარი":

„ეს ტომობრივ–ერობრივი თვისებაა, მაშასადამე, ქართველები სრულიად უადგილოდ სთვლიან სომხებს ჩარჩებად და თავი მოაქვთ თავიანთ თავადებითა."

„ნორდარი" ღაღადებს, არა თუ ქართველებმა დაიცვეს, დააპურეს სომხები, არამედ, თუ „სომხები არ ყოფილიყვნენ, ქართველთა ისტორია რამდენიმე საუკუნით ადრე მორჩებოდა და გათავდებოდაო."

მერე, საიდგანა სჩანს ეს? პირიქით ქართველთა გავლენა სომხის აქაურს ჯგუფზედ აშკარაა ყველასთვის, ვისაც განგებ თვალები არ დაუხუჭია. ენა, ჩვეულება, ზნე, ჩაცმა–დახურვა და ამ ბოლო დრომდის წიგნიც აქაურს სომეხთა ჯგუფს ქართული ჰქონდა. ჯერ ისევ გუშინაც და 20–30 წლის წინად ხომ მთელი ტფილისის ქართველი სომხობა, ანგარიშობდნენ, სთვლიდნენ, ციფირების მაგიერ სწერდნენ ქართულის ანბანით. რა გავლენა უნდა ჰქონოდა სომხის აქაურს ჯგუფს ქართველებსა და მათ ისტორიის მსვლელობაზედ, როდესაც თავისი გადაივიწყეს და შეისწავლეს ქართული ენა, ჩვეულება, წერა–კითხვა და თვით წირვაც–კი მოაწყეს ქართულად.

დახმარება–კი არა, გაქართველებულ სომხებისაგან საქართველოს ღალატი არა ერთი ვიცით ჩვენ...

„ნორდარი" კვეხულობს (რასაკვირველია, ისევ უსაფუძვლოდ), რომ ბაგრატი–ონები, ჯორჯაძეები სომხის თავადები არიანო, რომ „სომხებს ძველად ჰყავდათ უფრო მნიშვნელოვანი და მტკიცედ აგებული არისტოკრატია, რასაც ვერ სწვდებოდა ვერც ქართველთა და ვერც აზიის სხვა ქვეყნის არისტოკრატიაო."

თავის ქება კიტრად არა ღირს. ერთი ნაცნობი მყვანდა: ბაასის დროს თავის ნათქვამის დასაჭეშმარიტებლად ყოველთვის ის საბუთი მოჰყვანდა, „რომ მე შენზედ ჭკვიანი ვარო." ამისებრ „ნორდარიც" გაიძახის, მარტო ჩვენ, სომხები, ვიყავით და ვართ ბიჭებიო და თქვენ არც რამ სიფარსაგე გქონიათ და არც რა დღეს ხართო.

სომხები პირველად შენიშნეს კვიროსის დროს. ალექსანდრე მაკედონელის ჟამს, სტრაბონის მოწმობით, სომხეთში გამეფდნენ ამ მაკედონელის სპასპეტები. ქრისტი–ანობის I-ლს საუკუნეს, ტაციტის თქმით, სომხეთი ემორჩილებოდა ქართველთა მეფეს ფარსმანს, რომლის ძმა და ძე რადამისტი მეფობდნენ სასომხეთში. სასანიდების ჟამს ბიზანტიამ და სპარსეთმა ძმურად გაიყვეს სომხეთი. შემდეგ იგი დაიმონავეს

არაბებმა და არაბების შემდეგ სომხეთის ნახევარი დარჩათ ოსმალთა და სპარსელთ და, როგორც ზევითაც ვსთქვით, მისი ჩრდილოეთი ნაწილი–კი ქართველებს [M. Броссе. Журн. М. Прос. за 1838 г. № за август., стр.279.]. თვით დიდებულს ანისსაც–კი ასეთი ეპოქები ჰქონდა: 1. სომხური. 2. ბერძნული (1046–1064); 3. მაჰმადიანთა (1072–1199); 4. ქართული (1199–1239); 5. მონგოლთა (Bibl. analitique des ouvrages de M. Brosset, p.317). სად და როდის იყო არისტოკრატია, ნახარარობა. ყველაზე ძლიერი აზიაში! არა თუ ძლიერი არისტოკრატია, არამედ ვინც სომხეთს ჰყვანდა „მოწინავე“ დიდკაცობა, თვით სომხის ერის მტრები და მოღალატენი უფრო იყვნენ და ამ უკუ–ღმართობამ უფრო დაამხო ჰაიასტანი აი, ამის შესახებ რას გვამცნევს თვით სომეხთავე „დიდი ისტორიკოსი“ მოსე ქორენელი (გამოც. ემინისა, გვ.231):

„აღსდეგ იერემია, აღსდეგ! გვაუწყე შენის წინასწარმეტყველებით უბედურება, რომელიც გადაგვხვდა და რომელსაც კვლავ მოველით. გვიწინასწარმეტყველე, როგორ გამეფდა ჩვენში უმეცართა წინამძღოლობა...“

„მასწავლებელნი სულელნი, თავისა თვისისა კმაყოფილნი, პატივის მიმთვისე–ბელნი და არა მოწოდებულნი ღვთისაგან, არჩეულნი ოქროს მეოხებით და არა სულის წმიდით: ვერცხლ მოყვარენი, შურიანნი, სიმშვიდის დამტოვებელნი, შექმნილნი მგლებად, მაოხრებელად ცხოვართა!“

„მონაზონნი მოპირფერე, მკვეხარა, ცრუ–მედიდურნი, პატივის მოყვარენი უფ–რო, ვიდრე ღვთისა.“

„ეკლესიათა მსახურნი ამაყნი, სხვათა დასაგმობად სწრაფნი, ამაოდ მეტყველნი, ზარმაცნი... მოწაფენი სწავლაში ზარმაცნი, სხვათა საქადაგოდ სწრაფნი. თეორიის სწავლის უწინარესვე ღვთის მეტყველნი.“

„ერი ზვავი, გაუგონარი, დიდმეთქვი, უქმობის მოყვარე, დამცინავი, ბოროტ–მყოფელი, რომელი გაურბის სასულიერო ღირსებას.“

„მეომარნი უსამართლონი, მოუთმინარნი, ტრაბახნი, თვისი წოდების არ მოყვა–რენი, ზარმაცნი, გაყვინიზებულნი, მძარცველნი – ღირსეულნი ამხანაგნი ავაზაკთა!“

„თავადნი მაშფოთარნი, ამხანაგნი ავაზაკთა, მტაცებელნი, ძუნწნი, გაუმაძღარნი, მძარცველნი, გამაოხრებელნი, უზნეონი, თვისთა მონათა თანამზრახველნი!“

„მსაჯულნი უდიერნი, მატყუარანი, მექრთამენი, კანონთა უყვარულნი, არა მტკიცენი, მოყვარენი დავი–დარაბისა!“

„ყოველნი საზოგადოდ მოკლებულნი არიან სიყვარულსა და სირცხვილს!“

აბა, ამისთანა ხელმძღვანელობის წინამძღვრობაში სომხის ერს რა კეთილი დაე–ყრებოდა! სამეფო რომ ფურჩქვნას იწყებდა, ეს ღმერთსა და სვინიდისზე ხელ–აღებული „არისტოკრატია“ წამსვე აჭკნობდა მას მოსეულ მტრის სასიხარულოდ...

„ნორდარმა“ ყოველივე ეს იცის და, ამის შემდეგ, მაინც გამოდის და აკვეხებს თავიანთ არისტოკრატიას. სხვაგან რა იყო ეს არისტოკრატია, რომ სომხეთში რა ყოფილიყო!

მაგრამ... თუ „ნორდარის“ რედაქტორი მოსე ქორენელის დროინდელი „არისტო–კრატიის“ ჩამომავალია, ესამართლება კვეხნა: მაშინდელნი მეომარნიც „ტრაბახნი“ იყვნენ.

ისტორიას ადამიანურის თვალით უნდა შევხედოთ, ვერიდოთ ცილს, სხვის დამცირებას, დამდაბლებას. თუ ცხოვრება გვინდა, სხვასაც უნდა შევაძლებინოთ ცხოვრება და დავიხსომოთ ეს იგავი:

„ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, –
მტერთ კომბალი თავში დასცხეს,
ორნივ ერთად შეხრინკულნი,
დასცეს, ქვეყნად დაანარცხეს.“

ბერი.

ივერია - 1903. – N39. – 19 თებერვალი. - გვ.2.

ართვინის ქართული სახარება

ფრანგმა ედუარდ ლიოზენმა გვაცნობა: შარშან ზაფხულს, დასავლეთ საქართვე–ლოში ვმოგზაურობდიო და, სხვათა შორის, ართვინშიაც ვიყავიო. იქ, სომხის ტაძარში მაჩვენეს მე–XI-XII საუკუნის ქართული სახარება. ეს სახარება ტყავზეა დაწერილი. მისი მხატვრობა და კაზმულობა ნაკეთებია საოცარის ხელოვნებით. შიგ დახატულია სხვა–და–სხვა ისტორიული კაცები. საზოგადოდ, ეს წიგნი ძვირფასი რამ საუნჯეა და ჰღირს იმად, რომ დიდი ყურადღება მიაქციოთო.

გასაშტერებელია ჩვენი დაუდევრობა. უცხოელები მოდიან, ჩვენს წარსულ ნაშთებს სწავლობენ, ჩვენ წინაპართა მიერ კულტურულ შენაძენით სტკბებიან და თვით ჩვენ–კი, ჩვენ, ქართველები, იმ შენაძენებს უგულებელ ვჰყოფთ, მათ შემსწავ–ლელებსაც ხშირად დავცინით და აბუჩად ვიგდებთ...

უწინ ბაგრატიონები ჩვენში ითვლებოდნენ მწიგნობრობისა და სიტყვიერების მეცენატებად, მეთაურებად. სამშობლო მწერლობას, მხატვრობას და ყველა საწაღმარ–თო საქმეს დიდის გულმოდგინებით ეპყრობოდნენ, თითონაც შრომობდნენ და სხვებსაც ამუშავებდნენ. დღესაც არიან იმ ბაგრატიონების ღვიძლი შვილები და იმათსავით გული შესტკივათ ქვეყნისათვის. მაშ, რაღას ელიან? რატომ არ აღმოუჩენენ შემწეობას იმათ, რომელნიც საქართველოს წარსულ ცხოვრების შესწავლას შესდგომიან, რომელნიც ჯანსა და ღონეს არ იზოგვენ, ოღონდ დროთა ბრუნვამ არ წაშალოს და არ გააქროს სახელოვანად გავლილი კვალი ქართველთა ერისა. რაღას და ვიღას ელიან ბაგრატიონები, მელიქიშვილები, წერეთლები, ორბელიანები და ყველა ჩვენი თავადიშვილები, ყველა ჩვენი სასულიერო დასი, მთელი ჩვენი ერი. ნუთუ დრო არ არის, შევუდგეთ საქმეს, ხალისიანად მოვკიდოთ ხელი ჩვენის თავისვე მოვლა–პატრონობას, ჩვენის სამშობლოს შესწავლას ისტორიულ–გეოგრაფიულის, ეთნოგრაფიულ–მწიგნობრულის და ეკონომიურ–მრეწველობის მხრივ.

მაშ შევუდგეთ საქმეს ყველანი ერთად, ძმურად.

ბერი.

ივერია - 1903. – N42. – 22 თებერვალი. - გვ.2.

ისტორიული ცნობა

10.

ღალატი

თამარ მეფემ ჩააბარა ლაშა–გიორგის ვრცელი სახელმწიფო – მთელი კავკასია დარუბანდიდგან ტრაპიზუნტამდე, არეზიდგან – თერგამდე. ლაშაც ჰპატრონობდა შეძლებისამებრ. გამარჯვებულის საქართველოს დროშა ფრიალებდა კავკასიონს და შიშის ზარს სცემდა მეზობელს სამთავროებს...

–

აღმოსავლეთს, ყარაყურუმს გამოჩნდა ამ დროს საკვირველი ერი, საკვირველის სახით, წესით, ქცევით, შეხედულობით. ჰქონდათ უცხო სახე, უცხო ცხოვრება, პურის გემო არ იცოდიან, ხორცითა და პირუტყვთა რძით იზრდებოდიან. ხოლო იყვნენ ტანითა სრულ, გვამითა ახოვან და ძლიერ, თვალითა მცირედ ჭვრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლ ბრტყელ, ცხვირითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწვნი უმაღლესს იყვიან ცხვირთა, და მცირედნი ოდენ ნესტვნი ჩნდიან ცხვირთა. ესე ვითარი აქვნდათ უმსგავსო სახე, გარნა იყვნენ მოისარნი რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერა რამან საჭურველმან დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მხნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის. ესე იყვნენ კაცნი გასაკვირვებელნი: იხილნი–რა, სულელ საგონებენ იყვნიან, ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის და ყოველი გონიერება მოეგოთ, მცირე მეტყველება და მართლის თქმა ზნე იყო მათი. ამათ ერქვათ მანღულ (მონგოლი), ხოლო ქართულად თათარი.

–

ამ მანღულებმა დაიპყრეს თითქმის მთელი აღმოსავლეთი აზია და მერე ერთი მათი დასი წამოვიდა დასავლეთისაკენ. ამ დიდმა დას–რაზმმა გამოვლო თურანი, ჯიონი, ხვარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, მოაწიეს განძას, ბერდუჯის (დებედას) ხეობის სიმაგრეს საგიმს (1222 წ.) ქართველები შეებრძოლნენ, გარნა იძლივნენ: თათრებს ორად გაეყოთ ლაშქარი და ერთი ნაწილი რომ ქართველებს ებრძოდა, მეორე ნაწილმა საიდუმლო გზით მოუარა და უკანიდგან დაჰკრა. „დავითიანი დროშა“ აღმაშენებელს აქეთ პირველად დამარცხდა. ქართველნი ტფილისს შემო–იქცნენ. თათარნი სამშვილდემდე მოჰყვნენ და ყურაყურუმსვე დაბრუნდნენ.

–

თათართა ყაენმა უძლიერესი ლაშქარი გამოგზავნა კვლავ. თათრები შემო–ებრძოლნენ ხორასნის სულთანს ჯელალ–ედ–დინს და დაამარცხეს. 140,000 კაცით ეს სულთანი საქართველოსკენ გამოიქცა (1225 წ.).

–

ტფილისი ჯერ ისევ ბრწყინავდა. მისი დიდებული სასახლენი და პალატანი ატკბობდნენ ქართველის გულს, სულს. აქ ჯერ ისევ იყო თამარ მეფის

ტახტ–საჯდომელნი,

მკამკამებელნი,

სარდიონისა
ხურუზმს შემკულნი.
მტილ–სამოთხენი,
თვალთ სა(ა)მოთხენი,
ზედ ავაზავთა
შექმნულობანი.
კართა სტოვანი,
ერთა სტოლანი,
იპპოდრომისა
განხმულობანი...

და ამ პალატში აგერ ისევ:

ოქრო–ვერცხლებრივ
ჰბრწყინავს ცეცხლებრივ
კედელ–ყურენი
ფიქლის ძერწილნი,
ბივრილიონით,
ლიგვსილიონით,
ურთიერთობით
შორით შთათხილნი;
რიყე თვალისა,
წინ ნათალისა,
წყალნი მგზებარობს
შიგან ალითა.
სჩანს მარგალიტი,
არ თუ ალიტი,
ოდენ ბურთისა
საბურთალითა...
ისმის მგოსანთა,
ვით საფირონთა,
ხმანი ებნისა
და წინწილისა.

–

ნახეთ, რა დაემართა ამ ბრწყინვალებას. მოვიდა ჯელალ–ედდინი. რუსუდანი ქუთაისს გაიქცა. ტფილისში დასტოვა მემნა და ბოცო, ბოცოს ძენი, სულთანი შემო–ებრძოლა მამაც მეციხოვნეთ. გაუჭირდა ციხის აღება. გარნა შინა გამცემელი გამოჩნდა. სულთანს გაუღეს ქალაქის კარები. ტფილისი აიღო...

–

ვინ შემძლებელ არს მოთხრობად, რავდენნი მოსაწევარნი იქმნეს! რამეთუ ესოდენ მძვინვარედ ხოცდეს, რომელ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა დაანარცხიან და რომელსამე თვალნი წარსცვივდიან და რომელ–სამე ტვინი დაითხიის, და მერმე დედათ მოჰკვლიდიან, ბევრნი უწყალოდ

ფოლორცთა (მოედნებს) შინა ცხენთა მიერ დაითრგუნებოდიან. სისხლისა მდინარენი დიოდეს, თავი ტანისაგან მოშორებული და თმა ნაწევართა შიგან აღრეულნი და კაც–დედაკაცი მტვერსა შიგან ცხენისა ტერფითა (ჩლიქით) იზილებოდის. ზოგს ასობდნენ დანას იღლიაში, ზოგს მკერდში, მუცელში... ჰოი–ი–ჰოი სალმობიერი ღაღადი! მოიწია ტირილი, ტკივილი, ზახილი და უზენაარო ვაება. საზარელთა ხმათაგან იძროდა ქალაქი ყოველი. შვილს მამის წინაშე ჰკვლიდნენ, ძმას ძმის წინაშე აკაფავდნენ, სრესავდნენ, ამუსრავდნენ, აოხრებდნენ, ანგრევდნენ. გაიჟლიტა ათ–ბევრამდე (100,000) სული...

–

სულთანს ჩამოეგდო სიონის გუმბათი, ზედ დაედგა ტახტი, ამ ტახტზედ დამჯდარიყო და სტკბებოდა კაცთა ჟლეტით, ჩჩვილთა ლეწით.

ტყუილად–კი არ არის ნათქვამი, კაცი კაცისთვის მგელიაო. მაგრამ... განა ჯელალ–ედ–დინი კაცი–კი იყო? მხოლოდ მგელ კაცს და აფთარს შებრალება არა აქვს...

–

გულის ჭია რომ მოიკლა მხეცმა სულთანმა, ადარბადაგონს წავიდა. გარნა ამით არ დასრულდა ქართველთ ვაება. თათარნი მოაწვნენ ჯელალ–ედ–დინს. მან საქა–რთველოსკენვე პირი იბრუნა. მოვიდა მანგლისს. ქართველნი ფიცხლად შეებრძოლ–ნენ, მაგრამ ისევ დამარცხდნენ. ჯელალი კვლავ ტფილისს შემოვიდა და აქედგან სამცხისკენ წავიდა. ქართველებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, გარნა ეს ამოსუნთქვა წამის უგრძესიც არ იყო.

–

თათრებს დიდი ჯავრი სჭირდათ ჯელალ–ედ–დინისა და მას გამოეკიდნენ საქართველოს გზით. ქართველი დიდკაცობა, სპასპეტნი და სპასალარნი მიიმალნენ. რუსუდანმა მოიწვია ვიღაც მუხაძე და უბრძანა: ვიდრე თათრები ტფილისში შემოვლენ, გადასწვი მთელი ქალაქი, რომ აქ არ მოიკალათონო. დედოფალი ქუთაისს წავიდა. მუხაძემ გადასწვა ქალაქის შენობები, აგრეთვე თამარის სასახლენი და პალატნიც...

–

ვინ უღალატა საქართველოს ამ გაჭირების დროს?

ჯელალ–ედ–დინი რომ საქართველოს საზღვარზე, გარნისს, გამოჩნდა, დედოფალმა დროშა სვიან–დავითნი ჩააბარა ამირ–სპასალარს ივანე მხარგრძელს და უბრძანა მამაცურად დახვედროდა ხვარაზმელს სულთანს.

წაუძღვა 90,000 მეომარს ამირ–სპასალარი ივანე, მრავლად დაჯილდოებული თამარ მეფისაგან, წინამბრძოლად აჩინა თორელნი და ძმანი შალვა და ივანე ახალციხელნი. მტერს რომ მიუახლოვდნენ, წინამებრძოლნი ლომებივით ეცნენ მტერს, გამეტებულად დაიწყეს ბრძოლა, მტრის ლეწა. იმედი ჰქონდათ, საცაა, ამირ–სპასალარი უდიდესის ლაშქრით მოვა და მტერს სრულიად გავანიავებთო. იბრძოლეს კარგა ხანს და მაჩქარებელი გაუგზავნეს ამირ–სპასალარს, რომელიც შორი ახლო დაბანაკებულიყო. შეატყობინეს გაჭირება. ამირ–სპასალარი არ დაიძრა. შეატყობინეს მეორეთ. არ დაიძრა. მესამედ. ძრა არა ქმნა...

ბევრი იბრძოლეს თორელ–ახალციხელებმა, გარნა დამარცხდნენ. ამირ–სპასალარი–კი უყურებდა, როგორ თავდადებულად იხოცებოდნენ მეომარი ქართველები.

ივანე ახალციხელი რომ მოკლეს და შალვაც შეიპყრეს, ამირ–სპასალარი აიყარა, ლაშქარს თავი ანება და თავის მამულს ბიჯნისს მიაშურა...

ამას მოჰყვა ჯელალ–ედ–დინისა და თათართაგან ჯერ ტფილისისა და მერე საქართველოს აკლება, თამარ–ნეტარის სამეფოს დანგრევა.

ხელი რომ გაენძრია ათაბაგ–ამირ სპასალარს ივანე მხარგრძელს და მამულის–თვის არ ეღალატნა, ეგების საქართველოს სვებედს სხვა გზით ევლო...

ჯერ ისევ რუსთაველის წინადაც შენიშნული იყო, რომ საქართველოს დიდ გვარეულობებში თითო იუდას სისხლი მოსჩქეფავდა.

ბერი.

ივერია - 1903. – N48. – 1 მარტი. - გვ.2.

ახალი ამბავი: – რედაქციამ მიიღო ახალი რუსული წიგნი: „დასახლება სომეხთა სამხრეთ–დასავლეთ რუსეთში“ – Колонизация армян в юго-западной России. წიგნი შეუდგენია ეპისკოპოსს კირიონს და პირველად დაუბეჭდია პოდოლსკის საეპარქიო უწყებანში.

ივერია - 1903. – N125. – 12 ივნისი. - გვ.1-2.

ახალი ამბავი: ტფილისი - ყოვლად-სამღვდელო კირიონი, რომელიც რამდენსამე დღეს ტფილისში იმყოფებოდა, გუშინ დილით კავკავისკენ გაემგზავრა და იქიდგან ხერსონს წავა, სადაც უმაღლესისი ბრძანებით ქორ-ეპისკოპოსად არის გადაყვანილი.

ადრესი,

რომელიც მიურთმევიათ ყოვლადსამღვდელო კირიონისათვის კამანეც პოდოლსკში, როცა მისი მეუფება გამოეთხოვა თავისს სამწყსოს ნოვო–მირგოროდს გადაყვანის გამო

თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობავ!

თუმცა მცირედს ხანს დაჰყავით პოდოლიაში, მაინც დიდის ინტერესით ადევნებდით თვალ–ყურს არა მარტო მიმდინარე საეპარქიო საქმეებს, არამედ სცდილობდით, შეგესწავლათ კიდეც წარსული ჩვენის ქვეყნისა საისტორიო საბუთებისა და ძეგლთა გამოკვლევებით. ამ აზრით მიაქციეთ თქვენი ყურადღება აქაურს საისტორიო–სასტატისტიკო კომიტეტს, რომელიც იკვლევს პოდოლიის

ისტორიულს წარსულს, აგროვებს იმ ძველს ნაშთებს სარწმუნოებრივ–საერო ცხოვრე–ბისას, რომელიც ხელს უწყობს მის თვალ–და–თვალ, საყოველთაო გაცნობას და თვისს წიგნთ–საცავს ამდიდრებს სამეცნიერო თხზულებათა სიმრავლით ამ ჩვენის ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანად შესწავლისა და შემუშავებისათვის.

თქვენი განათლებული და გამოცდილი თვალი და გონება მიხვდა და დააფასა ამ დაწესებულების მნიშვნელობა და, იტვირთეთ–რა თავმჯდომარეობა, მხნედ მიჰმართეთ სხვა–და–სხვა ღონისძიებას მის მოღვაწეობის განსავითარებლად, მრავლად წევრთა მოპოვებით და აქაურ განათლებულ საზოგადოების წარმომადგენელთა შორის და მათ მიერ მონაწილეობის მიღებით კომიტეტის საქმეში. ამიტომ შემოიღეთ ყოველ კვირას კითხვა რეფერატებისა კომიტეტის კრებაზედ.

რა კი თქვენი სურვილი იყო, რომ მუზეი და წიგნთ–საცავი აქაურ საზოგადოები–სათვის ხელთ–მისაწვდომი ყოფილიყო, თქვენ იზრუნეთ და უფრო მოხერხებულ ადგილას მოათავსეთ ერთიცა და მეორეც. და აი, თუ მაშინ, როცა წინანდელმა ცდამ და ზრუნვამ უნაყოფოდ ჩაიარა, თქვენ, თქვენის მეოხებით მოახერხეთ ამ საქმის განხორციელება ისე, რომ დღევანდელი ბინა კომიტეტის სიძველეთ–საცავისა და ბიბლიოთეკისა ნაყოფია საკუთრად თქვენის ზრუნვისა და ცდილობისა.

თქვენისავე თაოსნობით დაგვირგვინდა კეთილად შუამდგომლობა კომიტეტი–სა, რომ მისცემოდა შემწეობა ეპარქიის ღონისძიებათაგან ახალ ბინის გარდასაკეთებ–ლად მუზეისა და ბიბლიოთეკისათვის და განსაკუთრებულ თანხის შესადგენად საკუთარის შენობის შესაძენად, ანუ ასაგებად ამ დაწესებულებათათვის.

აქაურ სარწმუნოებრივისა და საერო ცხოვრების უფრო ნაყოფიერის შესწავლისა–თვის თქვენ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, საჭიროდ სცანით გაგეფართოვე–ბინათ თვით პროგრამა კომიტეტის მოღვაწეობისა და ამიტომ თქვენის ხელმძღვანე–ლობით შედგენილ იქმნა პროექტი კომიტეტის გადაკეთებისა საეკლესიო ისტორია–საარქეოლოგიო საზოგადოებად და ეგ პროექტი უკვე გაეგზავნა უწმინდესს სინოდს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ამ სახით, თქვენმა მცირე ხანს ჩვენ შორის ყოფნამ კომიტეტის თავმჯდომარედ შესამჩნევად განაცხოველა და აღაფრთოვანა მოღვაწეობა კომიტეტისა, რისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ არა მარტო თქვენის განათლებულის შეხედულებისა კომიტეტის მოღვაწეობის მნიშვნელობაზედ, არამედ განსაკუთრებით თქვენის გულითადის საქმისადმი სიყვარულისა, რაც სხვებსაც უღვიძებდა გულში სიყვა–რულს სასარგებლო და გულმოდგინე მოღვაწეობისას.

ფრიად მალე და მოულოდნელად სტოვებთ პოდოლიას და ეთხოვებით თქვენთვის საყვარელ მოღვაწეობას აქაურის კომიტეტისას, მაგრამ მასთანავე ჩვენს გულში სტოვებთ, გარდა თქვენდამი ჭეშმარიტის მადლობის გრძნობისა, სახეს გულწრფელის, გულმოდგინე და დაუღალავის მუშაკისას და იმის საგულისხმიერო მაგალითს, რომ განათლებულ მოღვაწეს, თუნდა შორეულ განაპირა ადგილიდან ჩვენთან მოსულს, ფრიად ბევრი შეუძლიან გააკეთოს აქაურ ქვეყნის სასარგებლოდ, თუ პატივისცემით ეპყრობა აქაურ კეთილ ზნე–ჩვეულებას და წარსულის ანდერძთა და საქმეს ემსახურება გულდადებით, გულწრფელად, სიყვარულით, რადგან ყოველს ადგილს, ყოველს განაპირა ქვეყანას დიდის რუსეთისას ეჭირვება განათლებულნი,

კეთილნი, პატიოსანნი და გულმოდგინე მუშაკნი. [მოგვყავს ეს შესანიშნავი ადგილი რუსულიდგან. – Неожиданно и слишкомъ скоро остовляя Подолию и симпатическую Вамъ деятельность местнаго Комитета, Ваше Преосвященство оставляете въ сердцахъ нашихъ, вместе съ истонною къ Вамъ признательностью образъ искренняго, усерднаго и неутамимаго труженика и назидательный примеръ того, что просвещенный деятель, хотя бы онъ пришель къ намъ изъ далекой окраины, весьма много можетъ сделать для пользы местнаго края, если съ уважениемъ относится къ добрымъ местнымъ обычаямъ и заветамъ старины и служыть делу усердно, искренно и съ сердечнымъ расположениемъ, такъ какъ все места, все окраины великаго Русскаго отечества нуждаются въ просвещенныхъ, добрыхъ, честныхъ и усердныхъ труженикахъ.]

გისურვებთ გზას მშვიდობისას, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, გისურვებთ ყოველს სიკეთეს თქვენის მსახურების ახალს ადგილზედ და გთხოვთ, მიიღოთ ალბომი აქურ სანახაობათა სამუდამო სახსოვრად პოდოლიისა, კომიტეტის მოღვაწეობისა და მისთა წევრთა.

ადრესზედ შემდეგ ხელი აქვთ მოწერილი მრავალთა.

ივერია - 1903. – N127. – 14 ივნისი. - გვ.4.

წერილი
რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ მაღალ–უსამღვდელოეს ეპისკოპოზს კირიონს ალაგირის ქართული სკოლისათვის 16 მან. ღირებული ქართული წიგნების შემოწირისათვის.

მასწ. ე. სირბილაძე.

ივერია - 1903. – N217. – 11 ოქტომბერი. - გვ.1.

ახალი ამბავი: ტფილისი - ამ სამის წლის წინად ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის თაოსნობით უწმინდეს სინოდს მოხსენდა აზრი რუსეთის სასულიერო აკადემიაში საქართველოს საეკლესიო ისტორიის და არხეოლოგიის შესწავლისათვის კათედრის დაარსებისა. რავდენადაც გვახსოვს, ამ მოხსენებაზედ ხელი უწერიათ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსებს - გურია-სამეგრელოსას ალექსანდრეს, იმერეთისას ლეონიდს და კირიონს. დღეს ნამდვილად შევიტყეთ, რომ კისლოვოდსკიდამ მიტროპოლიტის ანტონის წინადადებით, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის საბჭოს უკვე დაუარსებია აღმოსავლეთის ეკლესიის

ისტორიის კათედრა და მასთან საქართველოს ეკკლესიის ისტორიისაც. პროფესორიც უკვე დასახელებულიაო.

ივერია - 1904. – N18. – 23 იანვარი. - გვ.3.

რუსეთი

ქ. ხერსონი. იანვრის 13–ს ხერსონის ეპისკოპოსის კარის ეკკლესიაში ღამის–თევითი ლოცვა გარდაიხადა ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა, ხოლო მეორე დღეს, ნინოობას იმავე ეკკლესიაში ინება წირვა ქალაქის სამღვდელოებით. წირვის შემდეგ გარდაიხადა წმინდა ნინოს პარაკლისი სავედრებელ ლოცვის წაკითხვით. ხალხი ბლომად დაესწრო. ხატი წმიდა ნინოსი, რომელიც აქაურ ეკკლესიებში იშვიათად მოიპოვება, გამოსვენებულ იქმნა მწუხრის დაწყებამდე ყოვლად სამღვდელო კირიონის სამლოცველოდგან. საქართველოს განმანათლებელის წმიდა ნინოს ხატი მრავალ ყვავილებიან გვირგვინებით შეამკო ხალხმა და დიდის სასოებით და კრძალულებით მუხლ–მოდრეკით ეამბორებოდნენ და მრავალ კელაპტრებს უნთებდნენ. მწუხრზედ და წირვაზედ უფრო მეტი მდედრობითი სქესი იყო. ვისაც–კი გიმნაზიის მოსწავლე ქალს ნინო ერქვა, ყველამ თავი აქ მოიყარა და ყველანი დიდად ნასიამოვნები დაბრუნდნენ თავ–თავიანთ სახლებში. ბევრმა მათგანმა ითხოვა წმიდა ნინოს ცხოვრება წასაკითხავად.

წლევანდელი მღვდელ–მთავრის წირვა ნინოობას მეორეა. შარშან დიდისავე ამბით ყოფილა ამ დღეს წირვა ქ. კამენეც–პოდოლსკში. სასიამოვნოა, რომ ამ ბოლოს დროს ქართველთა წმიდანი ნინო და თამარი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ მართლ–მადიდებელთა შორის რუსეთში. სასურველია, რომ იკისროს ვინმემ წმიდა თამარის ცხოვრების შედგენა ქართულ და რუსულ ენაზედ. აქ ბევრი თხოულობს წმიდა თამარის ცხოვრებას და ხატს. განსვენებულმა მ. პ. საბინინმა შეუკვეთა მოსკოვში წმიდა თამარის ხატი, მაგრამ ეხლა მისი შოვნა ძნელია. საჭიროა, რომ ეს ხატი ცოტათი შესწორდეს და სხვა–და–სხვა ზომისა შეუკვეთოს ვინმემ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ხატი ძალიან გავრცელდება ხალხში.

მღვდელ–მონაზონი ტარასი.

ივერია - 1904. – N21. – 27 იანვარი. - გვ.4.

წერილები
რედაქციის მიმართ
II

ნება მოგვეცით თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ კახის საქალებო სკოლის სახელით ჩვენს სასიქადულო მღვდელმთავარს კირიონს, რომლის საფასით წარსულს 1903 წელს და წინა წლებშიაც

სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ მოსდიოდა. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე პოდპ. კონსტანტინე მიხეილის ძე ტარტარაშვილს, რომელიც ზნეობრივ დახმა–რებასთან წიგნებითაც შემწეობას არ აკლებს სკოლას და აქაურ მოსწავლე ახალგა–ზრდათა პატარა წრეს, რომელმაც ამ ზაფხულს კახში გამართულ წარმოდგენის შემო–სავლიდგან ერთი თუმანი გადმოგვცა სკოლის სასარგებლოდ.

თუმცა ამ სკოლის ადგილობრივი გულშემატკივარნი სცდილობენ მისი მრავალ–გვარი საჭიროება – მოთხოვნილებანი ადგილობრივად გამოძებნილ საშუალებათა შემწეობით დააკამყოფილონ და არ მიჰმართონ ხოლმე ქართველ საზოგადოებას, რომელსაც ისეც ბევრნი სთხოვენ შემწეობას და დახმარებას, მაგრამ თუ ვინმე მოისურვებს შემწეობა აღმოუჩინოს წიგნებით თუ ფულად ამ სკოლას, რომლის დანიშნულებაა – სინათლის სხივი შეიტანოს ინგილოს ოჯახში და მით აღზარდოს ღირსეული დედაკაცი, აღამაღლოს, გააუკეთესოს მისი მდგომარეობა, – მათ ვთხოვთ, კეთილ ინებონ და თავიანთი განამეტი გამოგზავნონ ჩვენს სახელობაზედ.

გამგე სკოლისა მღ. ბ. ფურცელაძე.

ივერია - 1904. – N35. – 11 თებერვალი. - გვ.2-3.

უცხო სიტყვების ხმარება ქართულს ენაში

„ივერიის“ შარშანდელ 261 ნომერში დაბეჭდილი იყო საგულისხმიერო წერილი რედაქციის მიმართ უცხო ენებიდან ნასესხ სიტყვების ხმარებაზედ ჩვენს მწერლობა–ში. რედაქციამ უყურადღებოდ არ დასტოვა ეს კითხვა. იმავე ნომრის სარედაქციო მეთაურ წერილში გამოსთქვა თვისი აზრი, მაგრამ აღძრული კითხვა არსებითად არ გაარჩია. – მას გზა აუხვია და გვარწმუნებს, რომ უცხო ენებიდან მიღებული სიტყვები ენის სიწმინდეს არაფერს უშლისო, ოღონდ ქართული გრამატიკის ბუნებას, მისს კანონს, ესაბამებოდეს უცხო სიტყვებიო. ამგვარად, უცხო სიტყვების ხმარებას „ივერიამ“ დასტური დასცა, დაულოცა გზა. ძნელი მისახვედრი არ არის, რამ აიძულა რედაქცია ასეთი ცალ–მხრივი აზრი გამოეთქვა? თუ ვინმე გრძნობს თავისს დანაშა–ულს უცხო სიტყვების ხმარებაში, რასაკვირველია, პირველად ყოვლისა ყოველ დღიური გაზეთი, რადგანაც უცხო ენებიდან თარგმანის დროს რედაქცია სიჩქარის გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს ქართული ენის სიფაქიზეს და ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ძალიან ხშირად ერთი და იგივე სიტყვა (ტერმინი) უცხო ენისა ითარგმნება და იხმარება ქართულად სხვა–და–სხვა დროს სხვა–და–სხვა ნაირად და სხვა–და–სხვა დაბოლოვებით. აქედან ცხადია, რომ ქართულ რედაქციებში სარედა–ქციო ლექსიკონები არა აქვთ.

ჩვენა ვსთქვით, რომ „ივერიამ“ გზა აუხვია კითხვას–მეთქი. იმიტომ, რომ უწყებულის კითხვის უმთავრეს მხარეს არ შეეხო. რედაქციას, ჩვენის აზრით, აი რა უნდა გამოერკვია: უცხო სიტყვების ხმარებას მართლა საჭიროება მოითხოვს, თუ „მე

ვარ და ჩემი ქეიფია.“ პირველ შემთხვევაში წინააღმდეგი არაფერი გვეთქმის, ხოლო მეორეში–კი, თუნდა იგი დაუდევრობისაგანაც მოხდეს, აღვიარებთ, რომ ეს საქციელი მიუტევებელი ცოდვაა. ვინ არ იცის, რომ კურთხეული ჩვენი ენა ძალიან მდიდარია ყოველგვარ სიტყვებით, რომლებსაც დღესაც ხმარობს ჩვენი ხალხი, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ერთობ ნაკლებად ვსცდილობთ ცნობაში მოვიყვანოთ ჩვენ მამა–პაპათაგან ძველადვე ნაანდერძევი ძვირფასი და მდიდარი სალექსიკონო საუნჯე. ფას–დაუდებელი სამშობლო ენის სიმდიდრის მოუხმარებლობა დედა–ენის ღალატია, – მაგრამ ყველას აქვს შეგნებული რა არის დედა–ენა? **დედა–ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული წმიდა ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი.** ასე განვსაზღვრავთ ჩვენ დედა–ენას, მისს მნიშვნელობას. აქედან ცხადია, რომ ახალი მოღვაწენი უნდა სვეტებად შეუდგნენ იმ წმინდათა წმიდას და დაიცვან მისი განსაკუთრებული თვისებანი. მხოლოდ იმ ერსა აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავისს ენას, ზნეს და ჩვეულებას. ვინც დაუმონავდება უცხო გავლენას და უთავბოლოდ მიიღებს სხვა ხალხისაგან სიტყვებს და ადათებს, იგი თვითვე იდგამს ქედზედ მონობის მძიმე უღელს და ითხრის საფლავს. ამგვარნი პირნი უცხო ხალხისაგან ზიზღის მეტს არაფერს დაიმსახურებენ.

მაშასადამე, თავისებურობა ყველასთვის საჭირო ყოფილა და ჩვენს გარემოებაში ხომ უსაჭიროესია. ამიტომ ჩვენ გულდადებით უნდა გადავსინჯოთ ჩვენი ძველი მწერლობა, ამოვკრიბოთ იქიდგან საჭირო სიტყვები და დაუყონებლივ შევკრიბოთ აგრეთვე ხალხში სალექსიკონო მასალა. თუ ძველს დროში ცოტა გვყავდა ამ საქმის–თვის მომზადებული მუშაკი, ეხლა, ღვთის მადლით, ბევრი გვყავს და დროა ერთგულად საქმეს შევუდგეთ. აქ საჭიროდ ვსთვლით მცირე შენიშვნა ვუძღვნათ ბატონ ჩუბინაშვილს. ამ დალოცვილმა ერთი დიდი ცოდვა ჩაიდინა ქართულის ლექსიკონის შედგენის დროს. ერთნაირი სიტყვები, რომლებსაც ვხმარობთ ჩვენ და სომხები, ჩასთვალა ნასესხებად სომხურიდგან, მაშინ, როდესაც ევროპიელნი ენათა მცოდნენი ამტკიცებენ, რომ ის სიტყვები სომხებს ქართულიდგან მიუღიათო. ეს მიუტევებელი ცოდვა იმიტომ მოუვიდა, რომ სომხურ ენის შესახებ გაზვიადებული აზრი იყო მაშინ გავრცელებული და ფრანგების პატრების წყალობით, სომხური ლექსიკონი შემუშავებული იყო ჯერ ისევ მე–XVIII საუკუნეში. ბატონმა ჩუბინა–შვილმა საქმის გასაადვილებლად და მეცნიერულის სახელის მოსახვეჭად პირდაპირ ისარგებლა და სარწმუნოდ მიიღო სომხური ლექსიკონები.

ხუთი ათას წელიწადზედ მეტია, რაც ქართველები დედამიწაზედ ვცხოვრობთ, მუდამ მაღალი კულტურა გვქონია და განათლების ბაირაღი მუდამ ფრიალებდა ქართველთა შორის. ოთხი ათასი წელიწადი იქნება, რაც ჩვენთა წინაპართა (ქალდი, ქორთუ, ქართველი) ლუსმებრივი ნიშნების ხმარება შემოიღეს და ამით დიდი ნაბიჯი წარსდგეს ანბანის მოგონების გაადვილებაში. ჩვენი ასომთავრული ხომ თითქმის იგივე ლუსმებრივ ნიშნებიდან არის შემდგარი. ორის ათას ორი წელია მას შემდეგ, რაც ფარნაოზ მეფემ შემოიღო ქართული (მხედრული) ანბანი. ამ დიდ მანძილზედ, რა თქმა უნდა, ენა ძალიან შემუშავდებოდა და ყოველნაირი სიტყვებით შეიმკობოდა და

აი, სწორედ ამიტომაც ქართულის ენის სიმდიდრეს, მისს მორთულობას, განცვიფრებაში მოჰყავს ევროპიელი ლინგვისტები. მართალია, ზოგიერთი ქართული სიტყვა, ხმარებული ძველს მწერლობასა და ხალხში, გვეხამება, მაგრამ უცხო ენიდან სესხებას და ვალში ამოღრჩობას სჯობს ისევ განვაახლოთ საზოგადო ხმარებით ცოტად დაძველებული ჩვენი ღვიძლი სიტყვები. როდესაც ცნობაში მოვიყვანთ ყველა ჩვენს სალექსიკონო მასალას, მაშინ და მხოლოდ მაშინ, გავითვალისწინებთ რა ამ ძვირფას საუნჯეს, შევიძლებთ გადაწყვეტით ვსთქვათ: რამდენად საჭიროა ჩვენთვის უცხო ენის ბატონობა და რომელი სიტყვებია საჭირო შევიტანოთ ჩვენს ლექსიკონში სხვა ენიდან.

ამ რამდენიმე წლის წინად ბატონმა ლადო აღნიაშვილმა გამოაცხადა, რომ მე ვადგენ ქართულ ლექსიკონსაო და „ივერიის“ შემწეობით ყველას სთხოვა დახმარება მასალის შეგროვებით. მე მაშინ ორასიოდე სიტყვა მივაწოდე მას, ქვემო–ნიქოზში ჩაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყოფობამ ხელი შეუშალა კეთილი განზრახვის განსახორციელებლად და ჩვენგან გადაცემულ სიტყვებს ეხლა არ ვიცით რა ბედი ეწია, ან ვის ხელშია და ამიტომ საჭიროდ ვსთვლით აქვე დავბეჭდოთ ეს სიტყვები.

ლადო აღნიაშვილის მოწოდება არ დარჩა **ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.** სოფლის სკოლის მასწავლებელმა ბ. თ. რაზიკაშვილმა „ივერიაში“ დაჰბეჭდა ქართლში შეკრებილი მდიდარი სალექსიკონო მასალა, მაგრამ მას წამბაძავი აღარ გამოუჩნდა. ამ გარემოებამ გვაკისრებინა ხელი მოვკიდოთ ხალხში ხმარებულ ქართული სიტყვების შეკრებას. ჩვენ ვნიშნავთ ყოველ ახალ ძირითად სიტყვაზედ, რომელიც დაბეჭდილ ლექსიკონებში არ მოიპოება, ერთ შაურს პრემიას. მართალია, ერთი შაური სიტყვაზედ მცირე ფასია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ძალიან ადვილად შეიძლება კვირაში ასი–ორასი სიტყვის ჩაწერა და მაშინ სასყიდელიც საკმარისი მოვა. ვინც სურვილს გამოაცხადებს, იმას გაეგზავნება ჩემგან და ბ. თ. რაზიკაშვილისაგან შეკრებილი სიტყვები ანბანზედ დაწყობილი, რომლების პირდა–პირ შეიძლება ახალი სიტყვების ჩაწერა. სასურველია, ამ 1904 წელს ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში დაწყებული საქმე დასრულდეს; რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მთიულეთს და ფშავ–ხევსურეთს, სადაც უფრო შეუცვლელად დაცული უნდა იყოს ძველი წმინდა ქართული ენა. 1905 წელს შევუდგებით დასავლეთ საქართველოში სიტყვების შეკრებას და როდესაც მთელი მასალა ხელთ გვექნება, მოვიწვევთ ქართული ენის მცოდნეთ და შემუშავებულის მასალის ბეჭდვასაც შევუდგებით.

რადგანაც ჩვენ გარემოება ნებას არ გვაძლევს პირადად მივიღოთ ამ სასიქა–დულო საქმეში მონაწილეობა, ამიტომ ვსთხოვთ დროებით შეადგინონ სალექსიკონო კომისია შემდეგ ჩვენს მოღვაწეებს: თ. გრიგოლ ნიკოლოზის ძეს დიასამიძეს, ბატონ გრიგოლ თეოდორეს ძეს ყიფშიძეს და ბატონ დავით გიორგის ძეს კარიჭაშვილს. ყოველგვარ ხარჯს, რაც–კი მოუნდება კომისიას ამ აზრის განსახორციელებლად, ჩვენ ვკისრულობთ. ამ საქმის გამო მიწერ–მოწერა მსურველს კომისიასთან უნდა ჰქონდეს. დაწვრილებით პირობებს შეიმუშავებს თვით კომისია.

ეპისკოპოსი კირიონი.

ივერია - 1904. – N56. – 3 მარტი. - გვ.4.

წერილი
რედაქციის მიმართ

„ივერიის“ N.35–ში არის ფელეტონად დაბეჭდილი საგულისხმიერო წერილი ე. კ. – უცხო სიტყვების ხმარება ქართულს ენაში – რომლითაც იგი მიგვიწვევს მკითხველთ სამუშაოდ, რათა ცნობაში იქმნეს მოყვანილი ჩვენ მამა–პაპათაგან ძველადვე ნაანდერძევი ძვირფასი და მდიდარი ჩვენი სალექსიკონო საუნჯე. ამასთანავე აცხადებს, რომ საქმე წლეულობით დაიწყოს აღმოსავლეთ საქართვე–ლოდან და დიდი ყურადღება მიექცეს ფშავ–ხევსურეთსა და თუშეთს, სადაც უფრო შეუცვლელად დაცული უნდა იყოს სიწმინდე ჩვენის ძველის ქართულის ენისაო. ამ საქმეში მონაწილეთ პატივცემული ავტორი აღუთქვამს შრომის საფასს და ჰპირდება გაუგზავნოს მომზადებული დავთარი რიგზედ სიტყვების ჩასაწერად. მე, როგორც დროთა ვითარებისა გამო გამგე სასულიერო უწყებისა ორის ხეობისა – ფშავის და ხევსურეთისა – ჩემდა მონდობილის საქმისა გამო მაქვს დაახლოვებითი ცხოვრება ხსენებულ თემებთან, ვუცხადებ დიდ სურვილს ბატონ ე. კ. [ეპისკოპოს კირიონს] და მის მიერ დანიშნულს სარედაქციო კომისიას, მივიღი წილადი შრომა ხსენებულს სიმპატიურს დაწყობილებაში უსასყიდლოდ, მხოლოდ გამომეგზავნოს ჩასაწერი დავთარი. [დავთარს მოვამზადებთ და გამოგიგზავნით. წევ. კომ. გრ. ყ–ძე.]

ფშავ–ხევსურეთის ბლ. ი. ხატიაშვილი.

ივერია - 1904. – N110. – 11 მაისი. - გვ.2.

საქართველოს საეკლესიო ისტორია
პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში

ყოვლად სამღვდელო კირიონმა, ეპისკოპოსმა ორიოლისამ, მოსვლისთანავე პეტერბურგში ინახულა, როგორც მიტროპოლიტები და წევრნი უწმინდესის სინოდი–სა, აგრეთვე ზოგიერთი პროფესორები, რომლებთანაც ჰქონდა მიწერ–მოწერა. სხვათა შორის ჰნახა ი. ი. სოკოლოვი, პროფესორი აქაურის სასულიერო აკადემიისა. ეს პროფესორი იმ კათედრის პროფესორია, რომელიც დააარსდა აკადემიაში საქართველოს მღვდელ–მთავრების: ალექსანდრესი, ბესარიონისა, ლეონიდისა და კირიონის შუამდგომლობის შემდეგ. შუამდგომლობა იყო აღძრული 1900 წელს. საგანი შუამდგომლობისა ყველამ კარგად იცის, რადგანაც ამ საგნის შესახებ თავისს დროზედ საკმარისად იყო დაწერილი ჟურნალ–გაზეთებში. სამწუხაროდ, საქართველოს საეკკლესიო ისტორიის კათედრის მაგიერად სხვა–და–სხვა მოსაზრე–ბით, დააარსეს კათედრა ბიზანტიის საეკლესიო ისტორიისა, შემდეგ განყოფისა აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკკლესიათა, ესე იგი თითქმის იმ დროიდგან,

როდესაც რუსეთმა მიიღო ქრისტეანობა. თუმცა პირდაპირი დანიშნულება ამ ახალის კათედრისა არის ისტორია საბერძნეთის ეკკლესიისა, მაგრამ თანახმად მიტროპოლიტის ანტონის რეზოლიუციისა, უნდა იქმნეს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება საქართველოს საეკკლესიო ისტორიასაც. ამ აზრით ახალგაზრდა პროფესორი ი. ი. სოკოლოვი შესდგომია ქართულის ენის შესწავლას და საკვლაოდ აპირობს საქართველოში გამომგზავრებას, რომ ადგილობრივ შეისწავლოს ჩვენის ეკკლესიის სიძველენი. ყოვლად სამღვდელო კირიონს სთხოვა დახმარება ამ საქმეში და აგრეთვე ყველა საქართველოს საეკკლესიო მასალების შეგროვება და გამოგზავნა აქაურ სასულიერო ბიბლიოთეკაში. აგრეთვე პროფესორმა გამოაცხადა თვისი სურვილი, რომ ამას შემდეგ საქართველოს სემინარიებიდან აქაურ აკადემიაში წამოვიდნენ ხოლმე სწავლის დასამთავრებლად ქართველებიო. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალგაზრდა სემინარიელები, მუდამ სამშობლო ისტორიის მოყვარულნი, იკისვრენ აქეთ გამომგზავრებას და საქართველოს ისტორიის შესწავლას.

მღვდელ–მონაზონი ტარასი.

ივერია - 1904. – N111. – 12 მაისი. - გვ.3.

რუსეთი

–

ხერსონი. (საკუთ. კორეს.) პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორმა ეპისკოპოსმა სერგიმ სთხოვა ყოვლად სამღვდელო კირიონს, უკეთესი თვით–მასწავლებელი ქართულის ენისა, რადგანაც მას განუზრახავს ქართული ენის შესწავლა. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ენა თანდათან იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას.

ყოვლად სამღვდელო კირიონი ხერსონიდგან აპირებს გამგზავრებას თავის ახალ სამწყსოში 20–22 მაისს.

ოდესაში შეუდგნენ ყოვლად სამღვდელო კირიონის თხზულების ბეჭდვას შესახებ ხერსონის ვიკარიატისა. წიგნში იქმნება ყველა თერთმეტი ვიკარის სურათები და აგრეთვე პორთთები ორის მთავარ ეპისკოპოსისა: ინოკენტისა, ხერსონის სავიკარიოს დამაარსებელისა და იუსტინესი, რომლის მწყემს–მთავრობაში შესრულ–და 50 წლის იუბილეი ხერსონის ვიკარიატისა.

როდესაც წიგნი დაიბეჭდება, შიგ მოთავსებულ ცნობებს ქართველთა კოლონიზაციის შესახებ ამ მხარეში გაცნობებთ.

მღვდელ–მონაზონი ტარასი.

ივერია - 1904. – N112. – 13 მაისი. - გვ.2.

ჰარნაკის აზრი ქართულ ლიტერატურულ საუნჯეზედ

ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს ცნობილ მეცნიერს ჰარნაკის მიუწერია პასტორის გ. გ. ბერმანისთვის, რომელიც ეხლა „ცარსკოე სელოში“ ემსახურება, შემდეგი თვისი აზრი შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებისა: „ქართულ ხელნაწერ წყაროებს, რამდენათაც ეს ამ უკანასკნელ დროში გამოირკვა, ისეთივე დიდი მნიშვნელობა ეძლევა მეცნიერებაში, როგორიც ძველ სირიულ ლიტერატურულ ნაშთებს აქვთ მინიჭებული, ამიტომ ამიერიდგან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველთ კულტურის შესწავლას, მათს ენას და ჩვენამდის მოღწეულს ქართველთა ძვირფას ლიტერატურულ საუნჯეს.“

სამწუხაროდ აქამომდე მცირე ნაწილი ჩვენის ლიტერატურულ წყაროებისა არის დაბეჭდილი; როდესაც ყველა ჩვენი ხელთ–ნაწერები დაიბეჭდება, მაშინ მეცნიერნი განცვიფრდებიან ჩვენის წარსულის სიდიადით. რაკი ამისთანა აზრი დატრიალდა მეცნიერთა შორის, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბედი ჩვენც გაგვიღიმებს და ახლო მომავალში დასავლეთის ევროპიულ სატახტო ქალაქებში დაარსდება ქართულის ენის კათედრები. საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამაც თავის მხრით ხელი შეუწყოს ამ დიდი საქმის დაგვირგვინებას.

სასოებაძე.

ივერია - 1904. – N124. – 29 მაისი. - გვ.2-3.

ფელეტონი

სახელგანთქმული

ქართველთ მომღერალი–მეთარე ასლან ხურდაყულიშვილი

(უბის წიგნაკიდან)

ამ თორმეტი წლის წინად გერისთობის მეორე სწორის დღესასწაულიდგან დაბრუნების დროს გორის მაზრის თავად–აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფ ივანე დავითის ძის სულხანიშვილის საგვარეულო წიგნთ–საცავში შემხვდა, სხვათა შორის, ფრიად შესანიშნავი სასიმღერო ლექსთა კრებული, რომელსაც წინასიტყვაობის მაგიერ შემდეგი ლექსი მიუძღვის:

„ვისაც გითხრობდეს მოთქმა გულისა,
ქება და მკობა ვარდ–ბულბულისა,
პოეტნი მათგან დადაგულისა,
მათთვის მწერალი ლექსთ ქართულისა,
დაუვიწყარი ხურდაყულისა,

მათგან დამწვარი დადაგულისა,
ლექსნი აღვწერე სამას და რვისა,
ვისაც ხელთ გქონდეთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.“

ეს ცხრა მუხლოვანი ლექსი გვიჩვენებს, რომ მოხსენებული ლექსთა კრებული, რომელიც პირველად შეიცავდა 308 ლექსს, შეუდგენია ხურდაყულოვს. ეს ხურდაყუ–ლოვი ჯერედ ცნობილი არ არის ჩვენს ლიტერატურაში და მით უმეტეს საინტერესოა მისი ვინაობის გამოძიება, რომ რაც დრო გავა, უფრო გაძნელდება მასზედ ცნობების შეკრება.

ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებიდან სჩანს, რომ ხურდაყულიშვილებს უცხოვრი–ათ ბორჩალოს მაზრაში და ჯერ–ჯერობით პირველი მათზე ცნობა მოიპოვება მე–XVII საუკუნის გუჯარში. 1677 წლის საეკკლესიო გუჯარში არის დასახელებული შერმაზან ხურდაყულიშვილი, რომელსაც დავა ჰქონია მამულის შესახებ ბოლნისის სიონის საკათედრო ტაძართან [Д. П. Пурцеладзе. Груз. церк. гудж. გვ.35.]. ეჭვი არ არის, რომ ამ შერმაზანის შთამომავალი უნდა იყოს ჩვენი კრებულის შემდგენელი.

ჩვენს მომღერალ–მეთარეს და მოლექსეს ჰრქმევია ასლან. პაპა ამ ასლანისა, უსეინი, კარგი მეოჯახე ყოფილა, ერეკლე მეორის მეფობაში მონათლულა და თვით მეფე ერეკლეს მხურვალე მონაწილეობა მიუღია მისს სვე–ბედში. მეფის ბრძანებით, იგი ჩაუბარებიათ დეკანოზ ალექსიევ–მესხიშვილისათვის სასწავლებლად და სასულიერო წოდებისთვის მოსამზადებლად. რა თქმა უნდა, განმსწავლულ დეკანოზის ხელში, რომელსაც საკუთარი სასწავლებელი ჰქონდა ანჩისხატის ეზოში [მღვ. პ. კარბელაშვილი. – ძველი ანჩისხატის ტაძარი. – გვ.28–29], უსეინი კარგად განვითარდებოდა, მაგრამ მაშინდელმა სამშობლო ქვეყნის შფოთიერმა და შევიწრო–ებულმა მდგომარეობამ და ხშირმა შემოსევამ აუარებელის მტრებისამ, აიძულა იგი ანაფორის მაგიერად სამხედრო იარაღით შემოსილიყო. მეტად შეწუხებულ მდგომარეობაში იყო მაშინ საქართველო; ხოლო ქართველნი მით იყვნენ ბედნიერნი, რომ როდესაც კი სამშობლო ქვეყნის დასაცველად ურჯულოთაგან საჭირო იყო ლაშქარი, ხშირად სასულიერო პირნიც მრისხანე და შეუპოვარ მეომრად და გმირებად გადაიქცეოდნენ და გვერდში ამოუდგებოდნენ ხოლმე თავიანთ სამწყსოს. მაშინ გაჭირების ტალკვესი ქუდზედ კაცი იყო! რაკი უსეინის მტკიცე გარდაწყვეტილება გაიგო ერეკლე მეფემ, იგი გაამწესა მეზარბაზნეთ. როგორც გვაუწყებენ, უსეინი დიდ მამაცობას და თავ–განწირულ ერთგულებას იჩენდა თურმე ომებში. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თუმცა ბორჩალოს თათრები მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებდნენ, გარნა, მიუხედავად ამისა, ისინი საქართველოში შემოხიზნულ სხვა ტომთა შორის ყველაზედ ერთგულნი ქვეშევრდომნი იყვნენ საქართველოს მეფის ტახტისა. რა თავგამოდებით და მედგრად იბრძოდნენ იგინი ქართველთა მხედართა ერთად მხარ და მხარ სპარს–ოსმალეთის ომებში, ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრია ჩვენს მატიანე – გუჯარებში.

ამ მეზარბაზნე უსეინის შვილიშვილს, ასლანს, რომელიც დაიბადა ამ ასის წლის წინად, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულებში, პატარაობითვე დიდი მუსიკალური და მელექსეობის ნიჭი დაჰყოლია, მასთან შესანიშნავი ტკბილი ხმა ჰქონია და საკმარისი

სწავლაც შეუძენია. ერთს შემთხვევას უშველნია მისთვის და მით სახელიც მოუხვეჭია. ამ ახალგაზრდა ასლან ხურდაყულიშვილს ლევან მელიქიშვილის ნათლობაში უმღერნია პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ორი ლექსი. მისს სიმღერის კილოს, მშვენიერ ხმას და შეუდარებელის ხელოვნებით თარის დაკვრას იქ დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია. ამ ბედნიერი შემთხვევის შემდეგ მთელს საქართველოში გასთქმია მას სახელი ჩინებული მომღერალისა და მეთარისა. ქართლში, რომელ თავადიშვილის ოჯახშიაც კი გაუმართნიათ ნადიმობა, რომელსაც წარსულ დროში დარბაისლური ხასიათი ჰქონდა, ასლან ხურადყულიშვილიც უსა–თუოდ მიუწვევიათ ხოლმე.

რადგანაც ჩვენი ქართველი ხალხი ძველის–ძველი დროიდგანვე მუსიკალურია. მოტრფიალე ქეიფისა და სიმღერისა, ამიტომ თანამედროვე თავად–აზნაურთა, დიდ–კაცების და შეძლების პატრონ ქართველ ოჯახებში ეს სახელგანთქმული მომღერალი მიღებული ყოფილა. ბევრი ქართული კილო ასლანისგან ნამღერ ლექსებისა მისგანვე იყო შეთხზული, საგანგებოდ შემუშავებული და მუსიკალურის მხრივ მეტად ხელოვ–ნური.

ასლან ხურდაყულიშვილის რჩეულთა ლექსთა კრებული დიდი ტანის წიგნია in tolio და შეიცავს „ტდკ“ (324) ფურცელს, შიგ არის მოთავსებული განსაკუთრებით სასიმღერო ლექსები, მათ რიცხვში ზოგი ცნობილი არ არის ჩვენს ლიტერატურაში. ამ კრებულის 158 ფურცელზედ არის ნაამბობი, თუ რად გაუწყრა მეფე ერეკლე ცნობილ პოეტს ბესარიონ ბესიკ გაბაშვილს და რამ აიძულა იგი დაეტოვებინა სამშობლო მხარე და სხვაგან გადახვეწილიყო.

ჩვენი პოეტების ნაწარმოებთა შორის ასლან ხურდაყულიშვილს ყველაზედ ძალიან მოსწონდა თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, რომლებსაც პირველი ადგილი ეჭირათ მისს რეპერტუარში; აი სწორედ ამიტომ თვისს კრებულში ყველაზედ უპირატესი ადგილი ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზის ნაწარმოებისთვის დაუთმია.

კრებულის შედგენის დროს, როგორც ზემოთ მოყვანილი ლექსი გვიჩვენებს, მასში ყოფილა ჩაწერილი 308 ლექსი, შემდეგ, მე მგონი, თვით ასლანს კიდევ მიუმატებია 19 და ეხლა კრებული შეიცავს 327 ლექსს. პირველი ადგილი ლექსთა რაოდენობით ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მეორე – გიორგი თუმანიშვილს, ხოლო მესამე – თვით ასლან ხურდაყულიშვილის კალამს.

ამ შესანიშნავ და იშვიათ კრებულში მოთავსებული ლექსები ეკუთვნის 75 სხვა–და–სხვა მწერალს და ლექსთა რიცხვის მიხედვით ქვემო მოყვანილ რიგზედ უნდა ჩამოვთვალოთ. აი თვით ლექსთა მთხზველები და მათი ლექსების რაოდენობა.

1). ალექსანდრე ჭავჭავაძე 50; 2). გიორგი თუმანოვი 25; 3). ასლან ყული 21; 4). ბესარიონ გაბაშვილი 17; 5). დიმიტრი მდივანი 17; 6). იოსებ ნაცვალი 14; 7). პავლე თუმანოვი 10; 8). დავით ბატონიშვილი 8; 9). ბარამ ბარათოვი 8; 10). გარსევან ყორღანიშვილი 8; 11). პოეტი მინა ტიმოფეიჩ ბლიევი 7; 12). ბუდაღა 7; 13). დავით მაჩაბელი 7; 14). გიორგი დავითის ძე ერისთავი–გლუხარიჩი 6; 15). ივანე ამილახვარი 6; 16). იასე ანდრონიკოვი 6; 17). ტატო ბარათაშვილი 5; 18). მიხეილ ყაზბეგი 5; 19). სტეფან ფერშანგოვი 5; 20). აბელ კალატოზოვი 5; 21). ნიკოლაოზ (კიკოლა)

მაჭავარიანი 5; 22). თავადი ზაალ გოშტაშპის ძე 4; 23). ოთარ ქობულოვი 4; 24). ანდრია ხერხეულიძე 4; 25). ბანოვი 4; 26). გიორგი ოთარის ძე ამილახვარი 3; 27). გრიგოლ თუმანოვი 3; 28). სვიმონ მაჩაბელი 3; 29). ივან სოლომონიჩ ციციანოვი 3; 30). დავით რექტორი ალექსიევი 2; 31). დავით მუხრანსკი 2; 32). ელიზბარ გიორგის ძე ერისთავი 2; 33). ესტატე დავითის ძე ციციანოვი 2; 34). სარდლიანთ იოსებ მღვდელი 2; 35). ივანე მუხრან ბატონი 2; 36). ივანე აქიმოვი 2; 37). სოლომონ ზახარიჩ ერისთავი 2; 38). ჭაბუა დიამბეგი ორბელიანი 2; 39). საათნოვა 2; 40). გრიგოლ ორბელიანი 2; 41). მეფე თეიმურაზი 1; 42). ქეთევან ბატონიშვილი 1; 43). მეფე ვახტანგი 1; 44). დიდი ანტონ კათალიკოზი 1; 45). ფარნაოზ ბატონიშვილი 1; 46). ივანე სარდალი 1; 47). პეტრე ზახარიჩ ორბელიანი 1; 48). სოლომონ ანჩისხატის დეკანოზი 1; 49). სვიმონ წინამძღვაროვი 1; 50). სოლომონ ონიკოვი 1; 51). დიმიტრი კონსტანტინიჩ მეღვინე–თუხუცესოვი 1; 52). ფრანგისტან თურქისტანოვი 1; 53). მირზაჯანი 1; 54). ჩირიქნოვი 1; 55). შამირხანოვი 1; 56). თუმანოვი ციმბირიდან 1; 57). იოსებ მამაცოვი 1; 58). ივანე ერისთავი 1; 59). გრიგოლ მუხრან ბატონი 1; 60). ღვთისწყალობ ბებუთოვი 1; 61). რაფიელ არაგვის ერისთავი 1; 62). პარმენ წინამძღვაროვი 1; 63). კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი 1; 64). ივანე ერისთავი 1; 65). გიორგი ერისთავი 1; 66). ბარამ გერმანოზის ძე 1; 67). ივან დავითიჩ სულხანოვი 1; 68). ბანოვანი 1; 69). აკაკი წერეთელი 1; 70). ალექსანდრე ანდრონიკოვი 1; 71). პავლე შამირხანის ძე 1; 72). გრიგოლ რჩეულოვი 1; 73). ზაალ ბარათოვი 1; 74). გარსევან ყორღანოვი 1; 75). ეგნატე მდივანი თუმანოვი 1.

რამდენად საინტერესოა და შესანიშნავი ეს ლექსთა კრებული, ცხადათ სჩანს მოყვანილ სიიდან. მეტად კარგია ერთი ბასრული ლექსი დავით ბატონიშვილისა სომხებზედ. ჩამოთვლილ ლექსებიდან მხოლოდ ცოტაა ცნობილი. დიდი მადლობა უნდა ვუძღვნათ ასლან ხურდაყულიშვილს, რომ თვისს ძვირფას კრებულში იმისთანა ლექსები შეგვინახა, რომლებიც უიმისოდ დაკარგულად უნდა ჩაგვეთვალა. მადლიერნი ამ გვარი მისი ღვაწლისა, ჩვენც გადავსცემთ შთამომავლობას მის სახელს. სასურველია, რომ ვინმემ იკისროს ამ იშვიათი კრებულის გამოცემა. დარწმუნებული ვართ, რომ დიდად პატივცემული ივანე დავითის ძე სულხანიშვილი სიამოვნებით დართავს ამ განძის გამოცემის ნებას, და გამომცემელიც თვით ნაკისრ საქმითა ნივთიერად დაჯილდოვებული იქმნება. ეს კრებული ძალიან გავრცელდება ჩვენს საზოგადოებაში.

შესანიშნავია აგრეთვე ასლან ხურდაყულიშვილის თარი, რომელიც არის მოზრდილი ტანისა, საუცხოოთ შემკული და კარგი ხმისა. მას გვერდებზედ აზის ექვსი სევადიანი ვარსკვლავი და ზოგ ადგილას ფირუზებით არის იგი მორთული. მარტო შეხედულობა მისი ერთ რამეთა ღირს. თავზედ არის გამოთქმული შემდეგი ხუთ–მუხლოვანი ლექსი:

„დასაბამით ვარ მკობილი,
სირმა ხალასათ დნობილი,
გულ სიყვარულით სობილი,
დიდთა პატარათ ცნობილი,
მე, ასლან, თქვენი ძმობილი.“

ეს მშვენიერი თარი დღეს ივანე დავითის ძის სულხანიშვილის საკუთრებაა და მის ოჯახში ინახება, როგორც ძვირფასი განძი. თარსა აქვს ექვსი ვერცხლის ყური და ყველა მათგანს თვით მაჩუქარის ვინაობა აწერია. პირველს – ივან სოლომონის ძე ციციანოვი, მეორეს – ნიკოლაოზ დ˜–ძე ორბელიანი, მესამეს – იასე გოგიას ძე ფავლენიშვილი, მეოთხეს – იასე რომანიჩ ფავლენიშვილი, მეხუთეს – გრიგოლ ბ. მაჩაბელი და მეექვსეს – ზურაბ გ. მაჩაბელი.

სახელგანთქმულ ასლან ხურდაყულიშვილის დასახასიათებლად საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ თვისი მამაპაპეული სალოცავი ანჩისხატის ტაძარი ძალიან ჰყვარებია და თურმე ხშირადაც დადიოდა სალოცავად. კუკიიდამ, რომ მოჰხდომოდა ანჩისხატში წამოსვლა, კუკიის ხიდს გზას აუქცევდა და ავლაბრის ხიდზედ მოუვლიდა ხოლმე. როცა ჰკითხამდნენ: „ასლან, გარშემო რათ უვლი, დროს რად ჰკარგავ, ხომ არ გეშინიან კუკიის ხიდის ჩანგრევისაო,“ ის თურმე აუჩქარებლად და დარბაისლურად უპასუხებდა: „ჩანგრევისა კი არ მეშინიან, თუმცა ქვიშაზედ არის აშენებული; არა მე, პატარაობით შეჩვეული ვარ ავლაბრის ხიდს, ეს ხიდი ჩვენი მამა–პაპეულია, სანდო, ნაამაგდარი და ბევრი წმინდა სისხლიც არის აქ დანთხეული ქართველებისაო.“

ამაზედ მეტი ცნობა ჩვენ ვერ შევკრიბეთ. კარგი იქნება, რომ ვინც იცის რამ ახალი ამბავი ამ ასლან ხურდაყულიშვილზედ , გამოაქვეყნოს კრებულთან ერთად გამოსაცემად, სანამ ჟამთა ვითარებას ჯერ კიდევ არ მოუსწვრია გაქრობა ხსოვნიდან მასზედ ცნობისა და სანამ მისი მითვისება ჩვენ მეზობელ ერს, დახელოვნებულს ამ გვარ საქმეებში, ჯერ–ჯერობით აზრად არ მოსვლია და საღერღელი არ აშლია.

სასოებაძე.

ივერია - 1904. – N127. – 2 ივნისი. - გვ.2.

გაცილება ყოვლად სამღდელო ეპისკოპოს კირიონისა, ხერსონიდგან თავის ახალ სამწყსოში

(წერილი ხერსონიდან)

მაისის 20–ს გამოცხადებული იყო აქაურს გაზეთში, რომ „დღეს საღამოთი ყოვლად სამღვდელო კირიონი მიემგზავრება ქ. ხერსონიდგანაო.“ მარტო გაზეთის სიტყვას არ დაერწმუნა ხალხი და მრავალი მოდიოდა სასახლეში და კითხულობდა: „მართლა მიბრძანდება დღეს თუ არაო?“ საღამოს ლოცვაზედ მრავალი ხალხი მოგროვდა სასახლის ეკკლესიაში და აგრეთვე მთლათ ქალაქის სამღვდელოება. ლოცვის შემდეგ სამღვდელოებამ სამგზავრო პარაკლისი გადაუხადეს. პარაკლისზედ „უფალო შეგვიწყალენს“ და „მრავალ ჟამიერს“ ქართულად გალობდნენ არქიელის სასახლის მგალობელნი.

შემდეგ პარაკლისისა ლოცვა–კურთხევა მიიღეს ხალხმა და გასწიეს ნავ–სადგურისაკენ. ხოლო სამღვდელოება და სხვა–და–სხვანი ყოვლად სამღვდელომ ჩაიზედ შეიპატიჟა.

ღამის ცხრა საათზედ კარეტით წაბრძანდა ყოვლად სამღვდელო ნავსადგურ–ზედ. იქ დახვდნენ გუბერნატორი, სამღვდელოება, როგორც ქალაქისა, ისე ახლო–მახლო სოფლებისა, ქალაქის თავი, სასწავლებლების ზედამხედველნი, მასწავლებე–ლნი, წარჩინებულნი, ქალაქის ყველა წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი, როგორც კაცები, აგრეთვე ქალები. აქაც ყველამ ლოცვა–კურთხევა მიიღო და უსურვებდნენ მშვიდობით მგზავრობას და ეუბნებოდნენ: ვწუხვართ, რომ ვკარგავთ ჩვენს საყვარელ მღვდელ–მთავარსა და გვიხარიან, რომ უმაღლესი ადგილი მიიღეთო.

უკანასკნელად გუბერნატორმა წარმოსთქვა მოკლე და გრძნობიერი სიტყვა და გამოჰხატა მთლად საზოგადოების აზრი, რომელმაც მიმართა ყოვლად სამღვდელოს: „ვისურვებთ, მეუფეო, რომ არიოლელებმაც ისრე გიცნონ და შეგიყვარონ, როგორც გიცნეს და შეგიყვარეს ხერსონელებმაო.“ (чтобы Орловцы такъ-же поняли и полюбили, какъ поняли и полюбили Херсонцы).

საზოგადოების გულწრფელი აზრის გამოთქმისათვის ყოვლად სამღვდელომ გულითადი მადლობა გადაუხადა ყველას და გამოემშვიდობა. როდესაც დაიძრა გემი, ყველა ქუდმოხდით და თავის დაკვრით ესალმებოდნენ ყოვლად სამღვდელოს. ყოვლად სამღვდელომ უკანასკნელად პირჯვარი გადმოსახა გემიდგან ხალხს და შებრძანდა თავის „კაიუტში.“ დიდხანს უცქეროდა ხალხი მიმავალს გემს და სთხოვდა ღმერთს, რომ მშვიდობითი მგზავრობა მიეცა მისთვის. დაბრუნდა ხალხი თავთავის სახლებში. ამ მიმავალ ხალხში ხშირად დაღონებულის კილოთი ისმოდა ხმა: „Даа, жаль, жаль.“

რუსებთან ერთად მრავალი ებრაელობაც დაესწრო და მათთან ერთად თანა–უგრძნობდნენ საყვარელ კაცის გამომშვიდობებას.

მეორე დღეს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ „გუშინ ხერსონელებმა გააცილეს თავიანთი საყვარელი მწყემს–მთავარი ეპისკოპოსი კირიონიო.“

დამსწრე.

ივერია - 1904. – N128. – 3 ივნისი. - გვ.2.

სიტყვა

თქმული ყოვლად–სამღვდელო კირიონის, ორიოლისა და სევის ეპისკოპოსის მიერ ხერსონის ტაძარში სამწყსოსთან გამოთხოვების წირვაზედ 16 მაისს 1904 წ.

(ეს სიტყვა დაბეჭდილი იყო ხერსონის გაზეთში)

აი უკვე შევასრულე უკანასკნელი ღვთის მსახურება ამ წმიდა სავანეში. არა დიდხანს, მხოლოს 11 თთვეს ვმსახურებდი თქვენ შორის, გარნა ამ მცირე ხანშიაც

შეგეთვისეთ და მოვიპოვე ყურადღება და შეწყნარება ერთთა, ნდობა და ერთგული სიყვარული მეორეთა.

ვმადლობ ღვთის განგებასა, რომ მაღირსა მსახურება თქვენ შორისაც. ღვთის–მსახურების დროს ტაძარსა ამას შინა დიდად მანუგეშებდა თქვენი მოწიწება და გულ–მხურვალე ლოცვა. მანუგეშებდა თქვენი ჩემდამი პატივისცემა და არავის თქვენგანს გული არ უტკენია ჩემთვის. აწ უზენაესის განგებით მოწოდებული სხვა კათედრის დასაჭერადა გმადლობთ ყველას ჩემდა პატივის–ცემით მოპყრობისათვის. ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა გადაგიხდით ერთი ათასად იმ კეთილისა–თვის, რომელიც მე თქვენ მომაგეთ.

გტოვებთ ახლა და გულწრფელად ვისურვებ თქვენთვის ყოველს სიკეთეს, მამანო, დანო და ძმანო! განმიტევეთ მეცა მშვიდობით და სიყვარულმან თქვენმან უგულებელ–ჰყოს ნაკლულევანება ჩემი. მომიტევეთ, თუ ვისმე თქვენგანს არა–განზრახ ვაწყევინე სიტყვით ანუ საქმით.

დედამან ღვთისამან, გულსმოდგინე მეოხმან ყველა ქრისტიანესამან, ნიშნად თვისის განსაცვიფრებელის მფარველობისა ხერსონის სამწყსოს მიმართ, კეთილ ინება და მოგანიჭათ თვისი საკვირველ–მომქმედი (კასპერის) ხატი, რომელიც ჰგიებს აწ ტაძარსა ამას შინა. მან დაგიფაროთ ლოცვითა თვისითა წინაშე ძისა თვისისასა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა; თქვენცა და ქალაქიცა ესე, დაგიფაროთ ყოველის ბოროტისაგან პატიოსანითა საფარველითა თვისითა.

გთხოვთ, ნუ დამივიწყებთ მეცა ლოცვათა შინა თქვენთა შემდგომად განსვლისა ჩემისა აქედგან და მეც გამუდმებით ლოცვასა ვყოფ თქვენთვის. მადლი და მშვიდობა ღვთისა, მამისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, იყავნ თქვენთანა, ამინ.

–

ივერია - 1904. – N140. – 17 ივნისი. - გვ.2.

სიტყვა

თქმული ყოვლად–სამღვდელო კირიონის, ორიოლისა და სევის ეპისკოპოზის მიერ ახალ სამწყსოს მიმართ ორიოლის საკათედრო ტაძარში

უფლისა აღთქმის აღსრულებითა (მათე: 10,12) და სიტყვისა ღვთისა პირველ მაუწყებელთა მაგალითის მიბაძვითა, მოგიძღვნით სალამს, სასურველნო, ამა საღვთო ადგილიდან. მშვიდობა ქრისტესი და კურთხევა ღვთისა ღვთივ–დაცულ სამწყსოსა ამას, მწყემსთა, მწყემსილთა და ქალაქსა ამას.

კურთხევითა ღვთისათა და სახელითა უფლისათა მოვდივარ თქვენდა, ვითა თქვენ მიერ უცნობი, მდაბალი მწირი, მოვდივარ ნაკლებად ცნობილ ქვეყანას. გარნა მოვდივარ აღფრთოვანებული მხურვალე სურვილით და აღსავსე მშვიდობითა და სიყვარულით, რათა ვემსახურო ღვთივ ჩემდა ჩაბარებულ სამწყსოს, აღვასრულო დიდი და წმინდა საქმე სამწყემს–მთავრო მსახურებისა.

არა საკუთარის წყურვილებით, არა პირადის სარგებლობის გულისათვის გავჩნდი თქვენს შორის. არ მიძებნია ეს ადგილი, გარნა ზეციერმა მწყემს–მთავარმა, რომელი მიჰმართავს ფერხთა კაცთასა, თვისის გამოუთქმელის მოწყალებითა, დამდო მე ვალად მსახურება თქვენ შორის.

ბევრი, ძალიან ბევრი კარგი გამიგონია ჯერ ისევ შორს მყოფს აქაურ უძველეს ძირითად რუსთა სამწყსოსი თქვენის ქვეყნის ძეთაგან, იმათგან, ვინც სახელითა და დიდებით იღწვის სახელმწიფო სამსახურის უმაღლეს ასპარეზზედ. ხოლო მოვედ აქ და სულით ვხარობ, რომ ვხედავ სამშობლო ეკკლესიის აღთქმათა ერთგულ ძეთ.

შიში და კრძალვა ისადგურებს ჩემს გულში, როცა მომაგონდება წინამდებარე ღვაწლი ყოვლად მძიმე და ყოვლად პასუხ–საგებელის მსახურებისა. ჩემზედ ბევრად ძლიერთ სულითა და ღონით უგრძვნიათ უძლურება სამწყემს–მთავრო მსახურების სიმძიმის წინაშე. ვამყარებ–რა ყოველს სასოებას ღვთისა შეწევნაზედა, თქვენს გულ–კეთილობასა და შემწყნარებლობაზედა, ვეცდები გზა–გადაუხვევლად მივსდიო ჩემთა წინა–მოადგილეთა მაღალსა და საგულისხმიერო მოღვაწეობასა. ვიმედოვნებ, რომ მწყემსნი ეკკლესიისანი, რომელთაც შეგნებული აქვთ თვისი დიდი მოვალეობა და უწყიან, რომ მათ უნდა მისცენ მაგალითი ერს ქრისტეს მიერ ცხოვრებისა, იქმნებიან ჩემნი კეთილნი თანაშემწენი და თანამოსაგრენი.

გთხოვთ, მიმიღოთ და შემიწყნაროთ თქვენც მშვიდობითა და სიყვარულითა. თვით უფალმა მშვიდობისამ მოგანიჭოთ თქვენ მშვიდობა და კურთხევა ღვთისა ჰგიებდეს თქვენ ზედა, მართლ–მადიდებლის ეკკლესიის ერთგულ ძეთა ზედა და სახელოვან თქვენს ქვეყანაზედა მარად და უკუნითი–უკუნისამდე. ამინ.

–

ივერია - 1904. – N164. – 16 ივლისი. - გვ.2-3.

ახალი ამბავი: – ტფილისი. – უმაღლესის მთავრობის ნება–დართვით, ყოვლად–სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა 15 ივლისიდან მოემგზავრება კავკასიაში წყლებზედ სამკურნალოდ ერთის თვის ვადით; მარიამობისთვის პირველ რიცხვებში ჩვენს დედა ქალაქში დაათვალიერებს საქართველოს სამღვდელოების საეკკლესიო და წერა–კითხვის საზოგადოების მუზეუმებს, რომლებშიაც გადასინჯავს ზოგიერთ ხელთ–ნაწერებს საჭირო მასალის ამოსაკრებად.

–

რუსეთი

ბრიანსკი. (ორიოლის გუბერნია, საკუთ. კორესპონდენტისაგან). თიბათვის 22–ს ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა, გაემგზავრა ბრიანსკის მაზრის სარევიზიოდ. ხალხი და სამღვდელოება რკინის გზის სადგურებ–ზედ ყველგან ეგებებოდნენ დიდ ძალი. ბრიანსკის რკინის გზის სადგურზედ დაუხვდა ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქალაქის თავი პურ–მარილით. ქალაქის

თავმა და ადგილობრივმა დეკანოზმა სიტყვებით მიჰმართეს ყოვლად სამღვდელოს, რომელმაც თავის მხრით მადლობა გარდაუხადა. ეკკლესიები ხალხით გაჭედილი იყო. დაათვალიერა ეკკლესიები და დედათა მონასტერი და ზოგგან შესაფერის სიტყვით მიჰმართა ერს. იმ დღეს დაწვრილებით გასინჯა შესანიშნავი სვენის მონასტერი თვისის სიძველეებით და მეორე დღეს გაემართა ბრიანსკის ქარხნების დასათვალიერებლად. გზაზედ ქარხნების ადმინისტრაციამ სალამი უძღვნა ეპისკოპოსს კირიონს, რომელმაც ადგილობრივი ბეჟიჩის ეკკლესიები დაათვალიერა და დალოცა აუარებელი ხალხი. ამ ქარხნებში არის 8000 მუშამდე. თვით ბეჟიჩი კოპწია ქალაქია, რომელსაც აქვს მშვენიერი სახელოსნო ტექნიკური სკოლა და საავადმყოფო. ქარხნებს ამუშავებენ და ანათებენ ელექტრონის ძალით. ამ ქარხნების გასასინჯად აპირობენ წამოსვლას ტფილისის სახელოსნო სკოლის მოწაფენი. მართლაც, აქ ბევრი რამ არის შესანიშნავი და საგულისხმიერო. ყოვლად სამღვდელომ დაწვრილებით გასინჯა თითქმის ყველა ადგილობრივი დაწესებულებანი. ქარხნების გამგებელი გაუმასპინძლდა ყოვლად უსამღვდელოესს ეპისკოპოსს კირიონს მშვენიერის სადილით. გამგებელმა გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა ეპისკოპოსს კირიონს და წარმოსთქვა მისი სადღეგრძელო. მოულოდნელად გაისმა მშვენიერი ქართული მრავალ–ჟამიერი, რომელიც გვერდზე ოთახში სთქვა ქალთა და ვაჟთა გუნდმა. შემდეგ გუნდმა იმღერა: „ღმერთმა ინებოს“ და „მადლობელი ვარ.“ ყოვლად სამღვდელომ მოიხსენია–რა ფრიად დიდი ღვაწლი ადმინისტრაციისა, კარგი მოწყობილება ქარხნებისა, სასწავლებლისა, საავადმყოფოსი და სხვათა, ადღეგრძელა გამგე ქარხნებისა და ისურვა მათის რთულის საქმის წარმატება. ამ სადღეგრძელოსაც მოჰყვა ქართული ხმა–შეწყობილი მრავალ–ჟამიერი, სხვა კილოები. იგალობეს აგრეთვე მესამე კილოს ქართული მრავალ–ჟამიერი; დამსწრეთ ძალიან მოეწონათ მელოდიური ქართული სუფრაზედ სათქმელი მრავალ–ჟამიერი. ბევრმა მათგანმა არც–კი იცოდა, რომ ესეთის მშვენიერის კილოების მრავალ–ჟამიერი არის საქართველოში. უნდა ავღნიშნოთ, რომ ყველგან სცდილობენ ყოვლად სამღვდელო კირიონის სიამოვნებას და ამისთანა შორ გუბერნიაშიაც–კი ქართულს მრავალ–ჟამიერით ეგებება მათ მეუფებას ხალხი.

მღვდელ–მონაზონი ტარასი.

ივერია - 1904. – N178. – 3 აგვისტო. - გვ.2.

ახალი ამბავი: ტფილისი - გუშინ, 2 აგვისტოს, ნაშუადღევს ტფილისში ჩამობრძანდა ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი არიოლისა და ჩამოხტა „სევერნი ნომრებში.“ მისი მეუფება დარჩება ტფილისში ორს დღესა და შემდეგ გაემგზავრება სამშობლო სოფელ ნიქოზს, ქართლში.

ივერია - 1904. – N179. – 4 აგვისტო. – გვ.2–3.

წერილი

რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ 174–ე ნომერში დაბეჭდილია წერილი გელათის გაძარცვის შესახებ ვიღაცა ს. კ–ძესი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ მკიცხავს და რაღაცა სამდურავებს მდებს. საჭიროა სიმართლის გამოქვეყნება. ამისთვის, იმედია, არ დამიჭერთ ალაგს თქვენ გაზეთის უმახლობელეს ნომერში საპასუხო წერილისთვის.

ს. კ–ძე სხვათა შორის ამბობს: „თურმე ახალის განკარგულებით სიძველეთ მხოლოდ იმათ უჩვენებენ, ვისაც ნებართვა ექნება აღებული. დიახ, კარგი და მოსაწონი, თუმცა დაგვიანებული, განკარგულება უნებებიათ. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, სწორეთ ამაზეა ნათქვამი. მაგრამ არ შემიძლია აქ არ აღვნიშნო ერთი კონტრასტი: უწინ ყველას, ვინ იცის, საიდან მოსულს ბიჭ–ბუჭებსაც კი უჩვენებდნენ მონასტრის სიმდიდრეს, ახლა კი შორიდან მოსული სტუმარი ხახა–მშრალი გაუშვეს!!! – მოყვანილი სიტყვები თავიდამ ბოლომდე სრული სიცრუე და უტიფრობაა. პირველსავე მისვლაზე გელათის მონასტერში ბეჯითად უბძანე, ვისდამიც ჯერ არს, რომ ჩემ ნება დაურთველად ძველი ნაშთები სალაროში არავისთვის არ ეჩვენებიათ და ვისაც ჩემი ნებართვა ექნებოდა, იმათთვისაც მხოლოდ უნდა დაენახვებინათ შუშის შკაფში დაწყობილი ნივთები, შკაფის გაღება სასტიკად ჰქონდათ აღკრძალული. ეს განკარგულება ჯეროვანადაც სრულდებოდა: ჩემი ბარათის მიღების შემდეგ გაუღეს სალარო: ყოვლად სამღვდელო კირიონს, კნეინა მაჩაბლისას, კნეინა წერეთლისას, ეს გარემოება უნდა მოეხსენებოდეს, თუ მეხსიერება არა მღალატობს, დიდად პატივცემულს თავად აკაკი წერეთელს, ბატონს ალ. ხახანაშვილს, უმაღლესის სასახლის ხუროთმოძღვარს სვინინს, ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მხატვრობის მასწავლებელს კრასნუხას და სხვებსაც მრავალთა, რომლების სახელების ჩამოთვლა, რასაკვირველია, არ შემიძლია. ამ მოკლე დროში დაათვალიერეს გელათის სალარო, სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ და მღვდელმა პ. კარბელაშვილმა და მათ შესახებაც წინდა წინ სიტყვიერად მქონდა ნათქვამი ბერებისათვის, რომ ყველაფერი ეჩვენებიათ. შესაძლოა ხანდისხან არღვევდნენ ამ განკარგულებას, მაგრამ, აქედან ვგონებ, ის დასკვნა არ გამოდის, რომ მხოლოდ ურმის გადაბრუნების შემდეგ დამენახოს გზა და დაგვიანებული განკარგულება მომეხდინოს. რა წესები იყო ჩემამდე, ყველას უჩვენებდნენ თუ არა ძველ ნივთებს, ამისი მე არა ვიცი რა და არც ვსაჭიროებ გაგებას. აი ნამდვილი გარემოება საქმისა და ვერ გამიგია, რა მოსაზრებით მიუმართავს ს. კ–ძეს სიცრუისთვის და რათ შეუწუხებია თავი ჩემთვის გაკვეთილის მოცემით რაღაცა კონტრასტის შესახებ! „საგონებელი იყო, ბრძანებს კიდევ ს. კ–ძე, რომ ამ უბედურების შემდეგ მაინც ისწავლიდნენ ჭკუას ისინი, ვისაც ამ მონასტრის ბედი აბარიათ და

დარაჯებს დააყენებდნენ, მაგრამ ვინ არის პატრონი? მონასტერი ისევ ღვთის ანაბარადაა დაგდებული!!! რჩევისათვის, რომ ჭკუა ვისწავლო, გულწრფელად ვმადლობ დარბაისელ დამრიგებელს, მაგრამ კიდევ იძულებული ვარ გავიმეორო, რომ მოყვანილი სიტყვებიც სიცრუის მხრით ახასიათებენ ს. კ–ძეს. კორესპონდენტს შეუძლია მიბრძანდეს ქუთაისის გუბერნატორთან და მისგან პირადად გაიგოს, როდის და რა ზომები იყო ჩემის მხრით მიღებული, რომ გელათის მონასტერს მისცემოდა უკლებლივი დარაჯი და რითი დათავდა დღეს ეს ჩემი თხოვნა–მეცადინეობა. თუ პატრონობა არ გამიწევია მონასტრისათვის, გუბერნატორი ხელს არ დამაფარებს და მაშინ ს. კ–ძემაც ჯვარს მაცვას! ვისაც გელათის მონასტრის დღევანდელი გარემოება კარგათ აქვს შესწავლილი, იმისათვის სრულებით ცხადი და აშკარაა, რომ ამ მონასტერს არას გზით არ შეეძლო, არ შეუძლია და, თუ იგივე პირობები დარჩა, არც მომავალში შეეძლება, ნამეტანი სიღარიბის გამო, იყოლიოს დღისით და ღამით ყარაულები. მართალია, ს. კ–ძე ბრძანებს: „იმდენი სიმდიდრის პატრონს მონასტერს ერთი ხეირიანი ებგური არ ჰყავდა დღისითო.“ მაგრამ, ალბად, სიმდიდრედ ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს ძველს ძვირფას ნივთებს და ამ ნივთებს თუმნიანი ოქროები ხომ არ ჰსცვიოდათ, რომ მონასტერს ამითი დაეჭირა ებგური და სხვა საღსარი კი, როგორც მოგახსენეთ, მონასტერს არ მოეპოება.

ს. კ–ძეს საუმჯობესოდ მიაჩნია ძველი ნივთების წაღება მუზეუმებში. ბატონი ბრძანდებით, წაიღეთ, მაგრამ იქ კი სიმთელით იქნებიან დაცულნი? მოგახსენებთ – არა და ამისი მტკიცე საბუთიც ხელთ მიჭირავს.

აღნუსხავს რა დაკარგულ ნივთებს, ს. კ–ძე სწერს: „წაღებული აქვთ სამი თეფში (ერთი მათგანი ბარძიმია 2 $^1/_4$ გირვანქა სულ წმიდა ოქრო იყო, ძვირფასი ქვებით მორთული.“)

ს. კ–ძეს წარმოდგენით, თეფში და ბარძიმი ერთი და იგივეა. ვაი ჩვენ უბედურობას და სარწმუნოებრივ სიბნელეს! კაცი, რომელიც ინტელიგენტისა და ქრისტიანის სახელს ატარებს, იმდენად უვიცია სარწმუნოებისა და გულ გარეცხილი ეკკლესიურ ცხოვრებაზე, რომ ვერ გაურჩევია ერთი მეორისაგან თეფში და ბარძიმი! აი სატირალი და საგოდებელი, ეს სარწმუნოებრივი გაველურებაა, რადგანაც ამან, მხოლოდ ამ სარწმუნოებრივის გრძნობის უქონლობამ გახადა შესაძლოდ გელათის სიწმინდავეთა შეგინება და არა უებგურობამ! მერწმუნეთ ასეა, ბატონო ს. კ–ძე!

ეპისკოპოსი იმერეთისა ლეონიდი.

ივერია - 1904. – N210. – 11 სექტემბერი. – გვ.2.

ახალი ამბავი: ტფილისი – „Орлов. Епарх. Ведом.“–ში დაბეჭდილია წერილი ყოვლად სამღვდელო ორიოლისა და სევის ეპისკოპოსის კირიონის კავკასიაში მოგზაურობის შესახებ.

ივერია - 1904. – N213. – 16 სექტემბერი. – გვ.2–3.

რუსეთი

(ქართველნი მოწაფენი ორიოლის სემინარიაში)

ქუთაისში სემინარიის გაუქმების შემდეგ რუსეთის სემინარიებს მოაწყდა ქართველობა. მობრძანებისათანავე ახალ ეპარქიაში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოს–მა კირიონმა წინადადება მისცა სემინარიის მთავრობას, ხელ მეორედ გადაესინჯათ საქმე მისაღებ ეგზამენებისა. თანახმად განსვენებულ ირინეი ეპისკოპოსის აზრისა, სემინარიაში შესასვლელად სამ საგანში იყო დანიშნული გამოცდა სასულიერო სასწავლებლების კურს–დასრულებულთათვის. ყოვლად–სამღვდელო კირიონმა სცნო შესაძლებლად სემინარიაში მისაღები ეგზამენები გაეუქმებინა; ამ ნაირად მარიამობისთვის მიწურულებში უეგზამენოდ მიიღეს სემინარიაში ის კურს–დამთავრებულ სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი, რომელნიც საიმედოთ იყვნენ ცნობილნი თავიანთ მთავრობისაგან. ამ ნაირად ახალ სამოსწავლო წელს იმატა შეგირდების რიცხვმა და ყოვლად სამღვდელო კირიონის ლოცვა–კურთხევით დაარსდა მეორე პარალელი კლასი პირველ კლასთან და ეხლა სემინარიაში არის სამი პირველი კლასი. მოწაფეთა რიცხვი ავიდა 500 შეგირდამდე.

აქაურ სემინარიაში შესასვლელად 11 მოწაფე მოვიდა საქართველოდგან. ამათში მარტო 4 მოწაფეა სასულიერო წოდებისა და ეს გარემოება ძალიან აბრკოლებდა მათ მიღების საქმეს, რადგან საერო წოდების მოწაფეთათვის მხოლოდ ათი პროცენტია დანიშნული მისაღებად, მაგრამ სიძნელე იძლია და ხუთია მიღებული, დანარჩენებს ჯერ გამოცდა არ გასთავებიათ. ტფილისის სემინარიის ერთი სტუდენტი ონიაშვილი თხოულობდა ლათინურ ენაში ეგზამენის დაჭერას, რადგანაც უამისოდ არ მიიღებდნენ უნივერსიტეტში. როგორც იყო, საქმე გაუჩარხდა, ეგზამენი დაიჭირა და მხიარულად გაემგზავრა იურიევის უნივერსიტეტში შესასვლელად.

მღვდელ–მონაზონი ტარასი.

ივერია - 1904. – N248. – 30 ოქტომბერი. – გვ.3.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ოკდომბერი

ორიოლი. მღვდელ–მთავრის თაოსნობით, სასულიერო წოდების ხარჯზე არსდება სამკურნალო თავშესაფარი 250 საწოლით დაჭრილთა და ავადმყოფ მხედართათვის.

ივერია - 1904. – N249. – 31 ოქტომბერი. – გვ.2.

საქართველო

სოფელი ზემო–ნიქოზი. (ქართლი)

დავალიანება. – სკოლა. – ძველი ტაძარი.

გარეგნობით ჩვენი სოფელი კოხტაა, ქვითკირის სახლებით სავსეა, მაგრამ შიგ რომ შეხვალთ, სულ სხვა სურათს დაინახავთ; ქუჩები მინგრეულ–მონგრეული დაოღრო–ჩოღროებული და სანიტარიას ხომ ნუღარ იტყვით? ყველა სახლის წინ თითო ზვინია საქონლის პატივისა. არც ხალხია აქ მდიდარი. ყველას ცხინვალელ ურიის (ცხინვალი სამის ვერსის სიშორეზეა) ან სომხის ვალი უნდა ემართოს და, დიოგენის ფანრითაც რომ მოსძებნოთ, აქ უვალო გლეხს ვერ იპოვნით. უკანასკნელი ათი თუმანი უნდა ემართოს მაინც; ოთხმოც–სამოც თუმნიანი მოვალეებიც ხშიარია აქ.

ჩვენის დაქვეითების წამლად სკოლა უნდა გამხდარიყო, მაგრამ რად არის ან ისეთი სკოლა, მართლა ნაყოფიერი იყოს და სარგებლობა მოჰქონდეს, ან ისეთი მასწავლებელი, რომ სოფლის ხელმძღვანელად გამოდგებოდეს. „იფრინ–ტერეფიჩებს“ სად შეუძლიანთ განიმსჭვალონ იმ სურვილით, რომელიც უკვდავ ბარათაშვილს აქვს გამოთქმული თავის ლექსში: ... „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს.“

ცოტა რამ ჩვენს ტაძარზედაც უნდა ვთქვათ. როგორც მოგეხსენებათ, აქ ვახტანგ გორგასლანის მიერ აშენებული ტაძარია (შიგ მარხია პირველ მოწამე რაჟდენი). ამ რამდენიმე წლის წინად ეს ტაძარი ყოვლად–სამღვდელო კირიონის და აწ განსვენე–ბულ ი. დ. სულხანიშვილის თაოსნობით შეკეთებულ იქმნა. მაინც დღეს სახურავი ვერ არის მტკიცე, წვეთი ჩამოდის. ამიტომ კიდევ აპირებდა ხელ–ახლა შეკეთებას სულხანიშვილი, მაგრამ სიკვდილმა მოუსწრაფა სიცოცხლე და გამოასალმა ქვეყანას. დღეს ამ ტაძარს გულშემატკივარი, გარდა აქაურის მოძღვრისა, არავინა ჰყავს. მოძღვარმა მამა ალ. კ–ძემ რამდენჯერმე შეჰკრიბა გლეხები, გასწერა ფული, მაგრამ რადგანაც ზურგი არავინ მიჰყუდა, საქმე ისევ ისე დარჩა.

რას უყურებენ თავადნი ფავლენიშვილნი? ეს ტაძარი ხომ იმათ მამა–პაპის სამარხია და დასაკრძალავი ადგილია? როგორც ვიცით, თითო–ოროლა შეძლებულ–ნიც მოიპოვებიან მათ შორის. მაშ, დაიხსნან, დარღვევისაგან ეს დიდებული ნაშთი.

ნელი.

ივერია - 1904. – N283. – 11 დეკემბერი. - გვ.2-3.

რუსეთი

–

პეტერბურგი

საქართველოს ეკკლესიის კათედრა. ყოვლად–სამღვდელო კირიონის წყალობა. აკადემიის რექტორი.

როგორც მკითხველბმა უწყიან, პეტრებურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა საქართველოს ეკკლესიის ისტორიის კათედრა ბიზანტიის ისტორიასთან ერთად და პროფესსორად დაინიშნა დოქტორი საეკკლესიო ისტორიისა ი. ი. სოკოლოვი. ბატონი სოკოლოვი წელს კითხულობს ლექციებს ბიზანტიის საეკკლესიო ისტორიისას, ხოლო მომავალ წლიდგან დაიწყებს ლექციების კითხვას საქართველოს ეკკლესიის შესახებ; ამ ლექციებისათვის ახლავე ემზადება პროფესორი, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესასწავლი სახელმძღვანელო წიგნები დღემდის ძლიერ ცოტა იყო პეტერბურგის აკადემიის ბიბლიოთეკაში; დღეს კი ამ მხრივ, შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, ჩვენის აკადემიის ბიბლიოთეკა მდიდარია ყოვლად სამღვდელო კირიონის გულ–უხვობის წყალობით. ყოვლად სამღვდელო კირიონმა წელს მაისში, როცა პეტერბურგში ბრძანდებოდა, დაათვალიერა ჩვენის აკადემიის ბიბლიოთეკა და მიაქცია დიდი ყურადღება ქართულ წიგნებს, რომელიც ძლიერ ცოტა ჰპოვა. მათმა მეუფებამ შეავსო ეხლა ნაკლულევანება ჩვენის ბიბლიოთეკისა. – შემოსწირა აკადემიას 67 ქართული ისტორიული და სალიტერატურო გამოცემანი და 27 ცალი ამნაირივე გამოცემანი რუსულ ენაზედ.

რექტორი აკადემიისა, ყოვლად–სამღვდელო სერგი, რომელიც თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად, ფრანგულად, ნემენცურად, იაპონურად და ბერძნულად, შეუდგა ქართულის ენის შესწავლას იმ აზრით, რომ გაიცნოს ჩვენის ეკკლესიის ისტორია.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტი მღვდ. ალ. გიორგაძე.

ივერია – 1905. – N19. – 9 თებერვალი. – გვ.3.

სიმართლე მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ოქონის ხატის შესახებ

1888 წელს, ივლისის მიწურულებში მე და ძვირფასი ბიძაჩემი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ვიყავით მოსკოვში. ბიძაჩემმა გაიხსენა, რომ მოსკოვში სახლობს ქართველთ ბატონიშვილების ჩამომავალი და უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ქვრივი გრაფინია ტოლსტაია, რომელსაც ჩემს ახალგაზრდობაში ვიცნობდი და ვგონებ, ახლაც სასიამოვნოდ დარჩეს ქართველ მღვდელთ-მთავრის

ნახვაო. გადავწყვიტეთ მასთან სადარბაზოდ მისვლა. ქალბატონმა ტოლსტაიამ დიდის აღტაცებით მიგვიღო და მთელი დღე თავისთან დაგვტოვა. რადგანაც ტოლსტაია ღრმა მოხუცებულობისა გამო ვეღარ დაიარებოდა და სავარძლით მოძრაობა დიდად დაღალავდა, მან უბრძანა დაახლოვებულ პირს ეჩვენებინა ჩვენთვის კარის ეკკლესია და მისი სამკაულ-განძეულობა. ეკკლესიის სამკაულთა უძვირფასეს ნაწილს შეადგენდნენ ქართველთა სიწმინდენი მხედრულისა და ხუცურის წარწერებით. გვიამბეს, რომ ძვირფასი სასახლე, დიდებული ბაღი და ეკკლესია მთელის მოწყობილობით გრაფინიას სიკვდილის შემდეგ მისის ანდერძით მოსკოვის სამღვდელოების საკუთრებად შეიქნებაო. გული ჩაგვწყდა, მწარე დარდმა მოგვიცვა, ვიფიქრეთ, ასე გვეკარგება და ხელიდან გვეცლება მამა-პაპათაგან შენაძენიო, მაგრამ რა ჩარა იყო, რომ არ გავჩუმებულიყავით დაისევ გულში არ ჩაგვეკლა მწარე დარდი!

ჩვენი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით ოქონის ხატმა. ვთხოვეთ ეს ხატი გამოეტანათ ეკკლესიიდან სადარბაზო ოთახში. აქ გრაფინიას ავუხსენით - ეს ხატი იმითია ძვირფასი და საყურადღებო, რომ როგორც მის მორთულობას ეტყობა, იგი სალაშქრო ხატია, მას იკეთებდნენ მკერდზე მღვდელთ-მთავრები და მიუძღოდნენ მხედრობას, მითი ლოცავდნენ და ამხნევებდნენ სარწმუნოებისა და მამულისათვის თავდადებულებს. დიდის თხოვნითა და ვედრებით შევეხვეწეთ, - ამ ძვირფას განძს ნუ დაუკარგავთ საქართველოს, თქვენდა სასახელოდ, თქვენ წინაპართა სულის საოხად ამოდენა სიწმინდეთაგან ეს ერთი ხატი მაინც დაუბრუნეთ ქართველთ ეკკლესიასო. გასჭრა მუდარებამ, დაგვთანხმდა გრაფინია და ბრძანა: „მომეცემა თუ არა შემთხვევა, ამ თქვენ მიერ გამორჩეულ ხატს გამოვგზავნი ჩემის სახელის სამუდამოდ მოსახსენებლად მცხეთის დედათა მონასტერში დასაცავადო.“ ფრიადი მადლობა შევწირეთ კეთილ ბატონიშვილს და გახარებულნი დავბრუნდით მოსკოვიდან ტფილისში.

იმ ხანებში აწ განსვენებული იღუმენია ნინო ემზადებოდა მოსკოვში წასვლას იოანნიკე მიტროპოლიტის სანახავად. ამ მიტროპოლიტმა დაუტოვა იღუმელია ნინოს ხუთასი თუმანი სამთავროს მონასტრის გალავანში წმიდა ნინოს ძველ სამლოცველოსთან ახალი ეკკლესიის ასაშენებლად. იღუმენიამ აღნიშნული ფული მთლად დაახარჯა ეკკლესიის შენობას, მაგრამ შენობის მოთავებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა. იღუმენიამ იფიქრა - მოსკოვში წავალ, იოანნიკე მიტროპოლიტს ვნახავ, წარვუდგენ ანგარიშს მის მიერ ნაწყალობებ ფულისას, გავაცნობ შენობის გეგმას, ავუხსნი მონასტრის უღონობას და გამოვთხოვ ლოცვა-კურთხევას ამ საჭიროებისა-თვის მოსკოვში ფულის შესაკრებად.

რა თქმა უნდა, ბიძაჩემმა და მე დაწვრილებით ვუამბეთ დედა იღუმენია ნინოს ყველაფერი შესახებ ტოლსტაიას დაპირებისა და დავავალეთ, თვითონაც ცდილიყო ხსენებულ ხატის შეძენას. დაბრუნდა თავის დროზე იღუმენია ნინო მოსკოვიდან და ჩვენდა გასახარებლად, თან ჩამოიტანა ოქონის ხატი. მე, როგორც მონასტერთა კეთილმოწესემ (ბლაღოჩინმა), ვნახე თუ არა პირველად, რომ აღნიშნული ოქონის ხატი ესვენა იღუმენიას საცხოვრებელ ოთახში და არა ეკკლესიაში, ვთხოვე იღუმენიას, ხატი დაესვენებინა უეჭველად ეკკლესიაში, მაგრამ მან მიბრძანა: -

აზრადა მაქვს ეს ხატი დავასვენო ახალ ეკკლესიაში და მის კურთხევამდე ნუ გადამატანინებ ძველ ეკკლესიაშიო. შემდეგში მე იმერეთში წამოვედი და იმ ხატისთვის თვალი აღარ მიდევნებია.

აი, შეურყეველი ჭეშმარიტება ოქონის ხატის შესახებ, აი ის, რაც ჩემის საკუთარის თვალით ვნახე, ჩემის ყურით მოვისმინე და ჩემის ენით გავარიგე, რაც არა ერთგზის მიამბნია სიტყვა-სიტყვით ჩემ მრავალ ნაცნობთათვის. მე არასოდეს გულშიაც არ გამიტარებია მეთხოვნოს განსვენებულის იღუმენიასთვის მამა პოლ. კარბელაშვილის მოციქულობით ოქონის ხატი გორის ოქონის ეკკლესიას დაუბრუნეთ-მეთქი; არ შემეძლო ამ აზრით მიმეგზავნა იგივე მამა პ. კარბელაშვილი ღრმად პატივცემულ ბატონ ნ. ალექსი-მესხიშვილთან და ცხადია, ნათქვამი ჩემს შესახებ ბატონ ნ. მესხიშვილის წერილში (იხილე „ივერია“ N14, თებერვლის 2-სა) შედეგია რაღაც უცნაურ და საეჭვო გარემოებისა. მართალია, ყოვლად სამღვდელო კირიონს სურდა ოქონის ხატი მიექცია გორის ოქონის ეკკლესიაში, მაგრამ ვერ დაითანხმა ამაზე იღუმენია და ვერ დაითანხმა იმის გამო, რომ იღუმენია ბრძანებდა - ტოლსტაიამ ეს ხატი დაუთმო მცხეთის დედათა მონასტერს და არა სხვა რომელსამე ეკკლესიასაო.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

ივერია – 1905. – N36. – 24 მარტი. - გვ.1.

ქართული ეკლესია

ამ დღეებში მივიღეთ ტფილისიდან წერილი, რომ ქართველთაგან ბატონ ვიტტეს სახელზე წარდგენილ პეტიციებს მოჰყვა ადგილობრივ სასულიერო უწყებისაგან ქართველების ზედმეტი შევიწროვებაო. მართალია, ეპისკოპოსი დიმიტრი, რომელიც არ სთანხმდებოდა იმას, რომ ელაპარაკნა ხალხთან ქართულად, უკვე წავიდა ფოთიდან ტფილისში, ვინაიდან ხალხის გამოსვლები მოედო მთელ გურიასა და სამეგრელოს... მაგრამ გურულებისა და მეგრელების მდგომარეობა ამის გამო არ გაუმჯობესდა არაფრით. ეპისკოპოს დიმიტრის მაგივრად იქ გაამწესეს დეკანოზი ტარასი ივანიცკი, ისეთი კაცი, რომელიც ყოველთვის აშკარად იჩენდა ქართველების სიძულვილს... ქართული ენის შევიწროვება იმდენად გაძლიერდა, რომ სოხუმისა და ფოთის ეპისკოპოსები ჰგზავნიან სლავიანურ საეკკლესიო წიგნებს სამეგრელოს, სვანეთისა და სამურზაყანოს ეკლესიებში და უკრძალავენ ქართულ წირვა–ლოცვას, რომელიც იქ მეოთხე საუკუნეს აქეთ მუდამ სწარმოებდა ქართულად.

16 თებერვალს გარდაიცვალა ქ. ტფილისში პირველი რუსი ვიკარი, ეპისკოპოსი ბენიამინე. ადრე რუსი ვიკარები არ ყოფილა ტფილისში. ექსარხოსმა მის ადგილას ისევე რუსი წარადგინა, – ტფილისის სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი ნიკანდრი, რომელიც ისეთის გულით ეკიდება ქართველობას, რომ 1901 წ. მხოლოდ 4 ქართველს დაასრულებინა სემინარია, მაშინ, როდესაც ამ გათავებულებში 16 რუსი ყოფილა. არ დაივიწყოთ, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ქართველი მილიონ–ნახევარზე მეტია და რუსი მხოლოდ 50.000. დიმიტრი ეპისკოპოსის

მაგივრად, რომელიც თხოულობს რუსეთში გადაყვანას, რომელმაც თავის „მოღვაწეობით“ ააღელვა მთელი გურია და სამეგრელო, ისევე რუსის გამწესებას აპირებენ.

რა მიზეზია, რომ სასულიერო უწყება სჯის ძველი დროის ქრისტიანე ქვეყანას, რომელიც ათი საუკუნის განმავლობაში აჩერებდა მაჰმადიანთა შემოსევას და რომელიც 1550 წელიწადია ქრისტიანობას ადგია? ქართველი ხალხი მოკლებული ხდება აღსარებას, მას აღარ შეუძლიან იაროს ეკკლესიაში, სადაც წირვა–ლოცვა მისთვის გაუგებარ ენაზე სწარმოებს. რუსეთში ყველგან აბრუნებენ ადმინისტრაციის წესით გადასახლებულ პირებს და ამავე დროს არ აბრუნებენ საქართველოში იმათ ვისაც შეუძლიან გაავრცელოს ხალხში ქრისტეს სარწმუნოება ხალხისავე ენაზე და ვინც არის გადასახლებული რუსეთში, პროტ. ი. ვოსტორგოვის წარდგენის თანახმად, იმ ვოსტორგოვის, რომლის ხელშია ამჟამად კავკასიაში ყველა საეკლესიო საქმის მართვა და გამგეობა. ქართველები ელიან იმ დროს, როდესაც მათ დაუბრუნებენ ეპისკოპოზს კირიონს, არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაიას), დავით კაჭახიძეს და სხვ., რომელთა ადგილას ახლა არიან რუსები, მოელიან იმ დროს, როდესაც ისევე გაიხსნება ქუთაისის სასულიერო სემინარია, რომელიც დაიხურა 1904 წელს და რომლიდანაც გამორიცხულია 65 ქართველი მოწაფე.

ახლა ხომ არავისთვის აღარ არის დამალული მიზეზი, რის გამოც დაიხურა ქუთაისის სემინარია. ამ სემინარიას ინახავდა იმერეთ–სამეგრელოს სამღვდელოება და რაკი იქ, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში ცხოვრობენ ქართველები, ამიტომ არც ერთი რუსი არ სწავლობდა პირველად სემინარიაში. გადასწყვიტეს ამ სემინარიის გარუსება და ამიტომ დაიწყეს აქეთკენ სხვა სემინარიებიდან რუს სემინარიელების გადაყვანა და გადმოყავდათ უმთავრესად ისეთი მოწაფეები, რომელთაც სხვა სემინარიებში სწავლაში ან ყოფა–ქცევაში ცუდი ნიშანი ჰქონიათ. და აი, ასეთი მოწაფეები უნდა შეენახა თავის ფულით ადგილობრივ სამღვდელოებას. ეს იყო მამა ვოსტორგოვის აზრი, რომელიც არა ერთხელ გაუგზავნია ექსარხოსს პეტერბურგში სხვადასხვა უფლებების მოსაპოვებლად. დღეს მამა ვოსტორგოვი საქართველოს საექზარხოსო სასწავლებელთა უმთავრესი ზედამხედველია და ამიტომ მას ექვემდებარებიან სწავლა–განათლების საქმეში საქართველოს ეპისკოპოსები. ამას გარდა, იგივე მამა ვოსტორგოვი სინოდალურ კანტორის წევრია, ადგილობრივ სასულიერო ჟურნალის რედაქტორი, სამღვდელოების წარმომადგენელი ტფილისის საბჭოში და... მთავარმართებლის საბჭოს წევრიც, იგივე მამა ვოსტორგოვი თავად გოლიცინის ერთ–ერთი უმთავრესი მრჩეველი იყო კავკასიის გადაგვარების საქმეში.

ქუთაისის სემინარიის რუსი მოწაფეები წარმოადგენდნენ ცალკე ჯგუფს, რომელიც ემტერებოდა ქართველებს, რომელსაც მფარველობდა სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სილვესტრი და მასზედ უფრო ინსპექტორი ა. როჟდენსტვენსკი და ყველა რუსი მასწავლებელი. ესენი შეურაცხყოფას აყენებდნენ ქართველებს, ადიდებდნენ „რუსულ“ ღმერთს, რომელმაც აირჩია რუსის ხალხი მართლ–მადიდებლობის გასავრცელებლად კავკასიაში.

ზოგიერთ შეურაცხყოფილ ქართველს არა ერთხელ უჩივლია რექტორთან, მაგრამ ამის პასუხად თვით ისენივე გამორიცხეს სემინარიიდან. ჯერ დამტკიცებული

არ არის, ვინ იყო სემინარიის ეკლესიაში უწესობის ჩამდენი, ვინ გადააგდო იატაკზე რუსული სახარება, – მაგრამ ის კი არის დამტკიცებული და ყველასათვის ცხადი, რომ ქართველების ამაღელვებელი სულ სხვა ვინმე იყო...

ქართველები გამორიცხეს და რუსები გადაიყვანეს სხვა სემინარიებში. ამ დღეებში „ნოვოე ვრემია“ და „მოსკოვის უწყებები“ ატყობინებდნენ საზოგადოებას, ვითომც ტფილისში გიმნაზიის ქართველ მოწაფეებს გაელახოთ მღვდელი და მოეთხოვოთ მისგან „ახალი ღმერთი.“ მართალია! მაგრამ „ახალი ღმერთი“ კი არა, „ქართული“ ღმერთი უნდათ, – მართლაც, რად უნდა შევუშალოთ ხელი ქართველებ–ში საკუთარ კათალიკოსის არსებობას, ქართველ ეპისკოპოსებისა და მღვდლების გამწესებას, რად უნდა შევუშალოთ დედაენაზე ლოცვა, ქართველ მღვდელთან აღსარების თქმა? ბევრი ბოღმაა ქართველის გულში... ნუ თუ საფიქრებელია, რომ ყოველთვის აიტანს ქართველი ერი თავისს დამცირებას, ეკლესიის და ენის შევიწროებას? სასულიერო მთავრობამ უნდა მოიშოროს საქართველოს, იმერეთს, სამეგრელოს, გურიასა და აფხაზეთს ისინი, ვინც იწვევს მტრობას და განხეთქილებას ქართველებთან.

ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ქართველების უკამყოფილება უკიდურესობამდე მივიდეს... სასულიერო მთავრობა საშიშ გზას ადგია! ახლა დრო არ არის იმ ხალხის გადამტერებისა, რომელიც მუდამ ერთგულად იყო და ეხლაც რუსეთის გულისთვის სისხლს ღვრის მანჯურიაში! რაც შეიძლება, მალე უნდა გამოიცვალოს ყველა სასულიერო პირი, რომელიც სთესავს მტრობას საქართველოში, ამითი შეიძლება ქართველების დამშვიდება.

ქართული ენა არ არის „ძაღლის ენა,“ მათი გალობა არა ჰგავს „მგლის ყმუილს,“ როგორც აცხადებენ ზოგიერთები 1893 წ. დაწყებული. ეს ენა „ღვთისაგან მოცემული ენაა, რომელზედაც ადიდებდნენ უფალს ქართველი წმინდა მოწამენი,“ – აი, ასეთი პასუხი გასცა ტფილისის სემინარიის 87 ქართველმა მოწაფემ რუსის ექსარხოსს ვლადიმერს, როდესაც მთავრობამ 1894 წელს დაითხოვა ისინი სემინარიიდან.

ნ. დურნოვო.
(„რაზსვეტ“ N17)

ივერია - 1905. – N46. – 6 აპრილი. - გვ.3.

ეპისკოპოსი დიმიტრი რუსეთში

ეპისკოპოსი დიმიტრი ალექსანდრე ნეველის ლავრაში გაჩერებულა. სხვათა შორის, გურიის საქმეზედაც უბაასნია ეპისკოპოსს კორესპონდენტთან:

„ბევრს სისულელეებს სწერენ ამ უკანასკნელ ხანებში გურიის შესახებ. სულ სხვასა სწერენ, მე კი ვლაპარაკობ და ვწირავ კიდეც ქართულად. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არც ერთი სოფლის ეკლესია არ არის, სადაც წირვა-ლოცვა სლავიანურ ენაზე სწარმოებდეს და ამ მხრივ სასულიერო საქმე ვერ შეიქმნებოდა მიზეზად ხალხის უკმაყოფილებისა. ამბობენ, სამღვდელოება ხალხის გარუსებას ცდილობსო,

მაგრამ სად? დასავლეთ საქართველოში, სადაც სამღვდელოებამ სრულებით არ იცის რუსული ლაპარაკი და რუსეთის მომხრეც არ არის. ამ პირობებში გარუსებაზე ლაპარაკი ისეთივე შეცდომაა, როგორც პოლონეთში ამავე ბრალის დადება პოლონელ მღვდლებზე. უსიამოვნება გამოიწვია, მაგალითად იმ გარემოებამ, რომ ჩემმა მეზობელმა ეპისკოპოსმა არსენიმ აკრძალა ქართული წირვა-ლოცვა სოხუმში, მაგრამ ამას თავისი საბუთიც ჰქონდა. სოხუმი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ნაწილი და ხალხიც იქ უმეტესად აფხაზობა და რუსებია; ამის გარდა, აქვე კიდევ რამდენიმე ქართველიც ცხოვრობს, საქართველოდან გადმოსახლებული. სასაცილო იქმნებოდა რუსებს აფხაზების გაქართველება რომ მოესურვათ. ტყუილია ყველა მითქმა-მოთქმა, დაბრალება, ვითომ სამღვდელოება ხალხის გარუსებას სცდილობდეს - ან სად არის ასეთი მეცადინეობის ნაყოფი? სემინარიაში სწავლა-დამთავრებულები იშვიათად ადგებიან სასულიერო სამსახურს და უმეტესობა თავისუფალ პროფესიებს არჩევს: ექიმობას, ვექილობას, ინჟენერობას და სხვა. მართალია, სამღვდელოების ერთი ნაწილი არ არის საკმარისად განათლებული, ნამეტან ფულის სიყვარულსაც იჩენს და ეს გარემოება, შეიძლება, უკმაყოფილების ერთი მიზეზთაგანი იყოს. მაგრამ არ შეიძლება უმთავრეს და არა-მნიშვნელოვან მიზეზების ერთმანეთში გარევა; ნუთუ საფიქრებელია, რომ მთელი ხალხი ამხედრებულიყო 2 მანეთის საკომლო გადასახადისა გამო! გურულების საჭიროება უმთავრესად ეკონომიურია, - ასე გამოთქვა თავისი მდგომარეობა ხალხმა ქართულ გაზეთებშიაც, რომლებიც კავკასიის ყველა სურვილებს გადმოგვცემენ და ხშირად ისეთ რამეებსაც ითხოვენ, რომლის მოთხოვნა მხოლოდ იდეალურ რესპუბლიკებს თუ შეუძლია. გურიის მოძრაობა ახალი დაწყებული როდია, იგი თანდათან არის მომწიფებული და ადგილობრივი ადმინისტრაციის უმეტესობამ კარგად იცოდა მისი მომზადების ამბავი. სამღვდელოება კი ამ საქმეში ყველაზე მეტად არის დამნაშავე, - ამას მოწმობს თვით ხალხიც, რომელსაც გამოკითხეს მისი საჭიროებანი მთავრობისაგან გაგზავნილმა სხვადასხვა პირმა. მე არასოდეს არ დამიმალავს ჩემი სიყვარული რუსეთისადმი და მისი გაძლიერების სურვილი და სხვაგანაც იმ გზას დავადგებოდი უთუოდ, რომელსაც ვადექი გურიაში სამსახურის დროსა. მაგრამ ამითი არავითარი საბუთი არ მიმიცია იმისთვის, რომ ჩემზე ის სულელური საყვედური და ბრალდება გამოსთქვან, ვითომც მებრძანებინოს მღვდლებისთვის აღსარების დროს გამოკითხეთ ყველაფერი მრევლს და დააბეზღეთო საეჭვო პირები. თუმცა უკანასკნელად ბევრი უსიამოვნება გადამხდა თავზე ფოთში ყოფნის დროს, თუმცა შევიქენი იძულებული დამეტოვებინა ჩემი საეპისკოპოსო სამსახური და მრევლი, მაგრამ დღემდის კიდევ მომდის ხალხის ჩემდამი სიყვარულის მრავალი დამამოწმებელი წერილი.

-

თვით ეპისკოპოს დიმიტრის ნალაპარაკევის დასაფასებლად და იმის გასაგებად, თუ რამდენად მართალია ყველაფერი, რასაც ამბობს, მოგვყავს აქვე ეპისკოპოს კირიონის წერილი, დაბეჭდილი გაზეთ „რუსის“ N81-ში:

„ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზეთის N74-ში იყო დაბეჭდილი ეპისკოპოს დიმიტრის წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, მეც გულმოწყალედ შემეხო და ამბობს, - „არა მგონია, ეპისკოპოსმა კირიონმა დაუმადლოს ბატონ ნ. დ.-ს იმის გამო,

რომ იგი მოითხოვს მისს დაბრუნებას კავკასიაში, თუმცა კავკასიიდან თავისისავე თხოვნით (?) იქმნა გადაყვანილი და თუმცა ეხლა მან განუცხადა სასულიერო მთავრობას თავისი მტკიცე გადაწყვეტილება (?), აღარასოდეს აღარ დაბრუნდეს კავკასიაში“ (?)

„ჩემის ღირსებისათვის დამამცირებელი მგონია ამნაირ სიცრუესა და ცილის-წამებაზე რაიმე პასუხის გაცემა.

კირიონი, ორიოლისა და სევის ეპისკოპოსი.“

ქ. ორიოლი. 26 მარტი. 1905წ.

ივერია – 1905. – N107. – 2 ივლისი. – გვ.2.

ახალი ამბავი: – ხუთშაბათს, 30 ივნისს, გორის მაზრიდან ტფილისში დაბრუნდა ეპისკოპოზი კირიონი, რომელიც ხვალ, 3 ივლისს, სამკურნალოდ კისლოვოდსკს მიემგზავრება.

ივერია – 1905. – N110. – 6 ივლისი. – გვ4.

ბიბლიოგრაფია

მიმდინარე წელს ეპისკოპოსმა კირიონმა დაბეჭდა „საეკლესიო საისტორიო მიმოხილვა ხერსონის ვიკარიატის დაარსებისა და მოქმედებისა.“ ამ წიგნიში ბევრი საგულისხმიერო ადგილებია ქართველთა კოლონიზაციის შესახებ ნოვოროსიის ოლქში. ეპისკოპოსი კირიონი შემდეგს მოგვითხრობს: „იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის მეფობის დასაწყისს, კოლონისტებთა შორის ქართველებიც იხსენიებიან; ამ ქართველებისაგან ჯერ შედგენილ იქმნა როტა, მერე კი, როცა მათი რიცხვი გამრავლდა, შესდგა მთელი პოლკი, რომელსაც სახელად ეწოდა „ქართველ გუსართა პოლკი.“ ამავე დროს იხსენიება მაიორი თავადი ბარათაშვილი, რომელმაც ადგილობრივ მთავრობისაგან ატესტატი მიიღო „მასზე, რომ იგი მშვიდობით და კარგად მოქმედებს გადასახლების საქმეში“–ო. ეჭვგარეშეა, ეს ატესტატი მან მიიღო ქართველების გადასახლების საქმეში (აპ. სკალკოვსკი. ქრონოლოგიური მიმოხილვა. ნოვოროსიის ოლქის ისტორია: ნაწ. 1. გვ.16, 34, 35, და 75). აწინდელ ხერსონის მაზრაში არსებობდა სოფელი, **ბარათოვკა,** რომელიც ქართველებით ყოფილა დასახლებული. ეს სოფელი ეკუთვნოდა თავად ბარათოვს. აქ ქართველებს საკუთარი ხის ეკლესიაც ჰქონიათ. როცა ბარათოვის ეკლესია გაუქმებულა, XIX საუკუნის დასაწყისში, მთელი მისი ქონება და არხივი გადაუზიდიათ იქვე, ხუთი ვერსის მანძილზე, ულიანოვსკის ეკლესიაში. როცა 1903 წელს, ჩემ იქ ეპისკოპოსად ყოფნის დროს, დავიარე სამწყსო, მე გულდასმით გავსინჯე ულიანოვის ეკლესია და ადგილობრივ კრებულს გამოვკითხე ბარათოვკის ეკკლესიის ქონებასა და არხივზე, რომელიც აქ იქმნა გადმოტანილი–მეთქი. კრებულმა საჭირო ცნობები ვერ მომაწოდა, ვერც ქონებასა და ვერც არქივზე, სადაც, ეჭვ გარეშეა, არა ერთი და ორი ძვირფასი

ქართული ნივთები და ხელთნაწერები იქმნებოდა დაცული. ეკკლესიის ნივთებიდან მხოლოდ ერთი ძველი კვიპარისის ჯვარი ვპოვე, ვერცხლში მოჭედილი წმიდა ნაწილებით და წაშლილ ქართულ წარწერით. სჩანს მხოლოდ 1799 წელიწადი. ეს ჯვარი, ყოველ ეჭვ გარეშეა, ბარათოვკის ეკკლესიიდან არის გადმოტანილი. ხერსონისავე გუბერნიაში არის მეორე სოფელი ბარათოვკა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ხერსონის გუბერნიაში ძლიერ ბევრი ქართველი მოსახლკარე იყო. ამ ორ ბარათოვკის გარდა ქართველები (უტყუარ წყაროებით) სცხოვრობდნენ ნოვოროსიის ოლქის სხვა კუთხეებშიაც. მაგალითად, იმ 20 მსახურ–პირთაგან, რომელნიც 1855 წელს ხერსონის ვიკარიატში ეპისკოპოსთან იმყოფებოდნენ, მოხსენე–ბულნი არიან სოფელ ვილაგოცულოვკის მცხოვრები დანიელა ფალია და სოფელ ლინეცკის მცხოვრები ივანიკა ფიფია (ხერსონის კონსისტორიის არხივის საქმე N1231). ზემოთ ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ კოლონიზატორთა შორის ერივნენ ქართველები დასავლეთ საქართველოდან.“

დ. პ.